ესტონეთის ბაზარი საქართველოსთვის ღიაა

A2

საქართველო და რეგიონის ენერგეტიკული პერსპექტივები

A5

"13 Tzameti" მკვდარი მამაკაცი

A6

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი შაბათი, 13 მაისი, 2006 წელი. №104 (1256) ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### სოხუმი თბილისს "მომავლის გასაღებს" სთავაზობს

"მომავლის გასაღები" - ასე ეწოდება თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის სამშვიდობო გეგმას, რომელიც, სოხუმის ხელისუფლების აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს კონფლიქტის სრულ და საბოლოო მოწესრიგებას.

A3

## სამართალი

### პოლიციელები წამებისთვის იძებნებიან

"არასრულწლოვანის წამების ბრალდებით, გენერალურმა პროკურატურამ სამ პოლიციელზე გამოაცხადა ძებნა," - ასეთი ინფორმაცია გაავრცელა გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსმა თამარ თომაშვილმა.

A4

## ისტორია

### ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში

საქართველოს კანონიერი ხელისუფლების გროზნოში ყოფნის პერიოდში მუდმივად იგრძნობოდა პრეზიდენტ გამსახურდიას ევროპაში მოგზაურობის აუცილებლობა.

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 13/05 | 14/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | 23 |
| ქუთაისი | 22 | 15 |
| სოხუმი | 16 | 15 |
| დმანისი | 25 | 13 |
| გორი | 25 | 16 |
| ონი | 17 | 8 |
| ზუგდიდი | 21 | 15 |
| ახმეტა | 28 | 23 |
| გაგრა | 18 | 16 |
| სამტრედია | 22 | 15 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8080 |
| ევრო | 2.3000 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3641 |
| რუბლი | 0.0668 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| თვალსაზრისი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| უახლესი ისტორია | A 8 |


# ტირანიის მარცხი თუ ახალი "ანშლუსი"?

სოფო ბუკია

*მოსკოვი ბელარუსის ეკონომიკის ყველანაირ სუბსიდირებას წყვეტს და 2007 წლიდან სამჯერ აძვირებს გაზის საფასურს. 9 მაისს პრეზიდენტმა პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას ბელარუსის მიმართ რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური და საკრედიტო-საფინანსო პოლიტიკის კარდინალურად შეცვლის შესახებ. ამ ინფორმაციას კრემლის წყაროზე დაყრდნობით გავლენიანი რუსული გაზეთი "კომერსანტი" ავრცელებს. მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს, თუ ბელარუსი რუსეთის შემადგენლობაში შევა, - აცხადებს "კომერსანტთან" ინტერვიუში კრემლის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი.*

გაგრძელება A3 გვერდზე

კრემლი ფიქრობს, რომ დროა ბელარუსთან მიმართებაში პოლიტიკა შეცვალოს.

# დაძაბული სხდომის გაურკვეველი შედეგები

ნათია მსხილაძე

*ცხინვალში შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე ჩასულ ქართულ დელეგაციას, სეპარატისტული რეჟიმის მთავრობის სახლთან, ოსი დედებისა და პატიმართა ახლობლების აქცია დახვდა. თავად შერეული საკონტროლო კომისიის 49-ე სხდომის მეორე სამუშაო დღე დაძაბული განცხადებითა და კამათით დაიწყო.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# დღეს "24 საათში"

# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"

A7

## მიმართვა

**მსოფლიო პატრიარქს, ყოვლადუწმინდეს ბართლომეოსს;**
**ალექსანდრიის პატრიარქს, უწმინდეს თეოდორეს;**
**ანტიოქიის პატრიარქს, უწმინდეს ეგნატეს;**
**იერუსალიმის პატრიარქს, უწმინდეს თეოფილეს;**
**სერბეთის პატრიარქს, უწმინდეს პავლეს;**
**რუმინეთის პატრიარქს, უწმინდეს თეოქტისტეს;**
**ბულგარეთის პატრიარქს, უწმინდეს მაქსიმეს;**
**კვიპროსის მთავარეპისკოპოსს, უნეტარეს ქრიზოსტომოსს;**
**საბერძნეთის მთავარეპისკოპოსს, უნეტარეს ქრისტოდულოსს;**
**ალბანეთის მთავარეპისკოპოსს, უნეტარეს ანასტასიოსს;**
**პოლონეთის მიტროპოლიტს, უნეტარეს საბას;**
**ჩეხეთისა და სლოვაკეთის მთავარეპისკოპოსს, უნეტარეს ქრისტეფორეს;**
**ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტს, უნეტარეს ჰერმანეს;**

მოგმართავთ თქვენ, ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების მწყემსთმთავრებს, იმ სავალალო მდგომარეობის გამო, რომელშიც აღმოჩდა მოსკოვის წმ. გიორგის სახელობის ქართული მართლმადიდებლური სამრევლო.

მოგეხსენებათ, ბოლო ათწლეულის მანძილზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც ყოველთვის, წარმოადგენს რუსეთის სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკის იარაღს საქართველოს წინააღმდეგ. მოსკოვის საპატრიარქომ არ იკმარა აღნიშნულ რეგიონებში ეთნიკური დაპირისპირებისა და სეპარატიზმის რელიგიური ლეგიტიმაცია და ახლახანს რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების უაღრესად გამწვავების ფონზე, დაიწყო მოსკოვში მცხოვრები ქართველი მართლმადიდებლების შევიწროება.

მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, ალექსი II მიერ დანიშნულმა მოსკოვის ისტორიულად ქართული ეკლესიის ახალმა წინამძღვარმა მეთოდურად დაიწყო ქართულ ენაზე ღვთისმსახურების შეზღუდვა და ქართველი მღვდლისა და მრევლის დისკრიმინაცია, რითაც სავსებით შეილახა მოძღვარსა და სამწყსოს შორის ურთიერთობის საეკლესიო პრინციპები, რადგან ქართველ მრევლს, რომელსაც არასოდეს ეპარებოდა ეჭვი საეკლესიო სლავური ენის ლიტურგიულ კანონიერებაში, ის ადარდებს, რომ მწირველი მღვდელი მათ წინაშე წარდგება არა ქრისტესმიერი სიყვარულის განსახიერებად, არამედ რეპრესიული პოლიტიკის ინსტრუმენტად.

ქართველი მართლმდიდებლების პროტესტი მოსკოვის საპატრიარქომ უპასუხოდ დატოვა.

ქართულ ენაზე ღვთისმსახურების ეტაპობრივი აკრძალვა მწვავედ შეურაცხყოფს მოსკოველი ქართველების ეროვნულ იდენტობას და დაბრკოლების ქვად იქცევა მათი რელიგიური შეგნებისათვის.

გთხოვთ გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა შეწყდეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის აგრესია საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ.

ღრმა პატივისცემით:

**ლადო გოგიაშვილი**
რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრის დირექტორი
**ნოდარ ლადარია**
თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი

### ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი და გაზეთი "24 საათი" აცხადებენ კონკურსს "პრივატიზაციის მონიტორინგი მედიაში"

კონკურსის ფარგლებში მიიღება სტატიები, რომლებიც ასახავენ:
- საპრივატიზაციო ობიექტების მდგომარეობას და მათ მიმზიდველობას ინვესტორისათვის და/ან საკონკურსო პირობების შესახებ დამატებით საინტერესო ინფორმაციას და ემსახურებიან პრივატიზაციის გამჭვირვალეობას;
- დეტალურ და საგულისხმო ინფორმაციას ქვეყანაში შემოსული ინვესტორიების შესახებ;
- პრივატიზაციის პროცესში არსებულ პრობლემებს და გაჩენილ კითხვებს;
- პრივატიზაციის შემდეგ საწარმოებში შექმნილ სიტუაციას და ახალი მფლობელის მიერ საკონკურსო პირობების შესრულებას;

კონკურსის შედეგად გაიცემა სამი პრემია:
**1 პრემია - 300 აშშ დოლარი**
**2 პრემია - 200 აშშ დოლარი**
**3 პრემია - 100 აშშ დოლარი**

კონკურსში მიიღება სტატიები, რომლებიც გამოქვეყნებულია 2006 წლის 10 მაისიდან - 22 მაისის ჩათვლით ქართულ ან უცხოურ პრესაში ან ინტერნეტ-საიტებზე.

**კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 2006 წლის 30 მაისს.**

## "თავისუფალი სიტყვა".

FM ცნობები 92.0

გადაცემა ეთერში გადის ყოველ სამუშაო დღეს 13 საათზე. გადაცემის წამყვანია გიორგი თარგამაძე, სტუდიის სტუმარია თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის კათედრის გამგე რამაზ შენგელია.

**გ.თ** გადავწყვიტეთ დღეს ისეთ საკითხებზე გვესაუბრა, რაც სოციალურ პრობლემებს და პოლიტიკას არ უკავშირდება. ჩვენი საუბრის თემაა, როგორ გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე და საერთოდ, რაზეა დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა. საქართველოში იაპონიიდანაც კი ჩამოდიან, რათა შეისწავლონ რა განაპირობებს ადამიანების ხანგრძლივ სიცოცხლეს, განსაკუთრებით შავიზღვისპირეთში. ბ-ნო რამაზ იქნებ ჩვენი საუბარი სტატისტიკით დავიწყოთ. საქართველოში დღეს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა რამდენია. რამდენად უსწრებს ან ჩამორჩება მსოფლიო მაჩვენებელს?

**რ.შ.** მიუხედავად ჩვენი სტატისტიკოსების თავდადებული შრომისა, დღეს საქართველოში აღრიცხვა გართულებულია. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩვენი მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უთანაბრდება ევროპული ქვეყნების მაჩვენებელს. ჩვენი ერი დაბერების გზაზე დგას. ჩვენი ერი დაბერდა მარტო იმიტომ, რომ 100 ათასობით ახალგაზრდა სამუშაო ადგილს ეძებს საზღვარგარეთ და ხანდაზმულები დარჩნენ ქვეყანაში. სიკვდილიანობას რომ დაბადება ოდნავ ასწრებს ესეც ფაქტია.

**გ.თ** რაში მდგომარეობდა საიდუმლო ხანდაზმულობისა, რაც ჩვენს რეგიონებში არსებობდა?

**რ.შ** საქართველოში საბჭოთა პერიოდში ძალიან საინტერესო შრომები ჩატარდა ამ კუთხით. მთელი სკოლა შექმნა აკადემიკოსმა ნოდარ ყიფშიძემ. დაინტერესდნენ უცხოელებიც, ჩამოვიდნენ იაპონელები, ამერიკელები და საკმაოდ საინტერესო შედეგებს მიაღწიეს. აფხაზეთში იყო განსაკუთრებული კვლევები. კავკასიური დღეგრძელობის ფენომენი მაინც არსებობს. ხშირად ხანდაზმულები თავიანთ ასაკს ცოტას წაუმატებენ ხოლმე. პროფესიონალ გერონტოლოგებს აქვთ სპეციალური ტესტები, რომელიც უტყუარია.

**გ.თ** შეგვიძლია ვთქვათ თუ არა, რომ კავკასია და ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა ხანდაზმულების სიჭარბით?

**რ.შ** საქართველოში ასეთი კუთხეებია მთიანი აჭარა, სამეგრელო, აფხაზეთი და კიდევ სხვა რეგიონები. სიცოცხლის ხარისხი არის ერთი და მისი ხანგრძლივობა კიდევ სხვა რამეა. ახლა ჩვენ ვიკვლევთ კახეთის რეგიონს, სადაც ვერ ვიტყვით რომ განსაკუთრებით დღეგრძელები ცხოვრობენ, მაგრამ იქ ღვინის პროდუქტებთან დაკავშირებით, რაღაც განსაკუთრებული ჰომოსტაზი არის დამყარებული მათ ორგანიზმში.

**გ.თ** დღეგრძელობის რაიმე განსაკუთრებული ფორმულა თუ არსებობს? რა ყოფით და გარემო პირობებს უკავშირდება ეს?

**რ.შ** ამ ფენომენის პროფესიონალურ დონეზე განმარტება მართო მე გამიჭირდება. საქართველოში არსებობს 500-მდე დაცული სამედიცინო ხელნაწერი. ჩვენ ამ ხელნაწერებში ძალზე განსხვავებული დამოკიდებულება აღმოვაჩინეთ. ცნობილია ხმელთაშუაზღვის დიეტა, რომელიც თუ დავუკვირდებით იგივე პროდუქტების მიღებას გულისხმობს, რასაც სხვა დიეტები. ესენია ჭარხალი, სტაფილო, ხილი და ა.შ. ქართველი, რომელიც მთელი ცხოვრება სხვანაირად იკვებება და უცბად შენ აუკრძალავ ხორცისა და ღვინის მიღებას, ეს უფრო მოუსწრაფებს სიცოცხლეს. მიდგომა ადამიანებისადმი, მისი ცხოვრების წესისადმი უნდა იყოს ინდივიდუალური. ძველ ხელნაწერებში წერია, რომ მიდგომა ადამიანებისადმი განისაზღვრება მისი კალენდარული ასაკის, აღნაგობის, სქესის მიხედვით. ყურადღება ექცევა წლის დროსაც.

# ესტონეთის ბაზარი საქართველოსთვის ღიაა

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*რუსეთის მისამართით კრიტიკულ განცახდებებს გუშინ კახეთში მყოფი ესტონელი ბიზნესმენებიც აკეთებდნენ. საქართველოს თავისუფლად შეუძლია ესტონეთის ბაზრის დაპყრობა, - ამაზე ჟურნალისტებთან თავად ესტონეთის პრეზიდენტი არნოლდ რუუტელი საუბრობდა, რომელმაც წინანდლის სადეგუსტაციო დარბაზში ქართული ღვინო და კონიაკი დააგემოვნა.*

ხორვატიის პრეზიდენტის შემდეგ, კახურ ღვინოს გემო ესტონეთის პრეზიდენტმა და მისმა მეუღლემაც გაუსინჯეს. **"მართალია მე არ ვარ ამ საქმის სპეციალისტი, მაგრამ თუ ვინმე ამ ღვინოების ერთ წვეთს მაინც გასინჯავს, ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილებები დარჩება, და თუ მივიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, როგორ მზადდება ეს სითხე, მაშინ ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მაღალი კლასის ღვინო. ასე რომ, მე ქართულ ღვინოს რეკომენდაციას ვუწევ. ყველას ვურჩევ, ეს სითხე მხოლოდ სადღესასწაულო შემთხვევებში მოიხმარონ,"** - ასეთ განცხადებებს ესტონეთის პრეზიდენტი მას შემდეგ აკეთებდა, რაც ქართული ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა სტუმრებისთვის საკუთარი პროდუქციის პრეზენტაცია გამართეს. არნოლდ რუუტელის განცხადებით, ესტონეთის ბაზარი ქართული პროდუქციის, მათ შორის ღვინისათვის ღიაა.

**"ჩვენს ქვეყანაში "ხვანჭკარა" ესპანეთიდან შემოდის, მაგრამ ახლა ამ სახელწოდების ღვინოს აქ რომ ვსვამ, მისგან ძალზე განსხვავდება. აღნიშნული პრობლემის დასაძლევად მე და ჩემმა ქართველმა კოლეგამ გადავწყვიტეთ, ერთობლივად ვაწარმოოთ კონტროლი ჩვენს ბაზარზე, რათა აღარ მოხდეს ესტონეთში ფალსიფიცირებული ქართული ღვინოები,"** - ამბობს ესტონეთის იუსტიციის მინისტრი კრეი ლანგი.

როგორც პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა, ესტონელი ბიზნესმენები ქართული ღვინით სერიოზულად დაინტერესდნენ.

**"ამ ვიზიტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ესტონეთი, ისევე როგორც ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნები, ჩვენი მეგობარი ქვეყანაა, და აქაური ბიზნესმენები უკვე დაინტერესდნენ ქართული ღვინოებით. არსებობს გარკვეული შეკვეთები, რაზეც თვითონ ბიზნესმენები შეთანხმდებიან ერთმანეთში,"** - ამბობს პეტრე ცისკარიშვილი.

**"როდესაც რუსეთი ამბობს, ქართული ღვინო არ არის კარგი და მასში მავნე ნივთიერებებია, არ ვიჯერებ, რადგან ვიცი, რაც არის თქვენს ქვეყანაში ნაწარმოები ღვინო. შემომხედეთ თვალებში, რამდენი წელია, რაც ქართულ ღვინოს ვსვამ და ავადმყოფობის მეტყობა რამე? მე ჯანმრთელად ვარ,"** - ამბობს ესტონელი ბიზნესმენი ენო პრიმოგი, რომელიც თავის ქვეყანაში ქართული ღვინის შეტანას გეგმავს და ამისთვის იგი მოლაპარაკებებს უახლოეს ხანში ღვინის მწარმოებელ კომპანიებთან გამართავს.

ამ დროისთვის ესტონეთთან თანამშრომლობაზე მზადყოფნას "თელიანი ველი" გამოთქვამს.

# ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" მაია ნადირაძის წინააღმდეგ

საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" უმრავლესობის ლიდერს მაია ნადირაძეს საფინანსო დეკლარაციის გაყალბებასა და უკანონო ბინების მფლობელობაში ადანაშაულებს.

როგორც "დემოკრატიულ ფრონტში" აცხადებენ, ფრაქციის მონიტორინგის ჯგუფმა ბრალდებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოიპოვა და შესასწავლად პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტს გადაუგზავნა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით, გუშინ "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენლებმა ზვიად ძიძიგურმა და ბეჟან გუნავამ პრესკონფერენცია გამართეს. გუნავას თქმით, მაია ნადირაძემ პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ხელშეწყობით, საკუთარი თანამდებობის ბოროტად გამოყენებით და თბილისის მერიის დახმარებით, მიიღო შპს "საძირკველის" მიერ აშენებული ბინა, რომელიც ქუთაისისა და აგლაძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარეობს.

გუნავა ამტკიცებს, რომ მაია ნადირაძემ, საკუთარი ძველი ბინის ჩაბარება უკანა რიცხვით მას შემდეგ გააფორმა, რაც აღნიშნული ინფორმაციები გამოაშკარავდა და მის თანამდებობრივ მდგომარეობას საფრთხე შეექმნა.

საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" მოუწოდებს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებს, შეიჭრან და დაიკავონ ქუთაისისა და აგლაძის ქუჩის კუთხეში მდებარე მშენებარე საცხოვრებელი სახლის 16 ბინა, რადგან ეს ბინები უპატრონოა.

"შესაბამისი სამსახურებიდან მოვითხოვეთ ინფორმაცია 26 ბინის მეპატრონის შესახებ, თუმცა მხოლოდ 10 ბინის თაობაზე მივიღეთ ამომწურავი ინფორმაცია," - აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა. საპარლამენტო ფრაქციას ასევე ეჭვი აქვს, რომ მაია ნადირაძე შემოსავლებს მალავს.

გუნავას განცხადებით, ნადირაძემ 180 კვადრატული მეტრის ფართობის ბინა საბურთალოზე მდებარე აკადემქალაქში შეიძინა, რისთვისაც ბანკიდან კრედიტის სახით 10 000 ლარი გამოიტანა. პარლამენტარი ვარაუდობს, რომ უმრავლესობის ლიდერს ბინის შესაძენად გაცილებით დიდი თანხა დასჭირდებოდა, ამიტომ, ეჭვობს, რომ მაია ნადირაძეს ფინანსურ დეკლარაციაში გაყალბებული მონაცემები აქვს შეტანილი.

ამასთანავე, "დემოკრატიული ფრონტის" წევრების განცხადებით, დღეისთვის მაია ნადირაძე უკანონოდ ცხოვრობს წყნეთის აგარაკზე, რომელიც შპს "წყნეთის" ცენტრალურ ზონას ეკუთვნის და აღნიშნული შპს-ს მესაკუთრე ვინმე ჩხეიძეა.

ბეჟან გუნავას განცხადებით, ჩხეიძესთან სატელეფონო საუბარში შპს-ს მეპატრონე აცხადებს, რომ კანცელარიიდან რეკავენ მასთან და სთხოვენ, რომ გარკვეულმა თანამდებობის პირებმა იცხოვრონ მის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე მდებარე სახლებში.

ბეჟან გუნავას განცხადებით, თანამდებობის ბოროტად გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულია და 4 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

"დემოკრატიული ფრონტი" საპროცედურო საკითხთა კომიტეტისგან მაია ნადირაძის ბინების საკითხის შესწავლას და პარლამენტის ბიუროსთვის შესაბამისი დასკვნის წარდგენას მოითხოვს.

*ინტერპრესნიუსი*

# აჭარაში ინვესტირებით ისრაელიც დაინტერესდა

გუშინ ბათუმში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილე მარკ სოფერი და ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური. ისინი აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ლევან ვარშალომიძეს შეხვდნენ.

შეხვედრის შემდეგ მარკ სოფერმა განაცხადა, რომ ისრაელი-საქართველოს ურთიერთობაში ბათუმი და ზოგადად აჭარის რეგიონი მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს. **"ჩვენი ვიზიტის მიზანია, გავეცნოთ აჭარის პოტენციალს, თუ რამდენად არის შესაფერისი პირობები ინვესტიციების განსახორციელებლად. ჩვენ გვაინტერესებს ძირითადად ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროები. ჩვენი ბიზნესმენები მალე აქ ჩამოვლენ კონკრეტული პროექტების განხორციელებისათვის. ვფიქრობთ, რომ აქ უნდა იქნეს შექმნილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა ბიზნესმენები ჩამოვიყვანოთ,"** - განაცხადა სოფერმა

ისრაელის ელჩი, შაბთაი ცური დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბათუმში საერთაშორისო აეროპორტის აშენებას. მისი თქმით, ისრაელიდან თურქეთში ყოველწლიურად 2 მილიონამდე ტურისტი ჩადის. როცა ბათუმის აეროპორტი მწყობრში ჩადგება, მაშინ სტამბულის გავლით ბათუმში ძალიან ბევრი ებრაელი ტურისტი ჩამოვა.

ამასთან, ელჩმა ერთი საინტერესო იდეა გაამჟღავნა: **"ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ისრაელში არის ქალაქი აშდოდი. ჩვენ გვაქვს იდეა და ლევან ვარშალომიძეს შევთავაზეთ, რათა მოხდეს ბათუმსა და აშდოდს შორის დაძმობილება. ივნისის თვეში ბატონი ვარშალომიძე მიწვეული გვყავს ისრაელში, სადაც ის პირადად აშდოდის მერს ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვდება. მოხდება დაძმობილების შესახებ მემორანდუმის გაფორმება. ასე რომ, მარტო ჩვენს ქვეყნებს შორის კი აღარ იქნება მეგობრობა, არამედ ჩვენს რეგიონებსა და ქალაქებს შორისაც".**

### მოკლედ

#### აზერბაიჯანული ნავთობი ჯეიჰანს მაისის ბოლოს მიაღწევს

27 მაისს ნავთობი ჯეიჰანს მიაღწევს და პირველ ტანკერსაც დავტვირთავთ - განაცხადა თურქეთის სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ჰილმი გიულურმა. მისივე თქმით, მილსადენის უსაფრთხოება სამივე ქვეყანაში ისეთ მაღალ დონეზეა უზრუნველყოფილი, რომ ამ საკითხზე ლაპარაკი არც კი ღირს. ჰილმი გიულერი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს "სამი ქვეყნის მეგობრობისა და სიყვარულის პროექტს" უწოდებს.

თურქი მინისტრის განცხადებით, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს და წლის ბოლოსთვის თურქეთი ბუნებრივი აირის პირველ პარტიას მიიღებს. **მედიანიუსი**

#### აშშ-ს სამხედრო სცენარებს ამუშავებს

ამერიკის შეერთებული შტატები ირანის მიმართ სიტყვიერი მუქარიდან მოქმედებაზე გადადის. კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ პენტაგონის ხელმძღვანელს ირანის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლო სცენარების შესახებ მოხსენების წარდგენა დაავალა. პალატას სურს, რომ სამხედროებმა 10 წელზე გათვლილი დეტალური გეგმა წარადგინონ, რომელშიც თვალნათლივ გამოჩნდება, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს ირანი მსოფლიოსთვის და როგორ გამოიყენებს აშშ ძალას ირანის წინააღმდეგ.

ამერიკის თავდაცვის მინისტრს დაევალა, კონგრესის ორივე პალატის პროფილურ კომიტეტში წარმოადგინოს ირანის მხრიდან მიმდინარე და მოსალოდნელი საფრთხის დანერილებითი სამხედრო-პოლიტიკური შეფასება და გააცნოს მათ თავდაცვის სამინისტროს მიერ ამ საფრთხის თავიდან აცილებისკენ მიმართული გეგმები. გუშინ, აშშ თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა განაცხადა, რომ ირანი ერაყელ ბოევიკებს ეხმარება. მისივე თქმით, ამერიკამ ერაყში ირანული წარმოების მოწყობილობა აღმოაჩინა, რომელიც ამერიკელებისა და ერაყელების მკვლელობისთვის გამოიყენება. რამსფელდმა განმარტა, რომ ჯერჯერობით დარწმუნებით ვერ იტყვის, რომ მსგავს მოწყობილობებს ირანის მთავრობა უგზავნის თავის მოკავშირეებსა და მეგობრებს ერაყში, მაგრამ მოწყობილობა ნამდვილად ირანულია. პენტაგონის ხელმძღვანელს საიდუმლო მოხსენების მომზადებისათვის 7 თვე მისცეს. რუსეთში ირანზე შესაძლო თავდასხმას კვლავინდებურად "დიდ შეცდომას" უწოდებენ. რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის იგორ ივანოვის თქმით, ნებისმიერი სამხედრო აქცია ირანში აიფეთქებს სიტუაციას რეგიონსა და მის ფარგლებს გარეთ. **მედიანიუსი**

#### ახალქალაქის ბაზიდან სამხედრო ტექნიკის გატანა დაიწყო

ახალქალაქში დისლოცირებული რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზიდან პარასკევს სამხედრო ტექნიკის გატანა დაიწყო, რომელიც ნალაქაში სარკინიგზო შემადგენლობებზე დაიტვირთება. ამის შესახებ "ინტერფაქსს" ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების მეთაურის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ვლადიმერ ყუფარაძემ აცნობა.

"პირველი შემადგენლობით რუსეთში 7 ტანკი, რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორი და დაზვერვის საბრძოლო მანქანა გაიგზავნება", - აღნიშნა მან.

ყუფარაძის თქმით, "დატვირთვის დაწყება შაბათს იგეგმებოდა, მაგრამ ქართულმა მხარემ შემადგენლობის ფორმირება გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებზე ადრე განახორციელა".

როგორც ყუფარაძემ აღნიშნა, ეშელონი 20 პლატფორმისგან შედგება, რომლებიც ქართველმა სპეციალისტებმა სათანადოდ გაამაგრეს, რათა მათ ტანკების სიმძიმისთვის გაეძლო. "პირველი ეშელონის გამგზავრება 15 მაისს, მოსკოვის დროით 10.00 საათზე იგეგმება", - დასძინა მან. ახალციხიდან რუსულ იარაღსა და ტექნიკას რკინიგზით, აზერბაიჯანის გავლით გაიტანენ რუსეთში. **პრაიმ-ნიუსი**

#### საკადრო წმენდა რუსეთის ხელისუფლებაში

რუსეთის ხელისუფლებაში ფართომასშტაბიანი საკადრო წმენდა განხორციელდა. კერძოდ, რუსეთის პრემიერ-მინისტრის მიხაილ ფრადკოვის განკარგულებით თანამდებობები დატოვეს რუსეთის საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ჟურიხოვმა და მისმა მოადგილეებმა.

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ბრძანებულებით კი სამსახურიდან დაითხოვეს რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ სამძებრო სამმართველოს ხელმძღვანელის მოადგილე, გენერალმაიორი კოლესნიკოვი, ამავე სამმართველოს მაღალჩინოსანი პლოტნიკოვი და კონტრაბანდასთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის მოადგილე ფომენკო.

საკადრო ცვლილებები რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროშიც განხორციელდა. შინაგან საქმეთა მინისტრის რაშიდ ნურგალიევის უშუალო მითითებით პოსტები დატოვეს ოპერატიულ სამძებრო ბიუროს უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა პოპოვმა, 56-ე განყოფილების ოპერ-რწმუნებულმა განსაკუთრებულ საქმეებში სინელ ნიკოვმა, ამავე განყოფილების პოდპოლკოვნიკებმა სოკოლოვმა და ისაროვმა.

რუსთის გენერალური პროკურორის ვლადიმერ უსტინოვის გადაწყვეტილებით, თანამდებობა დატოვეს მოსკოვის პროკურორის პირველმა მოადგილემ მიხაილ ნიკონოვმა და გენერალური პროკურატურის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ დმიტრი პოლიშჩუკმა.

ცვლილებები მოხდა რუსეთის ფედერაციის საბჭოშიც. ამ საბჭოს ზემო პალატის თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა თანამდებობიდან დაითხოვა იამალო-ნენეცკის ავტონომიკური ოლქის წარმომადგენელი ბორის გუტინი, ასევე ფედერაციის წევრები არკადი სარქისიანი და ალექსანდრ საბადაში.

საკადრო ცვლილებებს უკავშირებენ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადება, რომლის მიხედვითაც, კორუფცია რუსეთის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. **მედიანიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# ტირანიის მარცხი თუ ახალი "ანშლუსი"?

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

უკანასკნელ წლებში რუსეთსა და ბელარუსს შორის არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს უცხოური პრესა სადო-მაზოხისტურს უწოდებდა. ეს იმიტომ, რომ პუტინის რუსეთი ლუკაშენკოს რეჟიმს ყოველწლიურად 4 მილიარდი დოლარით ასპონსორებდა, რაც გაზზე და ნავთობზე დაწესებულ შეღავათიან ფასებში გამოიხატებოდა. სანაცვლოდ კი, კრემლი ლუკაშენკოს ხელისუფლების დასუსტებით, ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნისა და ბელარუსის მთავარი გაზსადენის - "ბელტრანსგაზის" ხელში ჩაგდების იდეით ტკბებოდა.

დღეს კრემლი ფიქრობს, რომ დროა, პოლიტიკა შეცვალოს.

ბელარუსისთვის რუსული გაზის საბაზრო ფასებით მიყიდვის შესახებ ოფიციალური განაცხადი რუსეთმა ბელარუსში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გააკეთა - ანუ მაშინ, როდესაც "ევროპის უკანასკნელმა დიქტატორმა" ლუკაშენკომ საბოლოოდ დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ ამ ეპითეტს სავსებით ამართლებს. ყველა ნორმის დარღვევით ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ლუკაშენკოს რეჟიმი ევროკავშირის მკაცრ სანქციებს იმსახურებს. ალექსანდრ გრიგორის ძის ინაუგურაციას არ ესწრება არც ერთი ევროპული ქვეყნის ლიდერი. ლუკაშენკოზე, როგორც "ევროპის საფრთხეზე" საუბარი ყველა საერთაშორისო დონის შეხვედრაზე მოდად იქცა.

ამ დროს მოძმე რუსეთი ბელარუსის მიმართ პოლიტიკას ცვლის და ბელარუსისთვის გაზის მიწოდებას სამჯერ აძვირებს.

ამჟამად ბელარუსი ათას კუბურ მეტრ რუსულ გაზში 46,68 დოლარს იხდის. რუსული გაზის მონოპოლისტის "გაზპრომის" გადაწყვეტილებით კი, 2007 წლიდან იგივე რაოდენობის ბუნებრივ აირს ბელარუსები 145 დოლარად შეიძენენ. ეს გადაწყვეტილება საბოლოო არ არის. "ბატკას" არჩევანის საშუალება აქვს: გაზის გაძვირების შედეგად წარმოშობილი კატასტროფული ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, ან რუსეთის ფედერაციასთან საკავშირო სახელმწიფოს შექმნა.

მინიმუმი, რაც რუსეთს დღეს ბელარუსისგან სჭირდება, "ბელტრანსგაზის" ბაზაზე რუსეთის მხარისთვის მისაღები პირობებით ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისთვის ერთობლივი საწარმოს შექმნაა. ამას კრემლი დიდი ხანია ითხოვს, ლუკაშენკო კი დათმობაზე არ მიდის. მთავარი გაზსადენის რუსეთისთვის გადაცემა ბელარუსისთვის სუვერენიტეტის დაკარგვას ნიშნავს.

როგორც "კომერსანტი" წერს, პუტინის მიერ 9 მაისს ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, რუსეთმა ბელარუსის ეკონომიკის ყველანაირი პირდაპირი თუ ირიბი დოტაცია უნდა შეწყვიტოს. ასევე ბელარუსის ტერიტორიიდან უნდა შეწყდეს ნებისმიერი რუსული პროდუქციის (განსაკუთრებით ენერგომატარებლების) რეექსპორტი და კონტრაბანდა.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, გაზის გაძვირება ბელარუსის "ეკონომიკურ სასწაულს" სერიოზულ დარტყმას მიაყენებს. რუსეთსა და ბელარუსს შორის საქონელბრუნვამ 2005 წელს 15,8 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

ბელარუსში რუსული ექსპორტის 53 პროცენტს ენერგორესურსები შეადგენს. 2005 წელს რუსეთიდან ბელარუსში 949,5 მლნ. დოლარის გაზი შევიდა, 4 მილიარდი დოლარის ნავთობი და 220 მილიონი დოლარის ელექტროენერგია.

ექსპერტთა განცხადებით, გაზის საფასურის გაზრდა ბელარუსში ელექტროენერგიასაც გააძვირებს. ბელარუსის გენერაციის სიმძლავრეების 60 პროცენტი რუსულ გაზზე მუშაობს, 21,7 პროცენტი კი რუსეთის ნავთობზე. საკუთარი ენერგომატარებლები ბელარუსს მხოლოდ 12,7 პროცენტი ელექტროენერგიით უზრუნველყოფენ.

გაზის მომატების გამო განსაკუთრებით გაუჭირდება ბელარუსის სასურსათო წარმოებას, მანქანათმშენებლობას, კერძოდ ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოს - მინსკის ტრაქტორების ქარხანას, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი ინახავს.

რაც მთავარია, მოძმე რუსეთის აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ლუკაშენკოს ხელისუფლებას ეკონომიკურთან ერთად, საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური დარტყმა მიაყენებს. ლუკაშენკო მართლაც რთული არჩევანის წინაშე დგას: თუ ბელარუსი გაზს სამჯერ გაძვირებულ ფასად შეიძენს, ქვეყანაში გარდაუვალია ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება ლუკაშენკოს ხელისუფლების პოპულარობის ვარდნა; ხოლო თუ ლუკაშენკო რუსეთთან შეერთებას აირჩევს, მაშინ ბელარუსში კვლავაც ხალხის უკმაყოფილებას უნდა ველოდეთ. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, რუსეთთან შეერთების მომხრე დღეს ბელარუსთა მხოლოდ 5-6 პროცენტია. ექვსი წლის წინ ეს მაჩვენებელი 50 პროცენტს შეადგენდა.

გუშინ თხუთმეტდღიანი პატიმრობის შემდეგ ბელარუსის ოპოზიციის ლიდერი ალექსანდრ მილინკევიჩი გაათავისუფლეს, რომელმაც პირველი კომენტარი სწორედ რუსეთის თემაზე გააკეთა. "კრემლის ეს რეაქცია სავსებით მოსალოდნელი იყო. რუსეთი შეიძლება ანშლუსზე წავიდეს (მიიერთოს ბელარუსი-რედ.). ოდესღაც ლუკაშენკოს გაერთიანება უნდოდა, დღეს მას ხელისუფლების დაკარგვის ეშინია. სწორედ ამიტომ რუსეთმა უფრო სწრაფად აამოქმედა სანქციები, ვიდრე დასავლეთმა. ეს ბელარუსისთვის ძალიან სერიოზული გამოცდა იქნება," - განაცხადა მილინკევიჩმა.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ, შესაძლოა, ეს იყოს "პოლიტიკური მანევრი 2008". ანუ კრემლის მხარდაჭერით მესამე ვადით არჩეულმა ლუკაშენკომ შეიძლება დახმარება აღმოუჩინოს მოსკოვს ერთი საკმაოდ რთული თავსატეხის ამოხსნაში - ვინ იქნება რუსეთის პრეზიდენტი 2008 წელს?

# დაძაბული სხდომის გაურკვეველი შედეგები

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

როგორც ვარაუდობდნენ, მხარეები უამრავ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. პრაქტიკულად, გუშინ საღამომდე, ჯერჯერობით, არანაირი სერიოზული გადაწყვეტილება არ იყო მიღებული.

ოსური მხარის მწვავე რეაქცია მოჰყვა სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას მიერ გაკეთებულ განცხადებას. გუშინ ხაინდრავამ კიდევ ერთხელ გაახმოვანა ქართული მხარის პოზიცია, რომელიც სამშვიდობო პროცესში ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად სამართალდამცველების ჩართვას მიიჩნევს. **"ის გეგმა, რაც აქ ხორციელდება, იწერება მოსკოვში. მას შემდეგ, რაც რუსი სამშვიდობოები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონას დატოვებენ, ქართული და ოსური მხარეები შევძლებთ მშვიდობის დამყარებასა და არსებული ვითარების გაკონტროლებას. ქართული მხარე მოითხოვს, რომ სამშვიდობო ოპერაცია სამართალდამცავებმა გააგრძელონ. სწორედ აქედან გამომდინარე, ყველაზე მიზანშეწონილი იქნება, როგორც ქართული, ასევე ოსური მხარის შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრა"**, - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

ოსური მხარე, ისევე როგორც რუსული, საქართველოს ხელისუფლების ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. ისინი აცხადებენ, რომ მხოლოდ მინისტრების შეხვედრის შემდეგ შეიძლება ამ საკითხის განხილვა დაიწყოს. **"ამ მოსაზრების არსი, ალბათ, ისაა, რომ მხარეები უნდა გამოვიდნენ პოლიტიკიდან და შინაგან საქმეთა მინისტრებმა კონფლიქტის ზონაში განსახორციელებელ ღონისძიებებზე მხოლოდ თავიანთი სამსახურეობიდან გამომდინარე იმსჯელონ"**, - აცხადებს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი მინძაევი.

არანაკლებ ხმაურიანი აღმოჩნდა მეორე, ასევე, მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებას ეხება. მხარეები უნდა შეთანხმებულიყვნენ იმ გეგმის საბოლოო სახეზე, რომელსაც 14 ივლისს ბრიუსელში დაგეგმილ დონორი ქვეყნების კონფერენციას წარუდგენენ. ოსური მხარე კატეგორიულად მოითხოვს იმ პროექტების დაფინანსებას და ამ გეგმაში ჩასმას, რომლებიც ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს. ქართული მხარე კი აცხადებს, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები და არ უნდა მოხდეს სარეაბილიტაციო პროგრამაში ობიექტების იმ პრინციპით შერჩევა, თუ რომელი მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს იგი.

# სოხუმი თბილისს "მომავლის გასაღებს" სთავაზობს

## სამშვიდობო ინიციატივა თუ დამოუკიდებლობის დეკლარაცია?

*"მომავლის გასაღები" - ასე ეწოდება თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის სამშვიდობო გეგმას, რომელიც, სოხუმის ხელისუფლების აზრით, საფუძვლად უნდა დაედოს კონფლიქტის სრულ და საბოლოო მოწესრიგებას.*

უარის თქმა აფხაზეთის ბლოკადასა და სამხედრო რიტორიკაზე, ბოდიშის მოხდა აფხაზი ხალხისათვის, სანაცვლოდ კი დევნილთა დაბრუნება გალის რაიონში, - ეს ბაგაფშის გეგმის ძირითადი პუნქტებია, რომელიც მან აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტს განსახილველად 4 მაისს წარუდგინა.

გარდა ამისა, გეგმა ითვალისწინებს სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას, რომელიც უზრუნველყოფს აფხაზეთის უსაფრთხოებას "ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში". კონფლიქტის განუახლებლობის გარანტიები, გეგმის მიხედვით, საერთაშორისო თანამეგობრობამ და გაერო-ს უშიშროების საბჭომ უნდა უზრუნველყოს. საქართველომ და აფხაზეთმა, გეგმის მიხედვით, უნდა დაიწყონ "კონსულტაციები პრეზიდენტების დონეზე ორი სახელმწიფოს შემდგომი მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ".

მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, აგრეთვე, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ერთობლივი ბრძოლა, თანამშრომლობის ცივილიზებული გზების განვითარება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. ბაგაფში საქართველოსგან მოითხოვს უარის თქმას ეკონომიკური საკითხების პოლიტიზებაზე. კერძოდ, ეს ეხება სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თემას. ასევე აფხაზური ხელისუფლება "კონტრპროდუქტიულად" მიიჩნევს "რუსეთის გამოდევნას კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესიდან".

აფხაზური პარლამენტის დეპუტატებმა ბაგაფშის წინადადებები ძირითადად მოიწონეს, თუმცა გარკვეული შენიშვნებიც გამოითქვეს. **"სად არის გარანტია, რომ გალის რაიონში დაბრუნებული დევნილები ჩვენს წინააღმდეგ იარაღს არ აღმართავენ?"**, - კითხულობს დეპუტატი ტიმურ აჩუგბა, რომელიც აცხადებს, რომ აფხაზეთის აღიარებამდე სარკინიგზო გამოსვლის აღდგენაც დაუშვებელია.

**"დოკუმენტში აფხაზეთის აღიარების საკითხი არის დაყენებული. ჩემი აზრით, იქ უნდა აისახოს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობა საქართველოსა და აფხაზეთს შორის, ასევე - ის, რომ ორი ხალხის თანაარსებობა ერთ სახელმწიფოში შეუძლებელია,"** - აცხადებს ბაგაფშის წინადადებების კომენტირებისას აფხაზური პარლამენტის ვიცე-სპიკერი კონსტანტინ ოზგანი.

**"ეს არ არის სამშვიდობო გეგმა, ეს არის აფხაზეთის დამოუკიდებლობის გეგმა,"** - ასეთი კომენტარი გაუკეთა აფხაზურ წინადადებებს ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ. მისი თქმით, ამგვარი სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც დამოუკიდებლობის დეკლარაციას უფრო ჰგავს, ქართული მხარისთვის მიუღებელია.

*24 საათი*

## ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები "საბზაო რუკის" შესაქმნელად

15 მაისს თბილისში ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართება. მასში მონაწილეობის მიზნით თბილისში ჩამოვა აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. მოლაპარაკებებში ქართულ მხარეს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების დარგში გიორგი ხაინდრავა წარმოადგენს.

სხდომაზე მხარეები საბჭოს მუშაობის პერსპექტივებს განიხილავენ და საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფებში მხარეთა წარმომადგენლებს დაასახელებენ.

კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის ირაკლი ალასანიას თქმით, მოლაპარაკებების დროს მხარეები იმსჯელებენ კონფლიქტის დარეგულირების ფართომასშტაბიანი გეგმის ერთობლივ შემუშავებაზე, რომელსაც პირობითად "საგზაო რუკა" ეწოდება. პერზიდენტის მრჩევლმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლება მზადაა, აფხაზურ მხარეს გადასცეს საკუთარი მოსაზრებები კონფლიქტის მოწესრიგების ძირითადი პრინციპების შესახებ და მიესალმება აფხაზური მხარის მიერ საკუთარი ხედვის ამსახველი დოკუმენტის წარმოდგენას.

ალასანიას აზრით, შეხვედრა სტიმულს მისცემს კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების მიზნით ერთობლივი "საგზაო რუკის" ჩამოყალიბების პროცესს და საფუძველს ჩაუყრის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე ორიენტირებულ ახალ ეტაპს.

საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის განახლების შესახებ შეთანხმება 2006 წლის 29 მარტს კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველ ირაკლი ალასანიას სოხუმში ვიზიტის დროს იქნა მიღებული.

# დსთ-დან საქართველოს გასვლის თემა აქტუალურია

დსთ საკითხს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი რუსლან გრინბერგი გამოეხმაურა.

იგი მიიჩნევს, რომ დსთ-დან გასვლა საქართველოსთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ სირთულეებს გამოიწვევს, რადგან მუშაობას შეწყვეტს დღეს არსებული პრეფერენციები.

"რუსეთი შეწყვეტს პროტექციონიზმს ამ სახელმწიფოსთან მიმართებაში; ამუშავდება ჩვეულებრივი ტარიფები, მოგვიწევს სავიზო რეჟიმის ამოქმედება დსთ-ს სხვა სახელმწიფოებთანაც," - აღნიშნა გრინბერგმა.

საქართველოსათვის დსთ-ს ალტერნატივა შეიძლება ევროკავშირის თავისუფალი სავაჭრო ზონა ყოფილიყო, "თუმცა, მე არ მგონია, რომ საქართველოს იქ ელოდებიან," - დასძინა ეკონომისტმა.

საქართველოში კი პრეზიდენტ სააკაშვილის გადაწყვეტილებით უკვე შექმნილია კომისია, რომელიც თანამეგობრობიდან ქვეყნის გასვლის საკითხს შეისწავლის და რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი უდგას სათავეში.

საქართველო 2006 წლის 25 იანვარს გავიდა დსთ-ს თავდაცვის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობიდან. მაშინ საქართველოს ოფიციალურმა სტრუქტურებმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნეს, რომ ის ორ სამხედრო გაერთიანებაში ერთდროულად ვერ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ მეორე ორგანიზაციაა ნატო, რომელშიც გაწევრიანება ქვეყნის პრიორიტეტადაა აღიარებული.

რაც შეხება უკრაინას, იგი დსთ-დან გასვლის საკითხს ნაკლებად მკაცრად აყენებს. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ტარასიუკი ირწმუნება, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას. მისი განცხადებით, უბრალოდ, "მიმდინარეობს კონსულტაციები".

"უკრაინა ცდილობს, კონსტრუქციული მონაწილეობა მიიღოს დსთ-ს მუშაობაში," - აღნიშნა ტარასიუკმა. მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ უკრაინის ინიციატივების მაგალითზე "სახეზეა დსთ-ს, როგორც ინსტიტუტის, არაეფექტურობა."

თუმცა, რუსეთის მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები. კერძოდ, გააფრთხილა უკრაინა და საქართველო, რომ, მათ მიერ დსთ-დან გასვლის შემთხვევაში, ის მოახდენს იმ პრეფერენციების შეწყვეტას, რომლითაც ეს ქვეყნები დსთ-ს ფარგლებში სარგებლობენ.

იმ დროს, როდესაც უკრაინა და საქართველო დსთ-დან გასვლას ლამობენ, დე ფაქტო აფხაზეთი და დნესტრისპირეთი დროს არ კარგავენ და სურვილს გამოთქვამენ თანამეგობრობაში შესვლის შესახებ. **ინტერპრესნიუსი**

# დნესტრისპირეთი და აფხაზეთი დსთ-ში?

აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერები მოსკოვში პოლიტიკოსებთან შეხვედრაზე ორი თვითაღიარებული რესპუბლიკის დსთ-ში მიღების პერსპექტივებს განიხილავენ.

რუსული საინფორმაციო საშუალებების ინფორმაციით, აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერებს რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები იღებენ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი დნესტრისპირეთის ლიდერს, როგორც პრეზიდენტს, ისე შეხვდა. ადრე რუსეთის საგარეო უწყება იგორ სმირნოვს, როგორც დნესტრისპირეთის ლიდერს, მოიხსენიებდა. დღეს ასევე იგეგმება ლავროვის შეხვედრა მოსკოვში ვიზიტად მყოფ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშთან.

თუ ადრე იგორ სმირნოვისა და სერგეი ბაგაფშის მოსკოვში გამოჩენას ეკონომიკურ პრობლემებს უკავშირებდნენ, ახლა სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ბაგაფში მოსკოვში "საკითხთა ფართო სპექტრისა და აფხაზეთის დსთ-ში შესვლის შესაძლებლობას განიხილავს."

ასეთ შესაძლებლობას არც მოსკოვში ვიზიტად მყოფი დნესტრისპირეთის პრეზიდენტი იგორ სმირნოვი გამორიცხავს.

რუსეთის პოლიტიკურ წრეებში საქართველოსა და უკრაინის დსთ-დან გასვლის შემთხვევაში აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის მიღებას არ გამორიცხავენ.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში აღნიშნავენ, რომ დსთ-დან საქართველოს გასვლის შემთხვევაში, რუსეთი გადახედავს აფხაზეთის შესახებ დსთ-ს მიერ 1996 წელს მიღებულ შეთანხმებას, რომელიც აფხაზეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებას ითვალისწინებდა.

ამ შეთანხმების შესაბამისად, დსთ-ში გაერთიანებულ სახელმწიფოებს აფხაზეთთან ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება ეკრძალებოდათ.

"როგორც კი საქართველო დსთ-ს დატოვებს, აფხაზეთის მიმართ დაწესებული ყველა სანქცია ავტომატურად გაუქმდება," - აცხადებს სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა.

საქართველოს დსთ-დან გამოსვლის შესახებ განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გასულ კვირას ვილნიუსში გააკეთა. ანალოგიური განცხადება გააკეთა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ტარასიუკმა.

***ინტერპრესნიუსი***

## მოკლედ

### ოპოზიცია ირაკლი ალასანიას ანგარიშს გაეცნობა

საპარლამენტო ოპოზიციას 15 მაისს დაურიგდება პრეზიდენტის მრჩევლის ირაკლი ალასანიას დახურული ანგარიში, რომელიც აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობას და კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების ქმედებას შეეხება.

აღნიშნულ ანგარიშს საპარლამენტო უმრავლესობა უკვე გაეცნო და მას პარლამენტი მომავალ სასესიო კვირას განიხილავს. გავრცელებული ინფორმაციით, ალასანიას ანგარიში საქართველოს დსთ-დან გამოსვლის საკითხთან ერთად განიხილება.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების თქმით, ისინი დოკუმენტის გაცნობის შემდეგ გააკეთებენ დასკვნებს, თუ რამდენად სრულყოფილია ალასანიას ანგარიში. ასევე, ოპოზიცია აპირებს, შეწყვიტოს ბოიკოტი, თუ აღნიშნული საკითხი მართლაც დსთ-ს თემასთან ერთად განიხილება.

თუმცა, როგორც "მედიანიუსს" ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრმა ზვიად ძიძიგურმა უთხრა, არსებობს საფრთხე, რომ აფხაზეთთან მიმართებაში პარლამენტის დადგენილებამ იმ დადგენილების ბედი გაიზიაროს, რომელიც პარლამენტმა რამდენიმე თვის წინათ ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით მიიღო.

"რამდენიმე თვის წინათ პარლამენტმა ერთხმად და დიდი ზარზეიმით დაავალა მთავრობას, რათა დაეწყო მუშაობა რუსეთის სამშვიდობო ძალების გასაყვანად ცხინვალის რეგიონიდან. შეასრულა თუ არა მთავრობამ ეს დადგენილება და საერთოდ, ახსოვს თუ არა უმრავლესობის წევრებს ზემოხსენებული დოკუმენტი, ამას ყველა კარგად ხედავს," - განაცხადა ძიძიგურმა.

***მედიანიუსი***

# აშშ-ს სატელეფონო კომპანიები დაზვერვასთან თანამშრომლობენ

გაზეთი "USA Tudei" ირწმუნება, რომ აშშ-ს სატელეფონო კომპანიები დაზვერვასთან თანამშრომლობენ. გაზეთის ინფორმაციით, აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო მილიონობით მოქალაქის სატელეფონო საუბრებს მონაცემთა ბანკში აგროვებს.

გაზეთის ინფორმაციით, 2001 წლიდან, აშშ-ს რამდენიმე უმსხვილესი სატელეფონო კომპანია მოქალაქეთა სატელეფონო საუბრებს აშშ-ს სადაზვერვო სამსახურებს გადასცემს. გაზეთის მიერ ეჭვმიტანილი კომპანიები, მთლიანობაში 200 მილიონ მოქალაქეს ემსახურებიან. არადა, 1934 წელს მიღებული კანონი კომპანიებს უკრძალავს მომხმარებლებზე რაიმე ინფორმაციის გაცემას.

თეთრი სახლის წარმომადგენლები გაზეთით გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფენ და ირწმუნებიან, რომ მთავრობა ამგვარ მეთოდებს სასამართლოს სანქციის გარეშე არ იყენებს.

გაზეთის ბრალდებას სასწრაფოდ გამოეხმაურნენ ამერიკელი სენატორები და სატელეფონო კომპანიებისგან ჩვენების მიცემა მოითხოვეს. კომპანიებმა გაზეთს განუცხადეს, რომ მათი მხრიდან კანონდარღვევას ადგილი არ აქვს.

გაზეთის მტკიცებით, უფლებათა დამცველმა ორგანიზაციამ "Electronic Frontier Foundation" აპრილში კომპანია "AT&T"-ის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი მას შემდეგ შეიტანა, რაც ამ კომპანიის წარმომადგენელს წამოსცდა, რომ იგი მომხმარებელთა შესახებ მონაცემებს აგროვებდა.

სხვათა შორის, აშშ-ს გენერალურმა პროკურორმა ალბერტო გონსალესმა სენატს რადიოსადაზვერვო საქმიანობის სასამართლოს ორდერის გარეშე წარმოების თაობაზე ჩვენება მისცა.

პუბლიკაციის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც.

**"ამერიკის მთავრობა სატელეფონო კომპანიების საშუალებით, ამერიკის მოქალაქეების სატელეფონო საუბრების მოსმენებს სანქციის გარეშე არ ახორციელებს",** - განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა.

მისივე განარტებით, აშშ-ს დაზვერვის უსაფრთხოების სააგენტო "ალ-ქაიდასა" და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებზე ახორციელებს მეთვალყურეობას.

## მოკლედ

### აზერბაიჯანში 70 პატიმარი საქართველოს მოქალაქეა

აზერბაიჯანის სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში სასჯელს საქართველოს მოქალაქეებიც იხდიან. აზერბაიჯანის იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, ქვეყნის სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში სულ 300 უცხო ქვეყნის მოქალაქეა. აქედან 70 საქართველოდანაა. ამდენივეა ირანის მოქალაქეთა რაოდენობა. ყველაზე მეტი უცხოელი პატიმარი რუსეთიდანაა და მათი რაოდენობა 130-ს აღწევს. მიმდინარე წლის განმავლობაში აზერბაიჯანის სასჯელაღსრულებითი დაწესებულებებიდან სამშობლოში 18 უცხოელი მსჯავრდებულია ექსტრადირებული. ამ პერიოდის განმავლობაში აზერბაიჯანს სხვა ქვეყნებმა 15 დამნაშავე გადასცეს. მათგან 1 ირანში, 14 კი რუსეთში იხდიდა სასჯელს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სემინარი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, რაულ ვალენბერგის სახელობის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტი და გაერო-ს განვითარების პროგრამა გამართავენ სემინარს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ომბუდსმენების აპარატის წარმომადგენელთა მონაწილეობით. სემინარის თემაა: "სამხრეთ კავკასიის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების წინაშე არსებული გამოწვევები".

15 მაისს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" სემინარს გახსნიან საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, გაერო-ს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში რობერტ უოტკინსი და რაულ ვალენბერგის ინსტიტუტის პროფესორი ბრაიან ბურდეკინი.

ხუთდღიანი სემინარის განმავლობაში განიხილება ისეთი თემები, როგორიცაა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ არსებული პრობლემები, წამების აკრძალვის მონიტორინგი, ადამიანის უფლებათა ბიბლიოთეკების მნიშვნელობა და საზოგადოების ინფორმირება, ოჯახური ძალადობა, უნარშეზღუდულთა უფლებები, ბავშვთა უფლებების დაცვა. ასევე დაგეგმილია ვიზიტი რუსთავის N6 საპყრობილეში. სემინარი დაფინანსებულია შვედეთის განვითარების სააგენტოს მიერ. **24 საათი**

### პროკურატურა გამგეობას ამოწმებს

შიდა ქართლის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა გელა გელაშვილმა ქარელის რაიონის გამგებელს მისწერა წერილი, სადაც მიუთითებს, რომ შემჭიდროებულ ვადებში მიაწოდონ ქარელის რაიონის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო თანხების მოძრაობასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

პროკურატურას აინტერესებს 2000-2005 წლებში ქარელის რაიონის გამგეობიდან ტელეკომპანია "თრიალეთის" ანგარიშზე გადარიცხული თანხების მოძრაობის დამადასტურებელი დოკუმენტები. პროკურატურის გამომძიებლის გია ღამბაშიძის ხელმოწერილ განცხადებაში წერია, რომ დღემდე ვერ მიაკვლიეს აღნიშნულ დოკუმენტებს.

ქარელის გამგეობაში წერილი რამდენიმე დღის წინ შევიდა. გამგებელს 10 დღის ვადა მიეცა დოკუმენტების წარსადგენად. პროკურატურაში უკვე ჰყავდათ დაბარებული ქარელის რაიონის ყოფილი გამგებელი მალხაზ კორკოტაძე. **ჯი-ეიჩ-ენი**


## საქართველოს პრეზიდენტის ახალი ინვესტიცია

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების

ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა ეკონომისტებს (MBA), სახელმწიფო მართვის სპეციალისტებს და ჟურნალისტებს (მედია მენეჯმენტი), რომლებიც 2006-2007 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტებში.

სამაგისტრო პროგრამების დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

**ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!**

სამაგისტრო პროგრამის გრანტი გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, ვინც წარმოადგენს ოფიციალური მოწვევის წერილს ევროპის ან აშშ-ის რომელიმე უნივერსიტეტიდან, რაც ადასტურებს, რომ კანდიდატს გავლილი აქვს უნივერსიტეტში სწავლის ან სამეცნიერო მუშაობის დასაწყებად აუცილებელი ყველა წინასწარი გასაუბრება, კონკურსი, გამოცდა და ა.შ.

დეტალური ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე:
www.drf.org.ge
www.jobs.ge

შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723**


# პოლიციელები წამებისთვის იძებნებიან

*"არასრულწლოვანის წამების ბრალდებით, გენერალურმა პროკურატურამ სამ პოლიციელზე გამოაცხადა ძებნა," - ასეთი ინფორმაცია გაავრცელა გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსმა თამარ თომაშვილმა.*

თამარ თომაშვილის განცხადებით, 22 აპრილს წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანების პოლიციაში მამა და შვილები - შალვა, გურამ და დავით ჟორჟოლიანები დააკავეს, რომლებიც სამართალდამცველებმა აღიარებითი ჩვენების მოპოვების გამო აწამეს.

.თამარ თომაშვილის განცხადებით, გამოძიებით დადგინდა, რომ შალვა და დავით ჟორჟოლიანები პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს, ისინი დაკავებულნი იყვნენ ელექტროსადენის კაბელების ქურდობის გამო.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებისას შალვა ჟორჟოლიანმა ის სამი პოლიციელი ამოიცნო, რომლებიც, დაზარალებულის თქმით, მის წამებაში იღებდნენ მონაწილეობას.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, იძებნებიან პოლიციელები - ონისე გოცირიძე, ბადრი ღარჭავა და გაგა დოლაბერიძე, რომლებიც ფარცხანაყანების შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლები არიან. მათ დაუსწრებლად წაუყენეს ბრალი და შეუფარდეს კიდეც აღმკვეთი ღონისძიება - წინასწარი პატიმრობა.

მომხდარი ფაქტის შესახებ, სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გაზეთი "24 საათი" უკვე წერდა. ჟორჟოლიანების ცემის ფაქტი პირად კონტროლზე აიყვანა სოზარ სუბარმა. როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს დავით ჟორჟოლიანმა განუცხადა, 22 აპრილს მასთან სახლში მივიდნენ ფარცხანაყანების პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლები და ის და მისი ძმა, გურამ ჟორჟოლიანი, პოლიციის ქვეგანყოფილებაში წაიყვანეს. ჟორჟოლიანები ცალ-ცალკე ოთახებში შეიყვანეს და გაჩხრიკეს. დავით ჟორჟოლიანი ირწმუნება, რომ პოლიციის თანამშრომელმა მას ჯიბეში "მარიხუანა" ჩაუდო და ნარკოტიკული ნივთიერების შენახვისთვის გასამართლებით დაემუქრა, თუ მათთვის სასურველ ჩვენებას არ მისცემდა. ერთერთმა პოლიციელმა კი თავში იარაღის ტარი ჩაარტყა.

მოგვიანებით, პოლიციის განყოფილებაში ჟორჟოლიანების მამა - შალვა ჟორჟოლიანიც მიიყვანეს. გარკვეული დროის შემდეგ, პოლიციის თანამშრომლებმა ძმებს განუცხადეს, რომ შალვა ჟორჟოლიანი თავს ცუდად გრძნობდა და სამივე პოლიციის მანქანით სახლში წაიყვანეს.

როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, ჟორჟოლიანების დაკავება პოლიციის განყოფილებაში ოფიციალურად არ იყო აღრიცხული. არ შემდგარა დაკავების ოქმი.

შალვა ჟორჟოლიანი ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში დღემდე მკურნალობს. ექიმების დასკვნის თანახმად, მიღებული ტრავმებისგან მას ტვინის შერყევა და გაჟონვა განუვითარდა. ჟორჟოლიანი კომპიუტერულ ტომოგრამას საჭიროებს, რისი თანხებიც ოჯახს არ გააჩნია.

კანონის თანახმად, პოლიციის თანამშრომლის მიერ დაკავებულთა ცემა-წამება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლება. ქმედება, რომელიც ჩადენილია არასრულწლოვანის მიმართ 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამ დროისთვის მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დანიშნულია ექსპერტიზა, რომელიც კონკრეტულად დაადგენს, რა სახის დაზიანებები აქვს მიყენებული მამა-შვილ შალვა და დავით ჟორჟოლიანებს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას ქუთაისის რაიონული პროკურატურა აწარმოებს.

***24 საათი***

# პროტესტის შედეგი

სამართალდამცველებმა პატიმრობიდან გაათავისუფლეს ორი თვის წინათ მძიმე ბრალდებით დაკავებული 27 წლის რუსლან ბუკია.

საქმე ისაა, რომ დაკავების დღესვე, რუსლან ბუკია სამართალდამცველებმა განზრახ მკვლელობაში ბრალდებულად გამოაცხადეს. თუმცა, მოგვიანებით, ბუკიას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე გადაკვალიფიცირეს - ადამიანის გატაცების ბრალდებით შეცვალეს. რუსლან ბუკიას ახლობლები და ოჯახის წევრები მთელი ამ ხნის განმავლობაში ირწმუნებოდნენ, რომ ბრალდებულს არც ადამიანის განზრახ მკვლელობის და არც გატაცების საქმესთან ჰქონდა რაიმე შეხება და ის უკანონოდ იმყოფებოდა პატიმრობაში.

თვეების განმავლობაში, რუსლან ბუკიას ახლობლები საპროტესტო ფართო მასშტაბიან აქციებს მართავდნენ. რამდენიმე დღის წინ, მათ აქცია თბილისში, კანცელარიასთან და გენერალურ პროკურატურასთანაც მოაწყვეს. აქციის მონაწილეები სამეგრელოდან თბილისამდე რვა დღის მანძილზე ფეხით მოდიოდნენ. რაც მთავარია, საპროტესტო აქციებში მონაწილეობას ღებულობდა და რუსლან ბუკიას სასწრაფოდ გათავისუფლებას ითხოვდა საქმეში დაზარალებულად ცნობილიც - გატაცებულის მამაც.

რუსლან ბუკია ამჟამად, გათავისუფლებულია, მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე კი შეწყვეტილი. ბუკიას გათავისუფლების სანაცვლოდ, სამართალდამცველებმა მოგელი მიქავა დააკავეს - პიროვნება, ვისი გატაცებაც ბუკიას ბრალდებოდა. საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მოგელი მიქავას ბრალს ცრუ ჩვენებისთვის წაუყენებენ. ჩვენი ინფორმაციით, სამართალდამცველებმა კიდევ ერთი უკანონო პატიმარი გაათავისუფლეს. ნარკოტიკების შენახვის ბრალდებით დაკავებულ კახა გაბელიას გათავისუფლებას წინ უძღოდა დაკავებულის ახლობლების საპროტესტო აქციები. ორი დღის წინათ, გაბელიას ახლობლებმა ზუგდიდის საოლქო პროკურატურასთან ხალხმრავალი აქცია კიდევ ერთხელ მოაწყვეს და პროტესტის უკიდურესი ფორმით, შიმშილობით დაიმუქრნენ.

***24 საათი***

# "დელმარის" დრამის ტრაგიკული გაგრძელება

ორი კვირის წინ ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე კაფე "დელმარში" მძიმედ დაჭრილი 24 წლის ირაკლი გოგიშვილი გარდაიცვალა. მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილის სტატუსით დაკავებული ჯუნა ზალდასტანიშვილი კი წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. თუმცა, არა მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, არამედ ადრე ჩადენილი ხულიგნობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის.

ჯუნა ზალდასტანიშვილს, რომელიც პოლიციას თავადვე ჩაბარდა, თბილისის საქალაქო სასამართლომ რამდენიმე დღის წინ, წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. სწორედ სასამართლო პროცესზე გაირკვა, რომ ირაკლი გოგიშვილის მკვლელობის მცდელობის ბრალდების წაყენებისთვის, პროკურატურას ჯუნა ზალდასტანიშვილის წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებები არ მოეპოვებოდა. ამიტომაც, მას ძველი დანაშაულისთვის შეუფარდეს პატიმრობა. ბრალდებულისთვის შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიების გასაჩივრების ვადა ამოწურულია. როგორც ზალდასტანიშვილის ადვოკატი აცხადებს, ბრალდებულის ოჯახთან შეთანხმებით, მან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება გადაიფიქრა.

ზალდასტანიშვილი ირწმუნება, რომ მისთვის უცნობია, კონკრეტულად რა მოხდა 7 მაისის ღამეს კაფე "დელმარში" და ვინ დაჭრა მისი მეგობარი ირაკლი გოგიშვილი. ის მომხდარის დეტალებს იხსენებს და ამბობს, რომ იმ დროს, როდესაც ბარში გასროლის ხმა გაისმა, ბარმენს შეკვეთას აძლევდა. მისი თქმით, მას არ დაუნახავს, ვინ ისროლა და არც საკუთარ თავს მიიჩნევს დამნაშავედ.

როგორც ცნობილია, თავდაპირველად საქმის ძიება თვითმკვლელობის მუხლით მიმდინარეობდა, თუმცა მოგვიანებით, ეს ვერსია გამოირიცხა და ირაკლი გოგიშვილის მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილად მისი მეგობარი ზალდასტანიშვილი გამოაცხადეს. ჩვენი ინფორმაციით, გამოძიება კვლავ თვითმკვლელობის ვერსიაზე იწყებს მუშაობას, რასაც გარდაცვლილის ოჯახი კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

**"ძნელია იმაზე ფიქრი, რომ ჯუნა ზალდასტანიშვილმა რამე ჩაიდინა. მან შეიძლება რაღაც იცოდეს, რომელსაც უბრალოდ, ვერ ამბობს, ან არ ამბობს",** - აცხადებს ირაკლი გოგიშვილის დედა.

უმძიმესია ბრალდებულ ჯუნა ზალდასტანიშვილის სახლში პოლიციელთა მიერ ჩატარებული ოპერაციისას დაჭრილი პოლიციელის ნიკა აღნიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ის მეცხრე საავადმყოფოდან ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც კიდევ ერთი გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. მიუხედავად შსს-ს დაპირებისა, ზალდასტანიშვილის სახლში მომხდარი ინციდენტის გამოძიება არც ერთ სამართალდამცველ უწყებას არ დაუწყია. შესაბამისად, არც იმ პოლიციელის - გელა ბედოიძის, რომლის იარაღიდან გასროლილი ტყვიითაც დაიჭრა აღნიაშვილი, პასუხისმგებლობის შესახებ უმსჯელია ვინმეს.

***24 საათი***

# მოსკოვში "კანონიერი ქურდი" დააკავეს

მოსკოვში, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა "კანონიერი ქურდი", ქალაქ გალის მცხოვრები, 34 წლის მამუკა ჭკადუა დააკავეს. წარსულში არაერთხელ ნასამართლევი ჭკადუა კრიმინალურ სამყაროში "მამუკა გალელის" სახელითაა ცნობილი. ოპერატიული მონაცემებით, იგი რამდენიმე კრიმინალურ დაჯგუფებას აკონტროლებდა. ამ დაჯგუფების წევრები საცხოვრებელ ბინებს ქურდავდნენ და რუსეთის დედაქალაქს ნარკოტიკებით ამარაგებდნენ. პირადი ჩხრეკისას ჭკადუას 10 გრამი "ჰეროინი" აღმოაჩნდა. მილიციის ინფორმაციით, ჭკადუა ბინის ქურდობის თანამონაწილეცაა. ისინი ამ დასკვნამდე დაკავებულის თითების დაქტილოსკოპირებამ მიიყვანა. ჯერ კიდევ 1999 წელს მომხდარი ქურდობისას ამოღებულმა ნივთმტკიცებებმა მამუკა ჭკადუას თითების ანაბეჭდები შეინარჩუნა. მილიციის ინფორმაციით, მამუკა ჭკადუა 2005 წლის აგვისტოდან იძებნებოდა, მაგრამ იგი მოსკოვიდან ხშირად მიემგზავრებოდა და ნაქირავებ ბინებსაც ხშირად იცვლიდა, რის გამოც ჭკადუას დაკავება გართულებული იყო.

***მედიანიუსი***

# საქართველო და რეგიონის ენერგეტიკული პერსპექტივები

ჯემალ ინაიშვილი
ზურაბ ჭაუბარია
*საქართველოს პარლამენტის წევრები*



### ენერგეტიკული უსაფრთხოების გლობალური საკითხები

სანდო ენერგომომარაგება მსოფლიოს ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. ენერგიით უწყვეტ და ეფექტურ მომარაგებაზე არის დამოკიდებული არა მარტო ეკონომიკური ზრდა, არამედ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი, რადგან სწორედ ენერგეტიკა უზრუნველყოფს ცივილიზაციის მიღწევებით სარგებლობის საშუალებას.

არსებული პროგნოზებით, მსოფლიოში ენერგომოხმარება უახლოეს 15 წელიწადში მესამედით გაიზრდება, ხოლო 20 წლის პერსპექტივაში - 45%. ნავთობზე მოთხოვნილება 2025 წლისთვის დღეში 35 მლნ ბარელს მიაღწევს (42%-ით ზრდა), გაზზე - 1,7 ტრლნ მ3 წელიწადში (60%-ით ზრდა).

ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხების განხილვა აუცილებელია მხოლოდ ორ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გათვალისწინებით: ა) კლიმატის გლობალური ცვლა; ბ) მოსახლეობის უღარიბასი ფენების უდიდესი ნაწილისთვის ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ენერგიით სარგებლობის შესაძლებლობა.

მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზრებზე უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ამ სფეროში უსაფრთხოების მდგომარეობისა და უზრუნველყოფის საკითხები წინა პლანზე წამოწია. რეალობა აჩვენებს, რომ ენერგომოხმარებაში წამყვანი ქვეყნების რიგებს აქტიურად უერთდებიან მსოფლიოს განვითარებადი და ჭარბად დასახლებული რეგიონები. აღნიშნულმა ტენდენციებმა, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე მაღალმა და ხშირად ცვალებადმა ფასებმა გლობალურ ეკონომიკურ სტაბილურობას საფრთხე შეუქმნა.

მსოფლიო ენერგეტიკაში სწორედ სტაბილურობის მიღწევას ისახავდა მიზნად 1991 წელს ჰააგაში შექმნილი **ევროპის ენერგეტიკული ქარტია**, რომლის ძირითადი ამოცანები ასე ჩამოყალიბდა: ეფექტური, მყარი და სანდო ენერგეტიკული ბაზრების შექმნისკენ სწრაფვა; ენერგეტიკის სფეროში ურთიერთდამოკიდებულ ქვეყნებს შორის ნდობის დამყარების ხელშეწყობა. 1994 წელს ლისაბონში ხელი მოეწერა **ენერგეტიკული ქარტიის შეთანხმებასა და ოქმს ენერგეტიკული ეფექტურობისა და შესაბამისი ეკოლოგიური ასპექტების შესახებ.** 1998 წელს 30-ე რატიფიცირების შემდეგ ქარტიის შეთანხმება ძალაში შევიდა.

ქარტიის მიზნების მიღწევისათვის დაგენილია: ენერგეტიკულ სექტორზე კანონის უზენაესობის გაფართოება; მონაწილეთა მოქმედების ერთიანი წესების, პრინციპებისა და რეკომენდაციების შემუშავება; ენერგომატარებლების ტრანზიტის ერთობლივი წესების შემუშავება; მიერთებული ქვეყნებისათვის ენერგეტიკის სფეროში ნაციონალური პოლიტიკის შემუშავებაში დახმარება; ქარტიის პროცესის მოქმედების გეოგრაფიული არეალის გაფართოება; ქარტიის კონფერენციის - როგორც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის პოლიტიკური დისკუსიის სამთავრობთაშორისო ფორუმის როლის განვითარება.

ენერგეტიკული ქარტიის კონფერენციის წევრია 50-ზე მეტი ქვეყანა, ხოლო დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს 20-მდე სახელმწიფო. აღსანიშნავია, რომ ეს ორგანიზაცია გახდა დასავლეთისა და ნატოს ახალი ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მნიშვნელოვანი საფუძველი, თუმცა ენერგომატარებლებით მდიდარი ზოგიერთი ქვეყანა (რუსეთი, ირანი, ვენესუელა) ცდილობს ამ სფეროში გამჭვირვალე და ალტერნატივაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბების ტორპედირება მოახდინოს.

ცხადია, რომ გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების ვერ მიიღწევა საერთაშორისო თანამეგობრობის მუდმივ ძალისხმევას გარეშე, რაც უპირველესად მოიცავს მსოფლიო ეკონომიკის ნახშირწყალბადის ენერგორესურსებით სანდო და ეფექტური უზრუნველყოფას; ენერგომომარაგების დივერსიფიკაციას ახალი წყაროების, ტრანსპორტირების ალტერნატიული სქემებისა და მოწინავე ტექნოლოგიების ხარჯზე; ენერგეტიკული რესურსებით სარგებლობის ეფექტურობის ამაღლებას.

ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე ნეგატიურად მოქმედებს ენერგომომხმარებელი რეგიონების ტოტალური დამოკიდებულება ენერგომატარებლების იმპორტიორებზე. ცნობილია, რომ იმპორტი ძირითადად ხორციელდება არასტაბილური ან ნაკლებადსტაბილური ქვეყნებიდან, სადაც სახეზეა სოციალური დაძაბულობა, ეთნიკური კონფლიქტები და ტერორიზმის საფრთხე. საერთო შეფასებით, იმ ქვეყნებს, რომლებიც ფლობენ ნავთობისა და გაზის უდიდეს მარაგებს, ხშირ შემთხვევაში, არა აქვთ სახოგადოების მმართველობის გამართული საფუძვლები და ასეთ სახელმწიფოებში განსაკუთრებით ზარალდება კანონის უზენაესობის პრინციპი. სწორედ ეს არის განვითარებული ქვეყნების შეშფოთების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი. დასავლეთი და განსაკუთრებით ევროპა მეტნაკლებად მუდამ აცნობიერებდა რუსეთთან დაკავშირებულ ენერგეტიკულ გამოწვევებს. ამ ქვეყნის როლი მნიშვნელოვანია და, სავარაუდოდ, მომავალში გაიზრდება, მაგრამ დაუშვებელია ევროპა და ახალი დემოკრატიის ქვეყნები უალტერნატივოდ მუდმივად იყვნენ მიბმულნი რუსეთის ჯერ-ჯერობით ნაკლებადპროგნოზირებადი მომწოდებლისადმი. ანალიტიკოსების აზრით, რუსეთის მოქმედებას განსაზღვრავს ორი უმთავრესი ტენდენცია: 1) ადვილად შეაღწიოს სხვა ქვეყნების ბაზარზე; 2) ხელი შეუშალოს ამერიკულ და სხვა საერთაშორისო კომპანიების შესვლას საკუთარ ბაზარზე.

დღეს რუსული კომპანიები სოლიდურ ფინანსურ რეზერვებს ფლობენ. მათ არ სჭირდებათ ახალი მსხვილი კომპანიების კაპიტალდაბანდებები, თუმცა პერსპექტივაში, 2008 წლიდან, ექსპერტთა შეფასებით, ენერგეტიკის განვითარებისათვის ყოველწლიურად 200 მლრდ დოლარის ოდენობის კაპიტალდაბანდება იქნება აუცილებელი. ნიშანდობლივია ნავთობის გიგანტის "Юкос"-ის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, როცა სახელმწიფომ ამ კომპანიის ნაციონალიზაცია განახორციელა ("Юкос"-ის ყველაზე დიდი მომპოვებელი "Юганскнефтегаз"-ი და სახემწიფო კომპანია "Роснефт"-ი გაერთიანდნენ "Газпром"-ში, რომელსაც შემდგომში შეერწყა "Сибнефт"-ი). ამით კრემლმა საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა რუსეთის ნავთობის ინდუსტრიის 30%. 2005 წელს სახელმწიფოს წილი ამ კომპანიაში 51%-მდე ავიდა.

2006 წლის დასაწყისში უკრაინის მიმართ განხორციელებულმა ენერგეტიკულმა პოლიტიკამ დაადასტურა, რომ რუსეთი ენერგომატარებლების ფასს პირდაპირ უკავშირებს კრემლთან მისი ყოფილი სატელიტების ლოიალობის საკითხს. დღეს "Газпром"-ი, რეალურად, ბიზნესისა და პოლიტიკის პოსტსაბჭოთა ჰიბრიდია, რომლის მეშვეობითაც რუსეთი ცდილობს განახორციელოს საკუთარი იმპერიული გეგმები.

მსგავსი პრაქტიკა ჩვეულებრივია დღევანდელი რუსეთისათვის, რომლის მთავარი მახასიათებლები ბიზნესსა და პოლიტიკაში არის გაუმჭვირვალობა, ანგარიშგებისა და ჯანსაღი მმართველობის უქონლობა.

უფრო ფართო, გლობალურ ენერგეტიკულ სივრცეში მმართველობის მსგავსი მოდელები და სხვა შემაშფოთებელი ტენდენციები მრავლადაა, რაც ცივილიზებული მსოფლიოს სამართლიან შეშფოთებას იწვევს.

**ევრაზიაში** დასავლეთი ძირითადად ცდილობს დაეყრდნოს ყაზახეთისა და აზერბაიჯანის გარდამავალი დემოკრატიის რეჟიმებს, რომლებიც ნავთობში საკუთარი ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ მნიშვნელს ხედავენ და ცნობილნი არიან მზარდი პოტენციური შესაძლებლობებით. ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში ისინი ირანისა და რუსეთის სერიოზულ ალტერნატივად განიხილებიან. კრიტიკულად გადასაფასებელია მხოლოდ ამ მიმართულებით დასავლეთის მოქმედების ტემპები (მხედველობაში გვაქვს სტრატეგიული მიმართულებებით დაგეგმილი ფინანსურ-ეკონომიკური პროექტები და დემოკრატიული ფასეულობების ინპლემენტაცია).

**ახლო აღმოსავლეთში** დასავლეთისთვის ენერგორესურსების ყველაზე დიდი მიმწოდებლები არიან ცუდად მართვადი, რეპრესიული და კორუმპირებული რეჟიმები. ამ სიის სათავეშია საუდის არაბეთის სამეფო. ოდესღაც ურყევი სტაბილურობით განდიდებული საუდების დინასტია დღეს იძულებულია გაუმკლავდეს მეამბოხე ისლამისტებისა და მოსახლეობისგან მომდინარე მზარდ შიდა გამოწვევებს. არაფრით განსხვავდებიან ამ ქვეყნისგან პოლიტიკურად უპასუხისმგებლო, ნავთობით მდიდარი ომანი და არაბეთის გაერთიანებული საემირატოები. ირანის მაგალითზე კი მზარდ და სახიფათო კომფრონტაციასთან გვაქვს საქმე. ეს ქვეყანა მტრულად არის განწყობილი ისრაელთან და ზოგადად დასავლეთის სამყაროსთან, მხარს უჭერს და აფინანსებს ტერორისტულ დაჯგუფებებს. რუსეთის ცდილობს ირანის პრობლემა გამოიყენოს დასავლეთის წინააღმდეგ, რაც სერიოზულად მოქმედებს უსაფრთხოებაზე და ატარებს მაპროვოცირებელ ხასიათს დასავლეთის (ნატოს) ქვეყნებისათვის.

**აფრიკისა და ლათინური ამერიკის** ქვეყნებს, ძირითადად ნიგერიასა და ვენესუელას, საკუთარი სერიოზული მინუსები აქვთ, თუმცა, აშშ მათ იყენებს ენერგომატარებლების ახლო აღმოსავლეთის მომწოდებელთა ალტერნატივად. ვენესუელის პოპულისტური ხელისუფლება უგო ჩავესის (Hugo Chavez) მეთაურობით პოზიორობს როგორც ანტიამერიკანიზმის ცენტრი ლათინურამერიკაში. ჩავესი სოლიდურად ხარჯავს ნავთობისგან (ძირითადად აშშ-ს ხარჯზე) მიღებულ დოლარებს, რათა მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური მხარდაჭერა იყიდოს. ნიგერია, რომელიც მოიპოვებს მსოფლიო ნავთობის 3% და მე-5 ადგილზე დგას აშშ-სთვის ნავთობის მიმწოდებელთა სიაში, იშლება ეთნიკური დაპირისპირებების გამო, რომლის მიზეზია ნავთობის ინდუსტრიაზე კონტროლის ხელში ჩაგდება.

გაზით მდიდარი ქვეყნები დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით ვერ არიან ჯეროვან დონეზე. დასავლეთმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უეჭველად უნდა მოახერხონ ენერგომატარებლების მთავარი მომწოდებელი ქვეყნების მმართველობის სისტემური გაჯანსაღება.

**საქართველო** - როგორც მსოფლიო პროცესებში მზარდად ინტეგრირებადი გეოსტრატეგიული რეგიონის ნაწილი საერთაშორისო არენაზე წამყვან მოთამაშეთა გეგმებში თანდათან პოულობს თავის განსაკუთრებულ და სასიცოცხლო ფუნქციას, ამიტომ მისი დამოკიდებულება რომელიმე ერთი, კონკრეტული სახელმწიფოს ენერგორესურსებზე, სადაც თავისუფალი ბაზარი და საკუთრების უფლება გარანტირებული არ არის - მნიშვნელოვანწილად აფერხებს ქვეყნის განვითარებას. ეს მთელი სამხრეთკავკასიისა და შუა აზიის რეგიონებისთვის არის ნეგატიური ეკონომიკური და პოლიტიკური იმპულსის მიმცემი, რადგან საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენრგეტიკული დერეფნების ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. ამიტომ ქვეყნის ხელისუფლება აცნობიერებს იმ როლს, რომელიც მას ენიჭება კასპიის ზღვისა და შუა აზიის რეგიონებიდან დანარჩენი მსოფლიოსათვის ენრგეტიკული რესურსების ტრანზიტის პროცესში.

### შესაძლო პერსპექტივები საქართველოსთვის

საქართველოს პრეზიდენტის მ. სააკაშვილის მიერ ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებით გაჟღერებულ ხედვებთან მიმართებაში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა წამოაყენა მეტად საყურადღებო მოსაზრებები კასპიის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირებაში ამ ქვეყნისთვის სრულიად ახალი სატრანზიტო ფუნქციების ათვისების შესახებ. კერძოდ: - ყაზახეთის გაზის გატარება კასპიის ზღვის ფსკერზე აზერბაიჯან-საქართველოს-თურქეთის მონაწილეობით საბერძნეთსა და ცენტრალური ევროპისკენ; - ყაზახეთის გაზის გატარება კასპიის ზღვის ფსკერზე აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის მიმართულებით ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, უკრაინის, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მომხმარებლებისათვის.

აზერბაიჯანული მხარის შეფასებით, 2012 წლისთვის პრაქტიკულად შესაძლებელი იქნება ამ მარშრუტით 100 მილიარდი მ3 გაზის ტრანსპორტირება მხოლოდ ყაზახეთის საბადოების რესურსებით. გარკვეული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია ირანის გაზის აზერბაიჯანის ტრანზიტით და ანალოგიური სქემით ასევე 100 მილიარდი მ3 გაზის ევროპისკენ ექსპორტირება.

ძალზე რეკლამირებული ირან-სომხეთის მშენებარე გაზსადენი უფრო რუსეთის პოლიტიკური დაინტერესების სფეროა, ვიდრე რეალური კომერციული წამოწყება, რადგან აღნიშნული გაზსადენის განივკვეთი არ იძლევა არა მარტო სხვა ქვეყნების, არამედ თვით სომხეთის მოსახლეობის გაზით უზრუნველყოფის საშუალებას და მხოლოდ ამ ქვეყნის ატომური ელექტრო სადგურის დაკმაყოფილებას თუ შესძლებს.

აზერბაიჯანელი ექსპერტების აზრით, თვით თურქმენეთში შესაძლებელია შეიცვალოს აზრი მათი გაზის მხოლოდ რუსეთის გაზსატრანსპორტო სისტემით ექსპორტირების შესახებ, რაც უფრო პერსპექტიულსა და დროულს გახდის ევროპისთვის აზერბაიჯან-საქართველოს სატრანზიტო-ენერგეტიკული მილსადენების მშენებლობას. ექსპერტთა გათვლით, მშენებლობის ეკონომიკური და ფინანსური უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნება: - საერთაშორისო კონსორციუმის შექმნის გზით; - საკუთარი ფინანსური რეზერვების (აზერბაიჯანი, საქართველო. თურქეთი, უკრაინა) მობილიზებით და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მონაწილეობით;

აზერბაიჯანული ექსპერტები აღნიშნავს, რომ განსხვავებით გასული საუკუნის 90-იანი წლების ენერგეტიკული პროექტებისა, ამ რეგიონის ქვეყნებს არ მოუწევთ ევროპის ხელახალი დარწმუნება ამ პროექტებში მისი მონაწილეობის პერსპექტიულობის შესახებ. ეს განსაკუთრებით ცხადია რუსეთის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული ენერგეტიკული ექსპანსიის შემდეგ. აზერბაიჯანის უმაღლესი თანამდებობის პირთა განცხადებით, საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა სტრატეგიულ ღირებულებებზეა დამყარებული და არსებული რეალური შესაძლებლობების გამოუყენებლობა დაუშვებელია.

### ახალი ენერგეტიკული ალტერნატივა ევროპისთვის

რეალიზებულია ან რეალიზაციის სტადიაშია აზერბაიჯანიდან და ყაზახეთიდან ენერგომატარებლების საქართველოს გავლით დასავლეთისთვის მიწოდების პროექტები ("ბაქო-თბილისი-სუფსა", "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი", "ბაქო-თბილისი-ერზერუმი").

მიუხედავად რუსეთის სერიოზული წინააღმდეგობისა, რეალობად იქცა სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკული დერეფნის იდეა, რომლის შემდგომი განვითარების აუცილებლობა დადასტურდა მ. წ. ზამთარში რუსეთის მიერ უკრაინისა და საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა ენერგეტიკულმა შანტაჟმა. ევროკავშირი დარწმუნებულია ენერგეტიკული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის შემუშავების აუცილებლობაში.

კასპიური ენერგომატარებლები სასიცოცხლოა უკრაინისათვის. ამ ტენდენციებზე გადმოდის ყაზახეთი, რომელიც ყოველწლიურად ზრდის ნავთობმოპოვების მოცულობას. ამდენად, მიზანშეწონილია ბაქო-სუფსის მილსადენის გამტარუნარიანობის გაზრდა. პროექტის სავარაუდო მონაწილეები: ყაზახეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, უკრაინა.

**აზერბაიჯანის მხარე უკვე ახმოვანებს პერსპექტიულ პროექტებს:**

ა) ყაზახეთის გაზის გატარება კასპიის ზღვის ფსკერზე აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის გავლით საბერძნეთსა და ცენტრალური ევროპისკენ,

ბ) ყაზახეთის გაზის გატარება აზერბაიჯან-საქართველო-შავი ზღვის ფსკერით უკრაინის, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების საჭიროებისათვის (შესაძლებელია 100 მლრდ მ3 გაზის ტრანსპორტირება),

გ) შესაბამისი პოლიტიკური კლიმატის შემთხვევაში, შესაძლებელია ირანის გაზის ანალოგიური სქემით ევროპისკენ ტრანსპორტირება (დაახლოებით 100 მლრდ მ3),

დ) პერსპექტივაში ისახება თურქმენეთის გაზის სამხრეთ კავკასიის გავლით ტრანსპორტირების საკითხიც.

2005 წ. 26 აპრილს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბაქოში ხელი მოაწერეს პოლიტიკურ დეკლარაციას **"აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული სატრანსპორტო დერეფნის განვითარებისა და გაფართოების შესახებ".**

**აზერბაიჯან-რუსეთის ენერგეტიკული ურთიერთობები.**

ნავთობის ტრანსპორტირების ჩრდილოეთის მარშრუტი ("ბაქო-ნოვოროსიისკი") ეკონომიკურად გაუმართლებელია. მიზეზი: მაღალი სატრანზიტო ტარიფი (15.67 აშშ დოლარი 1 ტონაში) და ნოვოროსიისკში აზერბაიჯანის მაღალხარისხოვანი ნავთობის შერევა რუსულ ნავთობთან, რაც ხარისხს აქვეითებს და მოქმედებს ფასზე. რუსეთი პერმანენტულად მოითხოვს ტრანსპორტირებული ნავთობის მოცულობის გაზრდას წელიწადში 7.0 მლნ ტონამდე.

აზერბაიჯანის გაზის წლიური მარაგის 50% შედგება რუსეთიდან იმპორტირებული გაზისაგან. ექსპერტთა აზრით, რუსულ გაზზე დამოკიდებულება გაგრძელდება 2010-2012 წწ-მდე. 2005 წლის ბოლოსთვის ტარიფი შეადგენდა 60.0 დოლარს 1000 მ3-ში, მაგრამ 2006 წელს ის უკვე შეიცვალა მატებისკენ.

აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის სექტორში წამყვანი პოზიციები უკავიათ ნავთობის სახელმწიფო კომპანიას (არნსკ) და საერთაშორისო საოპერაციო კომპანიას (ასსკ), რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ყველა მნიშვნელოვანი საბადოს დამუშავება და საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტების რეალიზაცია (მათ შორის, მილსადენის "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი" და გაზსადენი "ბაქო-თბილისი-ერზერუმი").

2004 წელს აზერბაიჯანში მოიპოვეს 15.549 მლნ ტონა ნავთობი და 5 მლრდ მ3 გაზი (კიდევ 4,6 მლრდ მ3 შემოტანილია რუსეთიდან). 2005 წლის დაახლოებითი მაჩვენებლები: ნავთობი - 19.75 მლნ ტონა, გაზი - 5.5 მლრდ მ3 (კიდევ 4,5-5,5 მლრდ მ3 რუსეთიდან).

მოპოვების პერსპექტიული პროგნოზი ასეთია:

**ნავთობი:** 2006 წ. - 28.55 მლნ ტ, 2007 წ. - 42.15 მლნ ტ, 2008 წ. - 61.05 მლნ ტ, 2009 წ. - 61.15 მლნ ტ., **გაზი:** 2009-2016 წწ. - 13 მლრდ მ3

### ენერგეტიკული პროექტების შესახებ

მშენებარე ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის საპროექტო გამტარუნარიანობა შეადგენს 20 მლრდ მ3 ბუნებრივ გაზს. ტექნიკურად შესაძლებელია ამ მაჩვენებლის გაზრდა 30 მლრდ მ3-მდე.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს არა აქვს ცენტრალური მაღალი წნევის ტრანზიტული გაზსადენი, დღეს არსებული სისტემის გამოყენებითაც შესაძლებელია ერზრუმამდე მიტანილი გაზის ამ ქვეყნის ევროპულ ნაწილში (ბულგარეთის საზღვრამდე) ტრანსპორტირება. ამასთან, ფუნქციონირებს თურქეთ-ბულგარეთის დამაკავშირებელი გაზსადენი, რომლის დიამეტრია 48 დიუმი. ამჟამად ამ მილით მიეწოდება რუსული გაზი უკრაინა-მოლდოვა-რუმინეთი-ბულგარეთის გაზსადენით და მისი გამტარუნარიანობაა 14 მლრდ მ2 წელიწადში.

აღსანიშნავია, რომ თურქეთ-საბერძნეთის გაზსადენი ამჟამად მშენებლობის სტადიაშია. დასრულების ვადებია 2006-2007 წლები. 300 კმ გაზსადენის საპროექტო გამტარუნარიანობა შეადგენს 11,5 მლრდ მ3 წელიწადში.

მაღალია თურქეთ-ბულგარეთ-რუმინეთ-მოლდოვა-უკრაინის გაზსადენის გაერთიანებული ქსელის მშენებლობის პრაქტიკული პერსპექტივა და ტექნიკური შესაძლებლობები. ამისთვის საჭიროა: აღნიშნულმა ქვეყნებმა უარი თქვან რუსული გაზის მიწოდებაზე, რაც საკმაოდ რთულია არსებული გრძელვადიანი კონტრაქტების პირობებში. აქ დაისმება კითხვა: რომელი (ვისი) გაზის მიწოდება იქნება შესაძლებელი და როდის?

საგანგებო მსჯელობის საგანი იქნება თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, მოლდოვასა და უკრაინის არსებული გაზსაცავების სიმძლავრეები.

ცხადია, რომ სუამისა და "დემოკრატიული არჩევანის" ქვეყნების ახალი ენერგეტიკული პოლიტიკა მოიაზრება როგორც ნატოს სტრატეგიულ ინტერესებთან მიბმული პერსპექტივა. ახალი ენერგეტიკული შესაძლებლობა წარმოადგენს სერიოზულ ფაქტორს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარებისათვის, ასევე ეკონომიკური სტაბილურობისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, რაც თავისთავად შედის ნატო-სა და ევროკავშირის სტრატეგიულ ინტერესებში.

ახალი ენერგეტიკული პერსექტივების მასშტაბები გაცილებით იზრდება იმ შემთხვევაში, თუ სუამისა და "დემოკრატიული არჩევანის" ქვეყნების სატრანზიტო პოტენციალით მაქსიმალურად დაინტერესდება თურქმენეთი და ყაზახეთი. ევროპული ქვეყნების გაზით მომარაგების ალტერნატიული ენერგეტიკული მარშრუტების ამოქმედება თურქმენული და/ან ყაზახური გაზის გარეშე, მხოლოდ აზერბაიჯანული რესურსებით, ფაქტიურად შეუძლებელია. მა ქვეყნებს უნდა მიეცეთ გარანტიები გაზის გატანასთან დაკავშირებით და დაიწყოს მოლაპარაკებები მოწოდების პირობებზე.

აუცილებელია ამ პროექტებით დაინტერესებული სახელმწიფოების (პოლონეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი), ანუ ევროპის ახალი დემოკრატიის ქვეყნების მხარდაჭერის აქტუალიზაცია და პოზიტიური გამოყენების პერსპექტივის გააზრება. მათი გაქტიურება ევროგაერთიანების სტრუქტურებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ფარგლებში მომგებიანად აისახება ახალი ენერგოპროექტების პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების განვითარებაზე.

## აფიშა

**13-14 მაისი**

**თეატრი**

**რუსთაველის თეატრი**
**შაბათი**
ლაშა ბუღაძე. "ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი"
**კვირა**
"დარისპანის გასაჭირი"
რეჟისორი რობერტ სტურუა და ზაზა პაპუაშვილი. დასაწყისი: 19.00

**თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრი**
**შაბათი-კვირა**
"მაკულატურა & დღეს ორშაბათია"
რეჟისორი დავით დოიაშვილი და გურანდა იაშვილი. დასაწყისი: 19.00

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
**შაბათი**
"თავისუფალი წყვილი". რეჟისორი ქეთი დოლიძე
ანტონ ჩეხოვი. "ალუბლის ბაღი"
რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი. დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი**
**შაბათი**
"ინსტინქტი"
**კვირა**
"კაფე როსინი". რეჟისორი ლევან წულაძე. დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი (ვაკეში)**
"ხანუმა პარიზში". რეჟისორი გოჩა კაპანაძე. დასაწყისი: 18.00

**თავისუფალი თეატრი**
**შაბათი**
"მეზუნია ჩიტები"
**კვირა**
"მედეა". დასაწყისი: 19.00

**მუსიკა**

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
**შაბათი**
"ვენის მუსიკალური ცისარტყელა". ვენის "იოჰან შტრაუსის ანსამბლი"

**კინო**

**შაბათი-კვირა**
**"ამირანი"**
"მისია შეუსრულებელია". დასაწყისი: 14.00; 17.00
"ცამეტი". რეჟისორი გელა ბაბლუანი. დასაწყისი: 20.00; 22.00

**ცირკი**

**შაბათი-კვირა**
ცირკი წყალზე. მოსკოვის ცირკის მსახიობთა წარმოდგენა
ბილეთის ფასი 4-8 ლარი. დასაწყისი: 15.00

**გალერეა**

**"ქარვასლა"**
ბორის რომანოვსკის გამოფენა

**TMS**
ლევან ლაღიძის გამოფენა. ფერწერა

**"ვერნისაჟი"**
მანანა ძოძუაშვილის გამოფენა

**"ორიენტი"**
თანამედროვეე ტიხრული მინანქარი

**კლუბები**

**შაბათი**
**LIVE**
ele[c]mental
DJs: DARK, KENZO, BUKA

**SWITCH**
CLICK
DJs: EKE KUSTEAU

**2SIDE**
Gio Bakanidze & Jorjick

# "13 Tzameti" მკვდარი მამაკაცი

### გელა ბაბლუანის მკვლელების კლუბი

ია ვეკუა




ამ თამაშში 13 მკვდარი მამაკაცი მონაწილეობს. უმეტესობას არ ესმის რას აკეთებს, ზოგი კი ამ თამაშის მრავალგზის გამარჯვებულია. მხოლოდ ჩვენმა გმირმა არ იცის მისი წესები და არც ის, რომ მალე, ფილმის მეორე ნაწილში, მკვლელიც თავად იქნება და მოკლულიც.

ასეთი დავალება მისცა გელა ბაბლუანმა საკუთარი ძმის, გიორგი ბაბლუანის მიერ განსახიერებულ გმირს უკანასკნელი პერიოდის სენსაციად მონათლულ ფილმში "13 Tzameti". მეორე დღეა კინოთეატრ "ამირანში" მიმდინარეობს ფილმის ჩვენება და ქართველმა მაყურებელმა საკუთარი თვალით იხილა ის, რაზეც მსოფლიო კინოსამყარო ასე გაცხარებით მსჯელობს.

ვიდრე სამშობლომდე ჩამოაღწევდა, 27 წლის გელა ბაბლუანის "13 Tzameti"-მა რამდენიმე საერთაშორისო კინოჯილდოს მოპოვება მოასწრო. სტივენ სპილბერგის პროდიუსერმა კეტლინ კენედიმ მას უკანასკნელი დროის ევროპული კინოს აღმოჩენა უწოდა, ვიღაცამ ფილმის ნახვის შემდეგ რომან პოლანსკის ახალგაზრდობა გაიხსენა, ვიღაცამ - ჰიჩკოკის შავ-თეთრი კადრები. შედარებით მხიარულები ბაბლუანისა და ბრედ პიტის ვახშმობის დეტალებით დაინტერესდნენ, პრაგმატულები კი - ფილმის ამერიკის ბაზარზე გასვლის პერსპექტივით.

ის, რომ ფილმმა სანდენსის კინოფესტივალის გრან-პრი მიიღო (უცხოენოვანი ფილმების ნომინაციაში), უკვე ადასტურებს, რომ ბაბლუანის ნამუშევარი, უბრალოდ რომ ვთქვათ, კარგი დამოუკიდებელი და საავტორო ნამუშევარია. ვენეციის ფესტივალზე მიღებული "მომავლის ოქროს ლომი" კი ქართულ კინემატოგრაფში პერსპექტიული (ესეც უბრალოდ ნათქვამია) ახალგაზრდის გამოჩენაზე გვამცნობს.

რაც შეეხება ფილმით ბრედ პიტის დაინტერესებას, ვისაც დევიდ ფინჩერის "მებრძოლთა კლუბი" უნახავს პიტისა და ედუარდ ნორტონის არაჩვეულებრივი დუეტით, ინტერესს ამ თვალსაზრისითაც ახსნის. ისევე როგორც ფინჩერთან, ბაბლუანის ფილმის გმირიც გასაიდუმლოებულ წიაღში შობილი სახიფათო თამაშის მონაწილე ხდება და ფსონების დადება საკუთარ სიცოცხლეზე უწევს. არავინ იცის, ვინ გახდება გამარჯვებული - მით უმეტეს, ამის იმედი ყველაზე ნაკლებად ბაბლუანის ფილმის გმირს - სებასტიენს აქვს, რადგან იმის გარდა, რომ გამოუცდელია, მის მაისურზე წერია ციფრი 13.

თუმცა, ფინჩერის ფილმისგან განსხვავებით, დაუნდობელი ჩხუბის ნაცვლად ბაბლუანის გმირები "რუსული რულეტკის" ორიგინალური მეთოდით უსწორდებიან ერთმანეთს. ნუ ელით, რომ მაიკლ ჩიმინოს "ირმებზე მონადირის" მსგავს კადრებს იხილავთ, ბაბლუანის "რულეტკა" მოგაგონებთ ბრძოლას წესების გარეშე, რომელიც ყოველ ჯერზე მცირდება და მონაწილეებს სულ უფრო ნაკლებ შანსს უტოვებს. ფილმი აშკარად არაა განკუთვნილი ზედმეტად ნაზი არსებებისთვის, რადგან "რულეტკის" თითოეული რაუნდი საშინელი დაძაბულობისა და ფსიქოლოგიური წნეხის ფონზე მიმდინარეობს. მაყურებელს კი ყველაზე მეტად ის ნათურა სძულს, რომლის ანთებაც თამაშის მონაწილეებს გასროლის ნიშანს აძლევს. ასე რომ, თუ ძალიან გსურთ ბაბლუანის არაჩვეულებრივი ნამუშევრის ხილვა, გულყრა შინ უნდა დატოვოთ.

ფილმში საინტერესოდაა გადმოცემული გმირის სოციალური მოტივაციაც. სებასტიენის ოჯახი: მშობლები, და და ძმა (ამ როლს გელა ბაბლუანი თავად ასრულებს) მატერიალურად ცუდ მდგომარეობაშია. თავად სებასტიენი მშენებლობაზე მუშაობს, ერთ-ერთი სახლის სახურავს აკეთებს და გასამრჯელოს აღების იმედი ნაკლებად აქვს. ალბათ ამიტომ, იმის იმედით, რომ ოჯახის მდგომარეობას ცოტათი მაინც შეამსუბუქებს, უცნობი მიმართულებით დაუფიქრებლად მიემგზავრება. ამ მოგზაურობას ის გარდაცვლილი ადამიანის სახელით იწყებს, რაც თავისთავად სიმბოლურია - წინასწარ განგვაწყობს იმისთვის, რომ ფილმის ფატალურ დასასრულს უნდა ველოდოთ.

"13 Tzameti" სიკვდილით იწყება. მამაკაცი, რომლის სახურავის შეკეთებაც სებასტიენს ევალება, ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზის მიღების შედეგად იღუპება. სწორედ მის სახელზე გამოგზავნილი კონვერტი უვარდება ხელში ფილმის გმირს, რომელიც ფიქრობს, რომ დასაკარგი არაფერი აქვს და თამამად შეუძლია პატრონის გარეშე დარჩენილი ბილეთის გამოყენება. გამგზავრებამდე დედა თმას ჭრის - ეს თითქოს იმ რიტუალსაც ჰგავს, რომელიც ახალი ცხოვრების დაწყების წინაპირობა უნდა გახდეს.

ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ტაქსის მძღოლი სებასტიენს უკაცრიელ გზაჯვარედინზე ტოვებს. ესეც კიდევ ერთი სიმბოლო - გზაჯვარედინი სწორედ ის ადგილია, სადაც არა მხოლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება გვიწევს, არამედ სატანასთანაც ვდებთ გარიგებას... თუმცა სებასტიენის ბედი გზაჯვარედინამდე გადაწყვეტილია - მისი "სატანა" იმ კონვერტში იჯდა, რომელიც მკვდარ ადამიანს "აცალა" ცხვირწინ.

"13 Tzameti-ს" "რუსული რულეტკის" წესები ყველასთვის ერთია - ცამეტი მონაწილე და თითოეულისთვის განკუთვნილი თითო ტყვია. კლავ იმას, ვინც შენზე წინ დგას, კკლავს ის, ვინც უკნიდან გეპარება. ყველა "მოთამაშეს" საკუთარი პატრონი ჰყავს, რომლებიც ფსონებს ველური ყიჟინით ჩამოდიან (ფსონების ამკრეფის როლს თავად თემურ ბაბლუანი ასრულებს). სებასტიენს საოცრად უმართლებს და საბოლოოდ "ფინალშიც" გადის. აქაც მის ბედს გამართლება წყვეტს და შეპირებულ მილიონებს გამარჯვებული სახით იღებს.

ეს ფილმის სწორედ ის მომენტია, სადაც სებასტიენის მომავალი წყდება. საიდუმლო შენობას 12 გვამით მოფენილი დერეფნის გავლით ტოვებს და გარბის. მოგებულ თანხას ძმას ამანათით უგზავნის - ისე, ყოველი შემთხვევისთვის, ხომ შეიძლება რამე მოხდეს! ასეთი თავგადასავლის ბოლოს კი, როგორც წესი, აუცილებლად ხდება "რაღაც"!..

# რეჟისორმა თეატრი დატოვა

ბათუმის დრამატული თეატრის რეჟისორმა ზაზა სიხარულიძემ პროტესტის ნიშნად თეატრი დატოვა. სიხარულიძე თეატრის ადმინისტრაციას სასამართლოში უჩივის. დღეს დაპირისპირებაში ჩაერთვნენ ბათუმში მოქმედი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

სიხარულიძის ადვოკატი აცხადებს, რომ ადმინისტრაციასა და რეჟისორს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა ზაზა სიხარულიძის სპექტაკლის "კალიგულას" პრემიერის 20 დღით დაგვიანება: "ამის მიზეზი ის არის, რომ დირექცია სასცენო ფართს არამიზნობრივად აქირავებს, რაც რეჟისორს რეპეტიციების საშუალებას არ აძლევდა".

ბათუმის საქალაქო სასამართლოში ზაზა სიხარულიძის ადვოკატმა სარჩელი შეიტანა. თეატრის დირექტორი გურამ ბოლქვაძე აცხადებს, რომ სხვადასხვა კონცერტის გასამართად თეატრის სცენა 750 ლარად ქირავდება. თუმცა, ეს თანხა მთლიანად პრემიერების დადგმას უნდა ხმარდებოდეს. გურამ ბოლქვაძის განმარტებით, ეს გადაწყვეტილება რომ არა, "კალიგულას" პრემიერა საერთოდ ვერ გაიმართებოდა.

*ინტერპრესნიუსი*

# "თაობა XXI"

15 მაისს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში "სინათლის წელიწადის" პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ჟანრში მოღვაწე 150 ახალგაზრდა მუსიკოსის კონცერტი გაიმართება. კონცერტის სახელწოდებაა "თაობა XXI", რომელშიც მონაწილეთა ასაკი, პროექტის პირობების თანახმად, 25 წელს არ აღემატება. როკ-კანტატის ავტორია გიგი გეგელაშვილი, რომელიც კონცერტზე წარდგება როგორც: არანჟირების ავტორი, კლავიშიანი ინსტრუმენტის, ფლეიტის, გიტარისა და პერკუსიის შემსრულებელი. პროექტში მონაწილეობენ დავით ყეინაშვილი, ელენე მეჩითოვა, ზაზა ცერცვაძე, გვანცა მათიაშვილი, ნინო დავითაშვილი, კობა მანჯგალაძე, ირმა ჩიტაშვილი, ნინი შერმადინი, ვლად არამოვი, სოფო ხალვაში. ასევე, ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს ტექნიკიური უნივერსიტეტის ვაჟთა სახალხო კაპელა, ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა გუნდი. დირიჟორი - კობა მერმენიშვილი. პროექტის ორგანოიზატორია საზოგადოებრივი მოძრაობა "დედები ნარკომანიის წინააღმდეგ".

*ჯი-ეიჩ-ენი*


## განცხადება

შპს "საქწყალკანალის" მიერ გარდაბნის რეგიონული კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების სარეაბილიტაციო და აღდგენითი სამუშაოების ჩატარებაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს "აკვა-ეკოლოგია"-მ.

აღნიშნულ შპს-თან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვაზე.

**შპს "საქწყალკანალის" სატენდერო კომისიის აპარატი**

## ცენტრ პოინტ ჯგუფი

**იწყებს თბილისის ელიტარულ უბნებში პატარა სახლების მშენებლობას მთაწმინდა, სოლოლაკი, ავლაბარი, ხარფუხი და სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე.**

**სხვა მიმდინარე მშენებლობებს თბილისის ყველა უბანში, ასევე ბათუმში, გუდაურში და ბაკურიანში. განვადება უპროცენტოა.**

**მსურველები დაგვიკავშირდნენ: რუსთაველის პროსპექტი 48. ტელ.: 92-20-80, 99-67-69, 899 46-92-22, 899 46 51 21, 893 34 20 02, 899 96 96 57.**


## განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი" კოსტავას 43 საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს ინსტიტუტის საჭიროებისათვის რეაქტივების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:
ლოტი 4. გონორეის დიაგნოსტიკა
ლოტი 5. ბაქტერიოლოგიური ანალიზებისათვის საჭირო საკვები ნიადაგები
ლოტი 7. დეფიბრიგენირებული სისხლი
ლოტი 8. დისკები ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისთვის
ლოტი 10. რეაქტივები ციტოგენეტიკური კვლევისათვის
ლოტი 11. რეაქტივები დნმ კვლევისათვის
ლოტი 12. პაპტესტები
ლოტი 13. რეაქტივები მორფოლოგიური კვლევისათვის
ლოტი 16. აზოტი კრიოდესტრუქციისათვის
ლოტი 17. სისხლის საერთო ანალიზის ჰორმონული ციტოლოგის განსაზღვრისათვის საღებავები და დამხმარე მასალები
ლოტი 18. რეაქტივები შარდის საერთო ანალიზისათვის
ლოტი 19. რეაქტივები ნაცხის ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევისათვის
ლოტი 20. რეაქტივები ინვიტროგანაყოფიერებისათვის

3. საქონლის მიწოდების პირობები - საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის მაისიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. მიწოდების ადგილი: შპს "ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი" კოსტავას 43.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 ივნისს 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: შპს "ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი" კოსტავას 43 ბუღალტერია. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 3 ივნისს 17 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:
ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი6 ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
ბ) ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი ანგარიშსწორების შესახებ;
გ) ლიცენზია სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების რეალიზაციაზე;
დ) ლიცენზია რეაქტივების საბითუმო რეალიზაციაზე;
ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა.

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები საქართველოს ბანკი ცენტრალური ფილიალი, კოდი №220101502, ანგარიშის №100609220, საიდენტიფიკაციო კოდი №203826645 (სატენდერო მოსაკრებელი) განცხადების გამოქვეყნების დღიდან 3 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: კოსტავას 43 შპს "ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი" ბუღალტერია.

12. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

13. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მედიკო კევლიშვილი ტელ.: 988129, მისამართზე: კოსტავას 43 შპს "ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი".

# ჯგუფი "ინკოგნიტო" თბილისში

## ახალი სადაზღვევო კომპანიის ცნობადობისთვის

სოფო კილასონია

დღეს საღამოს NIGHT OFFICE-ში ჯგუფი "ინკოგნიტო" კონცერტს წარმოგვიდგენს. ცნობილი ჯაზბენდი უბრალო ინტერესის გამო არ ჩამოსულა საქართველოში. იგი კახაბერ ცისკარიძისა და სტეფანე მღებრიშვილის მიერ დაარსებული კომპანია "არტ-ფორუმის" მოწვევით ჩამოვიდა, მაგრამ ეს მოვლენა კიდევ უფრო მნიშვნელოვან ამბავთან არის დაკავშირებული. ცნობილი ჯაზის მუსიკოსების კონცერტი ახალი სადაზღვევო კომპანიის "აი სი ჯგუფის" დაარსების აღსანიშნავად და მისი პრეზენტაციისთვის არის გამიზნული. ახალი კომპანია "გაერთიანებული ქართული ბანკის" წამოწყებაა, რომელმაც სადაზღვავო ბაზარზე, როგორც ამბობენ, ამბიციური სუბიექტის ნიშა უნდა დაიკავოს.

ჯგუფი "ინკიგნიტო" "ესიდ ჯაზურ" პროექტს წარმოადგენს, რომელიც 70-იანი წლებიდან, ჰაზ-ფანკ-ფიუჟენის პერიოდიდან მოდის. ჰგუფი ჟან პოლ მონიკისა და პოლ ვილიამსის მიერ დაარსებულა. ეს უკანასკნელნი "მსოფლიო შუქების" წამყვანი მომღერლები გახლდნენ. მათი სიმღერები, თუნდაც ისეთი როგორიცაა "I shot the sheriff", ჰიტებად დიდხანს შემორჩნენ. ამ ჯგუფის მესამე ალბომის გამოსვლის შემდეგ, ჯგუფს სახელი შეუცვალეს და "ინკოგნიტო" დაარქვეს. მათი დებიუტი, უკვე ახალი სახელით, 1981 წელს შედგა, სიმღერით "პარიზელი გოგონა".

"არტ-ფორუმი", რომელსაც ორი ქართველი მომღერალი წარმოადგენს "ეი სი ჯგუფის" იმიჯსა და ცნობადობაზე ზრუნავს. ამ მიმართულებით "ინკოგნიტოს" პროექტი მათ მიერ განხორციელებული პირველი საქმიანი ნაბიჯი არ გახლავთ. ტელეეკრანებზე უკვე დიდი ხანია გადის ახალი სადაზღვევო კომპანიის სარეკლამო რგოლი, რომელმაც სხვებისგან განსხვავებული ფორმატისა და ხარისხის გამო მაყურებლის საკმაო ყურადღება და ინტერესი გამოიწვია. ჩვენ სწორედ იმ პატარა ვიდეოს ვგულისხმობთ, რომელშიც ცოლ-ქმარი ჩხუბისას უმოწყალოდ ანადგურებს საკუთარ ქონებას. რაც შეეხება უკვე ჩვენს სმენაში ფეხმოკიდებულ სლოგანს "რასაც დააზღვევ, შენია", ეს უკანასკნელი, ისე როგორც უკვე აღნიშნული ვიდეო, "არტ-ფორუმის" საავტორო მიგნებაა.


"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39


# რატომ იქცა მწვანე შავად?

## ეკოლოგიური მოდა

დედამიწის დღემ აპრილში ჩუმად ჩაიარა. მწვანეებმა, ეკოლოგიის დამცველებმა, ტრადიციულად გაიხსენეს ეს დღე, მაგრამ დანარჩენმა მსოფლიომ ჩვეულებრივი, რუტინული ცხოვრებით იცხოვრა. თუმცა, ახლა, თითქმის ერთი თვის თავზე, როცა გაზაფხული თანდათან ზაფხულად უნდა იქცეს, მოდის კრიტიკოსებმა შენიშნეს ერთი საინტერესო დეტალი - თურმე 2006 წლის გაზაფხულ-ზაფხულის მოდა სხვა არაფერია, თუ არა დედამიწის საქებრად შექმნილი ოდა.

ამის დასტური, პირველ რიგში, მწვანე ფერის გაფეტიშებაა. თუ ადრე ათვლის წერტილი და ყველაზე მასობრივად გამოყენებული ფერი შავი გახლდათ, ახლა ასეთი დომინანტური ტონი მწვანეა.

თუნდაც ბონოსა და მისი მეუღლის ელი ჰიუსონის წამოწყება Edun (უკუღმა იკითხება, როგორც nude - "შიშველი", მაგრამ შეიცავს მინიშნებას Eden-ზეც, ანუ ედემის ბაღზეც) გავიხსენოთ. უფრო დაწვრილებით ამ პროექტის შესახებ მათ ოფიციალურ ვებ-გვერდზე - http://www.edun.ie/ შეიტყობთ, ახლა კი მოგახსენებთ, რომ ცოლ-ქმარი ნიუიორკელ დიზაინერთან ერთად მოდური ტანსაცმლის ხაზს ქმნის, მთავარ სამუშაო ძალად კი განვითარებად ქვეყნებში (აფრიკა, სამხრეთ ამერიკა, ინდოეთი) საგანგებოდ Edun-ისთვის დაარსებულ ოჯახურ მანუფაქტურებს იყენებს.

ბონო აცხადებს: "ჩვენ უნდა გვეპოვა გზა, რათა ჩვენი სოციალური აქტიურობისთვის მოდური სარჩული მოგვეძებნა - მეტი ყურადღების მისაპყრობად. ეს კი პირდაპირ გავაკეთეთ და მოდაშიც ჩავერთეთ".

უნდა ითქვას, რომ მცდელობამ გაამართლა. ელი ჰიუსონისა და ბონოს ეგიდით შექმნილი კოლექციები მოდის სამყაროში განსჯის საგანი ხდება და სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს.

ლონდონში კი დაიწყო და 4 ივნისამდე გაგრძელდება ეკო-თემატიკის არანაკლებ საინტერესო შოუ სათაურით - "მოდური: ეკოსტილი ბრიტანეთში". შოუს წამყვანი ფიგურა დიზაინერი რებეკა ერლია. ის თავისი მოდელების შესაქმნელად გადამუშავებულ და ხელით, ბუნებრივად შეღებულ ქსოვილს იყენებს.

ერლის გარდა, ეკო-ტრადიციას ამკვიდრებენ, ძირითადად, ახალგაზრდა დიზაინერები. ტერა პლანა ასევე გადამუშავებული ქსოვილის, ყვავილებით მოქარგულ ფეხსაცმელებს კერავს, რიჩარდ ჰოუი ბუნებრივი ბამბის მაისურებს ამზადებს, ნიკოლას სმიტი - გადამუშავებული ჯინსის შარვლებით მოსავს თავის მოდელებს.

ეკოლოგიურ მოდას ისინი სამნაწილიანი პროცესით ქმნიან: იწყებენ უღარიბეს ქვეყნებში - ვთქვათ, აფრიკაში, ინდოეთსა და სამხრეთ ამერიკაში - იაფფასიანი ქსოვილების შეძენით. ქსოვილის რეცხვის ტემპერატურას აცილებენ ცელსიუსის 30 გრადუსამდე და ზედმიწევნით ბუნებრივი წესებით ამუშავებენ მას.

რებეკა ერლი, რომლის ბოლო კოლექციაც მეგობარი ქალის გადამუშავებული ტანსაცმლით არის შექმნილი, ლონდონში მიმდინარე გამოფენის კურატორიც გახლავთ. შოუს იწყებს ბრიტანული ეკოლოგიური მოდის ისტორიით, რომელიც "ყვავილების თაობიდან" ანუ 1970-იანი წლებიდან იღებს სათავეს. შემდეგ კი აჩვენებს კონკრეტულ მოდელებს.

თუმცა, მაინც ისმის კითხვა: რამდენად რეალურია მოდის ინდუსტრიის მთლიანად ეკოლოგიურ რელსებზე გადაყვანა? რებეკა ერლი ამბობს, რომ ეს შესაძლებელია, თუ ყველა მოინდომებს. "ნაკლებად საზიანო საღებავების გამოყენება ნამდვილი ხელოვნებაა. მაგრამ მისი ინდუსტრიად ქცევაც შეიძლება". მით უფრო, რომ, ერლის აზრით, დიზაინერთა უმრავლესობა არც უფიქრდება იმას, თუ საიდან იღებენ ისინი ქსოვილს, როგორ ამზადებენ და ღებავენ მას. "რაკი ყველა მოდელების გარეგნულ სილამაზეზეა გადასული, ამიტომ აუცილებელია ვინმემ ჩვენი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო კონცეფციებზეც იზრუნოს".

მსგავსი ეკო-შოუები ლონდონის გარდა პარიზსა და ნიუ იორკშიც გამართულა. წესით, ეკოლოგიის დამცველებმა უნდა გაიმარჯვონ. მათ ხომ მხარს უჭერს თვით ბონო - თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე აქტიური სოცაქტივისტი.


გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი

გთავაზობთ:
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge

### მოკლედ

#### ლადო ასათიანის ლექსების კრებული

გამომცემლობა "ინტელექტმა" გამოსცა ცნობილი ქართველი პოეტის ლადო ასათიანის ლექსების კრებული. კრებული შეადგინა პოეტის ქალიშვილმა მანანა ასათიანმა. წიგნი გამოიცა გამომცემლობა "ინტელექტის" სერიის - "ქართული პოეზიის" ფარგლებში. როგორც გამომცემლობაში განაცხადეს, ამ სერიის ავტორია "ინტელექტის" მთავარი რედაქტორი კახმეგ კუდავა. მისი ინიციატივით, ცნობილი ქართველი პოეტების შთამომავლები თავად არჩევენ 100-100 ლექსს, რომელიც "ქართული პოეზიის" სერიის ფარგლებში გამოიცემა. "ინტელექტმა" უკვე გამოსცა გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის, მირზა გელოვანის, მურმან ლებანიძისა და ნიკო სამადაშვილის ლექსები.

#### სომხური სამრეკლო ახალციხეში

ახალციხეში ადგილობრივი სომხური ახალგაზრდობის ინიციატივით გაიხსნა "წმინდა მხედარმთავრების" სახელობის სომხური სამრეკლო.

როგორც სომხური აპოსტოლური ეკლესიის საქართველოს ეპარქიაში აცხადებენ, სამრეკლო დიდი სამამულო ომის დამთავრებისა და ყარაბახში, ქალაქ შუშის გათავისუფლების დღის აღსანიშნავად გაიხსნა.

ახალი სამრეკლოს კურთხევის ცერემონიალს ესწრებოდნენ ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი, მისი მოადგილე სამცხე-ჯავახეთში ბაბკენ საბლიანი, ახალციხისა და თბილისის ეკლესიების სულიერი მამები შმავონ საგოიანი და ნარეკ დუშჩიანი. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### საეკლესიო გუნდები

საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრმა დაიწყო მთელი საქართველოს მასშტაბით საეკლესიო გუნდების რეპერტუარის მოსმენის პროცესი. ამ მოსმენით საპატრიარქო თვალს მიადევნებს, თუ როგორ მიმდინარეობს საეკლესიო გალობის აღორძინების პროცესი საქართველოში. მით უფრო, რომ სასულიერო მუსიკის აღდგენა-აღორძინების პროცესი 2003 წლის წმიდა სინოდის განჩინების საფუძველზე მიმდინარეობს. როგორც გალობის ცენტრის ხელმძღვანელმა ლუარსაბ ტოგონიძემ განაცხადა, საეკლესიო გუნდების საშემსრულებლო ხელოვნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ლიტურგიისთვის, არამედ ქართული სულიერი მემკვიდრეობის თვალსაზრისითაც. უმდიდრესი მემკვიდრეობის მქონე ქართულმა ჰიმნოგრაფიამ ბოლო საუკუნეების მანძილზე განვითარება შეწყვიტა. სასულიერო მუსიკის ხელახალი აღორძინება 80-იანი წლებიდან დაიწყო, რასაც 2003 წელს წმიდა სინოდის განჩინებაც მოჰყვა.

"საბჭოთა პერიოდში საქართველოში არც ერთი საეკლესიო გუნდი აღარ არსებობდა. ამ მდიდარი ტრადიციის აღორძინების პროცესი ახლა მიმდინარეობს. ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა საეკლესიო გუნდების საშემსრულებლო ხელოვნების მოსმენის პროცესს", - განაცხადა ლუარსაბ ტოგონიძემ. მისი თქმით, თანამედროვე საეკლესიო გუნდების ძირითად პრობლემად საგალობლების შესრულებისას რჩება უძველესი ქართული ჰანგების აღდგენის პროცესი. "IX-X საუკუნეებში რუსული ეკლესიის გავლენის გამო ჩვენს ტაძრებში ქართული საგალობლები აღარ სრულდებოდა. უძველესი ჰანგები ევროპული სასულიერო მუსიკის მოტივებმა შეცვალა. ხშირად რუსულ სასულიერო ჰანგებს ქართულ ტექსტებს ადებდნენ და საგალობლებს ისე ასრულებდნენ. დღეს ვცდილობთ ქართულ ტაძრებში უძველესი ჭეშმარიტი ქართული სასულიერო მუსიკა დამკვიდრდეს", - აცხადებს ტოგონიძე.

საქართველოს ყველა საეკლესიო გუნდი თავის საშემსრულებლო ხელოვნებას ცენტრს წარუდგენს. დღეს საქართველოში ათეულობით საეკლესიო გუნდი მოქმედებს. ცენტრის წარმომადგენელთა თქმით, საპატრიარქო ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მათი რიცხვის გაზრდას, რათა ყველა მოქმედ ეკლესიას თავისი მგალობელთა გუნდი ჰყავდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### ახალი ფესტივალი

კავკასიის კამერული ორკესტრი, უვე ბერკემერის ხელმძღვანელობით, თბილისის II საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს - "მშვიდობა თქვენდა" აწყობს. ფესტივალი საქართველოს პირველი ლედის, სანდრა რულოვსის პატრონაჟით, თბილისში 3-დან 8 ივნისამდე ჩატარდება. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება კავკასიური და ევროპული მუსიკის კონცერტები, პოეზიის საღამო, პირველად შესრულდება უვე ბერკემერის "საბაშვო ოპერა". ფესტივალს პოპულარული მუსიკის საღამო დახურავს, რომელზეც გერშვინის, ჩაპლინის, ნინო როტას, რევაზ ლაღიძისა და ბიძინა კვერნაძის ნაწარმოებები აჟღერდება. მუსიკის II საერთაშორისო ფესტივალის "მშვიდობა თქვენდა" ორგანიზატორია ამერიკისა და იტალიის საელჩოები საქართველოში და "საქართველოს ბანკი". **ინტერპრესნიუსი**

# ლიტერატურული პრემია "საბა 2006"-ის ნომინანტები

| საუკეთესო პროზაული კრებული | | | |
|---|---|---|---|
| 1 | შოთა იათაშვილი | **ფოტომამები** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | ვანო ჩხიკვაძე | **ზამთრის წიგნი** | ქუთაისი |
| 3 | ბექა ქურხული | **სახლი სხვაგან** | საარი |
| 4 | დათო ტურაშვილი | **აჩიბაბა და ორმოცი ყოჩაღი** | ლიტერა |

| საუკეთესო რომანი | | | |
|---|---|---|---|
| 1 | აკა მორჩილაძე | **ვენერას სიზმარი** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | ნინო ჯიბლაძე | **სიყვარული ამერიკაში** | სეზანი |
| 3 | ბესიკ ხარანაული | **ეპიგრაფები დაეიწყებული სიზმრებისათვის** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |

| საუკეთესო პოეტური კრებული | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ელა გოჩიაშვილი | **შაბიამანი** | დიოგენე |
| 2 | ზვიად რატიანი | **გზები და დღეები** | არეტე |
| 3 | რატი ამაღლობელი | **ნრე** | გამოიცა ავტორის ხარჯით |
| 4 | ნუგზარ ზაზანაშვილი | **გაუგზავნელი წერილებიდან** | საარი |

| საუკეთესო დებიუტი | | | |
|---|---|---|---|
| 1 | თეონა დოლენჯაშვილი | **იანვრის მდინარე** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 2 | დათო ქარდავა | **ნოეს მგრედები** | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა |
| 3 | ზვიად დევდარიანი | **მრავალჯერადი გული** | სტამბა "უორმა" |

| საუკეთესო თარგმანი | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მარი ლუიზე კაშნიცი | **ლექსები** | რუსუდან ღვინეფაძე |
| 2 | ამელი ნოტომი | **კრძალვითა და ცახცახით** | მზია ბაქრაძე |
| 3 | | **ბჰაგავადგიტა** | ლეონ რამიშვილი |

| საუკეთესო პიესა | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ბასა ჯანიკაშვილი | **პიესები** | სიესტა |

| საუკეთესო კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ტარიელ ჭანტურია | **დინოზავრიდან დიზაინამდე** | მერანი |
| 2 | ირმა რატიანი | **ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში** | თსუ გამომცემლობა |
| 3 | აგი აბაშიძე | **ილია ჭავჭავაძე** | გამოიცა ავტორის ხარჯით |
| 4 | მარინა ბერიძე | **პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან** | უნივერსალი |





სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხოთაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78
ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26
ელ. ფოსტა: info@nautilus.ge

# ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში

## 1992 წლის 23 ნოემბერი - 17 დეკემბერი

მერაბ კიკნაძე
დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი

საქართველოს კანონიერი ხელისუფლების გროზნოში ყოფნის პერიოდში მუდმივად იგრძნობოდა პრეზიდენტ გამსახურდიას ევროპაში მოგზაურობის აუცილებლობა. ეს ყურადღებას მიაპყრობდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ხელს შეუწყობდა მათ ობიექტურ გაშუქებას, კანონიერი ხელისუფლების ირგვლივ არსებული საინფორმაციო ბლოკადის გარღვევას და ნაწილობრივ მაინც გაანეიტრალებდა კარგად ორგანიზებულ ცილისმწამებლურ კამპანიას. ყველაფერი ამის გროზნოდან მოხერხება თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან ჯოჰარ დუდაევის გამარჯვების შემდეგ მოსკოვმა ჩეჩნეთი თავად მოაქცია ბლოკადაში და დასავლური საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებისათვის იქ მოხვედრა უკიდურესად გაძნელდა. თავის მხრივ, დასავლური მედიაც დიდად არ აქტიურობდა, რადგან იმთავითვე წინასწარ შემუშავებული "დემოკრატი ელცინისა" და "აბრაგი დუდაევის" შტამპებით იფარგლებოდა. ამასთან, დუდაევის ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღიდანვე ჩეჩნეთში განუწყვეტლად ეწყობოდა პროვოკაციები - ხან რუსეთის უშუალო მონაწილეობით, ხან შინაგანი "ოპოზიციის" საშუალებით, რომელიც მოსკოვის მეხუთე კოლონას წარმოადგენდა. სიტუაცია უკიდურესად ფეთქებადსაშიში იყო.

უდავოა (და ამაში მოგვიანებით დავრწმუნდებით), რომ ზვიად გამსახურდია არ აპირებდა, ჩეჩნეთს გარიდებოდა და უფრო უსაფრთხო ადგილას გადაეცვლა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: პირველი ისაა, რომ ჩეჩნეთში ყოფნა სანახევროდ საქართველოში ყოფნას ნიშნავდა ფიზიკურადაც და სულიერადაც; მეორე კი ის, რომ ჩეჩნეთში ყოფნით ზვიად ჩეჩნებსაც ამაგრებდა და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში შეუპოვრობას ჰმატებდა. ეს ყველაფერი ერთად კი ორასი წლის განმავლობაში მინავლებული კავკასიური ერთიანობის გრძნობის არნახულ გაცხოველებას იწვევდა. ამდენად, ლაპარაკი მხოლოდ ხანმოკლე მოგზაურობას ეხებოდა.

ასეთი მოგზაურობის პირველ, უშედეგო მცდელობას 1992 წლის ზაფხულში ჰქონდა ადგილი, როდესაც საქართველოს **ეუთო**-ში გაწევრიანების საკითხი დაისვა. ეს ჰელსინკში, ეუთო-ს უმაღლესი დონის შეხვედრაზე უნდა მომხდარიყო, რომელიც ივლისში შედგა. ამას წინ უსწრებდა ეუთო-ს დამკვირვებლების ვიზიტი საქართველოში (ხელმძღვანელი - ბელგიელი **ეიკენსონი**), რომლებმაც "დემოკრატიული რევოლუციის" შემდეგ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის საბანკეტო დარბაზიდან შეისწავლეს და შემდეგ დასავლეთ საქართველოში გაემგზავრნენ. იქ "მხედრიონის" სადამსჯელო რეიდების შედეგად გაუბედურებულ შავოსან დედებთან შეხვედრაზე უარი თქვეს; დელეგაციის მეთაურმა განაცხადა: ეს შოუა, რომელიც ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს საერთო შთაბეჭდილებაზეო.

პარალელურად გროზნოში, ეუთო-ს ეგიდით, ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის საელჩოს ორი საშუალო რანგის მოხელე, ორივე ეროვნებით სლოვაკი - **მილან ტოკარი** და **იოზეფ ვრობეცა** ჩამოვიდნენ პრეზიდენტ გამსახურდიასთან შესახვედრად (1992 წელს ჩეხოსლოვაკია ეუთო-ს თავმჯდომარეობდა). ზვიადმა დეტალურად აღუწერა მათ საქართველოში მომხდარი გადატრიალება და მის შედეგად შექმნილი მდგომარეობა, აჩვენა თბილისში მიტინგების დარბევა-დახვრეტისა და სამეგრელოში ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციების ამსახველი ვიდეომასალა, რასაც სტუმრებმა ლამის მთქნარებით ადევნეს თვალი. ზვიად გამსახურდიამ კატეგორიულად განაცხადა, რომ ეუთო-ს მისიის დასკვნა ვერანაირად ვერ ჩაითვლება სრულფასოვნად, თუ ის არ შეხვდება კანონიერ პრეზიდენტს და პარლამენტს, რომლებიც არ გადამდგარან და დევნილობაში აგრძელებენ ფუნქციონირებას (ამ დროისათვის გროზნოში უკვე ჩატარებული იყო დევნილი უზენაესი საბჭოს სესია). სლოვაკებმა გაიგეს ეს. ეუთო-ს მისიასაც ძალიან სურს ამ შეხვედრის მოწყობა, მაგრამ ეს შეუძლებელია - საქართველოდან გროზნოში მოხვედრა პრაქტიკულად გამორიცხულიაო. ზვიადი მათი თანდასწრებით ურეკავს ჯოჰარ დუდაევს და ეკითხება, ხომ არაა შესაძლებელი დასავლეთ საქართველოში მყოფი ეუთო-ს მისიის გროზნოში ჩამოყვანა. რამდენიმე წუთში დუდაევი პასუხობს, რომ უკვე გასცა ბრძანება და კიევიდან გროზნოსაკენ მომავალი სარეისო თვითმფრინავი სოხუმის აეროპორტში საგანგებო დაშვებას შეასრულებს ერთ საათში, რათა იქ მყოფი ეუთო-ს მისია თან გამოიყოლოს. სლოვაკებს ფერი ეცვალათ და იძულებულნი გახდნენ, ეს ინფორმაცია ტელეფონით ეცნობებინათ საქართველოში მყოფი მისიისათვის, საიდანაც ცივი უარი მიიღეს, რაშიც წინასწარვე არავის ეჭვი არ ეპარებოდა. ამას მოჰყვა საცოდავი ლუღლუღი: "ჩვენ ყველაფერი ვიცით, მაგრამ გადაწყვეტილებებს არ ვიღებთ, გარემოებები ხშირად სიმართლეზე ძლიერია" და ა.შ.

ეს ორი დიპლომატი ჩეჩნეთის რესპუბლიკის მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს, **შამილ ბენოს** შეევახვედრე. ჩეჩნები ნებისმიერ საგარეო კონტაქტს ძალიან აფასებდნენ - გასაგები მიზეზების გამო. სლოვაკებმა ბენოს ინფორმაცია ინდიფერენტულად მოისმინეს. შეხვედრა უაზროდ გაიჭიმა. ბოლოს ერთ-ერთმა სარკასტული ღიმილით გადმომილაპარაკა: როგორც ჩანს, კავკასიაში პროტოკოლს პატივს არ სცემენო. მე ვუპასუხე: კავკასიაში პროტოკოლზე მეტად სტუმრის პატივისცემა ფასობს და აქ ცოცხს არავინ გამოგიტანთ-მეთქი. შეხვედრა დამთავრდა და ორივე მხარემ შვებით ამოისუნთქა.

ჰელსინკში ეუთო-ს სამიტზე "სამხედრო საბჭოს" მეთაურ შევარდნაძესთან ერთდროულად ზვიად გამსახურდიას გამოჩენას რა სკანდალი მოჰყვებოდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის. მიუხედავად ფინეთ-საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის - **აილა ნიინიმაას**, ფინეთის პარლამენტის წევრის, **ჰეიკი რიიჰიარვის** დაუღალავი მეცადინეობისა, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არა მარტო ოფიციალური მიწვევა არ გამოუგზავნა პრეზიდენტ გამსახურდიას, არამედ კერძო მიწვევით ვიზაზეც კი უარი უთხრა. ეჭვგარეშეა, რომ ეს გადაწყვეტილება ფინეთის მთავრობას არ მიუღია - ასეთი გადაწყვეტილების მიღება შორს სცდება ერთი პატარა, თუნდაც დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობის კომპეტენციას. ამის შედეგად **ეუთო-ს ისტორიაში ყველაზე უფრო სამარცხვინო და სასაცილო ფურცელი ჩაიწერა: საქართველოს სახელით "ჰელსინკის დოკუმენტზე" საბჭოთა კავშირში პირველი "ჰელსინკის ჯგუფის" დამფუძნებლის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველ თავისუფალ არჩევნებში არჩეული პრეზიდენტის ნაცვლად დისიდენტების დევნაში გაწაფულ სუკ-ის გენერალსა და "სამხედრო საბჭოს" მეთაურს მოაწერინეს ხელი, რომელსაც იმ დროისათვის ლეგიტიმურობის მოჩვენებითი ნიშნებიც კი არ გააჩნდა.**

1992 წლის აგვისტოში გროზნოდან ლიტვაში გავემგზავრე, სადაც პრეზიდენტის დავალებით სეიმის თავმჯდომარეს, **ვიტაუტას ლანდსბერგისს** შევხვდი. ლანდსბერგისმა და აზერბაიჯანის ლიდერმა **აბულფაზ ელჩიბეიმ** პრინციპულობა გამოიჩინეს საქართველოში მომხდარი მოვლენების შეფასებისას, რაც საყოველთაო დუმილისა და მითუმეტეს - "დემოკრატიული რევოლუციით" აღტაცების ფონზე განსაკუთრებით დასაფასებელი იყო. ლანდსბერგისმა საქართველოში შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ საჯაროდ განაცხადა: "საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. ვეჭვობ, რომ შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტი საკმარისი აღმოჩნდება რეჟიმის ლეგიტიმიზაციისათვის." ელჩიბეიმ 1992 წელს, სტამბოლის სამიტის დროს, შევარდნაძისაგან თავი შორს დაიჭირა: "თქვენ ქვეყნის არჩეული ლიდერი არ ხართ და იძულებული ვარ, თქვენთან ურთიერთობისაგან თავი შევიკავო." (ეს ამბავი ბაქოში ყოფნისას მილიმეჯლისის მაშინდელმა თავმჯდომარემ, **ისა ღამბარმა** მიამბო 1992 წლის შემოდგომაზე.). ლიტვა ერთ-ერთი უკანასკნელია ევროპულ ქვეყნებს შორის, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა შევარდნაძის მთავრობასთან. 1992 წლის სა-

პარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ, ოპოზიციაში გადასულმა ლანდსბერგისმა კიდევ უფრო გაამძაფრა თავისი დამოკიდებულება უკანონო რეჟიმის მიმართ.

შეხვედრისას ლანდსბერგის გადავეცი პრზიდენტის მაღლობა აღმოჩენილი მხარდაჭერისათვის. მან თქვა, რომ ეს მაქსიმუმია, რისი გაკეთებაც შეუძლია, რადგან დასავლეთის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულება საქართველოში განვითარებული მოვლენების მიმართ არასახარბიელოა; საპარლამენტო არჩევნებიც კარზე იყო მომდგარი და ლიტვის სახეცვლილი კომუნისტური ოპოზიციის ხმაურიც ამძიმებდა მდგომარეობას; აღნიშნა, რომ კატეგორიულად წინააღმდეგია ძალადობის გზით ხელისუფლებაში მოსულ რეჟიმთან ყოველგვარი ურთიერთობა; თბილად გაიხსენა საქართველოს თანადგომა ლიტვისათვის მძიმე დღეებში 1991 წლის იანვარში, როდესაც სეიმის ირგვლივ, ბარიკადებზე, შტურმის მოლოდინში ხალხი მორიგეობდა (მათ შორის - თითქმის უცვლელად - საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელისმომწერი, ბ-ნი **შალვა ნიკლაური**); გაიხსენა საქართველოდან გაგზავნილი მედიკამენტებითა და სხვა ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული თვითმფრინავიც; დაწვრილებით გამომკითხა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა; თქვა, რომ პარლამენტის დევნილობაში ფუნქციონირების სხვა შემთხვევას არ იცნობს; ძალიან აინტერესებდა სიტუაცია ჩეჩნეთში. ჩემი ჩასვლის ერთ-ერთი მიზანი იმის გარკვევა იყო, თუ რამდენად უსაფრთხო იქნებოდა პრეზიდენტ გამსახურდიასათვის ლიტვის ტერიტორიის სატრანზიტოდ გამოყენება (იმ დროისათვის გროზნოს აეროპორტი რუსების მიერ პრაქტიკულად ბლოკირებული იყო, ერთადერთი თვითმფრინავი ვილნიუსის მიმართულებით დაფრინავდა). პასუხი ასე ჟღერდა: "მოხარული ვიქნები დაგეხმაროთ. საპატიო ყარაულს ვერ შეგპირდებით, მეგობრული შეხვედრა და თავშესაფარი კი გარანტირებული გაქვთ..." ბოლოს წარმატება უსურვა საქართველოს და ჩეჩნეთს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ლანდსბერგისის საპარლამენტო ფრაქციის წევრებმა ლიტვის სეიმში ჩეჩნეთის მხარდამჭერი ჯგუფი შექმნეს, რომელიც ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მოითხოვდა, რისთვისაც ათეულ ათასობით ხელმოწერა მოაგროვა; მათივე მხარდაჭერით ლიტვაში გაიხსნა ჩეჩნეთის რესპუბლიკა-იჩქერიის მუდმივი წარმომადგენლობა, რომელსაც წლების განმავლობაში ქ-ნი **ამენათ საიიევა** ხელმძღვანელობდა.

1992 წლის ნოემბერის შუა რიცხვებში პრეზიდენტმა მითხრა, საერთაშორისო მივლინებისათვის მოვმზადებულიყავი. მე ვუთხარი, რომ არანაირი საბუთი არა მაქვს, გარდა ჩეჩნეთის შსს მიერ შედგენილი პირადობის დამადასტურებელი დროებითი ცნობისა, რომელსაც ჩვეულებრივი პასპორტის დაკარგვის შემთხვევაში გასცემენ ხოლმე. ზვიადის თხოვნით ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ერთ დღეში დამიმზადა საბჭოთა "ნამგალ-უროიანი" უცხოური პასპორტი. ამ დროისათვის საჰაერო ბლოკადა მოიხსნა და გროზნოდან სტამბოლში მეტ-ნაკლები სიხშირით ჩართერული რეისი დაფრინავდა. მივლინების შესახებ ცოლის გარდა არავისთვის მითქვამს. გაფრენის დღეს, 23 ნოემბერს, დილით, ჩეხოვის ქუჩაზე "კოშკში" მივედი დეტალური ინსტრუქციების მისაღებად. გამოირკვა, რომ მარტო არ მივფრინავ და ჩემი თანამგზავრი თავად პრეზიდენტი გამსახურდიაა. გავემართეთ აეროპორტში, ავედით ცარიელ თვითმფრინავში და მფრინავების კაბინაში მოვთავსდით. ცოტა ხანში ჩეჩნეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი **შამსუდდინ იუსეფი*** შემოგვიერთდა, რომელიც სტამბოლში დუდაევის საგანგებო დავალებით მიფრინავდა. ეს რეისი ნახევრადლეგალური იყო და ხან ბაქოს გავლით დაფრინავდა, ხან - პირდაპირ სტამბოლში. ამჯერად საქართველოს სადისპეტჩერო სამსახურმა თვითმფრინავი საქართველოს საჰაერო სივრცეში არ შეუშვა და შემოვლითი გზით - კავკასიონის გაყოლებით - შავი ზღვის გავლით ვიფრინეთ.

სტამბოლში მსხვილი კომპანიის, Aslan Transmarin Shipping Trading and Industry Co. Inc., გენერალური დირექტორი, **აიდინ კუტლუგი** დაგვხვდა და VIP სალონში მიგვიწვია. პასპორტები გამოგვართვეს და რამდენიმე წუთში ჩართყმული ვიზებით დაგვიბრუნეს. იმ დროს თურქეთში პოსტ-საბჭოური სივრცის მოქალაქეებისათვის გამარტივებული, გამოცხადებითი სავიზო რეჟიმი მოქმედებდა. აეროპორტიდან კომპანიის სათაო ოფისისაკენ გავემართეთ, სადაც კომპანიის მფლობელი **იბრაჰიმ ასლანი**, თურქეთის მეჯლისის რამდენიმე წევრი და კომპანიის "თოფ-მენეჯმენტის" სხვა წარმომადგენლები დაგვხვდენ. გაიმართა სახელდახელო სადილი. ასლანი, რომელსაც თურქეთის პრეზიდენტის, **ტურგუტ ოზალის** ოჯახთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდა, რამდენჯერმე იყო ნამყოფი გროზნოში, ერთხელ - ოზალის ვაჟთან ერთად. როგორც ჩანს, ჩეჩნეთთან სერიოზული ინტერესები აკავშირებდა. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტის შესაფერისი დახვედრა მოუწყვეს. კომპანიის მფლობელმა ჰკითხა პრეზიდენტს, თუ რა გეგმები ჰქონდა. ზვიადმა უპასუხა, რომ აქვს მიწვევა გერმანიაში IGFM**-ისაგან და შეძლებისდაგვარად სწრაფად სურს იქ მოხვედრა. თურქმა მასპინძელმა იქვე გაატანა ჩვენი პასპორტები კომპანიის ერთ-ერთ დირექტორს გერმანიის საკონსულოში ვიზების მისაღებად.

სადილზე ერთი საინტერესო ეპიზოდი მოხდა: კომპანიის წარმომადგენელმა გაერთიანებულ სამეფოში, ახალგაზრდა კაცმა სახელად **ზაქარია გუნდოგდუმ** ზვიადს ჰკითხა: "მე წარმოშობით ლაზი ვარ. მართალია, რომ ჩვენ და გურჯები ბიძაშვილები ვართ?" ამაზე ზვიადმა უპასუხა: "მე თავად ლაზი გახლავარ ნახევრად, დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ლაზებითაა დასახლებული და გურჯები და ლაზები ბიძაშვილები კი არა, ერთნი ვართ." აღმოჩნდა, რომ დამხვდურთა ლამის ნახევარი ლაზია, მათ შორის - მეჯლისის წევრებიც. ამ განცხადებით გაამაყებულნი საგრძნობლად გაიშალნენ მხრებში, რაც იბრაჰიმ ასლანს, მგონი, დიდად არ ეპიტნავა. ამასობაში ვიზებზე გაგზავნილი კაცი გაოცებული დაბრუნდა და ამბობს: "კონსულს პირადად შევხვდი. გამსახურდიას გაგონებაზე ნირი ეცვალა და პირდაპირ წამოროშა: მე ამ საკითხს მარტო ვერ გადავწყვეტ, მოსკოვს (და არა ბონს!) უნდა შევუთანხმოო." საერთაშორისო თანამშრომლობის ამ მარგალიტმა საყოველთაო მხიარულება გამოიწვია და ზვიადს გაორმაგებული პატივისცემით მიაჩერდნენ. მასპინძელმა ფრანკფურტში თავის წარმომადგენელს დაურეკა, რომელმაც განაცხადა - პირდაპირ ფრანკფურტში ჩამოფრინდეს და ვიზას აქვე გავაკეთებო. ზვიადმა ეს გაუმართლებელ "ხულიგნობად" ჩათვალა.

დავურეკეთ აილა ნიინიმას ჰელსინკში. მან ყურებს არ დაუჯერა, რომ ზვიადი სტამბოლშია. "თავი დაანებეთ გერმანიას, ჯერ ფინეთში ჩამოდით და მერე ვნახოთ. ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო იმდენადაა დარცხვენილი წინა უარის გამო, რომ რეაბილიტაციის ამ საშუალებას ხელიდან არ გაუშვებს და ვიზას დაუყოვნებლივ მოგცემთ..." მართლაც, დღის ბოლომდე ფინეთის საკონსულოში ვიზები მოგვცეს, მგონი აპლიკაციებიც კი არ შეგვივსია.

ღამე SWISS HOTEL-ში გავათიეთ. დილით, სასტუმროში, საუზმისას, მიმტან კაცს, რომელიც გვემსახურებოდა, სახეზე გაოცება შევამჩნიე, რომელსაც ვერ მალავდა. შემდეგ ჩვენი თანმხლები აიდინ კუტლუგი როგორღაც დაუმარტოხელებია და უკითხავს: ეს მართლა გამსახურდიაა თუ მისი ორეულიაო. საკმაოდ უჩვეულო შემთხვევაა ამ კლასის სასტუმროსათვის, სადაც მომსახურე პერსონალი არავის და არაფერს "არ ამჩნევს".

მასპინძელმა დაგვახვედრა ორი ღია წრიული ავიაბილეთი სტამბოლი-ფრანკფურტი-ჰელსინკი-სტამბოლი (ჩეჩნეთში დაბრუნების ერთადერთ შესაძლებლობად ხომ სტამბოლი რჩებოდა). ამას თან მოჰყვა მოულოდნელი შეთავაზება: უცხოეთიდან ანკარაში დაბრუნებისას პრეზიდენტი ოზალი სტამბოლში რამდენიმე საათით გაჩერდება და შესაძლებელია ხანმოკლე შეხვედრის მოწყობა. ზვიადი სიამოვნებით დათანხმდა და მცირე ხნის შემდეგ იბრაჰიმ ასლანის თანხლებით სტამბოლის სამხედრო აეროდრომისაკენ გავეშურეთ, სადაც ოზალის თვითმფრინავი დაეშვა. ადგილზე რომ მივედით, თვითმფრინავს უკვე ანკარაში გასაფრენად ამზადებდნენ. ასაფრენ ბილიკზე რამდენიმე წუთიანი გულთბილი შეხვედრა შედგა. მე შორიახლოს ვიდექი. ზვიადის გვერდით ტანმორჩილი ოზალი ოდნავ კომიკურად გამოიყურებოდა. "ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან შეხვედრის საშუალება მომეცა," - თქვა ოზალმა და ასლანს მიუბრუნდა: "ყველაფერი გააკეთეთ, რაც ძალგიძთ. მეზობელს გაჭირვებაში უნდა დაეხმარო." აეროდრომიდან რომ ვბრუნდებოდით, მასპინძელმა, რომელიც ძალიან კმაყოფილი ჩანდა, ზვიადს უთხრა: "დაბრუნებისას პრეზიდენტ ოზალთან უფრო ხანგრძლივ და სერიოზულ შეხვედრას მოგიწყობთ ანკარაში."

საღამოს ფრანკფურტის გავლით ჰელსინკში გავფრინდით და დანიშნულების ადგილზე ნაშუაღამევს, 25 ნოემბერს ჩავედით. ჰელსინკის აეროპორტში ზვიად გამსახურდიას რეპორტიორების დიდი ჯგუფი, აილა ნიინიმაა და სხვა ფინელი მეგობრები, იქაური ქართველი ემიგრანტი **რენო სირაძე** და ფინეთში სამკურნალოდ მყოფი პრიმადონნა და უზენაესი საბჭოს წევრი **მაია თომაძე** ელოდებოდნენ.

ზვიადმა კორესპონდენტებს განუცხადა: "ბედნიერი ვარ იმით, რომ ჰელსინკის ვსტუმრობ. ამ ქალაქის სახელთან ბევრი რამ მაკავშირებს, ჰელსინკის შეხვედრის დასკვნით აქტში დეკლარირებულ პრინციპებისათვის ბრძოლას მთელი ცხოვრება შევალიე... იმედი მაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს მოვახერხებთ გავაგებინოთ სიმართლე მსოფლიოს საქართველოში და კავკასიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ..." ...არც ერთი, თუნდაც ირიბი საყვედურის სიტყვა ფინეთის მთავრობის მიმართ.

საქართველოს და ფინეთის ალმებიანი ავტომობილით სატუმრო Holiday Inn-ისაკენ გავემართეთ. მეორე დილით სასტუმროს კონფერენც-დარბაზში დიდი პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც მთლიანად იყო წარმოდგენილი ფინური და ფინეთში აკრედიტებული საინფორმაციო საშუალებები. ზვიადმა განცხადა, რომ საქართველოში მომხდარი გადატრიალება არის **ბუშის**, "მხედრიონის" საპატიო წევრის - **ბეიკერისა** და **გორბაჩოვის** შეთქმულება მის წინააღმდეგ, რომლის უშუალო შემსრულებლები კომუნისტური ნომენკლატურა და ЗакВо-ს საჯარისო ნაწილები იყვნენ. "ესაა ნომენკლატურის რევანში," - თქვა ზვიადმა და მოაყოლა, რომ ეს რევანში არა მარტო ქართული მოვლენაა. "დააკვირდით, - თქვა მან, - თითქმის ყველგან, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ხელისუფლებაში ისევ კომუნისტები დაბრუნდნენ, ამის უახლესი მაგალითი ლიტვაა. დასავლეთის დემოკრატიებს მეტი სიფხიზლე მართებთ." ფინეთში ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე ლიტვაში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, სადაც ბრაზაუსკასმა გაიმარჯვა (თუ არ ვცდები, ტერმინი "ნომენკლატურის რევანში" ზვიადმა პირველად კრისტოფერ სტორის *Soviet Analyst* -ში გამოქვეყნებულ სტატიაში გამოიყენა, რომელიც ასე იყო დასათაურებული.).

ზვიადმა ვრცლად ისაუბრა იმაზე, რომ შევარდნაძის ხუნტამ დაშალა ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა დონის ორგანო, შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას; რომ რეჟიმი უმოწყალოდ უსწორდება კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს მთელ საქართველოში; რომ აფხაზეთში ჯარის შეყვანის ერთადერთი მიზანი იქ ქართული მოსახლეობის მშვიდობიანი დაუმორჩილებლობის კამპანიის დათრგუნვაა; ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი და პარლამენტი არ გადამდგარან და დევნილობაში აგრძელებენ ფუნქციონირებას, რომ ამ ბრძოლის მიზანი არა ხელისუფლების დაბრუნება, არამედ ქვეყანაში კანონიერების აღდგენაა; თქვა, რომ დასავლური პრესა და ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები იშვიათი გამონაკლისების გარდა ყველაფერ ამაზე თვალს ხუჭავენ. "თუ ასე გაგრძელდა, საქართველო მალე სომალის მდგომარეობაში აღმოჩნდება. ერთადერთი გამოსავალი დანაშაულებრივი რეჟიმის საერთაშორისო იზოლაციაა."

ფინეთში ჩასვლისთანავე ზვიადმა შეიტყო ზუგდიდის პოლიციის შენობაში მოწყობილი აფეთქების შედეგად კანონიერი ხელისუფლების რამდენიმე მომხრის, მათ შორის სლავა მინჯიას ვერაგული განადგურების ამბავი, რაც ძალიან განიცადა. პირადი პასუხისმგებლობის ეს გამძაფრებული გრძნობა - ხშირად სრულიად უცნობი ადამიანების მიმართ - მისთვის ბევრჯერ შემიმჩნევია. ეს შემთხვევა ზვიადმა პრესკონფერენციაზეც მოიყვანა, როგორც არსებული რეჟიმის ტერორისტული ხასიათის საილუსტრაციო მაგალითი. AP-ს კორესპონდენტის შეკითხვაზე - "რა რეაქცია გქონდათ ეუთო-ს შეხვედრაზე ფინეთმა ვიზა რომ არ მოგცათ?" - ზვიადმა უპასუხა - "ეს ფინეთის მთავრობის ბრალი არ არის, მსოფლიო მთავრობის გადაწყვეტილებაა."

ფინურმა მედიამ პრესკონფერენცია დეტალურად გააშუქა - იქაურების თქმით - საკმაოდ ობიექტურადაც. ფინური საზოგადოებრივი ტელევიზიის პირველმა არხმა ასეთი კომენტარი მოაყოლა: "გამსახურდიას გადაწყვეტილი აქვს ხელისუფლებაში მშვიდობიანი გზით დაბრუნება. საინტერესოა, არის თუ არა მისი პოზიციები საქართველოში ისეთივე ძლიერი, როგორც მისი სიტყვებია?" პრეს-კონფერენციის ანგარიში და მასალები საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა.

ფინეთში პრეზიდენტ გამსახურდიას ჩასვლას წინ უსწრებდა საინტერესო ეპიზოდი. გავლენით მეორე გაზეთის *Ilta Sanomat*-ის მთავარმა რედაქტორმა, **მარტტი ბაკმანმა** ხანგრძლივ სატელევიზიო გამოსვლაში აღწერა, თუ როგორ გახდა "დიქტატორი" გამსახურდიასა და საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ გაჩაღებული ცილისმწამებლური საერთაშორისო კამპანიის მსხვერპლი და უნებლიე მონაწილე. ამ სატელევიზიო გადაცემის ვიდეოჩანაწერი აილა ნიინიმაამ დაგვახვედრა, რომლის დამსახურება საკუთარ "მოქცევაში" თვით ბაკმანმა დაადასტურა. მისი სიტყვებით, შეხედულების ასეთ მკვეთრ ცვლილებაში ძირითადი როლი იმ ფაქტმა ითამაშა, რომ სუკ-ის გენერლის და "დასავლეთის ფავორიტის" საქართველოში დაბრუნების შემდეგ დასავლურ მედიაში საქართველოზე, სადაც ხალხს პირდაპირ ქუჩაში ხვრეტენ, მხოლოდ პოზიტიური ინფორმაცია ვრცელდება. "ახლა ვხვდები, რომ გამსახურდიას "დიქტატორობა" გულუბრყვილო ხალხზე გათვლილი მედიახრიკი იყო. ვწუხვარ, რომ ამ გულუბრყვილო ხალხის სიაში თავად აღმოვჩნდი. არადა, თავს ასეთად ნამდვილად არ მივიჩნევდი."

საკუთარი გულუბრყვილობის მსხვერპლი ბაკმანი ამჯერად გულახდილობისა და პატიოსნების გამო დაზარალდა. ამ სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ ის მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან გადადგა. როგორც ჩანს, "დიქტატორის" საწინააღმდეგოდ ცურვა" არსად არაა იოლი.

"ფინეთ-საქართველოს საზოგადოების" ოფისში პრეზიდენტ გამსახურდიასა და მარტი ბაკმანს შორის ხანგრძლივი მეგობრული საუბარი შედგა. აისახა თუ არა ეს საუბარი შემდგომ რაიმე სახის პუბლიკაციაში, არ ვიცი.

*გროზნო-სტამბოლი-ჰელსინკი-ვენა-ვილნიუსი-თბილისი*
*1992-2005 წწ.*

გაგრძელება შემდეგ ნომერში

---

* **შამსუდდინ იუსეფი** იორდანული წარმოშობის ჩეჩენია. იორდანიაში მუშაჯირობის დროიდან ჩეჩნების კომპაქტური დიასპორა არსებობს, რომელიც განსაკუთრებული პატივით სარგებლობს, კერძოდ, იორდანიის მეფის პირადი გვარდია ჩეჩნებითაა დაკომპლექტებული, ტანსაცმელიც - კავკასიური ჩოხაა. შამსუდდინ იუსეფის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა არაბულ სამყაროში მისმა კავშირებმა (არსებულმა თუ არარსებულმა?) განაპირობა. იგულისხმებოდა, რომ ამას გარკვეული როლი უნდა ეთამაშა იმ საერთაშორისო იზოლაციის გარღვევაში, რომელშიც ჩეჩნეთი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საქართველოში ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ აღმოჩნდა. იუსეფმა ამ თანამდებობაზე შამილ ბენო შეცვალა, რომელიც გარეგნულად უსაქმური ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა, ხოლო როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, უბრალოდ მოსკოვის სუკ-ის მიერ ჩანერგილი კაცი აღმოჩნდა. ჩეჩნეთის პირველი ომის დაწყებისთანავე შამსუდდინ იუსეფი ღიად განუდგა დუდაევს და დაგმო მისი პოლიტიკა. ის ხალხი, რომელიც ნაკლებად იცნობს ჩეჩნეთს და ჩეჩნურ ხასიათს, ხშირად საუბრობს "პანისლამურ" და "ფუნდამენტალისტურ" განწყობაზე ჩეჩნებში, სადაც ეროვნული სიამაყისა და კავკასიური ერთიანობის განცდა უძლიერესი და წამყვანია (ყოველ შემთხვევაში, იყო ჩემს იქ ყოფნისას). ამის ნათელი ილუსტრაციაა შამსუდდინის "მოღვაწეობასთან" დაკავშირებული ასეთი epizodi: საერთოკავკასიური "წესის" თანახმად, დანიშვნისთანავე მან სამინისტრო იორდანული წარმოშობის ჩეჩნებით აავსო, რამაც იქაურების ხუმრობანარევი გულისწყრომა გამოიწვია. ეს ხალხი იმწამსვე "ბედუინებად" მონათლეს და სხვანაირად აღარც ახსენებდნენ. მაგ. ერთი ნაცნობი ჩეჩენი მეკითხება: "სლუშაი, ტი ნე ვიდელ ნაშიხ ბედუინოვ?"

** **International Geselschaft Fur Menchenrehte** - ფრანკფურტში განლაგებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციაა, უფრო ზუსტად - სხვადასხვა ეროვნულ ორგანიზაციათა გაერთიანება.

# ქალაქ თბილისის საკრებულოს სამართლებრივი აქტები

გადაწყვეტილება N5-26
28 აპრილი 2006 წელი
05.05.066
190 020 020 35 101 008 580

## "ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 2 დეკემბრის N23-2 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის და "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად,

**ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა**

მუხლი 1.
შეტანილ იქნეს ცვლილება "ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2005 წლის 2 დეკემბრის N23-2 გადაწყვეტილებაში და პირველი, მე-5 და მე-7 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით
"მუხლი 1.
განისაზღვროს ქ.თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლები 390,100.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

1. საგადასახადო შემოსავლები 248,000.0 ათასი ლარი
2. არასაგადასახადო შემოსავლები 8,600.0 ათასი ლარი
3. კაპიტალური შემოსავლები 52,000.0 ათასი ლარი
4. შემოსავალი კანონმდებლობით
დაწესებული სხვა შემოსავლებიდან 81,500.0 ათასი ლარი
მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან
მისაღები ტრანსფერი 80,000.0 ათასი ლარი

მუხლი 5.
განისაზღვროს ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 390,100.0 ათასი ლარის ოდენობით.
ქ. თბილისის ბიუჯეტის გადასახდელები ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და ფუნქციონალურ ჭრილში წარმოდგენილია დანართებით 3, 4 და 5.
ქ. თბილისის მერიაში განხორციელებული რეფორმებისა და სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინებით 2006 წლის ბიუჯეტით შემცირებულია საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების - მმართველობის სფეროში დასაქმებულ მოხელეთა საშტატო რიცხოვნობა და შესაბამისი ხარჯები.
საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯებში შრომის ანაზღაურების ფონდში გათვალისწინებულია 12 თვის ხელფასი და პრემირების ფონდი. შრომის ანაზღაურების ფონდში ასევე გათვალისწინებულია ასიგნებები თანამშრომლების სადღესასწაულო დახმარებებისათვის. კერძოდ: "შობა-ახალი წლის", "დედის დღის", "მაცხოვრის აღდგომის", "მარიამობის", "თბილისობის" და "გიორგობის" დღესასწაულებთან დაკავშირებით, ერთ საშტატო ერთეულზე საშუალოდ წელიწადში 1200 ლარის ოდენობით.
2006 წლის 1 იანვრიდან ქ.თბილისის დაფინანსებიდან მოიხსნა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე გადავიდა განათლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხარჯები, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებიდან მოსახლეობის პროგრამული დიალიზით უზრუნველყოფის პროგრამა და გულის თერაპიული და ქირურგიული მკურნალობის პროგრამა, სს თბილგაზის დაფინანსება, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქ. თბილისის სამმართველო.
მუხლი 7.
მიღებულ იქნეს ქ.თბილისის 2006 წლის საქალაქო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები 348,693.4 ათასი ლარის ოდენობით.
ქ. თბილისის საქალაქო ბიუჯეტის შემოსავლები წარმოდგენილია დანართი 2-ით, ხოლო საქალაქო ბიუჯეტის ხარჯები ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და ფუნქციონალურ ჭრილში დანართებით 6, 7 და 8."

მუხლი 2.
"ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 2 დეკემბრის N23-2 გადაწყვეტილების მე-4 მუხლით წარმოდგენილ 1, 2 დანართში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
მუხლი 3.
"ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 2 დეკემბრის N23-2 გადაწყვეტილების მე-12 მუხლით წარმოდგენილ 23-ე დანართში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
მუხლი 4.
გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

**საკრებულოს მდივანი ზურაბ ჟვანია**

დანართი 1
ქ.თბილისის საკრებულოს 2006 წლის აპრილის
№ გადაწყვეტილების

**ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის შემოსავლები**

(ათას ლარებში)

| შემოსავლის კოდი | შემოსავლების დასახელება | 2006 წლის გეგმა |
|---|---|---|
| | **I საგადასახადო შემოსავლები** | **248,000.0** |
| 01 01 00 00 00 | საშემოსავლო გადასახადი | 210,200.0 |
| | **ადგილობრივი გადასახადები მათ შორის:** | **37,800.0** |
| 01 25 00 00 00 | სათამაშო ბიზნესის გადასახადი | 6,800.0 |
| 01 06 00 00 00 | **ქონების გადასახადი მათ შორის:** | **31,000.0** |
| | ა) ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი | 650.0 |
| | ბ) საწარმოთა ქონების გადასახადი | 24,850.0 |
| 01 30 00 00 00 | გ) მიწის გადასახადი | **5,500.0** |
| | სხვა საგადასახადო შემოსავლები | |
| | **II არასაგადასახადო შემოსავლები** | **8,600.0** |
| 02 01 00 00 00 | **მოსაკრებლები აქედან:** | **2,145.0** |
| | **საერთო–სახელმწიფოებრივი მოსაკრებლები მათ შორის:** | **120.0** |
| 02 01 05 00 00 | ა) მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 50.0 |
| 02 01 07 00 00 | ბ) სახელმწიფო ბაჟი | 15.0 |
| 02 01 15 00 00 | გ) სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი (10%) | 55.0 |
| 02 01 00 00 00 | **ადგილობრივი მოსაკრებლები მათ შორის:** | **2,025.0** |
| 02 01 31 01 00 | მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის | 500.0 |
| 02 01 31 05 00 | მოსაკრებელი ადგილობრივი სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვის ნებართვისათვის | 1,350.0 |
| 02 01 31 08 00 | ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი | 150.0 |
| 02 01 30 00 00 | სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი მოსაკრებელი | 25.0 |
| 02 02 00 00 00 | **სახელმწიფო ქონების იჯარიდან მიღებული შემოსავლები მათ შორის:** | **3,238.0** |
| 02 02 01 00 00 | ა) სახელმწიფო ქონების იჯარიდან, მათ შორის სახელმწიფო მიწის და მასთან მყარად დაკავშირებული ქონების იჯარიდან | 180.0 |
| 02 02 02 00 00 | ბ) ადგილობრივი მმართველობის განმკუთვნილობაში არსებული სახელმწიფო ქონების და მიწის იჯარიდან | 3,058.0 |

| შემოსავლის კოდი | შემოსავლების დასახელება | 2006 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 02 05 01 00 00 | **მომსახურების გაწევის საფასურით მიღებული შემოსავლები მათ შორის:** | **1,442.0** |
| 02 08 30 00 00 | ა) შემოსავალი განათლების სფეროში მომსახურების გაწევიდან | 700.0 |
| 02 09 00 00 00 | ბ) შემოსავალი კულტურის სფეროში მომსახურების გაწევიდან | 710.0 |
| 02 10 00 00 00 | გ) შემოსავალი საარქივო მომსახურების გაწევიდან | 10.0 |
| | დ) სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევის საფასურით მიღებული შემოსავლები | 22.0 |
| 03 01 00 00 00 | ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები | 600.0 |
| 03 03 01 01 00 | **ჯარიმებითა და სანქციებით მიღებული შემოსავლები მათ შორის:** | **1,100.0** |
| 03 03 01 02 00 | ა) შემოსავალი ჯარიმებიდან მოძრაობის წესების დარღვევისათვის (60%) | 900.0 |
| 05 01 00 00 00 | ბ) ჯარიმა არქიტექტურულ–სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევებისათვის, სხვა დმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გადახდევინებული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ, სხვა არაკლასიფიცირებული ჯარიმებიდან და სანქციებიდან გადახდევინებული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ | 200.0 |
| 05 01 04 02 02 | შემოსავლები სხვა არაკლასიფიცირებული არასაგადასახადო შემოსავლებიდან | 75.0 |
| 04 01 00 00 00 | **III კაპიტალური შემოსავლები** | **52,000.0** |
| 04 01 04 02 00 | სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | 7,000.0 |
| 02 10 20 02 00 | ადგილობრივი მმართველობის განმგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან | 30,630.0 |
| | საერთო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი (50%) | 20.0 |
| 05 01 06 00 00 | ადგილობრივი მმართველობის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი (50%) | 14,000.0 |
| | ფიზიკური პირისა და კერძო სამართლის იურიდიული პირის სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ადგილობრივი მმართველობის საკუთრების მიწაზე კერძო საკუთრების მინიჭების (გაყიდვის) შედეგად მიღებული შემოსავალი (50%) | 350.0 |
| | **სულ შემოსავლები** | **308,600.0** |
| | **IV შემოსავალი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა არასაგადასახადო შემოსავლებიდან** | |
| 04 01 04 02 00 | ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 80,000.0 |
| 05 01 06 02 00 | ხარჯების დასაფარავად მიმართული წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთი | 1,500.0 |
| | **სულ შემოსულობები** | **390,100.0** |

დანართი 2
ქ.თბილისის საკრებულოს 2006 წლის აპრილის
№ გადაწყვეტილების

ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის შემოსავლები საქალაქო და რაიონული ბიუჯეტების მიხედვით

(ათას ლარებში)

| № | დასახელება | 2006 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 1 | გლდანი–ნაძალადევი | **9,541.3** |
| 2 | დიდუბე–ჩუღურეთი | **6,996.0** |
| 3 | მთაწმინდა-კრწანისი | **6,625.6** |
| 4 | ვაკე-საბურთალო | **7,336.1** |
| 5 | ისან- სამგორი | **10,275.6** |
| 6 | დაბა წყნეთი | **632.0** |
| | სულ რაიონები | **41,406.6** |
| 7 | საქალაქო | **348,693.4** |
| | მათ შორის ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან | **80,000.0** |
| | სულ ქალაქი | **390,100.0** |

დანართი 3
ქ.თბილისის საკრებულოს 2006 წლის აპრილის
№ გადაწყვეტილების

**ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში**

ათას ლარებში

| | დასახელება | წლიური გეგმა |
|---|---|---|
| 01 00 | ქ. თბილისის საკრებულო | **2,969.6** |
| 02 00 | მერიის ადმინისტრაცია | **8,383.8** |
| 03 00 | საფინანსო საქალაქო სამსახური | **825.9** |
| 04 00 | ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური | **5,769.0** |
| 05 00 | კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია | **473.3** |
| 06 00 | ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური | **485.9** |
| 07 00 | განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური | **12,564.4** |
| 08 00 | ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახური | **7,125.7** |
| 09 00 | სპორტის საქალაქო სამსახური | **10,514.4** |
| 10 00 | ზედამხედველობის ინსპექციის საქალაქო სამსახური | **1,541.3** |
| 11 00 | ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური | **1,620.4** |
| 12 00 | თბილისის კორპუსი | **11,676.4** |
| 13 00 | მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური | **304.2** |
| 14 00 | კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური | **185,603.9** |
| 15 00 | თბილწყალკანალი | **40,635.8** |
| 16 00 | მეტროპოლიტენი | **31,750.0** |
| 17 00 | ტრანსპორტის საქალაქო სამსახური | **16,086.4** |
| 18 00 | არქივი | **192.9** |
| 19 00 | სამოქალაქო თავდაცვის სამმართველო | **180.0** |
| 20 00 | წყალში მაშველი სამსახური | **90.0** |
| 21 00 | შინაგან საქმეთა სამმართველო | **1,000.0** |
| 22 00 | ქ. თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური | **3,443.0** |
| 24 00 | ელექტროკავშირი | **100.0** |
| 25 00 | დაზარალებულ თბილისელთა პრობლემების კოორდინაციის კომისია | **801.8** |
| 26 00 | მერის სარეზერვო ფონდი | **3,000.0** |
| 27 00 | 2005 წლის განმავლობაში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა | **1,500.0** |
| 34 00 | ქ.თბილისის მერიის საქალაქო საინფორმაციო სამსახური | **55.3** |
| 28 00 | გლდანი-ნაძალადევის რაიონი | **9,541.3** |
| 30 00 | მთაწმინდა-კრწანისის რაიონი | **6,625.6** |
| 29 00 | დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი | **6,996.0** |
| 31 00 | ვაკე-საბურთალოს რაიონი | **7,336.1** |
| 32 00 | ისანი-სამგორის რაიონი | **10,275.6** |
| 33 00 | დაბა წყნეთი | **632.0** |
| | **სულ ქ.თბილისის ბიუჯეტის ხარჯები** | **390,100.0** |

დანართი 4
ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის აპრილის
№ გადაწყვეტილების

**ქ. თბილისის 2006 წლის ბიუჯეტი ეკონომიკურ ჭრილში**

ათას ლარებში

| ეკონომიკური კოდი | დასახელება | წლიური გეგმა |
|---|---|---|
| | **ქ. თბილისის ბიუჯეტის გადასახდელები** | 390,100.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 4,967.0 |
| | მიმდინარე ხარჯები | 230,747.5 |
| 01 01 00 | შუაშოსიამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 16,325.6 |
| 01 01 01 | ხელფასი | 13,452.6 |
| 01 01 02 | პრემია | 1,173.5 |
| 01 01 04 | დასქმარება | 1,699.5 |
| 01 02 00 | დამქირავებლისგან ანარიცხები | 3,269.8 |
| 01 03 00 | მიღლინება | 330.1 |
| 01 04 00 | სხვა საქონელი და მომსახურება | 40,575.9 |
| 01 04 01 | ოფისის ხარჯები | 1,347.6 |
| 01 04 02 | კომუნალური ხარჯები | 3,318.6 |
| | ელექტროენერგიის ხარჯები | 1,267.1 |
| | წყლის ხარჯები | 769.6 |
| | ბუნებრივი და თხევადი რესურსების ხარჯები | 527.4 |
| | კავშირგაბმულობის ხარჯები | 492.7 |
| | სხვა კომუნალური ხარჯები | 261.8 |
| 01 04 03 | კვების ხარჯები | 254.2 |
| 01 04 05 | რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები | 55.9 |
| 01 04 06 | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 1,059.5 |
| 01 04 07 | სხვა ხარჯები | 34,540.1 |
| 02 00 00 | პროცენტის დაფარვა | 1,650.0 |
| 03 00 00 | სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები | 168,596.1 |
| 03 01 00 | სუბსიდიები | 168,396.1 |
| | მიმდინარე ტრანსფერები | 200.0 |
| | კაპიტალური ხარჯები | 159,352.5 |
| 04 01 00 | მიწა-ბინა-დანადგარების, მოწყობილობების, სატრანსპ. საშ. და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა | 3,890.1 |
| 04 02 00 | შენობა-ნაგებობის შეძენა, მშენებლობა და რეკონსტრუქცია | 21,822.1 |
| 04 03 00 | მიწა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებებისა და შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტი | 133,640.3 |

დანართი
ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის აპრილის
№ გადაწყვეტილების

**ქთბილისის 2006 წლის ბიუჯეტის ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში**

ათას ლარებში

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | მომუშავეთა რიცხოვნობა | წლიური გეგმა სულ | მ.შ. მიმდინარე ხარჯები | მ.შ. კაპიტალური ხარჯები |
|---|---|---|---|---|---|
| **01 00** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **1,116** | **24,029.1** | **18,569.8** | **5,459.3** |
| | წარმომადგენლობითი ორგანოები | 73 | 2,969.6 | 2,869.6 | 100.0 |
| | აღმასრულებელი ორგანოები | 1,027 | 20,866.6 | 15,527.3 | 5,339.3 |
| | არქივი | 16 | 192.9 | 172.9 | 20.0 |
| **02 00** | **თავდაცვა** | **133** | **270.0** | **230.2** | **39.8** |
| | სამოქალაქო თავდაცვა | 133 | 270.0 | 230.2 | 39.8 |
| **03 00** | **საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება** | **-** | **4,136.3** | **4,136.3** | **-** |
| | პოლიციის სამსახურები | - | 1,000.0 | 1,000.0 | - |
| | ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები | | 3,136.3 | 3,136.3 | |
| **04 00** | **განათლება** | **609** | **17,139.6** | **16,406.4** | **733.2** |
| | საგანმანათლებლო დაწესებულებები | **609** | **15,985.4** | **15,956.4** | **29.0** |
| | განათლების მიზნობრივი პროგრამები | | **1,154.2** | **450.0** | **704.2** |
| **05 00** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **-** | **5,200.0** | **5,200.0** | **-** |
| | სამკურნალო ჯანდაცვითი პროგრამები | | **4,026.0** | 4,026.0 | |
| | საზოგადოებრივი ჯანდაცვითი პროგრამები | | **1,134.0** | 1,134.0 | |
| | სხვა ჯანდაცვა | | **40.0** | 40.0 | |
| **06 00** | **სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა** | **100.0** | **45,424.5** | **45,422.2** | **2.3** |
| | სოციალური დაცვის პროგრამები | | **11,044.8** | 11,042.5 | 2.3 |
| | სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული სხვა ძირითადი ჯგუფებით | 100.0 | **34,379.7** | 34,379.7 | |
| **07 00** | **საბინაო კომუნალური მეურნეობა** | - | **231,598.4** | **86,138.5** | **145,459.9** |
| | საბინაო მშენებლობა და კომუნალური განვითარება | | **54,817.2** | 15,379.3 | 39,437.9 |
| | კეთილმოწყობის ღონისძიებები | | **176,781.2** | 70,759.2 | 106,022.0 |
| **08 00** | **დასვენების ორგანიზაცია და საქმიანობა კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში** | **3,009** | **19,832.3** | **13,674.3** | **6,158.0** |
| | **კულტურა** | **3,009** | **9,625.3** | **9,535.3** | **90.0** |
| | კულტურის დაწესებულებები | **3,009** | **6,570.3** | **6,480.3** | **90.0** |
| | კულტურული ღონისძიებები | | **650.0** | **650.0** | |
| | სხვა კულტურული ღონისძიებები | | **1,105.0** | **1,105.0** | |
| | ახალგაზრდული ღონისძიებები | | **1,300.0** | **1,300.0** | |
| | **სპორტი** | **-** | **10,207.0** | **4,139.0** | **6,068.0** |
| | სპორტული დაწესებულებები | - | **4,107.0** | **3,339.0** | **768.0** |
| | სპორტული ღონისძიებები | | **6,100.0** | **800.0** | **5,300.0** |
| **13 00** | **ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება** | **-** | **31,710.0** | **30,210.0** | **1,500.0** |
| 13 06 | ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება, რომელიც არ განეკუთვნება სხვა საქმიანობას | | **31,710.0** | 30,210.0 | 1,500.0 |
| **14 00** | **სხვა მომსახურება, რომელიც არ არის დაკავშირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის ხარჯების სხვა ძირითად განყოფილებებთან** | **-** | **10,759.8** | **10,759.8** | **-** |

გაგრძელება D2 გვერდზე

# ქალაქ თბილისის საკრებულოს სამართლებრივი აქტები

D1 გვერდიდან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | სხვა ხარჯები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის სხვა ძირითადი ჯგუფებით | | 7,759.8 | 7,759.8 | |
| 14 03 | მერიის სარეზერვო ფონდი | | 3,000.0 | 3,000.0 | |
| | **სულ გადასახდელები** | **4,967.0** | **390,100.0** | **230,747.5** | **159,352.5** |

დანართი 5.1
ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის აპრილის
№ გადაწყვეტილების

**ქ.თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯები**

ათას ლარებში

| № | დასახელება | წლიური გეგმა |
|---|---|---|
| | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | 24,029.1 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 1,116.0 |
| | მიმდინარე ხარჯები | 18,569.8 |
| | შუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 10,564.9 |
| | ხელფასი | 7,691.9 |
| | პრემია | 1,173.5 |
| | დახმარება | 1,699.5 |
| | დამქირავებლიდან ანარიცხები | 2,116.7 |
| | მივლინება | 330.1 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 5,358.1 |
| | ოფისის ხარჯები | 1,142.4 |
| | კომუნალური ხარჯები | 1,359.0 |
| | ელექტროენერგიის ხარჯები | 367.1 |
| | წყლის ხარჯები | 233.7 |
| | ბუნებრივი და თხევადი რესურსების ხარჯები | 48.8 |
| | კავშირგაბმულობის ხარჯები | 458.2 |
| | სხვა კომუნალური ხარჯები | 251.2 |
| | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 969.5 |
| | სხვა ხარჯები | 1,887.2 |
| | სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები | 200.0 |
| | მიმდინარე ტრანსფერები | 200.0 |
| | კაპიტალური ხარჯები | 5,459.3 |
| | მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების, სატრანსპ. საშ. და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა | 614.3 |
| | მანქანა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებებისა და შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტი | 4,845.0 |
| I | **წარმომადგენლობითი ორგანოები (ქ.თბილისის საკრებულო)** | 2,969.6 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 73.0 |
| | მიმდინარე ხარჯები | 2,869.6 |
| | შუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 1,351.5 |
| | ხელფასი | 929.0 |
| | პრემია | 142.9 |
| | დახმარება | 279.6 |
| | დამქირავებლიდან ანარიცხები | 270.3 |
| | მივლინება | 100.0 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 947.8 |
| | ოფისის ხარჯები | 160.0 |
| | კომუნალური ხარჯები | 85.0 |
| | კავშირგაბმულობის ხარჯები | 85.0 |
| | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 224.0 |
| | სხვა ხარჯები | 478.8 |
| | სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები | 200.0 |
| | მიმდინარე ტრანსფერები | 200.0 |
| | კაპიტალური ხარჯები | 100.0 |
| | მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების, სატრანსპ. საშ. და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა | 50.0 |
| | მანქანა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებებისა და შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტი | 50.0 |
| II | **აღმასრულებელი ორგანოები სულ** | 20,866.6 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 1,027.0 |
| | მიმდინარე ხარჯები | 15,527.3 |
| | შუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 9,091.3 |
| | ხელფასი | 6,640.8 |
| | პრემია | 1,030.6 |
| | დახმარება | 1,419.9 |
| | დამქირავებლიდან ანარიცხები | 1,821.9 |
| | მივლინება | 230.1 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 4,384.0 |
| | ოფისის ხარჯები | 965.4 |
| | კომუნალური ხარჯები | 1,264.7 |
| | ელექტროენერგიის ხარჯები | 359.6 |
| | წყლის ხარჯები | 232.3 |
| | ბუნებრივი და თხევადი რესურსების ხარჯები | 48.8 |
| | კავშირგაბმულობის ხარჯები | 372.8 |
| | სხვა კომუნალური ხარჯები | 251.2 |
| | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 745.5 |
| | სხვა ხარჯები | 1,408.4 |
| | კაპიტალური ხარჯები | 5,339.3 |
| | მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების, სატრანსპ. საშ. და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა | 544.3 |
| | მანქანა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებებისა და შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტი | 4,795.0 |
| III | **არქივი** | 192.9 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 16.0 |
| | მიმდინარე ხარჯები | 172.9 |
| | შუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 122.1 |
| | ხელფასი | 122.1 |
| | დამქირავებლიდან ანარიცხები | 24.5 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 26.3 |
| | ოფისის ხარჯები | 17.0 |
| | კომუნალური ხარჯები | 9.3 |
| | ელექტროენერგიის ხარჯები | 7.5 |
| | წყლის ხარჯები | 1.4 |
| | კავშირგაბმულობის ხარჯები | 0.4 |
| | კაპიტალური ხარჯები | 20.0 |
| | მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების, სატრანსპ. საშ. და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა | 20.0 |

დანართი 6
ქ.თბილისის საკრებულოს 2006 წლის აპრილის
№ გადაწყვეტილების

**საქალაქო ბიუჯეტის 2006 წლის ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში**

ათას ლარებში

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | წლიური გეგმა |
|---|---|---|
| | **სულ შემოსავლები** | **320,000.0** |
| | **საგადასახადო შემოსავლები** | **223,000.0** |
| | საშემოსავლო გადასახადი | **191,000.0** |
| | მოგების გადასახადი | **-** |
| | სათამაშო ბიზნესის გადასახადი | **5,000.0** |
| | ქონების გადასახადი | **27,000.0** |
| | ფიზიკურ პირთა ქონება | **-** |
| | საწარმოთა ქონება | **-** |
| | მიწის გადასახადი | **-** |
| | **არასაგადასახადო შემოსავლები** | **10,000.0** |
| | მოსაკრებლები | **2,325.0** |
| | სხვა არასაგადასახადო შემოსავლები | **7,675.0** |
| | მ.შ. იჯარა | **3,613.0** |
| | დივიდენდები | **270.0** |
| | მომსახურების გაწევა | **2,467.0** |
| | ჯარიმები და სანქციები | **1,250.0** |
| | სხვა არაკლასიფიცირებული არასაგადასახადო შემოსავლები | **75.0** |
| | **სხვა შემოსავლები** | **-** |
| | **ანგარიშზე არსებული ნაშთი** | **-** |
| | **კაპიტალური შემოსავლები** | **27,000.0** |
| | სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია | **7,000.0** |
| | ადგილობრივი ქონების (მიწის) პრივატიზაცია | **20,000.0** |
| | სხვა კაპიტალური შემოსავლები | **-** |
| | **ტრანსფერი ცენტრალური ბიუჯეტიდან** | **60,000.0** |
| | **სულ ფინანსური რესურსი** | **320,000.0** |
| | | **-** |
| 01 00 | **ქ. თბილისის საკრებულო** | **2,969.6** |
| 02 00 | **მერიის ადმინისტრაცია** | **8,383.8** |
| | აპარატის ხარჯები | **3,483.8** |
| | მერიის შენობის რემონტი | **4,900.0** |
| | იურიდიული მომსახურება | **-** |
| 03 00 | **საფინანსო საქალაქო სამსახური** | **825.9** |
| | აპარატის ხარჯები | **825.9** |
| | ბანკის მომსახურების ხარჯები | **-** |
| 04 00 | **ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური** | **5,769.0** |
| | აპარატის ხარჯები | **269.0** |
| | პროგრამები | **-** |
| | მსოფლიო ბანკის თანადაფინანსება | **5,500.0** |
| | მ.შ. თანადაფინანსება | **1,500.0** |
| | მ.შ. სესხის მომსახურება | **4,000.0** |
| 05 00 | **კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია** | **473.3** |
| | აპარატის ხარჯები | **473.3** |
| | პროგრამის ხარჯები | **-** |
| 06 00 | **ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური** | **485.9** |
| | აპარატის ხარჯები | **485.9** |
| 07 00 | **განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური** | **12,564.4** |
| | აპარატის ხარჯები | **621.2** |
| | განათლების ხარჯები | **2,317.9** |
| | მ.შ. საგანმანათლებლო დაწესებულებები | **1,163.7** |
| | განათლების პროგრამები | **450.0** |
| | სკოლებისა და ბაღების მატ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება | **704.2** |
| | საშუალო სკოლები | **-** |
| | სკოლამდელი აღზრდის საფეხური | **-** |
| | სკოლების და ბაღების კაპიტალური ხარჯები | **-** |
| | კულტურის ხარჯები | **9,625.3** |
| | მ.შ. სამუსიკო სკოლები (32 ობიექტი) | **3,469.0** |
| | მუზეუმები (12 ობიექტი) | **225.9** |
| | თეატრების პროგრამული დაფინანსება | **1,200.0** |
| | ბიბლიოთეკები | **750.4** |
| | ბიგ-ბენდი | **50.0** |
| | კულტურის პროგრამები | **650.0** |
| | ახალგაზრდობის პროგრამები (პატრიოტი და სარუქარი ბავშვებს) | **1,300.0** |
| | სასწავლებლები (5 ობიექტი) | **425.0** |
| | ანსამბლები | **-** |
| | კულტურის ცენტრები | **-** |
| | პანთეონები და ხელოვნების ძეგლები | **35.0** |
| | მუსიკალურ-კულტურული ცენტრი | **450.0** |
| | კულტურის უნივერსიტეტი | **-** |
| | ზოოლოგიური პარკი | **1,000.0** |
| | პარკი მზიური | **70.0** |
| 08 00 | **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახური** | **7,125.7** |
| | აპარატის ხარჯები | **918.7** |
| | ჯანდაცვის პროგრამები | **5,200.0** |
| | მ.შ. სამკურნალო ჯანდაცვითი პროგრამები (დიალიზი, კარდიოქირ.) | **4,026.0** |
| | საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები | **1,134.0** |
| | უპატრონო მიცვალებულთა დამარხვის ხარჯები | **40.0** |
| | სოციალური პროგრამები | **1,007.0** |
| 09 00 | **სპორტის საქალაქო სამსახური** | **10,514.4** |
| | აპარატის ხარჯები | **307.4** |
| | სპორტული სკოლები, ოლიმპიური და სპეციალიზირებული სპორტული ცენტრები | **4,107.0** |
| | სპორტული პროგრამები | **800.0** |
| | სპორტული მოედნების მშენებლობა (მარტივი ტიპის მოედნები) | **5,300.0** |
| | სპორტსმენთა ფინანსური დახმარებები | **-** |
| 10 00 | **ადმინისტრაციული ინსპექცია** | **-** |
| | აპარატის ხარჯები | **-** |
| 10 00 | **ზედამხედველობის ინსპექციის საქალაქო სამსახური** | **1,541.3** |
| | აპარატის ხარჯები | **1,541.3** |
| 11 00 | **ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური** | **1,620.4** |
| | აპარატის ხარჯები | **776.9** |
| | ურბანული დაგეგმარების ხარჯები | **843.5** |
| | კაპიტალური მშენებლობის ხარჯები | **-** |
| | განათლების ობიექტების კაპიტალური შეკეთება | **-** |
| | საგზაო ნიშნების მოწესრიგება | **-** |
| 12 00 | **ენერგეტიკის საქალაქო სამსახური** | **-** |
| | აპარატის ხარჯები | **-** |
| | პროგრამის ხარჯები | **-** |
| 13 00 | **საქალაქო საინფორმაციო სამსახური** | **-** |
| | აპარატის ხარჯები | **-** |
| | პროგრამის ხარჯები | **-** |
| 12 00 | **თბილისის კორპუსი** | **11,676.4** |
| | აპარატის ხარჯები | **176.4** |
| | ლიფტებისა და სახურავების შეკეთების და სხვა ხარჯები | **11,500.0** |
| 13 00 | **მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური** | **304.2** |
| | აპარატის ხარჯები | **304.2** |
| 15 00 | **სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია** | **-** |
| | აპარატის ხარჯები | **-** |
| | პროგრამის ხარჯები | **-** |
| 16 00 | **გარემოს დაცვის კომიტეტი** | **-** |
| | აპარატის ხარჯები | **-** |
| | გამწვანება-განაშენიანების სამუშაოები | **-** |
| 17 00 | **სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სამმართველო** | **-** |
| | აპარატის ხარჯები | **-** |
| 22 00 | ქ. თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური | 3,443.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 38.0 |
| | მიმდინარე ხარჯები | 3,442.0 |
| | მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 215.4 |
| | ხელფასი | 155.3 |
| | პრემია | 47.6 |
| | დახმარება | 12.5 |
| | დაჭირავებლიდან არარიცხები | 43.1 |
| | მივლინება | 22.1 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 25.1 |
| | ოფისის ხარჯები | 1.5 |
| | კომუნალური ხარჯები | 6.6 |
| | ელექტროენერგიის ხარჯები | 1.8 |
| | წყლის ხარჯები | 1.8 |
| | ბუნებრივი და თხევადი რესურსების ხარჯები | 1.8 |
| | კავშირგაბმულობის ხარჯები | 1.2 |
| | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 15.0 |
| | სხვა ხარჯები | 2.0 |
| | სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები | 3,136.3 |
| | სუბსიდიები | 3,136.3 |
| | კაპიტალური ხარჯები | 1.0 |
| | მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების, სატრანსპ. საშ. და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა | 1.0 |
| 22 01 | ქ. თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის აპარატი | 306.7 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 38.0 |
| | მიმდინარე ხარჯები | 305.7 |
| | მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 215.4 |
| | ხელფასი | 155.3 |
| | პრემია | 47.6 |
| | დახმარება | 12.5 |
| | დაჭირავებლიდან არარიცხები | 43.1 |
| | მივლინება | 22.1 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 25.1 |
| | ოფისის ხარჯები | 1.5 |
| | კომუნალური ხარჯები | 6.6 |
| | ელექტროენერგიის ხარჯები | 1.8 |
| | წყლის ხარჯები | 1.8 |
| | ბუნებრივი და თხევადი რესურსების ხარჯები | 1.8 |
| | კავშირგაბმულობის ხარჯები | 1.2 |
| | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 15.0 |
| | სხვა ხარჯები | 2.0 |
| | კაპიტალური ხარჯები | 1.0 |
| | მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების, სატრანსპ. საშ. და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა | 1.0 |
| 22 02 | სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამა | 3,136.3 |
| | მიმდინარე ხარჯები | 3,136.3 |
| | სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები | 3,136.3 |
| | სუბსიდიები | 3,136.3 |
| 24 00 | საქართველოს ელექტროკავშირი | 100.0 |
| | მიმდინარე ხარჯები | 100.0 |
| | სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები | 100.0 |
| | სუბსიდიები | 100.0 |
| 25 00 | დაზარალებულ თბილისელთა კოორდინაციის კომისია | 801.8 |
| | მიმდინარე ხარჯები | 801.8 |
| | მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 1.5 |
| | ხელფასი | 1.5 |
| | დაჭირავებლიდან არარიცხები | 0.3 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 800.0 |
| | სხვა ხარჯები | 800.0 |
| 25 00 01 | დაზარალებულ თბილისელთა კოორდინაციის კომისიის აპარატი | 1.8 |
| | მიმდინარე ხარჯები | 1.8 |
| | მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 1.5 |
| | ხელფასი | 1.5 |
| | დაჭირავებლიდან არარიცხები | 0.3 |
| 25 00 02 | მთაწმინდის რაიონის დაზარალებულ თბილისელთა მატერიალური ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების (სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული) ხარჯები | 800.0 |
| | მიმდინარე ხარჯები | 800.0 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 800.0 |
| | სხვა ხარჯები | 800.0 |
| 26 00 | ქ. თბილისის მერის სარეზერვო ფონდი | 3,000.0 |
| | მიმდინარე ხარჯები | 3,000.0 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 3,000.0 |
| | სხვა ხარჯები | 3,000.0 |
| 27 00 | 2005 წლის განმავლობაში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა | 1,500.0 |
| | მიმდინარე ხარჯები | 1,500.0 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 1,500.0 |
| | სხვა ხარჯები | 1,500.0 |
| 34 00 | ქ.თბილისის მერიის საქალაქო საინფორმაციო სამსახური | 55.3 |
| | მიმდინარე ხარჯები | 55.3 |
| | მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 46.1 |
| | ხელფასი | 46.1 |
| | დაჭირავებლიდან არარიცხები | 9.2 |
| | სულ საქალაქო ბიუჯეტის გადასახდელები | 348,693.4 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 4,598.0 |
| | მიმდინარე ხარჯები | 196,400.2 |
| | მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 14,282.9 |
| | ხელფასი | 11,942.0 |
| | პრემია | 964.2 |
| | დახმარება | 1,376.7 |
| | დაჭირავებლიდან არარიცხები | 2,861.3 |
| | მივლინება | 330.1 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 34,163.3 |
| | ოფისის ხარჯები | 1,120.1 |
| | კომუნალური ხარჯები | 2,765.6 |
| | ელექტროენერგიის ხარჯები | 1,091.8 |
| | წყლის ხარჯები | 712.5 |
| | ბუნებრივი და თხევადი რესურსების ხარჯები | 519.4 |
| | კავშირგაბმულობის ხარჯები | 395.4 |
| | სხვა კომუნალური ხარჯები | 46.5 |
| | კვების ხარჯები | 254.2 |
| | რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები | 55.9 |
| | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 850.2 |
| | სხვა ხარჯები | 29,117.3 |
| | პროცენტის დაფარვა | 1,650.0 |
| | სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები | 143,112.6 |
| | სუბსიდიები | 142,912.6 |
| | მიმდინარე ტრანსფერები | 200.0 |
| | კაპიტალური ხარჯები | 152,293.2 |
| | მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების, სატრანსპ. საშ. და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა | 3,647.0 |
| | შენობა-ნაგებობის შეძენა, მშენებლობა და რეკონსტრუქცია | 21,822.1 |
| | მანქანა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებებისა და შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტი | 126,824.1 |

გაგრძელება D9 გვერდზე

# ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ՈՐՈՇՈՒՄ

DƱ 8338ՀՑՈՏՀՅ6

ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ 8 ՄԱՅԻՍԻ 2006 Թ. N 1104-Ն ՈՐՈՇՄԱՆ ՀԱՎԵԼՎԱԾ

**Հայաստանի Հանրապետության 2006 թվականի հունվարի 1-ից կիրառվող ոռոգման ջրի սակագները**

| N | Ոռոգման ջրի տեսակը | Միավորը | Սակագինը (դրամ) |
|---|---|---|---|
| 1 | Ոռոգման ջուր՝ տրամադրված ոռոգման ցանցերի միջոցով | | |
| | ա) ոռոգման ջուր՝ տրամադրված ոռոգման ցանցերի միջոցով, բացառությամբ սույն կետի բ) ենթակետում նշված դեպքի | 1 խմ | 3.0 |
| | բ) ոռոգման ջուր՝ տրամադրված ոռոգման ցանցերի միջոցով, ոռոգման ժամանակ ոռոգվող հողատարածքի ոռոգման ենթակա ամբողջ տարածքի համար ոռոգման ջրի ծավալի չափման սարքերի բացակայության դեպքում | 1 հա | 3,000.0 |
| 2 | Ոռոգման ջուր՝ տրամադրված ոռոգման ցանցերի միջոցով, ոռոգման ժամանակ ոռոգվող հողատարածքի ոռոգման ենթակա ամբողջ տարածքի համար ոռոգման ջրի ծավալի չափման սարքերի առկայության դեպքում | 1 խմ | 1.0 |
| 3 | Ոռոգման ջուր՝ տրամադրված ոռոգման ցանցերի միջոցով, ոռոգման ժամանակ ոռոգվող հողատարածքի ոռոգման ենթակա ամբողջ տարածքի համար ոռոգման ջրի ծավալի չափման սարքերի բացակայության դեպքում՝ ոռոգման ջրի ծավալի չափման սարքերի առկայության դեպքում՝ ոռոգման ջրի ծավալի չափման սարքերի միջոցով

# ქალაქ თბილისის საკრებულოს სამართლებრივი აქტები

D7 გვერდიდან

| № | დასახელება | წლიური გეგმა |
|---|---|---|
| | მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 46.1 |
| | ხელფასი | 46.1 |
| | დამქირავებლიდან ანარიცხები | 9.2 |
| III | არქივი | 192.9 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 16.0 |
| | მიმდინარე ხარჯები | 172.9 |
| | მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 122.1 |
| | ხელფასი | 122.1 |
| | დამქირავებლიდან ანარიცხები | 24.5 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 26.3 |
| | ოფისის ხარჯები | 17.0 |
| | კომუნალური ხარჯები | 9.3 |
| | ელექტროენერგიის ხარჯები | 7.5 |
| | წყლის ხარჯები | 1.4 |
| | კავშირგაბმულობის ხარჯები | 0.4 |
| | კაპიტალური ხარჯები | 20.0 |
| | მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების, სატრანსპ. საშ. და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა | 20.0 |

დანართი 23
ქ.თბილისის საკრებულოს 2006 წლის აპრილის
№ გადაწყვეტილების

ქ. თბილისის ბიუჯეტის 2006 წლის შემოსავლების
საქალაქო და რაიონულ ბიუჯეტებს შორის განაწილების ნორმატივები

| № | ბიუჯეტების დასახელება | ანარიცხების ნორმატივები პროცენტებში |
|---|---|---|
| 1 | გლდანი–ნაძალადევი | **3.092** |
| 2 | დიდუბე–ჩუღურეთი | **2.267** |
| 3 | მთაწმინდა-კრწანისი | **2.147** |
| 4 | ვაკე-საბურთალო | **2.377** |
| 5 | ისან- სამგორი | **3.330** |
| 6 | დაბა წყნეთი | **0.205** |
| | სულ რაიონები | **13.418** |
| 7 | საქალაქო | **86.582** |
| | სულ ქალაქი | **100.000** |

## გადაწყვეტილება N5-28

28 აპრილი 2006წ.
05.05.06.
010.270.000.35.101.008.582

**უფლებრივი ზონირების დამოუკიდებელი სავალდებულო რუკის (ქ. თბილისის ცენტრალური ნაწილი - ისტორიული ზონა, განაშენიანების რეგულირების ზონა, ვაკე) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 22 ივლისი N16-2 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად**

**ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:**

1. "უფლებრივი ზონირების დამოუკიდებელი სავალდებულო რუკის (ქ. თბილისის ცენტრალური ნაწილი - ისტორიული ზონა, განაშენიანების რეგულირების ზონა, ვაკე) დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2005 წლის 22 ივლისი N16-2 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დანართ 2-ში ("უფლებრივი ზონირების დამოუკიდებელი სავალდებულო რუკა") შევიდეს ცვლილება და ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში კეკელიძის ქუჩისა და ნ. ჟვანიას ქუჩის ტერიტორიისათვის მინიჭებული სტატუსი - სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2) (ბუნებრივი ლანდშაფტის ზონა) შეიცვალოს განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის "სზ-2" კ-1=0.4; კ-2=1.3; სტატუსით.

2. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ბეგაშვილი**
**საკრებულოს მდივანი ზ. ჟვანია**

## გადაწყვეტილება N5-27

28 აპრილი 2006წ.
05.05.06წ.
010.260.050.35.101.008.583

**ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 11 აპრილის N9-1 გადაწყვეტილების "ქ. თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ" ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე**

**"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად**

ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის საკრებულოს 2005 წლის 11 აპრილის N9-1 გადაწყვეტილება "ქ. თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ".

2. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 44-ე მუხლის თანახმად.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ბეგაშვილი**
**საკრებულოს მდივანი ზ. ჟვანია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) აცხადებს ტენდერს ქ. ბათუმში რურუას, კომახიძისა და რუსთაველის ქუჩების ლოკალური საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციისა და საკანალიზაციო ჭების სახურავების შეძენა-მონტაჟის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **3 თვის პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 5 ივნისიდან 2006 წლის 6 ივნისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25. (ქ. ბათუმის საქალაქო მეურნეობის ადგილობრივი სამსახური).**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადოდან), ხოლო ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება რომ არ მიმდინარეობს (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

ე) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 5 ივნისის 16 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმის საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, საინ. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეეძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**6.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მეგრელიშვილი ტ. 7-66-40, **ელ. ფოსტა e-mail:tender-batumi@mail.ru** მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

**სატენდერო კომისია**

## ინფორმაცია

სს "აჭარგაზის" მიერ 2006 წლის 04 მარტს საწარმოო საქონლის - თხევადი გაზის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს "ტაო - 2005" -მა.

**სს "აჭარგაზის" სატენდერო კომისია**

## ინფორმაცია

**სს "აჭარგაზის" მიერ 2006 წლის 04 მარტს საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ორ ეტაპიან ტენდერში გაიმარჯვა შპს "რეალ ქონსალტინგმა".**

**სს "აჭარგაზის" სატენდერო კომისია**

## განცხადებაში ცვლილების შეტანა ორეტაპიანი ტენდერის შესახებ

1) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა გამოაცხადა 2006 წლის 29 აპრილს გაზეთ "24" საათში (N92) ორეტაპიან ტენდერი საპროექტო სამუშაოების შესყიდვისათვის.

2) **საპროექტო სამუშაოები დაიყოს შემდეგი ლოტების მიხედვით:**

| ლოტი | რაიონების დასახელება | აღწერილობა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| **N1** | ქუთაისი, | სპორტული დარბაზი | 1 ც. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **N2** | ჭიათურა | საცურაო აუზი | 1. ც |
| | მესტია | სპორტული დარბაზი | 1. ც. |
| | გურჯაანი | სპორტული დარბაზი | 1. ც. |
| | ლენტეხი | სპორტული დარბაზი | 1. ც. |
| | ლანჩხუთი | საცურაო აუზი | 1. ც. |
| **N3** | სენაკი | სპორტული დარბაზი | 1. ც. |
| | ოზურგეთი | სპორტული დარბაზი | 1. ც. |
| | ზუგდიდი | სპორტული დარბაზი | 1. ც. |
| | ლაგოდეხი | სპორტული დარბაზი | 1. ც. |

## შპს „საქართველოს რკინიგზა" 11 მაისიდან აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ღია ტენდერს 5 ლოტად სამშენებლო სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

**ლოტი 1** - ბათუმის სავაგონო დეპოს ამწყობი საამქროს ხიდური ამწის სავალი ლიანდაგის რკინაბეტონის კოჭებისა და მათი საყრდენი კოლონების კაპიტალური შეკეთება.

**ლოტი 2** - სამტრედიის სავაგონო დეპოში ამწყობი საამქროს იტაკის კაპიტალური შეკეთება; ხაშურის სავაგონო დეპოში ადმინისტრაციული შენიბის I და II სართულის კაპიტალური შეკეთება; თბილისის სავაგონო დეპოში აწევითი-საურიკე საამქროს იატაკის კაპიტალური შეკეთება.

1) სამუშაოს შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

2) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს გადეაცემა სატენდერო დოკუმენტაცია, რომელშეც დაწვრილებით იქნება გადმოცემული ობიექტის მახასიათებლები, ტექნიკური მაჩვენებლები და ნახაზები და ა.შ., ასევე ძირითადი მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

3) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის **5 ივნისს** 9 საათიდან 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველის მოთხოვნებთან.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1 **იურიდიული პირისათვის;**

ა) ნოტარიულად დამოწმებული სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ხელმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

4.1.2. **ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ რომ მის მიართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ;

- ბოლო 5 წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები,აუდიტორიული დასკვნები და ა.შ.)

- ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ.

სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის სახით სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდე სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ შპს "საქართველოს რკინიგზაში" ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში. საკონტაქტო ტელეფონები 56-46-23;

**სატენდერო კომისია.**

## შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს რკინიგზის მფლობელობაში არსებული მიწის ზოლის ტოპო გეოდეზიურ აგეგმვაზე და პალნშტებად ამოგებჭვდის თაობაზე

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ერთ ლოტად. ტოპო გეოდეზიურ აგეგმვაზე 1:1000 მასშტაბში, UTM-ის კოორდინატთა სისტემაში WAS-84-ის ელიფსოიდაზე, როგორც ელექტრონული ვერსია ისე ამობეჭდილ პლანშეტებად, მომსახურეობის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

**1. შესყიდვის ობიექტი :**

**ლოტი №1** ტოპო გეოდეზიური აგეგმვა 1:1000 მასშტაბში, UTM-ის კოორდინატთა სისტემაში WAS-84-ისელიფსოიდაზე, როგორც ელექტრონული ვერსია ისე ამობეჭდილი პლანშეტები.

1. მიწოდების ადგილი - შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს მოთხოვნის შესაბამისად.

2. მიწოდების სასურველი ვადები: პერიოდულად შემსყიდველის მოთხოვნიდან არა უგვიანეს ერთი თვისა;

3. რაოდენობა - 670 ჰექტარი. სამ ეგზემპლიარად;

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **5 ივნისს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის :**

a) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

b) ცნობა სასამართლოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე საგასახადოდან, რომ არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

გ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. *(რომლის ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).*

დ) ინფორმაცია მსგავსი სამუშაოების შერულების შესახებ, მათ შორის შპს „საქართველოს რკინიგზისათვის".

**ფიზიკური პირებისათვის :**

ა) ცნობა სასმართლოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ბ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. *(რომლის ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას)* გ) ინფორმაცია მსგავსი სამუშაოების შერულების შესახებ, მათ შორის შპს „საქართველოს რკინიგზისათვის".

**პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.**

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 46 96;**

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# ქალაქ ბათუმის მთავრობა

1-01-25 / 10-11 N 117 " 25 " აპრილი 2006 წ.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქალაქ ბათუმში, ლ. ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე 355 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, რომელზეც განლაგებული იყო ყოფილი სასწრაფო დახმარების შენობა, საკუთრებაში გადაცემაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია ქალაქ ბათუმში, ლ. ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე 355 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, რომელზეც განლაგებული იყო ყოფილი სასწრაფო დახმარების შენობა, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად, მოსახლეო-ბის გართობისა და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით მოხდეს საკუთრებაში გადაცემაზე კონკურსის გამოცხადება.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანი-შნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის N65 ბრძანების შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მთავრობა ა დ გ ე ნ ს :

1. მოსახლეობის გართობისა და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ ბათუმში, ლ. ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 355 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, რომელზეც განლაგებული იყო ყოფილი სასწრაფო დახმარების შენობა, საკუთრებაში გადაცემის თაობაზე გამოცხადდეს კონკურსი.

2. დამტკიცდეს თანდართული საკონკურსო პირობები.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებული საკონკურსო და კანონმდებ-ლობით გათვალისწინებული სხვა პირობების საფუძველზე შეადგინოს სათანადო საინფორმაციო პაკეტი.

4. ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულმა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიამ პრესაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კონკურსის ორგანიზატორის დასახელება;

ბ) საკონკურსო პირობები;

გ) ძირითადი მახასიათებლები საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტიდან;

დ) განცხადების მიღების დაწყების, დამთავრების და კონკურსის ჩატარე-ბის თარიღები;

ე) კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი შენატანის სახით "ბე"-ს (შემდგომში სადეპონენტო თანხა) ოდენობა;

ვ) კომისიის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;

ზ) განმცხადებელთა წინადადებების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი, დრო და ადგილი.

5. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის, კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომისიის სასარგებლოდ წარმოადგინოს დეპოზიტი 7100 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 355 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის - 142 000 ლარის 5%-ს.

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადების მიღება განხორციელდეს მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "ქალაქ ბათუმში, ლ. ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე 355 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, რომელზეც განლაგებული იყო ყოფილი სასწრაფო დახმარების შენობა, საკუთრებაში გადაცემაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ" ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 11 აპრილის N90 დადგენილება.

8. დადგენილების შესრულება დაევალოს ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და გან-კარგვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა (რ. ჩხაიძე) და კომისიის ტექნიკურ მდივანს (ო. მჟავანაძე).

9. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მერის მოვალეობის შემსრულებელი მურმან ბერიძე

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ლ. ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე 355 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, რომელზეც განლაგებული იყო ყოფილი სასწრაფო დახმარების შენობა, საკუთრებაში გადაცემის მიზნით

**შესავალი**

ქ. ბათუმში, ლ. ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთაში ყოფილი სასწრაფო დახმარების სადგურის ქვეშ არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი კვების უმაღლესი კლასის ობიექტის (რესტორანი) მოწყობის მიზნით, ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 25 აპრილის N117 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ლ. ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთაში მდებარე 355 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გაცემაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, ლ. ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთაში არსებული 355 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემით საზოგადოებრივი კვების უმაღლესი კლასის ობიექტის (რესტორანი) მოწყობა.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ლ. ასათიანისა და მარჯა-ნიშვილის ქუჩების კვეთა;

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - საზოგადოებრივი კვების უმაღლესი კლასის ობიექტის (რესტორანი) მოწყობა;

მიწის ნაკვეთის ფართობი: 355 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 400 ლარი, სულ 142 000 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. ა) მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 400 ლარს, სულ 142 000 ლარს. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით) ასევე პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადასტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.

2. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 7100 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 355 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 142 000 ლარის 5%-ს.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვე-ვაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველ-საყოფად არანაკლებ 100 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 100 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 3 000 ლარის გადახდა.

3. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი კვების უმაღლესი კლასის ობიექტის (რესტორანი) მოწყობა.

4. პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია განახორციე-ლოს მემედ აბაშიძის ქუჩიდან ლუკა ასათიანისა და მარჯანიშვილის ქუჩების კვეთამდე, ასევე ლუკა ასათიანის ქუჩიდან მარჯანიშვილისა და დ. თავდადებულის ქუჩების კვეთამდე არსებული მიმდებარე ტერიტორიის - ტროტუარების კეთილმოწყობა და საცხოვრებელი სახლების ფასადების კეთილმოწყობა (შეღებვა) ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან შეთანხმებით.

5. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა და დასრულოს არაუგვიანეს 20 თვისა.

6. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული ხელშეკრულების გამყიდველის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მყიდველის მიერ საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელებლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა საუკეთესო პროექტის შემოთავაზება. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ საქართველოს მოქალაქეს და საქართველოს კანონმდებლობით შექმნილ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსა-ხური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 15 ივნისს, 1500 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 15 ივნისს, 1600 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# ქალაქ ბათუმის მთავრობა

1-01-25 / 11-10 N 132 " 11 " მაისი 2006 წ.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქალაქ ბათუმში, ჯორჯიაშვილის ქ. N27-ში მდებარე 618 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ ქ. ბათუმის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ჯორჯიაშვილის ქ. N27-ში მდებარე 618 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე კონკურსის გამოცხადება.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანი-შნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის N65 ბრძანების შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მთავრობა ა დ გ ე ნ ს :

1. საცხოვრებელი კომპლექსის შესაბამისი ინფრასტრუქტურით მშენე-ბლობის მიზნით ქ. ბათუმში, ჯორჯიაშვილის ქ. N27-ში არსებულ 618 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე გამოცხადდეს კონკურსი.

2. დამტკიცდეს თანდართული საკონკურსო პირობები.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებული საკონკურსო და კანონ-მდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების საფუძველზე შეადგინოს სათანადო საინფორმაციო პაკეტი.

4. ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულმა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიამ პრესაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კონკურსის ორგანიზატორის დასახელება;

ბ) საკონკურსო პირობები;

გ) ძირითადი მახასიათებლები საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტიდან;

დ) განცხადების მიღების დაწყების, დამთავრების და კონკურსის ჩატარე-ბის თარიღები;

ე) კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი შენატანის სახით "ბე"-ს (შემდგომში სადეპონენტო თანხა) ოდენობა;

ვ) კომისიის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;

ზ) განმცხადებელთა წინადადებების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი, დრო და ადგილი.

5. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კომისიის სასარგებლოდ წარმოადგინოს დეპოზიტი 1174,2 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 618 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის - 23484 ლარის 5%-ს.

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადების მიღება განხორციელდეს მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. დადგენილების შესრულება დაევალოს ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და გან-კარგვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა (რ. ჩხაიძე) და კომისიის ტექნიკურ მდივანს (ო. მჟავანაძე).

8. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სა-მართლოში (ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N5) მისი მხარისათვის კა-ნონ-მდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მერის მოვალეობის შემსრულებელი მურმან ბერიძე

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ჯორჯიაშვილის ქ. N27-ში მდებარე 618 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის მიზნით

**შესავალი**

ქ. ბათუმში, ჯორჯიაშვილის ქ. N27-ში მრავალსართულიანი საცხოვ-რებელი სახლის მშენებლობის მიზნით ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 11 მაისის N132 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, ჯორჯიაშვილის ქ. N27-ში 618 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, ჯორჯიაშვილის ქ. N27-ში მდებარე 618 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემით მოსახლეობის საბინაო- საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით საცხოვრე-ბელი კომპლექსისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ჯორჯიაშვილის ქ. N27.

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის გასხვისების ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - საცხოვრებელი კომპლექსისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 618 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 38 ლარი, სულ 23484 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. ა) მიწის ნაკვეთის საწყისო ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 38 ლარს, სულ 23484 ლარს. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოდგინონ თავიანთი წინადადებები (მათ შორის საცხოვრებელი სახლისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ობიექტების შესახებ).

საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით), პროექტში ასევე გათვა-ლისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ თითოეულ ფურცელზე ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება, რაც დადასტურებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით.

2. ა) კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 1174,2 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 618 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასის 5%-ს.

ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებისაგან გაცემული თანხმობა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულება გასცემს საბანკო გარანტიას კონკურსში გამარჯვებული პირის ვალდებულების უზრუნველ-საყოფად არანაკლებ 50 000 ლარის ფარგლებში, ხოლო გამარჯვებულის გამოვლენის, კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების და შეტყობინების გამარჯვებულის მიერ მიღებიდან 10 საბანკო დღის ვადაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებულის მიერ ნაკისრი ვალდებულება არანაკლებ 50 000 ლარით.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 5000 ლარის გადახდა.

3. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი კომპლექსისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

4. პრეტენდენტი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულია მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მოშენება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მშენებლობა განახორციელოს ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან წინასწარ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

ბ) განახორციელოს ქ. ბათუმის ჯორჯიაშვილის ქ. N27-სა და ჯორჯიაშვილის ჩიხის კვეთაში არსებული ტროტუარის კეთილმოწყობა და გამწვანების სამუშაოების განხორციელება ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან შეთანხმებით.

5. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა და დაასრულოს არაუგვიანეს 20 თვისა.

6. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმები-სათვის ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარ-ჯვებულთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გამყიდველის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მყიდველის მიერ საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელებლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა საუკეთესო პროექტის შემოთავაზება. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, შემოთავაზებული სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული, ასევე კონკურსში გამარჯვე-ბულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო მიწის ნაკვეთზე ასაშენე-ბელი საცხოვრებელი სახლის საერთო ფართიდან ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდისათვის კონკურსში მონაწილეთა მხრიდან მეტი ოდენობის ფართის შემოთავაზება, რომელიც არ უნდა იყოს 20%-ზე ნაკლები.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ საქართველოს მოქალაქეს და საქართველოს კანონმდებლობით შექმნილ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

**6. სხვა პირობები**

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 15 ივნისს, 1500 სთ-ზე.

5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 15 ივნისს, 1600 სთ-ზე.

6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ვაგონის შემყოვნებლების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს ვაგონის შემყოვნებლების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205 საიდენტიფიკაციო კოდი 202886101 და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი : **ვაგონის შემყოვნებელი 3 ცალი;**

3. მიწოდების სასურველი ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში;

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **5 ივნისს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო;

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

***იურიდიული პირებისათვის :***

1. სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

2. ცნობა სასამართლოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

4. სატენდერრო წინადადების უზრუნველყოფისათვის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდე სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას;

5. მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია;

***ფიზიკური პირებისათვის :***

1. ცნობა სასამართლოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

2. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით 1% -იანი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდე სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას;

3. მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 33 51,

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ვაგონის მარაგენაწილების შესყიდვის შესახებ

შპსპ „საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ღია ტენდერს ვაგონის მარაგნაწილების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილების მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი „რესპუბლიკა" ვენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მომართვასთან ერთად შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართ. შპს „საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **ლოტი №1** | | | |
| 1 | კუთხოვანი რკინა | 3X40X40 | 10000 | კბ |
| 2 | კუთხოვანი რკინა | 3X50X50 | 9000 | კბ |
| 3 | კუთხოვანი რკინა | 3X40X63 | 4000 | კბ |
| 4 | კუთხოვანი რკინა | 100X100 | 16000 | კბ |
| 5 | მრგვალი რკინა | დიამეტრით 12 მმ | 1000 | კბ |
| 6 | მრგვალი რკინა | დიამეტრით 10 მმ | 1000 | კბ |
| 7 | მრგვალი რკინა | დიამეტრით 16 მმ | 1250 | კბ |
| 8 | მრგვალი რკინა | დიამეტრით 22 მმ | 1500 | კბ |
| 9 | მრგვალი რკინა | დიამეტრით 30 მმ | 1500 | კბ |
| 10 | მრგვალი რკინა | დიამეტრით 45 მმ | 1500 | კბ |
| 11 | მრგვალი რკინა | დიამეტრით 60 მმ | 1500 | კბ |
| 12 | ფოლადის ფურცელი | სქელფურცლოვანი 2მმ | 2000 | კბ |
| 13 | ფოლადის ფურცელი | სქელფურცლოვანი 4მმ | 2500 | კბ |
| 14 | ფოლადის ფურცელი | სქელფურცლოვანი 6მმ | 3000 | კბ |
| 15 | ლითონის ფურცელი | 5 მმ | 10000 | კბ |
| 16 | ლითონის ფურცელი | 15 მმ | 1000 | კბ |
| 17 | ლითონის ფურცელი | 32 მმ | 1000 | კბ |
| 18 | ცივადეფორმირებული უნაკერო ფოლადის მილები 1/4" | гост 8734-75-1 | 3400 | კბ |
| 19 | ცივადეფორმირებული უნაკერო ფოლადის მილები 3/4" | гост 8734-75-1 | 3000 | კბ |
| 20 | ლითონის მავთული | 6 მმ | 8000 | კბ |
| 21 | არმატურა | 16 მმ | 5000 | კბ |
| 22 | არმატურა | 18 მმ | 5000 | კბ |
| 23 | არმატურა | 20 მმ | 5000 | კბ |
| | **ლოტი №2** | | | |
| 1 | ფიტინგი დიდი | | 150 | ც |
| 2 | ფიტინგი პატარა | | 150 | ც |
| 3 | ფიტინგი საშუალო | | 150 | ც |
| | **ლოტი №3** | | | |
| 1 | ჭანჭიკები (სხვადასხვა) | | 6000 | კბ |
| 2 | ჭანჭიკები მ 20X60 | 20X60 | 600 | კბ |
| 3 | მოქლონები | гост1191-41 52 | 10000 | კბ |
| 4 | შურუპი და ხრახნი | სხვადასხვა | 100 | კბ |
| 5 | შთანმთქმელი აპარატის მოსაჭიმი ჭანჭიკი ქანჩით 106.02.007-0 | 106.02.007-0 | 300 | ც |
| 6 | ზამბარისებური საყელური | 64.02-70 | 500 | |
| | **ლოტი №4** | | | |
| 1 | ტექნიკური გახსებრი ქანებადი | гост 5583-78 | 20000 | კბ |
| 2 | პროპანე ბალონებში | | 6000 | მ³ |
| | **ლოტი №5** | | | |
| 1 | საშემდუღებლო ლჩობილი ფლუსი | гост 9087-81 ан-348 осц-45 | 2000 | კბ |
| 2 | რკინის ფხვნილი | гост 9849-86 | 400 | კბ |
| 3 | შავი მაგნიტური ფხვნილი | ту 6-3605800165-1008-93 | 400 | კბ |
| | **ლოტი№6** | | | |
| 1 | მწვავე ნატრიუმი (კაუსტიკური სოდა) | | 2000 | კბ |
| 2 | ტექნიკური აცეტონი გოსტი 2603-79 | Гост 2603-79 | 100 | კბ |
| 3 | 72%-იანი სამეურნეო მკრეხი საპონი | | 200 | კბ |
| 4 | სარეცხი ფხვნილი | | 800 | კბ |
| 5 | ფისი მფ-17 ან მ-60 | მფ-17 ან მ-60 | 200 | კბ |
| 6 | ბენზინი-გამხსნელი (უაიტ-სპირიტი) | | | |
| | **ლოტი№ 7** | | | |
| 1 | ვაგონის მინჯუგულის ფარანი "შემახტის" ტიპის | | 1000 | ც |
| | **ლოტი№8** | | | |
| 1 | დახერხილი ხე-ტყე | ზომით 6000X250X50მმ | 1000 | მ³ |
| 2 | წებოვანი ფანერა ფსფ მარკის | ფსფ მარკის | 100 | მ² |
| 3 | ხის მასალა დახერხი (წიფელა ან სხვა ძვირ-ფასი ხარისხის) | | 200 | მ³ |
| 4 | წიწვოვანი ჯიშის მრგვალი ხე | სიგრძე-5,5 მ დიამეტრი წვერში-28 სმ | 30 | მ³ |
| 5 | წიწვოვანი ჯიშის დახერხილი ფიცარი ხიდებისათვის | 20X5 | 30 | მ³ |
| 6 | დახერხილი ფიცარი | 20X4 | 3 | მ³ |
| 7 | დახერხილი ფიცარი | 10X10 | 2 | მ³ |
| | **ლოტი№9** | | | |
| 1 | პირდაპირმომჭიდი ჰაერმანაწილებელი | №388 | 100 | ც |
| 2 | პატარა დიაფრაგმა | 388-026 | 135 | ც |
| 3 | დიდი დიაფრაგმა | 388-025 | 135 | ც |
| 4 | მანეტი | | 135 | ც |
| | **ლოტი№10** | | | |
| 1 | ხელის მუხრუჭის მექანიზმის შტურვალი | | 100 | ც |
| 2 | ხელის მუხრუჭის მექა-ნიზმის ჭაიხრახნული სექტორი | | 100 | ც |
| 3 | ხელის მუხრუჭის მექანიზმის ლილვი | | 100 | ც |
| | **ლოტი №11** | | | |
| 1 | სათვალთვალო ხუფი ოთხი ჭანჭიკით 100.10.003- | 100.10.003- | 2700 | ც |
| 2 | სამაგრი ხუფი ოთხი ჭანჭიკით (კ-1) 100.10.002-0 | 100.10.002-0 | 2700 | ც |
| 3 | ლაბირინთული რგოლი | 100.100.15-0 | 400 | ც |
| | **ლოტი №12** | | | |
| 1 | ბუქსის კორპუსი ლაბირინთით | 100.10.020-0 100.10.040-0 | 200 | ც |
| 2 | სათვალთვალო ხუფის შემამჭიდროებელი რეზინის რგოლი | 100.10.006-0 11441-ნ | 2000 | ც |
| 3 | ტორსული ქანი 100.10.012-2 | 100.10.012-2 | 200 | ც |
| 4 | თეფშისებური საჭაგრი საყელური | რუ-1მ 100.10.051-0 | 100 | ც |
| 5 | სარეგულიო თამასა 100.10.004-0 | 100.10.004-0 | 500 | ც |
| 6 | სათვალთვალო ხუფის რეზინის შუასადები | 100.10.005-0 | 4000 | ც |
| | **ლოტი №13** | | | |
| 1 | გორგოლაჭიანი საკისარი 30-42726ე2მ | 30-232726ე2მ | 500 | ც |
| 2 | გორგოლაჭიანი საკისარი 30-232726ე2მ | 30-232726ე2მ | 500 | ც |
| 3 | საკისარის გარე რგოლი 30-42726ე2მ | 30-42726ე2მ | 500 | ც |
| 4 | საკისარის შიდა რგოლი 30-232726ე2მ | 30-232726ე2მ | 300 | ც |
| 5 | ჰოლიამდის სეპარატორი | | 400 | ც |
| | ლოტი№14 | | | |
| 1 | სარეხორო ჩამოკიდების გარე ზამბარა | 100.30.002-0 | 4000 | ც |
| 2 | სარეხორო ჩამოკიდების შიდა ზამბარა100.30.003-0 | 100.30.003-0 | 4002 | ც |
| 3 | ურიკის ფრიქციული სოლი | 100.30.001-0 | 200 | ც |
| 4 | ფრიქციული თამასა 100.00.008-1 | 100.00.008-1 | 300 | ც |
| 5 | ურიკის სრიალას ხუფი | 100.00.030-0 | 200 | ც |
| | **ლოტი№15** | | | |
| 1 | ფრიქციული თამასა მ1698.02.003 | მ1698.02.003 | 2000 | ც |
| 2 | ფრიქციული თამასა მ1698.02.001 | მ1698.02.001 | 500 | ც |
| 3 | შუასადები მ1698.01.005 | მ1698.01.005 | 500 | ც |
| 4 | ტრიანგულის დატანება 100.40.008-2/3 | 100.40.008-2/3 | 50 | ც |
| 5 | რეზინალითონის ცლემენტი | 100.41.010-სბ 100.41.010-2სბ | 1000 | ც |
| 6 | მოსახსნელი შუასადები მ1698.02.100სბ | მ1698.02.100სბ | 2000 | ც |
| 7 | **სამუხრუჭე ხუნდის ბუნიკი** | **100.40.016-0** | | |
| 8 | თუჯის სოლი | 1698.00.002 | 1000 | ც |
| | **ლოტი№16** | | | |
| 1 | ბუნიკის საკიდრის ლილვაკი | 100.40.028-1 | 400 | ც |
| 2 | სამუხ. ბუნიკის საკიდრის რეზინის მილისა | | 6000 | ც |
| 3 | ლითონკერამიკული მილისები | 100.40.031-0 | 2000 | ც |
| 4 | მილისა ფოლადის 100.00.001-0 | 100.00.001-0 | 2000 | ც |
| 6 | მკვდარი წერტილის დამჭერი 100.00.019-0 | 100.00.019-0 | 200 | ც |
| 7 | მკვდარი წერტილის კრონშტეინი №1929 | №1929 | 50 | ც |
| 8 | ტრიანგულის ბუნიკი (მარცხენა,მარჯვენა) 100.40.011-0 100.40.009-0 | 100.40.011-0 | 100 | ც |
| 9 | სამუხრუჭე ბუნიკის საკიდარი | 100.40.080-2 | 400 | ც |
| 10 | ტრიანგულის ნაღმა 100.40.023 | 100.40.023 | 100 | ც |
| | **ლოტი №17** | | | |
| 1 | თუჯის სამუხრუჭე ხუნდი | 100.40.090-0 100.40.015-0 гост 1205-73 | 300 | ც |
| | **ლოტი №18** | | | |
| 1 | კომპოზიციური სამუხრუჭე ხუნდი | მ659-00 სბ | 40000 | ც |
| | **ლოტი №19** | | | |
| 1 | ჰორიზონტალური ბერკეტი | | 500 | კომპ |
| 2 | ვერტიკალური ბერკეტი | | 700 | ც |
| 3 | სამუხრუჭე ბერკეტის საკიდი | | 1000 | ც |
| 4 | ვერტიკალური ბერკეტის გამბჯენი | | 550 | ც |
| 5 | ჰორიზონტალური ბერკეტის საწევარი | | 300 | ც |
| 6 | სამუხრუჭე წევები | | 150 | კომპ |
| | **ლოტი№20** | | | |
| 1 | ავტოგადაბმულობა სა-3, სა-3ი | 106.01.000-0 | 80 | ც |
| 2 | ავტოგადაბმულობის კორპუსი | 106.01.000-0 | 30 | ც |
| 3 | მაცხირებელი კოჭა 106.00.011-0 | 106.00.011-2 | 40 | ც |
| 4 | მაცხირებელი კოჭა 8-ღერძიანი ცისტერნისათვის 518.00.010-9სპ | 518.00.010-9სპ | 20 | ც |
| 5 | ქანქარისებრი საკიდარი 106.00.012-0 | 106.00.012-0 | 190 | ც |
| 6 | ქანქარისებრი საკიდარი 8-ღერძიანი ცისტერნისათვის 518.00.018-4 | 518.00.018-4 | 18 | ც |
| 7 | კლიტე 106.01.002-0 | 106.01.002-0 | 400 | ც |
| 8 | კლიტის დამჭერი 106.01.003-0 | 106.01.003-0 | 200 | ც |
| 9 | კლიტის ამწე 106.01.004-0 | 106.01.004-0 | 200 | ც |
| 10 | ამწის ლილვაკი 106.01.005-0 | 106.01.005-0 | 200 | ც |
| 11 | კლიტის მცველი(საბანაკა) | | 1000 | ც |
| 12 | მაფიქსირებელი კრონშტეინი | 106.00.009-0 | 100 | ც |
| 13 | გადასახსნელი ამრავის ჯაკი ამწის ლილვაკით 106.01.010-0 სპ 48.06.18 | 106.01.010-0 | 100 | ც |
| 14 | გადასახსნელი ამრავის ბერკეტი | 106.00.010-0 სპ 106.00.013-0 | 100 | ც |
| 15 | მაფიქსირებელი კრონშტეინი 106.00.008-0 | 106.00.008-0 | 100 | ც |
| 16 | ქვედა კრონშტეინი მ1695.003 | მ1695.003 | 100 | ც |
| 17 | გაბარტოიანებელი საბჯენი ოსტ24.152.01-92 | ოსტ24.152.01-92 | 70 | ც |
| 18 | სარტყელი რიხტი 270.70.001-0 | 270.70.001-0 | 40 | ც |
| 19 | სარეგულატორი თამასა 106.00.004-0 | 106.00.004-0 | 100 | ც |
| | **ლოტი №21** | | | |
| 1 | შთანმთქმელი აპარატი ნაკრებში | 518.00.018-4 | 200 | ც |
| 2 | შტანმთქმელი აპარატის კორპუსი | 106.00.001-3 | 100 | ც |
| 3 | წყვილის ცალული 106.00.001-1 | 106.00.001-1 | 200 | ც |
| 4 | წინა საბჯენი ოსტ 24.152.01-77 | 24.152.01-77 | 100 | ც |
| 5 | უკანა საბჯენი ოსტ 24.152.01-77 | 24.152.01-77 | 100 | ც |
| 6 | საბჯენი ფილა 106.00.003-0 | 106.00.003-0 | 100 | ც |
| 7 | შთანმთქმელი აპარატის ფრიქციული სოლი 106.02.003-2 126.02.004-0 | 126.02.004-0 | 200 | ც |
| 8 | დასაჭირებელი საყელური 126.02.005-0 | 126.02.005-0 | 80 | ც |
| | **ლოტი №22** | | | |
| 1 | **ჰაერმანაწილებლის მთავარი ნაწილი 270.000** | **270.000** | 380 | ც |
| 2 | მტვერსაწერი ბალე 1497 180.00.00 | | 900 | ც |
| 3 | სამკაპა(573) 573-000-2 | 573-000-2 | 100 | ც |
| 4 | სარქველი ნაკრებში 270.065 | 270.065 | 50 | ც |
| 5 | მარეგულირებელი საბჯენი 270.324 | 270.324 | 20 | ც |
| 6 | ზამბარა 270.321-2 | 270.321-2 | 200 | ც |
| 7 | მიმართველი 270.358 | 270.358 | 150 | ც |
| 8 | სარქველის ბუდე 270.359 | 270.359 | 150 | ც |
| 9 | ზამბარა 270.364 | 270.364 | 200 | ც |
| 10 | სახშობი 270.377-2 270.377-3 270.377-4 | 270.377-3 270.377-4 | 100 | ც |
| 11 | ბუდე 466.016 | 466.016 | 100 | ც |
| 12 | ზამბარა 466.028 | 466.028 | 150 | ც |
| 13 | საბჯენი 270.772 | 270.772 | 100 | ც |
| 14 | საბჯენი 466.031 | 466.031 | 100 | ც |
| 15 | სარქველი ნაკრებში 466.070 | 466.070 | 50 | ც |
| 16 | დიაფრაგმის ქანჩი 66.088-1 | 466.088-1 | 50 | ც |
| 17 | მიმჭერი საყელური 466.009 | 466.009 | 100 | ც |
| 18 | დროსელი 466.033-1 | 466.033-1 | 150 | ც |
| 19 | უნაგირი 466.023 | 466.023 | 50 | ც |
| 20 | მარეგულირებელი საბჯენი 270323 | 270323 | 20 | ც |
| 21 | ზამბარა 270.321-2 | 270.321-2 | 500 | ც |
| 22 | ზამბარა 270322-1 | 270322-1 | 500 | ც |
| 23 | ზამბარა(საპოხი რგოლის ქვედი) 270.328 | 270.328 | 100 | ც |
| 24 | მარეგულირებელი საბჯენი 2703.24 | 2703.24 | 50 | ც |
| 25 | მიმართველი 270.358 | 270.358 | 50 | ც |
| 26 | სარქველის ბუდე 270.359 | 270.359 | 100 | ც |
| 27 | მბიძგარას ბუდე 270.360 | 270.360 | 50 | ც |
| 28 | მბიძგარა 270.361 270.361-1 | 270.361-1 | 50 | ც |
| 29 | სარქველის ბუდე 270.386 | 270.386 | 50 | ც |
| 30 | საბჯენი 270.772 | | 100 | ც |
| 31 | **მაგისტრალური ნაწილი 483.010** | **483.010** | 450 | ც |
| 32 | ზამბარა 270.371 | 270.371 | 500 | ც |
| 33 | ზამბარა 270.605-1 | 270.605-1 | 500 | ც |
| 34 | ზამბარა 305.108 | 305.108 | 500 | ც |
| 35 | ზამბარა 483.004 | 483.004 | 500 | ც |
| 36 | ზამბარა 483.025-2 | 483.025-2 | 500 | ც |
| 37 | ზამბარა 483.055 | 483.055 | 500 | ც |
| 38 | სარქველი 483.080 | 483.080 | 50 | ც |
| 39 | სარქველი 483.090 | 483.090 | 500 | ც |
| 40 | სარქველი 483.110 | 483.110 | 40 | ც |
| 41 | ჰლუნგერი 483.მ120 | 483.მ120 | 200 | ც |
| 42 | ლერო 483.003 | 483.003 | 100 | ც |
| 43 | სახშობი 483.007-2 | 483.007-2 | 20 | ც |
| 44 | სარქველის ბუდე 483მ.012 | 483მ.012 | 50 | ც |
| 45 | დროსელი 483მ.013 | 483მ.013 | 30 | ც |
| 46 | მიმართველი დისკო 483.014 | 483.014 | 100 | ც |
| 47 | უნაგირი 483.023 | 483.023 | 100 | ც |
| 48 | უნაგირი 483.026 | 483.026 | 50 | ც |
| 49 | ქანჩი 483.028 | 483.028 | 50 | ც |
| 50 | ფიქსატორი 483.038 | 483.038 | 50 | ც |
| 51 | გადამრთველის საბჯენი 270.1060-2 | 270.1060-2 | 40 | ც |
| 52 | საბჯენი 270.380-1 | 270.380-1 | 50 | ც |
| 53 | სარქველი 483.015 | 483.015 | 50 | ც |
| 54 | ბუდე 483.027 | 483.027 | 50 | ც |
| 55 | ზამბარა 483.031 | 483.031 | 100 | ც |
| 56 | ბუდე 483.019 | 483.019 | 100 | ც |
| | **ლოტი№ 23** | | | |
| 1 | სამარაგო რუხერეგარი რზ-78ლ | რ7.78.00.00.00 | 190 | ც |
| 2 | სამარაგო რუხერეგარი 135ლ | | 6 | ც |
| 3 | ფილტრი 145.02 სბ | 145.02 სბ | 400 | ც |
| 4 | ზამბარა 295.209 | 295.209 | 200 | ც |
| 5 | ლილვაკი 295.207 | 295.207 | 100 | ც |
| 6 | მილყელი აწყობილი 295.012 | 295.012 | 30 | ც |
| 7 | შუასადები 295.210 | 295.210 | 500 | ც |
| 8 | სახშობი 295.208 | 295.208 | 100 | ც |
| 9 | საცობი 295-105 | 295-105 | 20 | ც |
| 10 | წკერი 295-213 | 295-213 | 400 | ც |
| 11 | მუშა კამერა | | 12 | ც |
| | **ლოტი№24** | | | |
| 1 | სამუხრუჭე ცილინდრი 14" 1888ბ.00 | 1888ბ.00 | 20 | ც |
| 2 | **რგოლი 188.25ა-1** | | | |
| 3 | სამუხრუჭე ცილინდრის დგუში 14" | 188.04ა | 10 | ც |
| 4 | საჭირებელი რგოლი 1888.12 | 1888.12 | 10 | ც |
| 5 | საშორი რგოლი 188-50-1 | 188-50-1 | 50 | ც |
| 6 | მილისი 188.31ა | 188.31ა | 50 | ც |
| 7 | სარეგებელი საყელური 188.48 | 188.48 | 40 | ც |
| 8 | საბჯენი რგოლი 188.42-2 | | 20 | ც |
| 9 | ფილტრი 188.43 | 188.43 | 100 | ც |
| 10 | მომშვები ზამბარა 7170, 188.11 | 188.11 | 30 | ც |
| 11 | სარჭი 188.24 | 188.24 | 10 | ც |
| 12 | სამუხრუჭე ცილინდრის ჭოკის თავი | 188-46-3 188-70,მ | 20 | ც |
| 13 | სმუხრუჭე ცულინდრის დგუში | 519.04 | 2 | ც |
| | ლოტი №25 | | | |
| 1 | ბოლო ორკანი 190სბ | 190სბ | 500 | ც |
| 2 | ბოლო ორკანის კორპუსი 190.01ა | 190.01ა | 50 | ც |
| 3 | მილყელი 190.02ა | 190.02ა | 60 | ც |
| 4 | მრუდხარა 190.04ა | 190.04ა | 50 | ც |
| 5 | მილისი 190.05ა | 190.05ა | 50 | ც |
| 6 | საცობი 372.002-1 | 372.002-1 | 30 | ც |
| 7 | კორპუსი 372.001-1-1 | 372.001-1-1 | 100 | ც |
| 8 | ზამბარა 372.003 | 372.003 | 20 | ც |
| 9 | დემპფერის დგუში 265.237-3 | 265.237-3 | 50 | ც |
| 10 | სახელური 190.07ა | 190.07ა | 200 | ც |
| 11 | გამოშვები ორკანი 383კრ | | 50 | ც |
| | **ლოტი №26** | | | |
| 1 | ვაგონის შემაერთებელი სახელო რ17ბ | гост 2593-82 | 2000 | ც |
| 2 | **ნარჩაკი 49** | гост 2593-82 | 700 | ც |
| 3 | შემაერთებელი თავი 1-ა რ17.010 | гост 2593-82 | 200 | ც |
| 4 | სახელოს ბუნუკი 1-ა რ17-003 | | 200 | ც |
| 5 | რ-17 სამუხრუჭე სახელოს რეზინის მილი | რ-17 | 2000 | ც |
| | **ლოტი №27** | | | |
| 1 | ავტომატური რეგულატორი აწყობილი | 574ბ-000 | 300 | ც |
| | **ლოტი №28** | | | |
| 1 | ზამბარა 574ბ.002-2 | 574ბ.002-2 | 50 | ც |
| 2 | ზამბარა 559.302-01 | 559.302-01 | 100 | ც |
| 3 | ხრახნი 574ბ.001-1 574ბ.001-2 | 574ბ.001-2 | 100 | ც |
| 4 | ქურო 574ა.105 | | 100 | ც |
| 5 | მარეგულირებელი ქანჩი 574ბ.303 | 574ბ.303 | 100 | ც |
| 6 | ქანჩი 574ბ.304 | 574ბ.304 | 100 | ც |
| 7 | ზამბარა 574ბ-305 | 574ბ-305 | 100 | ც |
| 8 | ჭიქა 574ბ.306 | 574ბ.306 | 100 | ც |
| 9 | ღერო 574ბ.307-1 | 574ბ.307-1 | 100 | ც |
| 10 | ხუფი 574.301 | 574.301 | 200 | ც |
| 11 | ჟანგი ნაკრებში მილისასთან 536-050-1 | 536-050-1 | 240 | ც |
| 12 | მილისა 188.31ა | 188.31ა | 200 | ც |
| 13 | დამცავი ქანჩი 574ბ-003-1 | 574ბ-003-1 | 20 | ც |
| 14 | საბჯენი მილისა 574ბ-302 | 574ბ-02 | 20 | ც |
| 15 | ხუფი 574ბ-402-1 | 574ბ-402-1 | 20 | ც |
| 16 | მილისა 574ა-101 | 574ბ-402-1 | 60 | ც |
| 17 | თავი 574ა-102-1 | 574ა-102-1 | 100 | ც |
| 18 | ზამბარა 574ბ.002-2 | 574ბ.002-2 | 100 | ც |
| 19 | ზამბარა 642.006 | 642.006 | 200 | ც |
| 20 | ზამბარა 574ბ.305 | 574ბ.305 | 100 | ც |
| 21 | ხრახნი 642.001 | 642.001 | 100 | ც |
| 22 | ქურო 574ა.105 | 574ა.105 | 200 | ც |
| 23 | მარეგულირებელი ქანჩი 642.003 | 642.003 | 100 | ც |
| 24 | ქანჩი 642.012 642.002 | 642.002 | 50 | ც |
| 25 | ჭიქა 642.004 | 642.004 | 100 | ც |
| 26 | ღერო 642.005 | 642.005 | 120 | ც |
| 27 | ხუფი 642.008 | 642.008 | 200 | ც |
| 28 | ჟანგი ნაკრები მილისასთან 642.301 | 642.301 | 100 | ც |
| 30 | საკისარი 8109 | гост6874-75 | 800 | ც |
| 31 | რგოლი 642.010 642.011 | 642.011 | 100 | ც |
| 32 | თავი 574ა-102 | 574ა-102 | 40 | ც |
| 33 | მილისა 574ბ-101 | 574ბ-101 | 40 | ც |
| 34 | დამცავი მილი 574ბ-102 | 574ბ-102 | 20 | ც |
| 35 | ჟანგი 536-132 | 536-132 | 10 | ც |
| 36 | საბჯენი მილისა 574 ბ-302 | 574 ბ-302 | 20 | ც |
| 37 | ხუფი 574ბ-402-1 | 574ბ-402-1 | 20 | ც |
| 38 | დამცავი ქანჩი 574ბ-003-1 | 574ბ-003-1 | 20 | ც |
| 39 | ხუფი 574ბ.202-2 | 574ბ.202-2 | 40 | ც |
| | **ლოტი №29** | | | |
| 1 | მანეტი 270.769 | 270.769 | 500 | ც |
| 2 | ჰაერმანაწილებლის მანეტი 305.156 | 305.156 | 1000 | ც |
| 3 | დიდი დიაფრაგმა 270-716-2 | 270-716-2 | 500 | ც |
| 4 | შუასადები 270.549 | 270.549 | 500 | ც |
| 5 | შუასადები 305.134 | 305.134 | 500 | ც |
| 6 | სარქველის შემამჭიდროებელი 270.751 | 270.751 | 500 | ც |
| 7 | სარქველის შემამჭიდროებელი 270.753 | 270.753 | 500 | ც |
| 8 | შემამჭიდროებელი 334.1729ა-2 | 334.1729ა-2 | 500 | ც |
| 9 | ჰაერმანაწილებლის მანეტი 270.313 | 270.313 | 500 | ც |
| 10 | ჰაერმანაწილებლის მანეტი 270.317 | 270.317 | 500 | ც |
| 11 | ჰაერმანაწილებლის მანეტი 270.397-3 | 270.397-3 | 500 | ც |
| 12 | დიაფრაგმა 270.773 | 270.773 | 500 | ც |
| 13 | შუასადები 270.549 | 270.549 | 500 | ც |
| 14 | სადები 270.326 | 270.326 | 500 | ც |
| 15 | სადები 270.330-1 | 270.330-1 | 500 | ც |
| 16 | სარქველის შემამჭიდროებელი 270.311 | 270.311 | 500 | ც |
| 17 | სარქველის შემამჭიდროებელი 270.357 | 270.357 | 500 | ც |
| 18 | რგოლი 466.07 | 466.07 | 500 | ც |
| 19 | ჰაერმანაწილებლის მანეტი 305.156 | 305.156 | 500 | ც |
| 20 | ჰაერმანაწილებლის მანეტი 270.313 | 270.313 | 500 | ც |
| 21 | ჰაერმანაწილებლის მანეტი 270.317 | 270.317 | 500 | ც |
| 22 | დიაფრაგმა 270.716-2 | 270.716-2 | 500 | ც |
| 23 | დიაფრაგმა 270.773 270.773-1 | 270.773-1 | 500 | ც |
| 24 | შუასადები 270.549 | 270.549 | 500 | ც |
| 25 | შუასადები 270.326 | 270.326 | 500 | ც |
| 26 | შუასადები 305.155 | 305.155 | 500 | ც |
| 27 | სარქველის შემამჭიდროებელი 270.753 | 270.753 | 500 | ც |
| 28 | შემამჭიდროებელი 334.1729 ა-2 | 334.1729 ა-2 | 500 | ც |
| 29 | შემამჭიდროებელი 014-018-25 | 014-018-25 | 500 | ც |
| 30 | მანეტი 188.22ბ | 188.22ბ | 500 | ც |
| 31 | საცლელი 188.22 | 188.22 | 200 | ც |
| 32 | მტვერდამცავი შემჭიდროება 188.23 | 188.23 | 1000 | ც |
| 33 | შუასადები 8-ღერძიანი ცისტერნისათვის 519.06 16 | 519.06 16 | 20 | ც |
| 34 | შუასადები 188.23 | 188.23 | 500 | ც |
| 35 | შემამჭიდროებელი რგოლი | гост 38-72 „ა" | 1000 | ც |
| 36 | შემამჭიდროებელი 536.114-1 | 536.114-1 | 500 | ც |
| 37 | შემამჭიდროებელი 536-143 | 536-143 | 500 | ც |
| 38 | შემამჭიდროებელი 574ბ.203-1 | 574ბ.203-1 | 500 | ც |
| | **ლოტი №30** | | | |
| 1 | სამუხრუჭე ცილინდრი ნაკრებში | | 130 | ც |
| 2 | სამუხრუჭე ცილინდრის დგუში | | 200 | ც |
| 3 | გამთანაბრებელი დგუშის მანეტი | 135.05.21ა | 200 | ც |
| | **ლოტი №31** | | | |
| 1 | შემამჭიდროებელი რგოლი 574ბ.203-1 | 574ბ.203-1 | 200 | ც |
| 2 | დიდი შუასადები 265.341 | 265.341 | 200 | ც |
| 3 | შემამჭიდროებელი 265.223 | 265.223 | 200 | ც |
| 4 | შემამჭიდროებელი 265.246 | 265.246 | 200 | ც |
| 5 | შემამჭიდროებელი 265ა.269 | 265ა.269 | 200 | ც |
| 6 | შემამჭიდროებელი 265-244ა | 265-244ა | 200 | ც |
| | **ლოტი №32** | | | |
| 1 | **წყვილთვლები (ახალი ფორმირების)რუ-1 ან რუ-1 მ100.10049-0 100.10.013-5 22780-77** | **Гост 22780-77** | 600 | ც |
| | **ლოტი №33** | | | |
| 1 | უნივერსალური ჩამოსახსმელი ხელსაწყობის სარქველი | 916-185-01-461 | 100 | ც |
| 2 | ჩამოსახსმელი ხელსაწყობის სარქველი აწყობილი 100-01/500 | 100-01/500 | 60 | ც |
| 3 | ხუფის კვეი აწყობილი 1001-4/505 | 1001-4/505 | 200 | ც |
| 4 | სპეციალური ხრახნი(დასაჭირებელი) | 1001-5/505 84.04. 1443.01.115 | 200 | ც |
| 5 | ლილვაკი 1001-10/505 840.04.017 | 840.04.017 | 100 | ც |
| 6 | შემამჭიდროებელი სარქველის რგოლი | 1001-13/500 840.04.024 1443.01.102 | 250 | ც |
| 7 | ხუფი აწყობილი 1001-11/505 | 1001-11/505 | 400 | ც |
| 8 | დამცავ-შემშვების სარქვე-ლი აწყობილი | 890.07.000 143.07.000 | 30 | ც |
| | **ლოტი №34** | | | |
| 1 | საჭრისი ფინჯნისებური | ВК-8 ან | 500 | ც |
| 2 | საჭრისი ნახევარმთარისებური | ВК-8 ან | 500 | ც |
| | **ლოტი №35** | | | |
| 1 | ლუქი ნახვარვაგონის | | 1000 | ც |
| 2 | კარი ნახვარვაგონის | | 290 | კომპ |
| 3 | ნახვარვაგონის კარის საბჯენი | | 100 | კომპ |
| | **ლოტი №36** | | | |
| 1 | ბაქნის ბორტი ნამკეტი ლილვაკებით | | 1140 | ც |
| | **ლოტი №37** | | | |
| 1 | ელექტროდი 4-5 მმ | | 8500 | კბ |
| | **ლოტი №38** | | | |
| 1 | სმუხრუჭე ხუნდის სარჭი | 100.40.080-0 гост 1203-75 | 4000 | |
| | **ლოტი №39** | | | |
| 1 | დახარისხებული საწენდი ძონძი | ტუ63-178-77-82 | 800 | კბ |
| | **ლოტი №40** | | | |
| 1 | კონტაქტორები სხვადასხვა | | 200 | ც |
| 2 | იზოლენტა | | 500 | რულ. |
| 3 | შტეფსელი | | 200 | ც |
| 4 | ამომრთველი | | 200 | ც |
| 5 | ვარვარების ნათურა | | 2000 | ც |
| 6 | ლუმინისცენციური ნათურა | | 1000 | ც |
| | **ლოტი №41** | | | |
| 1 | ელგამწარი | სხვადასხვა | 10000 | მ |
| 2 | სპილენძის შავთული | | 10000 | მ |
| | **ლოტი №42** | | | |
| 1 | რეზინის წებო სვ-5 | ვმ-5 | 40 | კბ |
| 2 | წებო 88-ნპ | თუ 2385-003-31854575-2000 | 8 | კბ |
| 3 | ანაერობული წებო ჰერმეტიკა | "სტოპორ-6" | 20 | კბ |
| 4 | ხის წებო | | 1200 | კბ |
| 5 | შპალერის წებო | | 300 | კბ |
| 6 | ჯანგბადი | | 500 | ბალ. |
| 7 | ასბა "გოი" | | 10 | კბ |

cxrili ???

მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი;

მიწოდების სასურველი ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის განმავლობაში;

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **5 ივნისს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ-მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, მე-3 სართული, შპს „საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

a) სარეგიტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

b) ცნობა სასამართლოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე ცნობა საგადასახადოდან, რომ არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

გ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების ვადას.

**ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადწბის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების ვადას.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმემტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში", ტელ 56 33 51;

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომ

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

შაბათ-კვირა, №4
13-14 მაისი, 2006

შაბათის სტუმარი 2

გულახდილად კონკრეტულ შეკითხვებზე კონკრეტული პასუხები 4

დედაქალაქი

აი ია

7

დროთა კავშირი

რატომ ემტერებიან გენიოსები საკუთარ ყურებს? 10

საკითხავი

უჩინარი ქალაქები 12

ავტომობილი

"კავკარო T1" სუპერკარის ფასად



14

ღვინო უნდა დალიოთ ნელა, პატარა ყლუპებით. ამ შემთხვევაში ალკოჰოლის ზემოქმედება უფრო ძლიერია, რადგან იგი კარგად ასწრებს ორგანიზმში გახსნას და პირდაპირ სისხლში გადადის. სამაგიეროდ, პრაქტიკულად გამორიცხულია ე.წ. "პახმელია"...

16

# ქართველი ქალი საუკეთესოთა შორის საუკეთესოა

მაია ჭალაბანიძე

*შეხვედრაზე ერთი საათით ძალიან მშობლიურად და ქართულად დაიგვიანა. მივხვდი, ის არ იქნებოდა ამერიკელი ცნობილი ჰოლივუდური ღიმილით და რესპექტაბელური მეტყველებით. მერე გავიგე, რომ ერთსა და იმავე ქალთან გერმანიაში და საქართველოში სამჯერ გადაიხადა ქორწილი. იქნებ ვინმეს გადაგყრიათ კიდეც თბილისის საცობებში ნერვიულად მოსიგნალე, ქართულ-მძღოლური წესების სრული დაცვით მოსიარულე **კლოდ ზულო**, ამერიკის იურისტთა ასოციაციის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე.*

კლოდ ზულო "24 საათის" გაღში.

იქრა ლილოდიანის ფოტოები

- ჩემი ცოლი ქართველია და მანამდე ორჯერ ვარ საქართველოში ნამყოფი. გვყავს ერთი ქალიშვილი, რომელიც რამდენიმე დღეში შვიდი წლის გახდება. აქ ორი წელია, რაც ვცხოვრობ. მინიმუმ, 1 წელი კიდევ ვიქნები, მერე კონტრაქტი გადაწყვეტს.

**- ნინო სად გაიცანით?**

- გერმანიაში 8 წლის წინ შევხვდი, ის იქ სწავლობდა, მე ვმუშაობდი. ამავე პროექტში მუშაობდა ქართველი გოგონა სოფიკო შუბლაძე, რომელსაც ნინოც იცნობდა, სწორედ სოფიკოსთან შევხვდით ერთმანეთს.

ქორწილი სამჯერ გვქონდა - პირველად გერმანიაში დავქორწინდით. რადგანაც ორივე უცხოლები ვიყავით, საბუთების დროულად გაკეთება არ მოხერხდა და ბოლო წუთს დავქორწინდით, რადგან ნინოს ვიზას ვადა ეწურებოდა. გერმანიაშიც გვქონდა ქორწინების ცერემონიალი - ერთ პარასკევს ლანჩზე მოვაწერეთ ხელი. მეორე ცერემონიალი შაბათ-კვირას დაემთხვა - გერმანულ ეროვნულ სამოსში გამოვეწყვეთ, სტუმრები მოვიწვიეთ და ვიქეიფეთ. მესამედ აქ, საქართველოში დავიწერეთ ჯვარი. ჩოხის ჩაცმა მინდოდა, მაგრამ სიმამრმა არ გინდაო, მითხრა. ქორწილზე ჩემი მშობლები ჩამოვიდნენ, გერმანიიდან მეგობრები გვყავდა მოწვეული.

**- ქართველებმა ერთი ნახვით შეყვარება იციან...**

- ნინოსაც ალბათ ასე დაემართა და არ აღიარებს.

**- მე თქვენზე მინდოდა მეკითხა.**

- ალბათ, მეც... მოდი, ასე ვთქვათ - თავიდანვე დავინტერესდი.

**- გამაცანით საქართველო...**

- ჩემი კოლეგა მეუბნებოდა, ბევრ სხვა ქვეყანაში ვცხოვრობდი, მაგრამ ქართველები ყველაზე უკეთ იღებენ უცხოელებს, უშუალო, გულგახსნილი და მეგობრულები არიან და ალბათ, ხშირად ამიტომაც ხდება შერეული ქორწინება. ეს კონტრასტების ქვეყანაა - მთაც არის და ბარიც, თოვლიც, უდაბნოც, ზღვაც, სინათლეც გაქვთ და ხანდახან სულ არ გაქვთ. ზოგჯერ, ოპტიმიზმით ვარ სავსე და მჯერა, რომ ეს ქვეყანა მალე გახდება თანამედროვე და განვითარებული. მაგრამ, ზოგჯერ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქუჩაში დავდივარ და მანქანები და ადამიანები გზაზე უადგილოდ მიხტებიან, ეს ოპტიმიზმი ქრება.

ერთხელ ჩემს მეგობართან ერთად მივდიოდი მანქანით და ისე დავდიოდი, როგორც აქ არის მიღებული. მეგობარმა მითხრა, სუფთა ქართველივით დადიხარო. სხვა რა გზა მაქვს, თუ გინდა გადარჩე, მანქანა ზუსტად ისე უნდა ატარო, როგორც ამას ქართველი მძღოლები აკეთებენ. როცა მოძრაობის წესებს არღვევენ, კარგი ქართული გინებაც ვიცი.

**- ამერიკაშიც ქართველი მძღოლივით დადიხართ?**

- არა, იქ სხვა სისტემაა.

**- თბილისის და უწესო მძღოლების გარდა ამ ქვეყანაში რა ნახეთ?**

- ვინახულე გუდაური, ბაკურიანი, დავით გარეჯა, ვარძია, უფლისციხე, ბათუმი... მოკლედ, ქართული ბრენდები.

**- ჩვენი პრეზიდენტი ამბობს, რომ ეს არის განსაკუთრებული ქვეყანა, ეთანხმებით?**

- იმას არ ვამბობ, რომ საქართველო დედამიწის ჭიპი გახდება, მაგრამ მგონია, რომ მართლა გახდება განსაკუთრებული ადგილი. ენერგეტიკა, ნავთობი, გაზი, ელექტროენერგია მნიშვნელოვანი ხდება მთელს მსოფლიოში. ამის შესახებ ევროკავშირში ბევრს საუბრობენ. გაზსადენის გამო საქართველო მსოფლიოში მნიშვნელოვან ადგილს მოიპოვებს.

**- საქართველოში რაიმე ახალი თვისებები შეიძინეთ?**

- უარესი მძღოლი გავხდი. იმ ქვეყნიდან ვარ, რომელსაც 200-ზე ცოტა მეტწლიანი ისტორია აქვს. საქართველოში პირველ რიგში, მის სიძველეს ვაფასებ, ყველგან მაქვს ისტორიის შეგრძნება. საქართველო იყო და არის ირანის, თურქეთის, რუსეთის გზაჯვარედინზე და აქ კარგად იგრძნობა სხვადასხვა კულტურების შერწყმა, რაც ამ ქვეყანას ძალიან საინტერესოს ხდის.

როცა კავკასიის ქვეყნების - აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კულტურებს ვაკვირდები, ვხედავ, რომ იქ უფრო მეტია აზიური, საქართველო კი მათგან სრულიად განსხვავებულია. აქ გრძნობ აზიური და ევროპული კულტურების სინთეზს.

ქართველები ხელოვანი ხალხია. უამრავი რამ შეგიძლიათ - ცეკვა, ხატვა, ხელსაქმე, ხელოვნებას ძალიან აფასებთ.

**- ქართული ცეკვა ისწავლეთ?**

- დაახლოებით გამომდის

**- თანამედროვე ხელოვნებაზე რას იტყვით? დადიხართ პრემიერებსა და გამოფენებზე?**

- რამდენჯერმე ვიყავი სუხიშვილების ნაციონალურ ბალეტზე.

მიყვარს მშრალ ხიდზე სიარული და ვცდილობ, დამწყები მხატვრისგან ვიყიდო ნამუშევარი, რომ წავახალისო. დავდივარ გალერეებში.

**- და ბაზარშიც?**

- "დინამოსთან"? კი.

**- როგორ მოგწონთ?**

- ცოტა გიჟია.

**- ვაჭრობა ისწავლეთ?**

- ჰო, აბა... ამ საქმეში აზერბაიჯანში გავიწაფე.

**- აზერბაიჯანლები კარგი ვაჭები არიან, ადვილად აკლებენ ფასებს...**

- მართალია, შენ შენს ფასს ეტყვი, ის თავისას და რაღაცაზე თანხმდებით. ქართველები გეტყვიან - ეს არის ჩემი ფასი და თუ არ გინდა, გაიარეო.

თუ ეკონომიკის განვითარება გინდათ, ფასზე შეთანხმება უნდა ისწავლოთ. კი ხართ შემოქმედი ხალხი, მაგრამ ბიზნესში მაინდამაინც დახელოვნებულები არ ხართ.

**- საქართველოში თავს გადახდენილი თქვენი საყვარელი ისტორია...**

- მოვიფიქრებ... ჩემთვის ერთ-ერთი საინტერესო ისტორია ეს იყო - 2005 წლის თებერვალში ადვოკატთა ასოციაცია ყალიბდებოდა. ერთ დარბაზში უამრავი იურისტი იყო შეკრებილი. საკითხებზე ვერ თანხმდებოდნენ და კამათობდნენ. ამის დაკვირვება ჩემთვის საინტერესო იყო.

**- როგორ კამათობდნენ? საქმეში როგორები არიან ქართველები?**

- საქართველოში ბიზნესი

მრავალფეროვანი არ არის, სულ სამი თუ ოთხი ტიპის საქმიანობაა პოპულარული - რესტორნები, ბენზინგასამართი სადგურები, კაფეები. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ბიზნესგარემო ამის განვითარებას ხელს არ უწყობს.

**- ამერიკაში, ქვეყნის განვითარების დასაწყისში რა ბიზნესები იყო პოპულარული?**

- ამ საკითხში ექსპერტად არ გამოვდგები და არ მინდა ბევრი ლაპარაკი, მაგრამ შედარებაც ცოტა რთულია, რადგან 250 წლის წინ იქ სხვა გარემო იყო. იქ იყო ნაკლები კანონები და უფრო თავისუფალ გარემოში ვითარდებოდა ეკონომიკა, აქ განვითარებას რეგულაციის სისტემა ზღუდავს.

მაშინ NDI-ს რუმინეთის ოფისში ვმუშაობდი. რუმინეთში აშშ-ს ელჩმა თქვა, "ამერიკაში ბიზნესი ასე იწყებოდა" და სამიოდე ფარატინა ფურცელი ააფრიალა. "და ასე იწყება რუმინეთში" და ფურცლების მთელი დასტა გვაჩვენა...

**- საქართველოში რამდენი ფურცლით დაიწყებ ბიზნესს?**

- არ ვიცი, ალბათ, ჯერ კიდევ ბევრით.

**- იურისტი ხართ. ყოველდღიურ, ყოფით უკანონობას როგორ ებრძვით?**

- ამ მხრივ ხან იმედიანი ვარ, ხან - არა. ადამიანები გარემოს ანაგვიანებენ, მანქანიდან გადააგდებენ რაღაცას და სულ არ ფიქრობენ, რომ საკუთარი ოთახის და ბინის გარდა ეს ქალაქი და ქუჩაც მათია. თუ ტურიზმის განვითარება გინდათ, ასე არ უნდა იქცეოდეთ. თქვენ პატარა ქვეყანა გაქვთ და ამას გაფრთხილება უნდა.

**- მეზობლისგან წყალი არ ჩამოგსვლიათ?**

- არა, მაგრამ საშინელი სანახავია, ქუჩის კუთხეებში დაყრილი ნაგავი, რომელსაც ძაღლები ქექავენ და ფანტავენ. მე ზოგჯერ საკმაოდ შორს მიწევს წასვლა ნაგვის გადასაყრელად, მაგრამ ქუჩის კუთხეში ეს არასდროს გამიკეთებია.

**- ძალიან საინტერესო ხალხია თბილისელი ტაქსისტები. აქ მოსვლამდე რამდენი გადაიხადეთ?**

- ქართველი იქნება ეს თუ უცხოელი, ქალებს უფრო უჭირთ ტაქსისტებთან ურთიერთობა. ტაქსისტები, მგონი, ქალებს უფრო ჩაგრავენ. ვაკიდან "თბილისი მერიოტამდე," ჩემს სამსახურამდე, სამ ლარს ვიხდი და ულაპარაკოდ ჩამოვდივარ. როცა ქალები აკეთებენ ამას, შევამჩნიე, რომ ხშირად ეს საკამათო ხდება.

**- გზად მძღოლები რაზე გელაპარაკებიან?**

- როცა იგებენ, რომ ქართული ვიცი, ჩემი წარმოშობისა და ოჯახის შესახებ მეკითხებიან. როცა გაიგებენ, სად ვმუშაობ, იგივე ხელფასიან სამსახურს მთხოვენ.

**- უცხოელი მამაკაცები, რომელთაც ქართველი ცოლები გყავთ, რაზე საუბრობთ? ერთნაირი პრობლემები გაქვთ?**

- ეს უფრო უნივერსალური ამბავია. კონკრეტულად ქართველ ქალებზე არ ვსაუბრობთ. ყველა ეროვნების ქალი კაცებისგან განსხვავებულად ფიქრობს. ჩვენ ვამბობთ, რომ ქალები არიან შეშლილები, ქალები კი პირიქით ამბობენ.

**- ღვინოს კარგად სვამთ?**

- უკანასკნელად დიდი ხნის წინ დავლიე და აღარ მახსოვს.

საკუთარი ქორწილიდან ჩემი ცოლის ნათესავებმა წამიყვანეს სახლში და ისეთი მთვრალები იყვნენ, დაწმუნებული არ ვიყავი, რომ სახლში ცოცხალი მივიდოდი. მძღოლს ხშირად ვახსენებდი, რომ წინ ყურადღებით უნდა გაეხედა. ისინი კი უკან ტრიალდებოდნენ და მეკითხებოდნენ - რაო, რა თქვი?

**- თქვენს ქართულ ქორწილზე გვიამბეთ.**

- ჩემს ქორწილში თამადად იყო ცნობილი მსახიობი ჯემალი, "კავკასიურ ცარცის წრეში" თამაშობს. ის მოკლე-მოკლე სადღეგრძელოებს ამბობდა. ერთ სუფრაზე კი თამადა ისე დიდხანს ლაპარაკობდა, რომ პოლიტიკური ყრილობაზე მეგონა თავი.

**- თამადობა არ გიცდიათ?**

- ეს ქართველების გენეტიკური ნიჭია. ქართველი თამადა სადღეგრძელოს გულიდან ამბობს, მე კი წინასწარ ვფიქრობ, რა უნდა ვთქვა და მგონია, რომ კარგად არ გამომდის.

**- როცა სამშობლოში ბრუნდებით, ამბობთ, გამაგიჟეს ამ ქართველებმაო?**

- ჩემი მშობლებიც ნამყოფი არიან საქართველოში და მეგობრებიც და იციან, რა კარგი ქვეყანაა საქართველო. თან იქ მცხოვრებ ქართველებსაც ვიცნობ.

ჩემი სამსახურის გამო მეუღლესთან ვაშინგტონში 6 წელიწადს ვცხოვრობდი. თავიდან ჩემს ცოლს სულიერად უჭირდა, რადგან არავის იცნობდა. ერთხელ, სამსახურში მიმავალმა, ღამის კლუბთან ვნახე აფიშა "მღერის ირაკლი კაკაბაძე". ნინოს მივწერე, ეს სახელი და გვარი რაღაც ქართულად ჟღერს-მეთქი. იმან მიპასუხა, ჰო, ქართველიაო. ბილეთები დავჯავშნეთ და წავედით. კლუბში არავინ იყო, მაგრამ ჩემმა ცოლმა დამამშვიდა, ნუ გეშინია, მოვლენო. მართლაც, 15 წუთში ოცდაათამდე ქართველი შემოვიდა კლუბში. ეს ის ირაკლი კაკაბაძეა, 202-ზე რომ მიყავდა გადაცემა.

**- ირაკლი მღერის? ეს ჩვენთვის ახალი ინფორმაციაა. თქვენი შვილი რა ენაზე გიხმობთ?**

- მიკვირს, ბავშვები დედ-მამას სახელით რომ მიმართავენ, რადგან ეს ჩემთვის პატივისცემას არ ნიშნავს. ჩემი შვილი დედამისს ნინოს ეძახის, რადგან სახელი მოსწონს. მე კი ინგლისურად მეძახის deddy-ს.

**- განვაგრძოთ ღვინოზე საუბარი.**

- მერე, სად არის აქ ღვინო?

**- ჩვენ ოფისში ვართ... რას ფიქრობენ უცხოელები, ქართული ღვინო შეძლებს ევროპის ბაზარზე გასვლას?**

- ჩემი მეგობრის მამას კახეთში მამული აქვს, სადაც ჩავედით, ყურძენი დავკრიფეთ და დავწურეთ კიდეც. ამ პროცესში მონაწილეობის ბედნიერება მქონდა.

ვფიქრობ, რომ ქართულ ღვინოს ევროპულ ბაზარზე გასვლის აბსოლუტური შანსი აქვს. სამი სახის სასმელიდან - ღვინო, ლუდი და არაყი, ჩემი საყვარელი სახეობა ღვინოა. განსაკუთრებით კი, შავი ღვინო. ზემოთ საქართველოში ბიზნესის ცოტა სახეობებზე ვსაუბრობდი. დავამატებ - სისულელეა მხოლოდ ერთი მთავარი ბაზრის არსებობა ქართული ღვინისთვის მაშინ, როდესაც არსებობს ევროპის, ამერიკის ბაზარი და საერთოდაც ცნობილი ფაქტია, რომ ღვინო კარგად იმ ქვეყანაში იყიდება, სადაც მაღალანაზღაურებადი საზოგადოება ცხოვრობს.

**- თქვენ ამერიკელ მეგობრებს სამშობლოში ქართული ღვინოებით უმასპინძლდებით?**

- ვაშინგტონში ვიცი ერთი მაღაზია, სადაც ქართული ღვინოები იყიდება და სადაც ბოთლი 15-18 დოლარი ღირს. ამერიკელი კი იხდის ამ თანხას ღვინოში, მაგრამ მაინც ცოტათი ძვირია.

**- რუმინეთშიც მუშაობდით. რუმინული ღვინო ქართულისგან ძალიან განსხვავდება?**

- არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო რუმინულ ღვინოს, მაგრამ საქართველოში უფრო კარგად ჩამოყალიბებული სახეობებია. ამ პატარა ქვეყანაში ასეთი მრავალფეროვნება და მეღვინეობის ასეთი მაღალი კულტურა მაოცებს.

**- ქართული ტელეგადაცემების შესახებ რა აზრის ხართ?**

- კომედიებს, საინფორმაციო გადაცემებსა და დოკუმენტურ ფილმებს ვუყურებ. აგრეთვე ვუყურებ ამერიკულ პროექტს, "კანდიდატი."

**- თქვენთვისაც თვალშისაცემია ბევრი სისხლი საინფორმაციო გადაცემებში?**

- ამერიკაშიც ასეა, ცუდი ახალი ამბები კარგად იყიდება. მაგრამ ვფიქრობ, რომ მსხვილი პლანით გვამების ჩვენება კარგი არ არის, ამგვარ კადრებს ამერიკაში არ აჩვენებენ.

**- რამდენ ხანს მოუნდით ქართული ენის შესწავლას?**

- წელიწადნახევარი. მასწავლებელი მყავდა.

**- გიცხოვრიათ და გიმუშავიათ სლოვაკეთში, რუმინეთში, გერმანიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში... გამოდის, ქართველი ქალები ყველაზე ლამაზები არიან?**

- რა გითხრათ...

**- გირჩევთ, კითხვაზე დიდხანს არ იფიქროთ, რადგან ამ ინტერვიუს თქვენი ცოლიც წაიკითხავს...**

- ყველანაირი ქალი მომწონს - თეთრი, შავი, ევროპელი, აზიელი... მაგრამ, ქართველი, რა თქმა უნდა, საუკეთესოთა შორის საუკეთესოა და გთხოვთ, ეს სიტყვები სათაურში დიდი ასოებით გამოიტანოთ.

# კონკრეტულ შეკითხვებზე კონკრეტული პასუხები

ამ კვირაში საზოგადოების ყურადღება ორმა ფაქტმა მიიპყრო. პირველი - ჩოგბურთის კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის თაობაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაკეთებული კომენტარია. მეორე კი დანაშაულში ერთ-ერთი ეჭვმიტანილის სახლში ჩატარებული ჩხრეკა და მისი მოულოდნელი შედეგია...

პირველი. ის, რომ საქართველომ კანონიერ ქურდებს, მათ მიერ ყველა და ყველაფრის კონტროლს, ქურდულ მენტალიტეტს უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა, ამას ყველანი ვხედავთ და გულწრფელად მივესალმებით, მაგრამ ცნობილ ქურდულ ავტორიტეტებს - კალაშოვს, ონიანს, მათი ზეგავლენის ამოძირკვასა და კორტებთან "ეჭვმიტანილების" ჩახოცვას შორის რა კავშირია, ვერაფრით გავიგეთ. კანონიერ ქურდებთან, ცნობილ კრიმინალებთან გამართლებული ბრძოლა, თუნდაც ლომბარდის, ტოტალიზატორის დაყაჩაღებისთვის გამზადებული დამნაშავეების ადგილზე ლიკვიდაციას რატომ ამართლებს? რამდენადაც ვიცით, ნებისმიერი სახის დანაშაულს შესაბამისი მუხლი უდგება, სასჯელი ემუქრება, მაგრამ ათობით ტყვიით ხალხმრავალ ადგილზე "ლიკვიდაციას", მგონი, არც ერთი მათგანი არ ითვალისწინებს.

კონკრეტულ ფაქტს კონკრეტული კომენტარი ჭირდება, თორემ ისე გამოდის, რომ "мы о Иване, а вы о болване". ეს კი, ცოტა არ იყოს, შეურაცხმყოფელია.

მეორე. კაფე "დელმარში" მომხდარ საზარელ შემთხვევას მოყოლილი მეორე "უბედური" შემთხვევა კი, უკვე ცოტა ტრაგი-კომიკურად გამოიყურება. ტრაგიკულად იმიტომ, რომ ჩხრეკაში მონაწილე ერთ-ერთი პოლიციელი მძიმედ დაიჭრა. კომიკურად კი იმიტომ, რომ პოლიცია იმდენად აშვებულად, უაზროდ, ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე ყველა მიმართულებით ისვრის, რომ ახლა უკვე ერთმანეთსაც დაერივნენ. თუ "ეჭვმიტანილი" პოლიციას ნებაყოფლობით ჩაბარდა და მის სახლში, ალბათ, ბუნებრივია, ჩხრეკა უნდა ჩატარებულიყო, ათობით ნიღბიანი, კბილებამდე შეიარაღებული, იარაღშემართული პოლიციელების შევარდნა, ჩხრეკის დაწყებამდე სროლა რაღა საჭირო იყო? ოღონდ ისროლონ და სულ ერთია, სახლში მარტო ქალები, ბავშვები თუ საკუთარი კოლეგებია?

ორივე შემთხვევაში, ძალიან გთხოვთ, სიტყვას ბანზე ნუ გვიგდებთ, რასაც გეკითხებით, რაც გვაინტერესებს, გვაეჭვებს, იმაზე გვიპასუხეთ. ან პოლიციის სისასტიკის აუცილებლობაში მყარად დაგვარწმუნეთ, ან თუნდაც, გამოუსწორებელი შეცდომა ერთხელ მაინც გულწრფელად აღიარეთ. სათაკილო ამაში არაფერია.

# ანაქრონიზმის დრო არ დამთავრდა?

ალბათ გაგიკვირდებათ იმის დაჯერება, წარმოდგენა, რომ საქართველოში დღეს ყველა სფეროში მიმდინარე რეფორმების, სიახლეების, ცვლილებების მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს ისეთი სფეროები, დაწესებულებები, კოლექტივები, მათი ხელმძღვანელები, მუშაობის, აზროვნების სტილი, სადაც ახლებურმა ნიავმა არამცთუ ვერ შეაღწია, მეტიც, დრო თითქოს გაჩერდა და იქ ჯერ კიდევ ავადხსენებული განუკითხაობის 90-იანი წლები მძვინვარებს. წლები, როდესაც ყველას ყველაფრის "დათრევა", შესყიდვა, გაყიდვა, გაუფასურება, საკუთარ ინტერესებში გამოყენება, სხვის სახელზე გაფორმება, იჯარით გაცემა და ფულის ჯიბეში ჩადება (თითქოს მამა-პაპის დანატოვარია), სტატუსის შეცვლა შეეძლო და ამისთვის მხოლოდ ერთი მაღალჩინოსანი გავლენიანი ნათესავი, ერთ-ორ ჯიბეში ჩადებული ქრთამი, მაქინაციების წილში გაყვანილი ბიუროკრატი იყო საკმარისი.

არ გჯერათ? მაშინ ქიქოძის ქ. №18-ში (ყოფ. მახარაძის ქუჩა) მიბრძანდით, სადაც წლების განმავლობაში შალვა დადიანის სახელობის ხელოვნების მუშაკთა სახლი არსებობდა, დღეს აბრაც ჩამოხსნილია, დადიანის სახელი კი ვინმე ციალა ჯაფარიძემ შეანაცვლა და ამჟამად ძეგლთა ნუსხაში შეტანილ ამ შენობაში კულტურის ცენტრის ნაცვლად, არც მეტი არც ნაკლები, ციალა ჯაფარიძის სახელობის სახელოვნებო სკოლა-ლიცეუმია გახსნილი. თუ გახსოვთ, 90-იან წლებში ნებისმიერი ფუნქციისა და ღირებულების შენობაში იჯარით გაცემული ოთახების, სართულების პარალელურად ერთი რესტორნის გახსნაც, ფაქტობრივად, აუცილებელი პირობა იყო. თუ სამხატვრო აკადემიაში "დედა ზოიას" დუქანი იყო, დადიანის სახელობის კულტურის სახლი გამონაკლისი ხომ არ იქნებოდა. ერთი პატარა სხვაობით - აკადემიაში "დედა ზოია" აღარ მასპინძლობს, ხელოვნების მუშაკთა სახლში დღესაც არსებულ რესტორანში კი ციალა ჯაფარიძე სიამოვნებით გაგიმასპინძლდებათ. ვაი, რომ ამ რესტორანში ხელოვნების მუშაკები ნაკლებად დადიან!

ნებისმიერ საშუალო ასაკის თბილისელს შესანიშნავად ახსოვს ხელოვნების მუშაკთა სახლში როგორი კონცერტები, პოეზიის საღამოები, გამოფენები, სამხატვრო აუქციონები და, უბრალოდ, შემოქმედებითი შეხვედრები იმართებოდა. ყველას ახსოვს ამ სახლში სხვადასხვა ტიპის საღამოებსა და შეხვედრებს მედეა ძიძიგური როგორ აწყობდა, მასპინძლობდა. ხელოვნების მუშაკთა სახლთან მიმდებარე, მისი კუთვნილი და როგორც ყველაფერი 90-იანებში, ფორმალურ ფასად გაყიდული კინოთეატრიც გვახსოვს. ყველაფერი გვახსოვს, მაგრამ, ვერაფრით გაგვიგია, რა ხდება კულტურის ამ ერთ-ერთ კერაში დღეს. ციალა ჯაფარიძის სახელობის სკოლაში ვის მიერ, რა და როგორ ისწავლება? რამდენად გამოადგება მომავალ ქართულ კულტურას იქ აღზრდილი თაობები? რა ღირებულებებს ეყრდნობა იქ მიმდინარე პროცესები, თუ, ასე, გვერდიდან ეს ღირებულებები, ფასეულობები, მორალი, მაპატიეთ, მაგრამ სერიოზულ ეჭვს იწვევს. და ბოლოს, ვის რა დაუშავა შალვა დადიანმა და მის სახელს ციალა ჯაფარიძის სახელი ვინ ამჯობინა?

ყველაფერი გვახსოვს, დღესაც ყველაფერი ვიცით და, რაც მთავარია, ვიცით, რომ გარეთ არა განუკითხაობის 90-იანი წლებია, როდესაც ხელოვნების მუშაკთა სახლის სტატუსის შეცვლა, მისი შპს-თ გადაკეთება, გაყიდვა ან მრავალწლიანი იჯარით გაცემა სრულიად მარტივი, ტიპური იქნებოდა, არამედ, საბედნიეროდ, ახლა 2006 წელია და თავის მოგონებებს, კუთვნილსა და ღირებულს საზოგადოება ასე იოლად აღარ თმობს. არც შალვა დადიანის სახელს შეალახინებს ან შეანაცვლებინებს ვინმეს. არც გაუფასურებულ ღირებულებებზე, მორალზე აღაზრდევინებს თაობებს. არც ქართული კულტურით სპეკულაციისა და მანიპულირების უფლებას მისცემს წარსული დროის ანაქრონიზმებს.

# სახლის შენებას რა უნდა?

სანტიაგო კალატრავას "TURNING TORSO". "ტორსი ბრუნვაში"

ქართველები რომ ნიჭიერი ხალხი ვართ, ამაში ეჭვი არასდროს მეპარებოდა, მაგრამ ახლებურმა ცხოვრებამ, რეალობამ, მოთხოვნებმა ჩვენში სრულიად ახალი "ტალანტები" აღმოაჩინა, ახლებური "მორალი" განავითარა. თურმე ყველა სიკეთესთან ერთად, გადახატვის დიდოსტატებიც ვყოფილვართ! კლასიკური პლაგიატის არაერთი თვალნათელი მაგალითების მოყვანა შეიძლება, განსაკუთრებით, თანამედროვე ქართულ არქიტექტურაში. თუმცა, რაც არქიტექტურას შეეხება, აქ თავისებური გამართლების თუ არა, ახსნის მოძებნა შეიძლება. ბოლო პერიოდში ყველაფერი დასავლურის ფეტიშს ქართველმა არქიტექტორებმა თავისებური ხრიკი-გამოსავალი მოუძებნეს და ყველაფერს "заморский"-ს ბუმს "заморский"-ს გადახაზვა-მოპარვითვე უპასუხეს.

პლაგიატი, ნებისმიერ დარგში, ოდითგან არცთუ მოსაწონ ქმედებად ითვლებოდა და დარწმუნებული ვარ, დღესაც ითვლება, მაგრამ მაშინ, როდესაც ბოლო წლების მშენებლობათა უმრავლესობის სიმახინჯე, უკანონობა მხოლოდ არქიტექტორებს დაბრალდა; მაშინ, როდესაც გაჩნდა უცნაური აზრი, რომ "საქართველოში არქიტექტორები არ არიან"; მაშინ, როდესაც ყოველ ნაბიჯზე ნიშნის მოგებით ისმის "დანიელი, ბელგიელი, ფრანგი... არქიტექტორი ჩამომყავს", რაც დამკვეთ-დამამტკიცებლისთვის ასპროცენტიანი ხარისხის ნიშნის ტოლფასია, რა უნდა მოიმოქმედონ ქართველმა არქიტექტორებმა? რა და მორალურ-პროფესიულ ჩარჩოებზე უარი თქვან და მოხერხებულ "აქსისს" მიბაძონ. არ მოგწონთ ჩვენი?! "заморский" გნებავთ?! კი, ბატონო, მაგაზე იოლი რა არის! პირდაპირ გადავიხატავთ!

უბრალოდ დასანანია, როდესაც ერთ პროვინციალიზმს ინერციით მეორე მოჰყვება!

**"აქსისის" მიერ შემოთავაზებული "ახალი სიტყვა ქართულ არქიტექტურაში" (ციტატა რეკლამიდან) მსოფლიო არქიტექტურაში ცნობილი ესპანელი არქიტექტორის სანტიაგო კალატრავას მიერ დიდი ხანია ნათქვამი ყოფილა!**

# გემოვნება ინტერიერში

ნატა ჯანბერიძე
*სტუდია ROOM'S-ის დიზაინერი*

*"გემოვნებაზე არ დაობენ", მაგრამ უგემოვნობას ყოველთვის აკრიტიკებენ. ადამიანს ასწავლი ესთეტიკას, კულტურას, ხელოვნებას, მისცემ საჭირო ინფორმაციას არსებული ტენდენციების შესახებ, მაგრამ ვერ აიძულებ ჰქონდეს გემოვნება.*



ჭაღი. "Habitat"

*დიზაინერ გუგა კოტეტიშვილის სახლი.*

გემოვნება ხუთი გრძნობიდან ერთ-ერთია. მას ყნოსვასთან ერთად გამოყოფენ, როგორც პიროვნულ, შინაგან გრძნობას. ხოლო, მხედველობა, სმენა და შეხება - საერთო შეგრძნებებია. მართალია, განათლებით, მოგზაურობით და ბევრის ნახვით ფასეულობები იხვეწება, მაგრამ გემოვნება, მაინც, შენშია, ძალიან სუბიექტურია, მას არ გააჩნია ზოგადი წესები. ამიტომაც, ადამიანი, რომელსაც ეს გრძნობა თანდაყოლილი აქვს, ვერ ჩამოგითვლის კანონებს, რომლითაც ხელმძღვანელობს იმიტომ, რომ მათ ინტუიციურად იყენებს.

გემოვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს დიზაინში. ამ ნიჭით დაჯილდოვებულებს შეუძლიათ სწორად შეაფასონ და განასხვაონ ერთმანეთისგან "მშვენიერი" და "დამახინჯებული" მოვლენები როგორც რეალურ ცხოვრებაში, ასევე შემოქმედებაში. დიზაინშიც არსებობს გარკვეული წესები, რომლებიც შეიძლება შეისწავლო (ფერი, კომპოზიცია, პერსპექტივა, ფაქტურები) მაგრამ, წესები ხომ იმისთვისაა, რომ დაარღვიო, ოღონდ იმ პირობით, რომ გახსოვს მათი არსებობა. ასეთ შემთხვევაში კი, გემოვნებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, ჩეხი მწერლის მილან კუნდერას თქმით, "მშვენიერების შეგრძნების არქონა დანაშაული არაა". მეც ვეთანხმები მას.

დიზაინში არსებობს სტილი და ტერმინი, რომელიც ნიშნავს "უგემოვნობას" - ეს არის "კიჩი" (kitsch). XIX საუკუნის ბოლოს და XX-ს დასაწყისში "კიჩი" გავრცელდა, უნიკალური ნაკეთობების საწარმოო იმიტაციის ფორმით. 60-80-იან წლებში ის მასობრივი კულტურის ერთერთ მოვლენად იქცა. ხოლო დღეს, XXI საუკუნეში მან ახალი მნიშვნელობა შეიძინა, ჩამოყალიბდა არტის და დიზაინის მიმდინარეობა, რომელიც გულისხმობს თავისებურ დაცინვას, პაროდიას უგემოვნობაზე, ანუ თავად "კიჩზე". ეს არის სტილი, გათვლილი გაცნობიერებულ გარეგნულ ეფექტზე, სულერთია, დადებითზე თუ უარყოფითზე, სადაც ხდება ჩვეულებრივის და ორიგინალურის, აგრესიულის და სენტიმენტალურის, ვულგარულის და ამაღლებულის დაბალანსება. ეს სტილი პრეტენზიულია, მაგრამ გემოვნებით გაკეთებული "უგემოვნობაც" ანუ "კიჩი" შეიძლება იყოს მომგებიანი, გააჩნია სად და ვისთვის.

ვოცნებობ, რომ თბილისი საჩვენებელი ქალაქი გახდეს. თან ვიცი, რომ ეს ოცნება დიდი ხნის შემდეგ ამისრულდება, რადგან ჯერ-ჯერობით, მასობრივად არ გაგვაჩნია დიზაინის კულტურა. ამავე დროს, ერთეული სპეციალისტების მხრივ, პოტენციალი გვაქვს. ვამაყობ, რომ ამ პატარა ქალაქში, მიუხედავად არასაკმარისად მიწოდებული განათლებისა (ვგულისხმობ, პრაქტიკას და უცხოელი დიზაინერების სემინარებს მოკლებულ სტუდენტებს) მაინც გვყავს გემოვნებიანი დიზაინერები, რომლებიც პოულობენ თავის ადგილს საქართველოში და მის გარეთაც.

*დიზაინერ ნატალია ფირცხალავას სახლი.*

*კომოდი. დიზაინი: ნატა ჯანბერიძე. ქეთი თოლორაია.*

*თაკო ჩხეიძის სახლი. დიზაინი: ნატა ჯანბერიძე, ქეთი თოლორაია.*

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №3

# WHISKY & WHISKEY თამაში ქერის ყანაში

მალხაზ ხარგედია

## SCOTCH - ანგელოზებიც თავიანთ წილს ითხოვენ

შოტლანდიაში ვისკის წარმოების ძირითადი რაიონებია: ჰაილენდსი, სპეისაიდი და ორკნეის კუნძულები ცენტრალურ და ჩრდილოეთ შოტლანდიაში, ასევე ლოულენდსი სამხრეთში, ქემპბელთაუნის ნახევარკუნძული და კუნძული აილეი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით. სკოჩს ძირითადად ქერისგან ამზადებენ და არსებობს სასმელის სამი ძირითადი ნაირსახეობა: Single Malt, Pure Malt და Blend.

მოდით თანმიმდევრულად მივყვეთ.

SINGLE MALT ერთალაოიან ვისკის ნიშნავს, იგი ნამდვილი არისტოკრატია, ვისკების მეფე. მის გამოსახდელად მხოლოდ ქერს იყენებენ, ერთი წლის მოსავალს, რომელსაც კარგად არჩევენ, ასუფთავებენ და აშრობენ. შემდეგ ასველებენ და 10 დღის მანძილზე აღივებენ. ამასობაში ქერის სახამებელი შაქრად იქცევა, რომელიც დუღილისთვისაა აუცილებელი და მალე ტორფზე გაშრობა-შებოლვის დროც დგება. ასე მიიღება ალაო, მთავარი კომპონენტი ვისკისთვის.

გასუფთავებულ და დაფქვილ ალაოს (Grist) თბილ წყალს ასხამენ და ამ ტკბილ წვენს (Wort) საფუარს ამატებენ. დუღილი ორი დღე-ღამე გრძელდება და მიღებულ 5-8 %-იან ლუდს (Wash) ორჯერ ხდიან. პირველი აპარატიდან (Wash Still) გამოხდილ სითხეს Low Wine-ს უწოდებენ და მას 25-30 %-იანი სიმაგრე აქვს, უკვე მეორე აპარატიდან (Spirits Still) კი 65-70 %-იანი ვისკი მოწვეთავს. მეორე გამოხდის დროს "თავსა" და "ბოლოს" აცლიან სასმელს (ჩვენებური ჭაჭის ენაზე, "წინწანაქარსა" და "კუდს"), "გულს" კი, ანუ ძირითად ნაწილს წყაროს წყალს ამატებენ, რათა ვისკის სიმაგრემ 50 %-მდე დაიკლოს. შენახვა ძველ კასრებში ხდება, სადაც ადრე ბურბონი (ამერიკული ვისკი) ესხა. ყველაზე ელიტურ Single Malt-ს კი მხოლოდ ხერესის კასრებში აძველებენ.

ეს კასრი საუკეთესო შოტლანდიური ვისკით, Macallan-ითაა სავსე (Single Malt-ია ჰაილენდსიდან), კასრის თავზე კი ვკითხულობთ: "გთხოვთ დაიცვათ სიჩუმე, ვისკის ძინავს"

დაძველების პროცესშივე ხდება ალკოჰოლის აორთქლება, რომელსაც "ანგელოსთა წილი" ჰქვია და ვისკი 40 %-ზე დგება. კანონების მიხედვით ვისკი უნდა დაძველდეს არანაკლებ სამი წლის განმავლობაში, ოპტიმალური დრო კი 10-20 წელია, თუმცა 30-50 წლიანი დაძველების ვისკიც არსებობს და როგორც ამბობენ, მისი გემო კუბოს კარამდე მიყვება დამლევს.

PURE MALT ითარგმნება როგორც სუფთაალაოიანი ვისკი და სხვადასხვა ხარისხისა და სხვადასხვა ქარხანაში გამოხდილი Single Malt-ების ნარევს წარმოადგენს. მისი ძირითადი არსი ყველაზე მძაფრი სინგლების შედარებით რბილი ვისკით (ასევე Single Malt-ებით) განელებაში მდგომარეობს. ამ ვისკის Vatted Malt-საც უწოდებენ.

BLEND ესაა შერეული, ანუ კუპაჟირებული ვისკი. ვისკის სპეციები ხშირად ამბობენ ხოლმე, "გამოხდა - მეცნიერებაა, კუპაჟირება კი ხელოვნება"-ო, ჰოდა ამ ხელოვნებას საფუძველი, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, მხოლოდ XIX საუკუნეში ჩაეყარა (არადა დღეს ყველაზე დიდი რაოდენობით, სწორედ ბლენდები იყიდება მთელს მსოფლიოში). ენდრიუ იუშერი პირველი იყო, ვინც 1860 წელს ალაოსა და ხორბლის ვისკები შეურია ერთმანეთს და ამით ბლენდის სახელოვან ისტორიასაც დაუდო სათავე. ისე, მე რომ მკითხოთ, თუ ნამდვილ ვისკიზეა საუბარი, სინგლი ან ფიუა მოლტი უნდა დალიო, თორემ ბლენდი "ახოტნიჩისთან" ერთადაც შეიძლება დაარტყა (საწრუპავი მოლტებისგან განსხვავებით).

ბლენდი 20-40 სხვადასხვა Single Malt-ის შერევით მზადდება, თუმცა 60 %-ზე მეტი აქედან სხვადასხვა ხორბლეულისგან ან სიმინდისგან, ყველანაირი გაფუებისა და ტორფზე შებოლვის გარეშე დამზადებული ვისკია. მაგალითად, თუკი ქერის ვისკის შედარებით "მშრალი" გემო აქვს, სიმინდისა ძალიან რბილი ბუკეტით გამოირჩევა, ჭვავისა კი მწარეა, მათმა ერთიანობამ კი შესაძლოა დიდი სიამოვნება მოგვანიჭოს - კუპაჟორის ოსტატობას გააჩნია. ერთს დავძენ, კუპაჟის გასაუმჯობესებლად ნარევი 6-8 თვე მუხის კასრებში უნდა დადგეს. ამ პერიოდს "ქორწილს" უწოდებენ და მის შედეგად ძვირფასი, მაღალხარისხიანი ბლენდი დგება.

**გახსოვდეთ**, თუკი ბლენდის ბოთლზე ვისკის ასაკია მითითებული (ჩვენებურ მინიმარკეტებში ვისკის ნურც გადმოაღებინებთ თაროდან, აზრი არა აქვს), ეს ნიშნავს, რომ ამდენივე წლისაა კუპაჟში არეული ყველაზე ახალგაზრდა ვისკიც. თუკი ძველი Single Malt-ების წილი მეტია ნარევში, მაშინ ბოთლზე Deluxe ან Premium უნდა ეწეროს.

## IRISH WHISKEY - ნაღდი მხოლოდ სამნახადია

მართალია ირლანდიელები ძალიან იჩემებენ პირველობას ვისკის გამოხდაში, მაგრამ მათთან, საბოლოო სახე მაინც XVIII-XIX საუკუნეებში მიიღო ამ საქმიანობამ. პირველი მსხვილი სახდელები ჯონ ჯეიმისონმა (ვაი, რომ წარმოშობით შოტლანდიელმა) და ჯონ პაუერმა დააფუძნეს. აირიშ ვისკი ძალზე განსხვავდება სკოჩისგან, პირველ რიგში კი დახვეწილობითა და ნაზი გემოთი, რადგან ისინი, შოტლანდიელებისგან განსხვავებით, ტორფზე არ აშრობენ ალაოს.

Single Malt-ის, Pure Malt-ისა და Blend-ის გარდა არსებობს რამდენიმე სხვა სახეობის ვისკიც: Pot Still - ტრადიციული ირლანდიული ვისკი ალაოსა და ჩვეულებრივი ქერისგან, ასევე შვრიისა და ჭვავის მინარევებით და Grain - სიმინდისა და ქერის ვისკი ცოტაოდენი ალაოთი. საერთოდ კი ირლანდიაში სამი ძირითადი სახდელი ქარხანაა, Midleton, Bushmills და Cooley.

ისინი ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ტექნოლოგიებით ხდიან ვისკის. "მიდლტონში" მსოფლიოში ყველაზე რთული დისტილაცია ხდება. სამი Pot Still (ჩვეულებრივი, კლასიკური სახდელი ქვაბები) შეერთებულია Coffey Still-თან. "ბუშმილსში" Wash-ს სამჯერ ხდიან ჩვეულებრივ Pot Still-ში, "ქულიში" კი ორჯერ, ისევე როგორც შოტლანდიაში, ამიტომაც ბევრი ირლანდიელი "ქულის" მიერ წარმოებულ ვისკის უვარგისს უწოდებს და პრინციპულად არ სვამს მას.

**არ გაგიკვირდეთ,** ლამის ათასგვერგიან "ულისეში", სადაც ძალიან ბევრსა სვამენ სხვადასხვანაირ ვისკის, მხოლოდ ორი ირლანდიული ვისკია მოხსენიებული, ერთი "ბაშმილსი", მეორე კი "ჯეიმისონი" - ჯეი ჯეი ეს-ად დაშიფრული.

## სხვა დანარჩენი - ნახშირიან ფილტრში

**ამერიკული ვისკი** შოტლანდიელი და ირლანდიელი ემიგრანტების წყალობით გაჩნდა. ამერიკელებიც, ირლანდიელების კვალად, ბოთლზე Whiskey-ს აწერენ, თუმცა ალაოს ნაცვლად ისინი მოხარშულ მარცვლეულს იყენებენ. დასაძველებლად სასმელს გაკვამლულ კასრებში ასხამენ, რის გამოც ვისკი მოტკბო გემოსა და ოქროსფერს იღებს.

ამერიკული ვისკი რამდენიმე სახეობისაა:

Straight Whiskey, რომელიც თავის მხრივ იყოფა 1. Bourbon - მასში 50 %-ზე მეტი სიმინდის სპირტია, პირველად კენტუკის შტატის ბურბონის პროვინციაში დამზადდა და სახელიც აქედან დაერქვა (სხვათა შორის, თავის დროზე ამ შტატშივე შეიქმნა ძალზე უცნაური ვისკი სახელწოდებით "Mark Twain"). 2. Rye Whiskey - მასში 50 % ჭვავის სპირტია (შესაძლოა ჯერომ სელინჯერის პერსონაჟების საყვარელი სასმელი იყო). 3. Corn Whiskey - თითქმის მთლიანად სიმინდისგან მზადდება (ასეთ ვისკის ბევრსა სვამენ ფოლკნერის რომანების გაუთლელი, პროვინციელი გმირები). 4. Wheat Whiskey ხორბლისა და სხვა მარცვლეულისგან მზადდება.

Blended Whiskey-ში 20 % სთრეითისა უნდა იყოს, დანარჩენი კი ნებისმიერი სხვა ვისკი, ან სულაც სუფთა სპირტი.

Light Whiskey ძალიან მაღალ ტემპერატურაზე იხდება და ღია ფერით გამოირჩევა.

Sour Mash Whiskey-ში ე.წ. "შედედების" მეთოდს იყენებენ. აქ ნარჩენებს ხორბლის ტკბილ წვენს უმატებენ, ჯერ კიდევ აუდუღარს, ამიტომაც ვისკის გემო მუდამ ერთიდაიგივე რჩება. როგორც ამბობენ, ამერიკული ვისკის უდიდეს ნაწილს სწორედ ამ მეთოდით ამზადებენ, მიუხედავად იმისა, რომ ეტიკეტზე შესაძლოა სულ სხვა რამ ეწეროს.

Sweet Mash Whiskey-ს შემთხვევაში დუღილს ახალი საფუარით იწვევენ.

Tennessee Whiskey ალბათ ყველაზე უცნაური ვისკია მსოფლიოში, მას ნეკერჩხლის ნახშირით სავსე სამმეტრიან ფილტრში ატარებენ წვეთ-წვეთ და გამოხდის ასეთი წესი მხოლოდ ტენესის შტატში გამოიყენება.

Bottled-in-Bond Whiskey-ს სახელმწიფო საცავებში შენახულ 4-8 წლიანი ვისკის უწოდებენ.



**კანადური ვისკის** პოპულარობა ძირითადად ამერიკულმა მშრალმა კანონმა მოუტანა, ყველაზე დიდ წარმატებებს კი Seagram-მა და Hiram Walker-მა მიაღწია.

არსებობს იაპონური, ავსტრალიური, ახალზელანდიური, არგენტინული, ტაილანდური და ინდური ვისკებიც (მათგან ჯერ არც ერთი გამისინჯავს), მაგრამ, როგორც ცნობილი ამერიკელი მწერალი, ნორმან მეილერი შენიშნავს თავის ერთ-ერთ რომანში, ჯუნგლებში გამოხდილი ვისკი შესაძლოა შხამიანიც კი იყოსო. როგორც ჩანს, ჩვენშიც, ძირითადად, სწორედ ასეთ ჯუნგლებსა და ჯუნგლისპირა რაიონებში გამოხდილი ვისკი შემოაქვთ.

დასასრული შემდეგ ნომერში

ასეთ ფოტოებს "მშრალი კანონის" დროს თითქმის ყველა შერიფი იღებდა

*თუ წვეთში ოკეანე აირეკლება, მეტადრე დედაქალაქის ცოდვა-მადლის ფონზე შესაძლებელია, მთელი ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს მისწრაფება და სატკივარი წარმოჩნდეს.*

*რუბრიკით "დედაქალაქი" განვიზრახე, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს ქართული საზოგადოების არსებობა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, მისი უწყვეტობა დროში. უფრო ნათელი გახდეს ქართული საზოგადოების ფიქრი, წადილი, მოღვაწეობა, მისი მხნეობა და სიფხიზლე. თვალსაჩინო გახდეს, თუ რა სულიერი მემკვიდრეობის, რა ღირებულებების გადაცემას აპირებს იგი მომდევნო გენერაციისათვის.*

*რუბრიკის ერთ-ერთი ირიბი ამოცანაა თანამედროვე ქართული საზოგადოების შრომის, გარჯისა და ღვაწლის შუქზე კიდევ უფრო ღიმილისმომგვრელი გახდეს მასმედიის მიერ ხელშეწყობილი ტრაგიკომიკური მითი მასზე, რომ, იყო ზეზვა და მზია, მას მერე არავინ ყოფილა და არც არავინ იქნებოდა, რომ არ მოსულიყვნენ დღევანდელი პოლიტიკოსები და შოუბიზნესის ვარსკვლავები.*

*რუბრიკის პირდაპირი ამოცანა ის გახლავთ, რომ შეძლებისდაგვარად სწორი მიმართულებით გავიშვიროთ ხელი და ვთქვათ, რომ არსებობს მოფიქრალი ქართული საზოგადოება, რომელიც მოკრძალებით განაგრძობს საუკუნეების წინ დაწყებულ საქმეს.*

*იქნებ ამ "ალმოჩენამ" გააქროს პოლიტიკოსთა სახეებიდან ამბიციური თვითდავჯერებულობა და უნიადაგო ამპარტავნობით ნაკარნახევი ირონიული ღიმილი და ისინიც ჩვენი ქვეყნის მოკრძალებულ მსახურებად აქციოს.*

***P.S.** კიდევ ერთი და მთავარი. პირადად ჩემთვის სახელმწიფოს შენება სამართლის შენებას ნიშნავს.*

# პირი

კოტე ჯანდიერი

**მწერალი**

*ავტორი წიგნებისა: "ქართული ნაციონალური ბალეტი", "ცუდი ბიჭების ცხოვრებიდან".*
*ლეილა გამსახურდიასთან ერთად შეადგინა და გამოსცა ორენოვანი კრებული - ედგარ პოს ლექსების საუკეთესო ქართული თარგმანები. წიგნში შესულია კოტე ჯანდიერის მიერ თარგმნილი: "ყორანი", "ზარები", "ელდორადო" და სხვა.*
*კოტე ჯანდიერის სცენარის მიხედვით გიორგი შენგელაიამ გადაიღო ფილმი "ორფეოსის სიკვდილი", რეჟისორმა ლევან კიტიამ - "გზაჯვარედინი".*
*ჟურნალის "გარემო და განვითარების" მთავარი რედაქტორი. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის განათლების პროგრამის კოორდინატორი. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის განათლების პროგრამის კოორდინატორი.*
*ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ შეადგინა და წიგნად გამოსცა "15 საუკეთესო მოთხრობა", სადაც შესულია კოტე ჯანდიერის მოთხრობა "გლობალიზაცია".*

**- ყოველთვის მახსოვს თქვენო ოჯახი, როგორც ერთი თვალსაჩინო საყრდენი ქართული საზოგადოებისა. ვიცნობდი მამათქვენს, ბატონ ირაკლის, ბებიას - ქალბატონ თამარს... მამათქვენი ასე გავიცანი - შეყვარებულს ვაცილებდი. ქუჩაში მამაჩემის ტოლი, წარმოსადეგი კაცი დამაკვირდა. უკან გამობრუნებულს მკითხა, ვინა ხარო. დათო მაღრაძე-მეთქი. გაეცინა და ხელი მხარზე დამადო - მამაშენს მიგამგვანეო. გადაეცი, ირაკლი ჯანდიერმა მოგიკითხაო.**

- თბილისური ამბავია. მე მახსოვს, როცა პატარა იყო ეს ქალაქი და ერთი თბილისელი თავს მოვალედ მიიჩნევდა, მეზობლის თუ ახლობლის საქმეებში მონაწილეობა მიეღო; შეიძლება, მაშინ მართლა მამას მიგამგვანათ, მაგრამ უფრო იმიტომ გაგაჩერათ, რომ გაერკვია, მისი ახლობლის ქალიშვილს ვინ აცილებდა. იმ ოჯახს, ალბათ, ეგ ამბავი არც გაუგია. პატარა ქალაქს ესა აქვს... თვალსა და ხელს შუა შეიცვალა სიტუაცია თბილისში. სხვანაირი ხალხით იყო დასახლებული ეს ქალაქი. პაპიდები მყავდა, ვარდისუბნის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, მერე კალანდაძე რომ დაერქვა. სამი გაუთხოვარი პაპიდა იყო - მარიამი, ევგენია და ნინო. ევგენია, სანამ უნივერსიტეტი დაარსდებოდა, ივანე ჯავახიშვილთან ერთად გიმნაზიაში ასწავლიდა. მაგათ სახლში იკრიბებოდა ძალიან საინტერესო ხალხი. ოღონდ დაბადების დღეებს კი არ აღნიშნავდნენ, არამედ, აღნიშნავდნენ, ვთქვათ, შოთა რუსთაველის იუბილეს - 800 წლისთავს. თუ არ ვცდები, 1966 წელს, შეიკრიბა ეს ხალხი პაპიდებთან. მოვიდნენ მაყაშვილები, ჩოლოყაშვილები. და რა ხდება - დათიკო გორგაძეს დაუწერია შოთა რუსთაველზე ლექსი. ამ ლექსის კითხვა უნდა გამართულიყო და მერე აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ასე ცხოვრობდნენ. ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას ასე ჩაით, მურაბითა და საუბრით აღნიშნავდნენ. ეს იყო უსაყვარლესი ხალხი. დღეს ასეთი რამ წარმოუდგენელია.

**- მათ გარეგნულ გარემოს ხომ არ გაიხსენებდით.**

- ნახევრად სარდაფი იყო. შესასვლელ კარს ჰქონდა გისოსები - მოღუნული რკინებისაგან. თბილისური, არტ-ნუკოს სტილით გაკეთებული. იმ კარებზე პატარა, ფრთიანი ანგელოზი იჯდა. შესაბამისი შინაარსიც ჰქონდა. სიმბოლური იყო იმ კარზე ანგელოზის ჯდომა. ყველა მოვლენა - ავი თუ კარგი, როცა ქვეყნის ცხოვრებაში რაღაც ხდებოდა, უნდა აღენიშნათ.

**- ალბათ, იმიტომ, რომ სამშობლოს სრულფასოვან მოქალაქეებად მართებულად თვლიდნენ თავს.**

- არც დამოუკიდებლობა იყო და არც ქვეყანა გვქონდა.

**- ქვეყანა იყო. სახელმწიფო არ გვქონდა, თორემ სამშობლო და სამშობლოს განცდა მარადიულია.**

- შეიძლება, უფრო მძაფრი, ვიდრე დღეს.

**- და თავისი სამშობლოს სრულფასოვან მოქალაქეებად თვლიდნენ თავს. როცა მოქალაქეობრივი განცდა ასეთი მძაფრია და მაღალი, ზოგადი სატკივარი შენს სატკივრად მიგაჩნია, ზოგადი დღესასწაული - შენს დღესასწაულად.**

- აკაკი შანიძემ ხანმეტ ტექსტებზე რომ წიგნი გამოსცა, ამ წიგნის შესახებ საუბარი იყო პაპიდებთან. არც ერთი არ ყოფილა არც ლინგვისტი, არც ფილოლოგი, მაგრამ ამ საზოგადოებას მიაჩნდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა ხსენებული წიგნის გამოცემით. ამიტომ ამას ისე არ უნდა ჩაევლო. მაშინ ალბათ არც გაზეთში არ დაწერილა, არც პრეზენტაცია არ ყოფილა, მაგრამ ყველაზე უკეთესი პრეზენტაცია ალბათ ის იყო, რომ საზოგადოებას ეს ღირებულ და მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა. ჩვენ ამას ვესწრებოდით, პატარები ვიყავით. არაფერი არ გვესმოდა არც ხანმეტი ტექსტის, არც იმისა, რუსთაველის იუბილეს რატომ აღვნიშნავდით, მაგრამ ვიცოდით, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა.

**- ჩვენს საუბრებში ხშირად ვიხსენებთ ხოლმე კარგ ქართულ საზოგადოებას. ამის მიზანი ისაა, რომ არ გახუნდეს წინაპრების სახება და მათი თვისება ჩვენს ხსოვნაში... დიდებული ნათქვამია - "რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის". ვიხსენებთ, რათა არა მარტო შევინარჩუნოთ, არამედ ახალ გენერაციას გადავცეთ ის ნიშან-თვისებები, რითიც ასე გამოირჩეოდა ქართული საზოგადოება. XX საუკუნის ათწლეულები მოხმარდა იმას, რომ როგორმე გაეფერმკრთალებინათ ის მძაფრი განცდა კეთილშობილებისა, რომელიც სამშობლოს მიმართაც ჰქონდათ ადამიანებს და ერთმანეთის მიმართაც. მორწმუნეს ღმერთი არ უნახავს, მაგრამ მისი უფლისადმი სიყვარული გამოიხატება ადამიანებთან ურთიერთობაში. ესეც ასევეა. სამშობლოსადმი ერთგულება გამოიხატება თვისტომთან ურთიერთობაში, თანამოქალაქეების პატივისცემით. ჩვენი მოგონებების მიზანი, განზრახვა ისაა, რომ შევინარჩუნოთ ქართული საზოგადოების სიკეთე, ჩვენმა გენერაციამ გადასცეს მომავლებს, განავითაროს, რამე კი არ გამოაკლოს, არამედ შემატოს, ახალი სურნელით შეაფერადოს. დღეს გარკვეულად ვისაკლისებთ იმ ნიშან-თვისებებს ჩვენში, ჩვენს ყოფაში. თითქოს ინავლება ის, რაც ასე მძაფრი იყო წინა თაობებში. ამის გადასარჩენადაა ჩვენი საუბრები. ჯერ ერთი, ისტორიული მეხსიერება საძირკველია ალბათ იმის შეგნებისა, რომ შენ არა ხარ შემთხვევითი ქვეყანა, შემთხვევითი სახელმწიფო; გაქვს შენი სახელმწიფოებრიობის ისტორია, დიდებული კულტურის ისტორია, გაქვს შენი საზოგადოების ისტორია. დღევანდელ დღეს ჩვენი სახელმწიფო თუკი წარმატებას მიაღწევს იმ ინტეგრაციის პროცესში, რასაც ევროკავშირში გაწევრიანება ან ნატო-ში გაწევრიანება ჰქვია, ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, უნდა მოხმარდეს იმას, რომ შედგეს ისევ საზოგადოება, შენარჩუნებული შენარჩუნდეს და განვითარდეს.**

- იმის დასაცავადაა საჭირო ეს ყველაფერი. ხომ არ შეიძლება, საშუალება აქციო მიზნად. ხომ არ შეიძლება, მიზნად დაისახო სადმე გაწევრიანება, გინდ ნატო-ში და გინდ სხვაგან. ნატო და ევროკავშირი ხომ საშუალებაა, რომ დაიცვა და განავითარო ის, რაც ძვირფასია; რომ ვიღაცამ გარედან ხელი არ შეგიშალოს, რომ ამის საშუალება გქონდეს. უბედურებაა, როცა მიზანი და საშუალება ერთმანეთში გერევა. საერთოდ, წარსულთან და ისტორიასთან მიმართებაში ორი ტიპის შეცდომას ვუშვებთ, საზოგადოებაც და აქედან გამომდინარე, ხელისუფლებაც. ერთი არის არცოდნა, მეორე - არც გვსურს, ვიცოდეთ. ეს ზედმეტ ტვირთად მიგვაჩნია. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თქვა კიდევაც, იმდენი ნაგავია ჩვენს ისტორიაში, სად გადავყაროთ, არ ვიცითო. ესე იგი, რაც გვაწყობს, ის უნდა დავტოვოთ და რაც რაღაც კონიუნქტურული მოსაზრებით არ მოგვწონს, რაც დღევანდელ შემოქმედებას მხარს არ უჭერს, ის უნდა ამოვფხიკოთ? ასეთი დამოკიდებულება ისტორიისადმი, მე მგონი, არ არის სწორი. რატომ გვინდა ეს ნატო, რატომ გვინდა ევროკავშირი? რატომ გვინდა, რომ დაცულები ვიყოთ, იმავე რუსეთისაგან თუ სხვა აგრესიისაგან? რატომ გვინდა, რომ კეთილდღეობა იყოს? იმიტომ, რომ ხალხმა ყოფითი პრობლემები მოაგვაროს და სხვა რამეზე იფიქროს, უფრო მთავარზე, სულიერზე იფიქროს, ამის საშუალება მიეცეს. ახლა გლობალიზაციის ეპოქაა, არა? ეს შეუქცევადი პროცესია და ვერ გაექცევი. მთავარია, როგორ გამოიყენებ და როგორ მოექცევი ამ პროცესში. თუ შენ გინდა, რომ მიმდინარე პროცესების მონაწილედ იგრძნო თავი და ამის გამო უარი უნდა თქვა დანარჩენ ყველაფერზე, ეს, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომაა. მსოფლიო ცივილიზაცია ორკესტრს რომ შეადარო... შენ თუ იმავე ინსტრუმენტზე დაიწყებ დაკვრას, რასაც ბევრი სხვა უკრავს, ამას დიდი აზრი არა აქვს. შენ თუ უკრავ ფაგოტზე, მოდი, ფაგოტზე დაუკარი, და ნუ გგონია, ორკესტრში იმიტომ მიგიღებენ, რომ გემარჯვება თუ არა, სიმებიანზე უნდა დაუკრა. თუ შენი თავი დაკარგე, არავის აღარ უნდიხარ. მიმბაძველობა გარკვეულ ეტაპზე დიდი სკოლაა. ხატვას ბავშვი რომ იწყებს, რაღაცას ბაძავს და იხატავს. ოსტატობა ასე მოდის. მაგრამ ეს არ შეიძლება, გაიხადო სამუდამო პრინციპად. არ შეიძლება, გადაიქცე სხვის მიერ მიღწეულის და ათასჯერ გადაღეჭილის რეპლიკატო-

# აი ია

რად. მაშინ მეორადი და მესამეხარისხოვანი კულტურა გახდები. არ უნდა ჩათვალო, რომ რაც შენია, ის ხელს გიშლის და სხვები ვერ გაიგებენ. პირიქით. ბავშვები რომ მღერიან ინგლისურ სიმღერებს, ძალიან კარგია, მაგრამ შენი სიმღერა თუ არ იცი, არავის არ სჭირდები. იმ ინგლისურ სიმღერას ინგლისელი და ამერიკელი უფრო კარგად იმღერებს. ეტყობა, გვგონია, რომ თუ იმას მივბაძავთ და მათებურად ავეწყობით, მოეწონებათ. ეს არავის არ მოეწონება. შენი ფასი ის არის, რომ შენა ხარ შენი ისტორიით, ფრესკებით, გამოცდილებით, ავით თუ კარგით.

**- პოლიფონიის დიდებულებაც სწორედ ეგ არის, რომ ყოველი ერი საკუთარ ხმას უერთებს სიცოცხლის მარადიულ დღესასწაულს. ამ ხმების ერთობლიობის ჰარმონიით იქმნება მშვენიერება, თანაგრძნობის საგალობელი.**

- ჩვენი კულტურა არის პოლიფონიური. აზიასა და ევროპას შორის ვიყავით და ვახერხებდით შეთანხმებას. თამარ მეფის დროინდელ მონეტებს არაბულადაც აწერია ღირებულება. საქართველოში განსხვავებულობას კარგად იყენებდნენ და ითვისებდნენ.

**- გლობალიზაციაში მონაწილეობის საუკეთესო ნიმუში, ჩემი აზრით, არის "ვეფხისტყაოსანი". ეს პოემა აშკარად გლობალიზაციის შედეგია და არა კარჩაკეტილი, საკუთარ წვენში ჩახარშული ქვეყნის სულიერების ნაყოფი. ეს არის უზარმაზარ სივრცეში გაშლილი ჰარმონია, რომელიც, მშობლიურ ნიადაგზე აღმოაცენებს იმას, რაც ზოგადად ყველასთვის ნიშანდობლივი და საინტერესოა. არსებული პროგრესის ყველა შედეგი ცნობილია იმ ქვეყნისთვის, სადაც იქმნება "ვეფხისტყაოსანი", და ამავე დროს მას შეაქვს თავისი საუნჯე იმ ზოგად, დიდ საგანძურში, ანუ დიდ სულიერ კულტურას ამდიდრებს თავისი ნიშან-თვისებით. და არა მარტო საინტერესო ხდება გარე სამყაროსთვის, არამედ ერთ-ერთი საყრდენი ხდება მთელი კაცობრიობისა. სალვადორ დალი წერს, რომ ერთადერთი, რასაც კაცი ვერ გაექცევი, შენი თანამედროვეობაა, ამიტომ ხელოვნურად არ უნდა ეცადო, რომ გაითანამედროვო თავი. ეს ისედაც შენია. იმ ეპოქის შვილი ხარ, სადაც ცხოვრობ. საქმე ისაა, ამ ეპოქას რა ხსოვნას, რა ცოდნას, რა მარადიულ თვისებას შემატებ, წინაპრებისგან რომ წამოგიღია და თვითონაც გაგიმდიდრებია. ალბათ ესაა საზოგადოების მარადიული განზრახვა. ჩემი აზრით, არ შეიძლება ერთი კონკრეტული მიზანი ჰქონდეს ერს. საზოგადოების, ერის განზრახვა არის უკეთესობისაკენ მარადიული სწრაფვა. ეს მარადიული გზაა და არა ერთი, კონკრეტული საფეხური, რომელზეც შედგები და ყველაფერი კარგად იქნება. არც ივარგებს, ასეთი საფეხური რომ არსებობდეს, რადგან მაშინ მთელი სამყაროს ჰარმონია დაირღვევა. ამ საფეხურზე თუ ახვალ და აღარაფერი გექნებათ გასაკეთებელი არც შენ და არც მომდევნოს, ცხოვრება აზრს ჰკარგავს. მარადიულად ვისწრაფით უკეთესობისაკენ, და მთავარი ის არის, ამ უკეთესობაში საკუთარი სახის გაქრობა არ ვიგულისხმოთ.**

- უკეთესი და უარესი პირობითი ცნებებია, მაგრამ ერთი რამეა - ადამიანმა სახელმწიფო იმიტომ მოიგონა, რომ ეს თავისთავადობის გადარჩენის ყველაზე უკეთესი საშუალებაა. შენ კი ძალაუფლებას აძლევ ვიღაც ადამიანებს, ვისაც ქირაობ. იარაღს აძლევ, რათა ამ იარაღით დაიცვას მთავარი. იმან კი, თუ იარაღი მოაბრუნა და მოსპობა დაიწყო, რის დასაცავადაცაა მოწოდებული და თვით იმ დასაცავ ღირებულებას დაემუქრა, ეს ტრაგედიაა. ეს არ უნდა მოხდეს. არ შეიძლება დავიწყება რაღაცების. საზოგადოება ყოველთვის უნდა ფიქრობდეს, სად მთავრდება მისგან სახელმწიფოსთვის მიცემული უფლებები. ინდიკატორი ამისი არის ერთი მარტივი რამ - სისასტიკე. როცა გადაჭარბებულ, არაადეკვატურ სისასტიკეში გადადის ქმედება, ეს არის მაჩვენებელი, რომ ქვეყანაში რაღაც რიგზე ვერ არის. ახლახან გიორგი შენგელაიასთან ერთად მომიწია მუშაობა ბიზანტიურ თემაზე. ჩვენი ანდრონიკაშვილების დიდი წინაპრის, ანდრონიკე კომნენის დიდი ისტორია უნდა დაგვეწერა სცენარად. საოცარი კაცი იყო, უგანათლებულესი, მრავალ ენაზე ლაპარაკობდა, მათ შორის ქართულადაც. დედა ქართველი ჰყავდა - დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, კატაი. დედინაცვალი რუსი ჰყავდა, იაროსლავ ოსმომისლის ძმისშვილი. იმ ქალმა გაზარდა. იცოდა ენები, იცოდა ანტიკური ფილოსოფია, კულტურა. იყო პოლემისტი, რეფორმატორი. გაატარა XII საუკუნისათვის ყოვლად წარმოუდგენელი რეფორმები. დაიწყო იმით, რომ ხალხმა, როგორც მხსნელს, ისე დაუჭირა მხარი ბიზანტიის ჩამყაყებულ იმპერიაში. იმპერატორი მანუელი გარდაიცვალა, დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი და ქვეყანას დაეპატრონა მანუელის მეუღლე, რომელიც იყო ანტიოქიელი. უცხოები დაეპატრონენ ბიზანტიის იმპერიას. ხალხმა მოითხოვა ანდრონიკე კომნენი, მოხდა რევოლუცია კონსტანტინეპოლში. ამ ადამიანმა დაიწყო კორუფციასთან ბრძოლა. მოვიდა ლოზუნგით - "ადამიანი, ვინც შრომობს, უნდა იყოს დაცული". და გახდა პირველი დამცველი გლეხებისა და ხელოსნებისა. თავისი თავი წითელ ჩექმებში კი არ დაახატვინა, არამედ ნამგლით და პურის თავთავებით ხელში. ქუჩები მოკირწყლა, გაიყვანა წყალსადენი. ბევრი კარგი საქმე გააკეთა. უპოვართათვის ააშენა სახლი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და უფასოდ იკვებებოდნენ. სხვათა შორის, პირველები ქართველი მშიერი ბერები შეიყვანა ამ სახლში. პოპულარული კაცი იყო. ხუთი წელი იმეფა. შემდეგ სრულიად გამაოგნებელია ამ კაცის ბოლო. იმ ხალხმა, ვინც მოიყვანა, ჩამოაგდო, ქუჩა-ქუჩა დაათრევდნენ, სცემდნენ. საშინელი წამებით მოკლეს. ვერაფრით ვერ ვიგებდი, როგორ შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო, როგორ შეიძლებოდა, ეს მოსვლოდა ადამიანს, რომელმაც თითქოს ყველაფერი გააკეთა. მერე და მერე, წყაროებს რომ ჩავუღრმავდი, მივხვდი, რა ვერ აპატია ხალხმა. ხალხისთვის აკეთებდა ყველაფერს, დაერია არისტოკრატიას და არანაირი საზღვარი არ ჰქონდა მის სისასტიკეს. ცინიზმამდე მისული სისასტიკე გამოავლინა. ამან გადაწონა ყველაფერი. არც წყალსადენი გახსენებია ვინმეს, არც მოკირწყლული ქუჩა, არც კორუფციასთან ბრძოლა. შეიძლება, იმ გლეხს და კონსტანტინეპოლელ ბოგანოს გულზე სულაც არ ეხატებოდათ არისტოკრატები, მაგრამ ამის არანორმალურმა სისასტიკემ და ცინიზმმა გამოიწვია საყოველთაო სიძულვილი. ფასი დაკარგა ყველაფერმა, რასაც აკეთებდა. სისასტიკე დამღუპველია.

**- ჯვარი გვწერია ასეთი პარალელებისაგან. ამ თემებზე იმიტომ ვსაუბრობთ, რათა გავახსენოთ ჩვენს საზოგადოებას, რომ მცდარია ის მოარული ტენდენცია, რომელიც არსებობს გარკვეულ ჯგუფებში, თითქოს ულმობლობა არის ყველაზე თვალსაჩინო და კარგი გამოვლინება სახელმწიფოებრიობის შეგნებისა. ულმობლობაზე აღმოცენებული სიკეთე არ არსებობს. დღეს როდესაც ვიხსენებთ საზოგადოებას, რომელიც, პოეტის სიტყვით, იყო "სავსე ქართული პატიოსნებით", ვიხსენებთ მეტადრე იმიტომ, რომ არიან ადამიანები, რომლებიც გაუოგნებია თავიანთ დღევანდელ მდგომარეობას, იმას, რომ მათი ძლივს გამოთქმული სიტყვა და ავადმყოფური განზრახვა შეიძლება განხორციელდეს კიდეც. და ამგვარი ადამიანების არაადეკვატური დამოკიდებულება საზოგადოების მიმართ აირეკლება ხსენებული საზოგადოების სულიერ მემკვიდრეებზე; ამგვარი ადამიანების ქედმაღლობა ნიშანია, რომ ისინი არ არიან თანაზიარი კულტურისა, რომელსაც საზოგადოება ატარებს. ეს არის კომპლექსი, ჩაბუდებული ამგვარ ადამიანებში, რომელთაც უნდათ გვითხრან, რომ მთავარი ის კი არ არის, რაც თქვენ გახსოვთ და რასაც სულიერად ემემკვიდრებით, არამედ მთავარი ისაა, რაც დღეს, მათი აზრით, აქტუალურია, რომ სულ სხვა მოთხოვნები აქვს დროს. ამ ლოგიკას რომ გავყვეთ, სრულიად ანომალურ მსჯელობასთანაც მივალთ - მაშინ რაღა დროს დედაშვილობაა, რაღა დროს მეგობრობის იდეის პატივისცემაა, რაღა დროს მოკრძალებაა, რაღა დროს სიკეთეა, როცა ჩვენ ვართ ის ხალხი, ვინც მთავარს გაზიარებთ. აი, უგუნურება სად არის - მთავარს ეს ერი დიდი ხანია, ეზიარა. 337 წელს საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადა. რომელ მთავარს უნდა აზიარო ეს ერი XXI საუკუნეში. საქმე ისაა, როგორი მოკრძალებით დაიწყებ მეცადინეობას, რომ ელფერი შემატო, თუნდაც ერთი მარცვლით გაამდიდრო დიდი ტრადიციის კრიალოსანი. ადამიანის დანიშნულება ყოყლოჩინობა კი არა, მოკრძალებით მსახურებაა.**

- დღევანდელ ფასეულობებთან ყველა მივიდა თავისი გზით. ზოგი არც მისულა. ირანს არა აქვს გაზიარებული ეს ფასეულობები, თუმცა ესაა ერთადერთი ქვეყანა, სადაც ნარკომანია და ნარკობიზნესი არ არსებობს. ასე რომ, თუნდაც ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მათი მმართველობის წესი და საზოგადოებრივი ურთიერთობების წესი არის ეფექტური, ის რომ შენს ფასეულობების სისტემას არ ეთანხმება, არ ნიშნავს, რომ მოსასპობია. ერთმა არაბმა პროფესორმა თქვა ძალზე ნიშანდობლივი რამ - რა შეცდომა მოსდით ამერიკელებს? როდესაც ამერიკელი, ვთქვათ, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ჩადის ერაყში ან თუნდაც, სირიაში, ცდილობს, ისაუბროს ქალთა პრობლემებზე, ამბობს, რომ მრავალცოლიანობა ქალთა უფლებების დარღვევაა, და ამას უმტკიცებს არაბს, რომელსაც თავისი კულტურა აქვს, თავისი ტრადიცია, თავისი ცხოვრების წესი; მაშინ, რაოდენ სასაცილოდაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ის არაბი ფიქრობს - აჰა, ესე იგი, შენ რა გინდა - რომ ჩემი სამი ცოლი წაიყვანო და ერთი დამიტოვო? როდესაც ამერიკის ადმინისტრაციას ასეთი შეცდომა მოსდის, ეს გასაგებია, რადგან სრულიად განსხვავებული კულტურები და სრულიად განსხვავებული ისტორიული გზა არის, იმდენად განსხვავებული სისტემა ფასეულობებისა, ამგვარი შეცდომა ღიმილის მომგვრელია, მაგრამ გასაგებია. აი, როცა შენს ქვეყანაში იგივე ხდება, როდესაც შენივე არჩეული ხელისუფლება შენს ტრადიციას არ იცნობს და მასხრად იგდებს, ეს შეცდომა არ არის. უფრო სწორად, ჩვენი შეცდომაა, მათი მხრიდან კი - თავხედობა.

**- ალბათ ეს ზოგადად ხელისუფლებაზე არ ითქმის. უფრო ხელისუფლების არაერთ წარმომადგენელზე.**

- ალბათ. იმედია, რა თქმა უნდა, ყველა ეგრე არ იქნება. თუ არ იცი, ეგ დანაშაულია. მაგრამ უარესი დანაშაულია, როცა არ გინდა გაიგო, თუკი ვიღაცა მიგითითებს. დემოკრატია ჩვენთვის უცხო არ არის. სპარსელები და არაბები ხომ არა ვართ. ჩვენ ჩვენი გზა გვქონდა. ხანდახან მეცინება, რომ დემოკრატიას გვასწავლის ქვეყანა, სადაც 60-იან წლებში კუკლუსკლანი ზანგებს წვავდა. ახლა ის ხალხი ტოლერანტობას გვასწავლის, თუმცა ჩვენთან ასეთი რამ XVIII საუკუნეშიც კი არ ყოფილა. ჩვენ გვაქვს ორი მაგალითი - იმათაც უნდა მივბაძოთ რაღაცაში და განვავითაროთ ჩვენი, საკუთარი, რაც თანხვედრაშია თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის ფასეულობებთან. ისიც გავითვალისწინოთ, რომ "ვეფხისტყაოსანი" არსებობდა ამ ქვეყანაში. ეს არ არის კარჩაკეტილ ქვეყანაში დაწერილი ნაწარმოები. იმ ჰარმონიაში არ იკარგება არც არაბეთი, არც ინდოეთი, არც მულღაზანზარი.

**- საქმე ისაა, რომ დემოკრატიული ფასეულობები არანაირ კონფლიქტში არ არის ქართული სულიერების ისტორიასთან. აქ კონფლიქტი არის გაუცნობიერებელ ჩინოვნიკსა და გაცნობიერებულ საზოგადოებას შორის. ჩინოვნიკთა ნაწილი არ იცნობს არც დემოკრატიულ ფასეულობებს და არც ქართული სულიერებისა და კულტურის ისტორიას და მის ტრადიციებს. უმარტივესი მაგალითი ავიღოთ. ქართული ჭიდაობა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა ამ სახით. აქ ჩამუხლული კაცი იმას ნიშნავს, რომ ორთაბრძოლა წყდება, ის ფეხზე უნდა ადგეს და ბრძოლა თავიდან დაიწყოს, წაქცეულთან ბრძოლა არ გრძელდება. ეს თუ ცოტათი მაინც შეხებია შენს სულიერებას, რა თქმა უნდა, დაბმული პატიმრის ცემას არ დაიწყებ. ცოტათი მაინც თუ შეგხებია დემოკრატიული ფასეულობები და ლიბერალური ღირებულებები, მიხვდები, რომ პატიმრის ცემა არ შეიძლება. აკრძალულია იქაც და ჩვენთანაც. მაგრამ პრობლემა შენშია, რადგან არც მსოფლიო ღირებულებებს იცნობ, არც საკუთარი ქვეყნის ფასეულობებს და მელაპარაკები იმათი სახელით, ვის პრინციპებზეც ზერელე წარმოდგენაც კი არა გაქვს. იბრალებ, ვითომ საკუთარი სისასტიკისას მსოფლიოს უძვირფასესი ფასეულობების გამომხატველი ხარ.**

- ამას კიდევ მეორე, ძალიან საშიში მხარე აქვს საქართველოში. თუ შენი არ იცი და არ აფასებ, წარმოუდგენელია, რომ სხვისი დააფასო. საქართველოში ცხოვრობს მრავალი კონფესია. ის ხალხი ხომ გიყურებს, შენსას თუ უდიერად ეპყრობი, ის რას უნდა მოელოდეს შენგან. რომელ სამოქალაქო ინტეგრაციაზე და მის პერსპექტივაზეა ლაპარაკი. ასეთი რამ საქართველოსნაირი ქვეყნისთვის ძალიან საშიშია. ერთი კარგი წიგნია - "მახვილი და ქრიზანთემა". ავტორი ამერიკელი ქალია. წიგნში ერთმანეთ-

ყველა ქვეყანაში იყო შეცდომები, სისასტიკე. მაგრამ ყოველთვის, ყველა ქვეყანაში იყო საზოგადოება, რომელიც ამბოხდა. რომ ასე არ შეიძლება.

ერეკლე II-ის შვილთაშვილი

პაპიდები: მარიამ და ევგენია.

თითანაა შედარებული იაპონური და ქრისტიანული კულტურა. ნათქვამია, რომ ძირეული განსხვავება ასეთია: იაპონური კულტურა აგებულია სირცხვილის პრინციპზე, ქრისტიანული - ცოდვისა და დასჯის შიშის პრინციპზე. ამიტომ ხარაკირი ქრისტიანისთვის წარმოუდგენელია, გაუგებარია, მომაკვდინებელი ცოდვაა. იაპონელისთვის გასაგებია და პროტესტის ისეთი ფორმაა, რომელსაც ნაყოფი მოაქვს. კაცისთვის შერცხვენა სამოქალაქო სიკვდილის ტოლფასია. რა თქმა უნდა, იქაც არის დასჯის შიში და აქაც არსებობს სირცხვილი. საქართველოში ორივე პრინციპული ფაქტორი იყო. ამის დასტურია სიკვდილით დასჯის ფაქტობრივი გაუქმება თამარის ეპოქაში, XII საუკუნეში. ეს ადასტურებს, რომ რეპრესიული მოქმედება იყო სირცხვილი. ჩვენ გვახსოვს ჩვენი ბებია-ბაბუები, ის საზოგადოება. იქ რაღაცას არ აკეთებდა ადამიანი არა პატრულის შიშით, ან რეპრესიების შიშით, თუმცა არც უმაგისობა იყო, არამედ მთავარი ის იყო, სადაც სირცხვილია, ადამიანი ამბობდა - "თავი მომეჭრება". ესე იგი, ამ ორივე ცივილიზაციის ძირითადი პრინციპი თანაბრად ახლობელი იყო ქართველი ერისთვის. დღეს რას ვხედავთ? დღეს რამე არის სირცხვილი? გაუტანლობა, დასმენა, მოპარვა, სუსტის დაჩაგვრა და ცემა სირცხვილი არ არის. თუ ჩვენ მოვიცილეთ სირცხვილი, როგორც საზოგადოების მაფორმირებელი ძალა, ჯერ ერთი, საკუთარ თავს ვკარგავთ, რადგან ეს არ არის ჩვენს ტრადიციაში. მერე კიდევ, ეს სრულიად უპერსპექტივო გზა არის. მაშინ რაღად გვინდა სახელმწიფო, ჯარი, რაღად გვინდა კორუფციასთან ბრძოლა.

# აი ია

**- პაპაჩემი იფიცებდა ასე - "ღირსებას ვფიცავო". კანტს აქვს ნათქვამი - ორი რამ მაოცებს ამქვეყნად, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ზნეობრიობის კანონი ჩემში. ეს მარადიული სიტყვებია, რადგან მთელ კაცობრიობას მოსდევს ეს ზნეობრიობის კანონი. ამ კანონის გადახვევა იყო სირცხვილი ყოველთვის. დოსტოევსკის ივან კარამაზოვი ამბობს - "Если бога нет, тогда все дозволено". თუ ზნეობრივი კოდექსი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი ნებადართულია... ზნეობრიობის გარდა ჩვენი ერთ-ერთი სატკივარი არის განათლების მდგომარეობა. ეს არ არის ქართული პრობლემა. ეს ზოგადად ცივილიზაციის პრობლემაა. ინტერნეტის ეკრანი არის ინფორმაციის ეკრანი. არაჩვეულებრივად მდიდარი ინფორმაციის ყუთი, რომლის მეშვეობითაც გეუფლება სრული განცდა მსოფლიოს მოქალაქეობისა. დიდებულია, რომ ასე მარტივად მიგიწვდება ხელი ინფორმაციის ყულაბაზე. ოღონდ ერთი რამ არის - არ უნდა მოხდეს აღრევა. ეს არ არის ჭეშმარიტების ყუთი. ეს არის ინფორმაციის ყუთი. ინფორმაციის მოპოვების შემდეგ იწყება ფიქრი და ფიქრში ინდივიდი, პიროვნება წარმოჩნდება. ყულაბა შენს მაგივრად ვერ ფიქრობს და ვერ გამოარჩევს იფქლს ღვარძლისაგან, კეთილს ბოროტისაგან. ამას ადამიანი აკეთებს თავისი ფიქრით.**

- ინტერნეტის პრობლემაც ისევ მიზნის და საშუალების აღრევის საშიშროებაა. ინტერნეტი საშუალებაა. მიზანი შენ უნდა განსაზღვრო. შენ თვითონ უნდა იცოდე, რა გინდა. უბრალოდ შედიხარ? - დაიკარგები. ადამიანი თუ თავის თავში არ ატარებს იმ ზნეობრივ კოდექსს, ინტერნეტი ვერ დაეხმარება.

**- შეუცვლელია ცოცხალი კონტაქტი წიგნთან. XIX საუკუნეში ბევრი გამორჩეული მოღვაწე გვყავდა. მაგრამ მე ასე მგონია, რომ მთავარი წიგნი იაკობ გოგებაშვილმა დაწერა. ეს გენიალური მიგნებაა - წერა-კითხვის სწავლება ასო-ბგერით კი არ იწყება, არამედ გამართული წინადადებით: "აი ია". ეს არის უდიდესი საგანძური. როგორც წვეთში ირეკლება მთელი ოკეანე, ისე ირეკლება ამ წიგნში მთელი ქართული კულტურა. ჩვენი სამშობლოს ისტორია და მომავალი. და ამ წიგნთან მიახლებით ადამიანი ხდება საქართველოს მოქალაქე, მომავალზე მოფიქრალი უკეთესის იმედით. ეს მომავალ თაობას უნდა გადავცეთ.**

- "დედა ენა" ისეთი საძირკველია, რომელსაც ჭკუათმყოფელი ვერავინ შეეხება. მას არაფერი ემუქრება. საერთოდ წიგნი და წიგნიერებაა საზრუნავი. ინფორმაცია სრულიად სხვა რამაა. ყველანაირი კანონი შეიძლება ნახო ინტერნეტში, მაგრამ "ვენეციელი ვაჭარი" თუ არ გაქვს წაკითხული, ვერ მიხვდები, რა განსხვავებაა კანონსა და სამართალს შორის. სამართალი ადამიანში ღვთით ბოძებულია, ისაა, რაზეც კანტი ამბობს. კანონი ადამიანების გონების ნაყოფია. წესიერ, მოფიქრალ საზოგადოებაში, ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, ესაა მთავარი პრობლემა. ანტიგონეს ტრაგედია კანონმდებლობისა და სამართლიანობის კონფლიქტზეა აგებული. XVI საუკუნეშია დაწერილი "ვენეციელი ვაჭარი". ებრაელი, რომელიც, პრინციპში, უუფლებოა ვენეციის რესპუბლიკაში, კანონიერად მოითხოვს ფულს ადამიანისაგან. თამასუქია გაცემული. ეს უსამართლობაა, მაგრამ კანონი თუ დაარღვია, თუნდაც დიდგვაროვანი იყო, მაშინ კანონი აღარ იკანონებს. როგორი გონებამახვილობა დასჭირდება ბიანკას, რომ არც კანონი დაარღვიოს და უსამართლობაც არ ჩაიდინოს. ამაზე მოფიქრალი ხელისუფალის ხელში საზოგადოება ბედნიერია. რამდენიმე წლის წინ აქტუალური იყო ჩრდილოეთ იტალიაში სეპარატისტული მოძრაობა და მაშინ მოვუსმინე ამ მოძრაობის ერთერთი მომხრის ინტერვიუს. კორესპონდენტი ეკითხება, თქვენ იტალიელი ხართ, იტალიური სახელმწიფოს მოქალაქე, იტალიურად ლაპარაკობთ. რამ მოგაფიქრათ ჩრდილოეთ იტალიის გამოყოფა დანარჩენი ქვეყნისაგან, ჩვენ ხომ ერთი ქვეყანა ვართ, ერთი ხალხი ვართო. სეპარატისტი პასუხობს, არა ვართ ერთი ხალხიო და მოაყოლა ძალიან საინტერესო მსჯელობა: ადამიანები სამ ჯგუფად იყოფიანო. პირველი - ესაა ხალხი, ვინც მიხვდა, რომ კანონების გარეშე ცხოვრება ქვეყნისთვის საზიანოა, სჯობს კანონის დაცვა. მოიგონა ეს კანონები და დაემორჩილა. არის მეორე კატეგორია - ეს ხალხი მიხვდა, რომ უკანონოდ ცხოვრება არ ვარგა, თავისი ვერ მოიგონა, მაგრამ აიღო სხვისი და დაემორჩილა. არის მესამე კატეგორია, რომელიც დღემდე ვერ მიხვდა, რომ კანონით ცხოვრება სჯობს უკანონოდ ცხოვრებას. სიცილიელი, მაგალითად, ფიქრობს, რომ ყველაზე პატივცემული ადამიანი არის მაფიის დონი - ყველაზე საშინელი ბოროტმოქმედი. რა აქვს მას საერთო მილანელთან, რომელმაც რომის სამართალი შექმნა, შეინარჩუნა, გაავრცელა და ემორჩილებაო. რა გვაქვს ჩვენ საერთო, ჩვენ ერთ სახელმწიფოში ვერ ვიცხოვრებთო. ჩვენ ნეტავ რომელ კატეგორიას მივეკუთვნებით, ვებრძვით ქურდებს - ადამიანებს, რომლებიც კანონებს არ სცნობენ და თვითონ ადგენენ საკუთარ კანონებს. და ამ ბრძოლისას კანონს გვერდს ვუვლით. არ გვაინტერესებს, რა წერია კონსტიტუციაში, რა წერია ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციაში და ჩვენ თვითონ ვხდებით ქურდები. ეს უფრო საშიშია, ვიდრე, ვთქვათ, ვიღაც ქურდი, რომელთანაც თუ მინდოდა, მექნებოდა შეხება, თუ არ მინდოდა - არ მექნებოდა. ახლა უკვე სახელმწიფოს დონეზეა აყვანილი კანონის გვერდის ავლით რაღაცების გადაწყვეტა. ვერავინ ვერ დამიმტკიცებს, რომ შეიძლება ხელისუფალმა დაარღვიოს კანონი და რაღაც კარგი გააკეთოს. არაფერი არ გამოვა.

იასონ ჭანდიერი (დიდი პაპა). მოკლეს 1917 წელს. მისი ძმა გიორგი დახვრიტეს 1924 წელს, ორი ძმა კოჭორთან მოკლეს 1921 წელს.

როგორც კოტე ჭანდიერს ახსოვს, ერთ დროს ამ სახლის ფანჯრის გისოსზე ანგელოზი იჯდა. უნებლიედ გამახსენდა ტომას ვულფის რომანის სათაური: "მოხედე შენს სახლს, ანგელოზო"...

**- კანონისა და სამართლის კონფლიქტი მარადიული თემაა. იმიტომაც აშენებს პლატონი სახელმწიფოს პოეტების გარეშე, რომ არც ერთი სახელმწიფოს კანონმდებლობაში, არც ერთ კონსტიტუციაში არ წერია სიტყვები - ცრემლი, დღესასწაული, ნატვრის ხე, თანაგრძნობა. ხელოვანი მაინც ბუნებითი სამართლის მსახურად მიიჩნევა. როცა ვაჟა-ფშაველას გავდიოდით სკოლაში, "ალუდა ქეთელაურს" გვასწავლიდნენ, როგორც თემისა და პიროვნების დაპირისპირებას. ახლა ვფიქრობ, რომ ერთი კაცია თემში - ალუდა ქეთელაური, რომელიც არის საზოგადოების ნიშნის მატარებელი. თემი კი არ არის საზოგადოება. თემი კანონმდებლობაა. ეს მარადიული თემაა. თუმცა საზოგადოებაც და რეალობაც ერთმანეთთან კონფლიქტში იწრთობა. ჩვენი საუბრის განზრახვაც ესაა, რომ მიუხედავად იმ ბევრი ცოდვა-მადლისა, რაც ტრიალებს ჩვენს გარშემო, იმედი არ გაგვექცეს ხელიდან. იმიტომ ვსაუბრობთ, რომ ხელი შევუწყოთ იმ ინტეგრაციის პროცესს, იმ სულიერების გადარჩენას, გაღვივებას, განვითარებას და, რაც მთავარია, ვსაუბრობთ იმ იმედით, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.**

- იმედი რომ არ იყოს, სალაპარაკოც არაფერი იქნებოდა.

**- ყოველთვის, ყველა ქვეყანაში იყო შეცდომები, უხეშობები, სისასტიკე, მაგრამ ყოველთვის, ყველა ქვეყანაში იყო საზოგადოება, რომელიც ამბობდა, რომ ასე არ შეიძლება და საქმე უკეთესად უნდა იყოს. ლადო ასათიანმა თქვა დიდებული სიტყვები, რაც მიმაჩნია ხელოვანის მამოძრავებელ დუენდედ - მუხტად. "ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა".**

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა
*ბენედეტო კროჩე*

# აპოკალიფსის ვარსკვლავი და მწვანე ფერია

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეზარაშვილი

*... სახელი ფარსკულავისაი მის არს აფსინთი. და გარდაიქცა მესამედი წყალთაი აფსინთად, და მრავალნი კაცთაგანნი მოსწყდეს წყალთა მიერ, რამეთუ დამწარდეს.*
***გამოცხადება იოანესი, 8:11***

1905 წლის აგვისტოში ოცდაათი წლის **ჟან ლანფრემ**, შვეიცარიელმა გლეხმა, ორი ჭიქა აბსენტი დალია, კარადიდან ძველი შაშხანა ამოიღო და თავში ესროლა თავის ორსულ ცოლს. როცა ხმაურზე ოთახში მისი ოთხი წლის ქალიშვილი შემოვიდა, ლანფრემ მასაც ესროლა. მერე კი მეზობელ ოთახში შევიდა და ორი წლის მეორე ქალიშვილიც მოკლა. მეორე დღეს ლანფრე სამივე გარდაცვლილის წინაშე დააყენეს: გვამები სამ სხვადასხვა ზომის კუბოში იყო ჩასვენებული.

არავის მიუქცევია ყურადღება, რომ ლანფრემ იმ დღეს კონიაკი და პიტნის ლიქიორიც დალია, კიდევ ექვსი ჭიქა ღვინო სადილზე, შინ მისვლისას ერთი ლიტრი ღვინო და ბრენდიანი ყავაც დაამატა. არავის ადარდებდა, რომ ლანფრე ლოთი იყო და დღეში საშუალოდ ხუთ ლიტრ ღვინოს სვამდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ტრაგედიაში მხოლოდ აბსენტს მიუძღოდა ბრალი. 82450 კაცმა მოაწერა ხელი პეტიციას და შვეიცარიის მთავრობამაც აკრძალა აბსენტი.

როგორც ყველა ცუდად დასრულებული ამბავი, აბსენტის ისტორიაც კარგად იწყებოდა. ანტიკურ სამყაროში აბზინდა (artemisia absinthium), რომლიდანაც მზადდება სასმელი, ცნობილი იყო როგორც უძვირფასესი სამკურნალო მცენარე. XVI საუკუნის ეგვიპტური პაპირუსი გვარწმუნებს, რომ აბზინდა მასტიმულირებელი, მატონიზებელი, ანტისეპტიკური და ნაწლავებდიან პარაზიტების გამომყვანი საშუალებაა. **პითაგორა** მიიჩნევდა, რომ ღვინოში დამბალი აბზინდას ფოთლები აადვილებს მშობიარობას, **ჰიპოკრატე** კი მას მენსტრუალური ტკივილების დასაამებლად იყენებდა. რომაელი ექიმი, **კლავდიუს გალენი** გვირჩევდა, რომ აბზინდა მისწრებაა ანემიისა და ასთენიის დროს, **პლინიუს უფროსი** კი დარწმუნებული იყო, რომ მცენარე სასარგებლოდ მოქმედებს კუჭსა და ნაღვლის ბუშტზე. იგივე პლინიუსი მორალისტურ საზრისსაც ანიჭებს მცენარეს, როცა იხსენებს, რომ ეტლებით რბოლაში გამარჯვებულს ასმევდნენ აბზინდას წვენს, რათა არ დავიწყნოდა, რომ გამარჯვებაშიც არის სიმწარე. ბედის ირონია იყო **დიოსკორიდეს** ჩანაწერი, რომ აბზინდა საუკეთესო საშუალებაა ლოთობის წინააღმდეგ.

მცენარის მეცნიერულ სახელწოდებას ორმაგი წარმოშობა აქვს. ერთი მითოლოგიურია, რადგან გადმოცემით ის ქალღმერთმა არტემიდემ მიუძღვნა კენტავრ ხირონს. აქედანაა სახელი "არტემიზია". მეორე კი პრაგმატული მოსაზრებით დაერქვა — "აფსინთიონ" ბერძნულ ენაზე სასმელად გამოუსადეგარს ნიშნავს, რა თქმა უნდა სიმწარის გამო.

ანტიკურობას არც შუასაუკუნეები ჩამორჩა. ალქიმიკოსი და ექიმი **პარაცელსი** კვლავ იყენებს აბზინდას ციებისა და მალარიის წინააღმდეგ. XV საუკუნეში დაწერილი "წმ. ალბანის წიგნი მიმინოთი ნადირობის შესახებ" ბაზიერთუხუცესებს ურჩევს, აბზინდის ნაყენით გაათავისუფლონ მონადირე ფრინველები პარაზიტებისაგან. XVI საუკუნეში ინგლისელი ავტორი, **ტასერი** თავის "საოჯახო წიგნში" დიასახლისებს მიმართავს: "სახლის გამოგვისას დააპკურეთ აბზინდის ნაყენი და ბაღლინჯოები ამოწყდებიან". XVII საუკუნეში კი **ნიკოლას კულპერერი** წიგნში "ინგლისელი ექიმი" აბზინდას შესახებ წარმოდგენების მითოლოგიურ ტრადიციას აგრძელებს: მისი გაგებით აბზინდა კურნავს ქოლერას, ათაშანგს, ყმაწვილთა სიძვისკენ სწრაფვას, ვირთხებისა და თაგვების ნაკბენებს, სოკოთი მოწამვლას და მრავალ სხვა ავადობას.

შეიძლება ითქვას, რომ აბზინდას ყველა ჩამოთვლილი სამკურნალო თვისება დაკავშირებულია მის ინსექტიციდურ თვისებებთან. მაგრამ ახალ დროში სწორედ ამ მცენარისგან ამზადებდნენ დასავლეთის ისტორიაში ერთერთ ყველაზე ძლიერ ალკოჰოლურ სასმელს, აბსენტს. თუმცა აბზინდა ერთადერთი ინსექტიციდი არაა, რომლისაგან სასმელს აკეთებდნენ: 1950-იან წლებში აშშ-ში გამოჩნდა კოქტეილი "მიკი სლიმი", რომლის მოსამზადებლად საჭირო იყო ჯინისა და დუსტის არევა...

და რადგან უკვე ფსიქოტროპულ თვისებებსაც მივადექით, დროა გავიხსენოთ, რომ აბზინდას ხშირად უკავშირებდნენ წინასწარმეტყველურ სიზმრებს. ევროპაში სწამდათ, რომ წმ. ლუკას დღესასწაულზე შეიძლება იხილო "შენი ოცნება", თუ მიიღებ ძმრის, თაფლისა და აბზინდას ნახარშს. 1858 წელს ლედი **უილკინ-**



პაბლო პიკასო - აბსენტის მოყვარული.

# რატომ ემტერებიან გენიოსები საკუთარ ყურებს?

ვან გოგი - ნატურმორტი აბსენტით.

აბსენტის ლამის მისტიკური ხასიათი, რომელიც ფრანგულ ბოჰემაში დამკვიდრდა, ემყარება წარმოდგენას, რომ ამ სასმელით გამოწვეული სიმთვრალე მეტად თავისებურია. აბსენტს ხან ნარკოტიკს უწოდებენ, ხანაც ჰალუცინოგენს. დღემდე კამათობენ, რა იწვევს ასეთ ეფექტს — სპირტი, თუ აბზინდის ეთეროვანი ზეთები. როგორც ეტყობა, აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს, ასე ვთქვათ, კულტურული მოლოდინი: მოგდის ის, რასაც ელი.

ამბობენ, რომ აბსენტის სიმთვრალე მხატვრული ხასიათის მაღალხარისხოვან აბსურდს იწვევს, სხვა სასმელები კი მხოლოდ უნიჭო ლაყბობას. ფრანგი ექიმი, **ემილ ლანსერო** 1880-იან წლებში აღწერს, რომ აბსენტიზმის მსხვერპლი პაციენტები ხედავდნენ მოციმციმე სინათლეს, პირსისხლიან მტაცებელ ცხოველებს, იდგნენ უფსკრულის პირას და ა. შ. 1903 წელს ქიმიკოსმა ლალუმ დაადგინა, რომ სიმთვრალის მიზეზია ეთეროვანი ზეთი **ტუიონი**, რომელიც ქაფურისა და მენტოლის მსგავსია. დღეს ამ ნივთიერებას კონვულსიურ შხამებს მიაკუთვნებენ.

საინტერესოა, რომ ტუიონის ეფექტს ნათლად მოწმობს ფრანგი იმპრესიონისტი მხატვრის, **ვინსენტ ვან გოგის** (1853-1890) ცხოვრება. მის გარშემო ადრევე შეიქმნა ლეგენდა: "XIX საუკუნის დასასრულის ბოჰემური ურჩხული, არისტოკრატიული ქონდრისკაცი, რომელმაც საკუთარი ყური მოიჭრა". მაგრამ ვან გოგი ძალიან შორს იდგა ბოჰემურობისაგან, რადგან ღრმად რელიგიური და მარტოსული ადამიანი იყო, ღატაკთა შორის ცხოვრობდა და მუდამ ცდილობდა მათ დახმარებას. ამბობენ, რომ ვან გოგი აბსენტს ტულუზ-ლოტრეკის გავლენით დაეჩვია.

ვან გოგის ცხოვრების ექსტრემალურმა ხასიათმა აიძულა კომენტატორებს, დაეტოვებინათ რომანტიზებული ფსიქობიოგრაფიების შექმნის განზრახვა და სუფთა კლინიკურ სფეროში გადასულიყვნენ. ბევრი წერს, რომ ვან გოგის მიდგომა პერსპექტივის, ფერისა და შუქ-ჩრდილის მიმართ გამოწვეულია შიზოფრენიით, ეპილეფსიით, გლაუკომით, ინტოქსიკაციური ფსიქოზით — ამათი უმრავლესობის მიზეზი კი აბსენტის მოხმარებაა.

იმპრესიონისტი **პოლ გოგენი** ზოგჯერ მოდიოდა ვან გოგთან, მაგრამ ეს ხშირად ცუდად მთავრდებოდა. ერთ საღამოს აბსენტით მთვრალმა ვან გოგმა ჭიქა ესროლა გოგენს. მეორე დღეს კი მარცხენა ყურის ნაწილი მოიჭრა და ვიღაც როსკიპს აჩუქა. ვან გოგის მდგომარეობა უარესდებოდა: როცა აბსენტს ვერ შოულობდა, სვამდა ტერპენტინს (ბლანტ სითხეს, რომელსაც წინვიანი მცენარეებისაგან ხდიან). ცნობილია ფრაგმენტი მისი წერილიდან თავისი ძმის, თეოსადმი: "უძილობას ქაფურის ძალიან, ძალიან დიდი დოზით ვებრძვი ... თუ ოდესმე უძილობამ დაგრია ხელი, ამას შენც გირჩევ". მხატვარი სინიაკი, რომელმაც მოინახულა ავადმყოფი მეგობარი, იხსენებს, როგორ დალია ვან გოგმა მის თვალწინ სკიპიდარის ზეთი. ნიშანდობლივია, რომ ყველა ეს ნივთიერება ქიმიურად ენათესავება აბსენტის შედგენილობაში შემავალ ტუიონს. ეს ყველაფერი არაა საკმარისი გამოხატული ექსტრავაგანტური ქცევა, არამედ აბსენტისადმი ფიზიოლოგიური მიჩვევის შედეგია. ამითვეა გამოწვეული ის, რომ ვან გოგი ზოგჯერ ზეთის საღებავების ჭამას ცდილობდა. რა თქმა უნდა აბსენტის ზემოქმედება ვერ ახსნის მხატვრის შემოქმედების თავისებურებას, ვერც ნიჭიერების ბუნებას. თეოსადმი წერილში მხატვარი წერდა: "ვარსკვლავებს რომ ვუჭვრეტ, ისევე ადვილად ვოცნებობ, როგორც მაშინ, როცა რუკაზე დატანებულ ქალაქებისა და სოფლების აღმნიშვნელ წერტილებს ვუყურებ. თავს ვეკითხები, რატომაა უფრო ძნელი ზეცის მოკაშკაშე წერტილებამდე მიღწევა, ვიდრე საფრანგეთის რუკის შავ წერტილებამდე? ტარასკონში ან რუანში ჩასასვლელად მატარებელზე დაჯდომაც კმარა, ვარსკვლავამდე მისასვლელად კი უნდა მოკვდე. ამ მსჯელობაში ერთი უეჭველი სიმართლეა: სანამ ცოცხლები ვართ, არ შეგვიძლია ვარსკვლავის მიღწევა ისევე, როგორც მკვდარს არ შეუძლია მატარებელში ჩაჯდომა".

ვან გოგის საფლავზე მისმა მეგობარმა, ექიმმა **გაშემ** ტუის ხე დარგო — მცენარე, რომლიდანაც პირველად მიიღეს ტუიონი. თხუთმეტი წლის შემდეგ, როცა სასაფლაოს იჯარის დრო ამოიწურა, ვან გოგის გადასვენება და ძმის გვერდით დაკრძალვა განიზრახეს. აღმოჩნდა, რომ ტუის ფესვები მჭიდროდ შემოხვეოდნენ კუბოს, როგორც საშინელებათ ფილმის უკანასკნელ კადრში. ამ ხის ნახვა დღესაც შეიძლება გაშეს კუთვნილ ბაღში.

## ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

**სონი** წერდა წიგნში "ბალახები და ველური ყვავილები", რომ თუ აბზინდას ფესვს ბალიშის ქვეშ დაიდებ, სიზმარში აუცილებლად ნახავ საბედოს.

მაგრამ აბსენტი არაა მაგიური საშუალება და ჯადო. ეს სრულიად კონკრეტული გამოყენების ალკოჰოლური სასმელია. მის წარმოშობამდე არსებობდა აბზინდას საშუალებით დამზადებული რამდენიმე ლიქიორი. ამათგან ყველაზე ცნობილია აბსინტიტი: რენესანსის ეპოქის იტალიაში აბზინდას ფოთლებს ღვინოში დებდნენ. ინგლისში აბზინდიანი ლუდით იყო ცნობილი ოქსფორდის დუქანი "ყოვლადწმინდა".

დღევანდელი აბსენტი კი მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოს წარმოიშვა. ზოგიერთი მკვლევარი მისი დაბადების თარიღად 1792 წელს მიიჩნევს, ხოლო გამომგონებლად — ექიმ **პიერ ორდინერს**. მონარქისტი ექიმი საფრანგეთის რევოლუციას გაექცა და შვეიცარიაში დასახლდა. როცა ორდინერი გარდაიცვალა 1821 წელს, მის მიერ გამოხდილ სასმელს უკვე "მწვანე ფერიას" უწოდებდნენ. დღეს ცნობილია, რომ ორდინერის შვეიცარიაში ჩასვლამდე იქ უკვე აკეთებდნენ აბსენტს დები **ენრიოები**, მაგრამ ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მათ რეცეპტი ორდინერმა გაუმხილა.

როდესაც ვინმე **მაიორ დიუბიემ** გასინჯა აბსენტი, აღმოაჩინა, რომ სასმელი კურნავს მოუნელებლობას, აუმჯობესებს მადას. მან დებისაგან შეიძინა რეცეპტი და თვითონ მიჰყო ხელი სასმელის წარმოებას. 1797 წელს, როცა დიუბიეს ქალიშვილი ცინმე **ანრი-ლუი პერნოს** მისთხოვდა, დაიწყო აბსენტის საუკეთესო მარკის, "პერნოს" ისტორია. აბსენტის პირველი ფაბრიკა საფრანგეთში, ქალაქ პონტარლიეში აშენდა, სადაც ნაკლები იყო გადასახადი. სულ რამდენიმე წელიწადში "პერნოს" დღიური წარმოება თექვსმეტიდან ოციათას ლიტრამდე გაიზარდა. ხოლო იმ დროისთვის, როცა აბსენტი აკრძალეს, მხოლოდ პონტარლიეში აბსენტის ოცდახუთი ქარხანა მუშაობდა.

საწარმოო პროცესის პრინციპი შემდეგია: ღვინის სპირტში დებდნენ გამხმარ აბზინდასა და ანისულს, მთელი ღამის განმავლობაში ტოვებდნენ. შემდეგ ნარევს ადუღებდნენ და ფილტრავდნენ. ამ დროს მიიღება სითხე, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა არაა ძალიან მაღალი, როგორც ვისკის ან ბრენდის შემთხვევაში. ტრადიციული მწვანე ფერი კი განპირობებული იყო ქლოროფილით, რომელიც სინათლეზე ნელნელა ხუნდებოდა. ამიტომ აბსენტს მწვანე შუშის ბოთლებში ასხამდნენ.

აბსენტის პოპულარობა მკვეთრად გაიზარდა ჩრდილოეთ აფრიკაში ფრანგული კოლონიალური ომების პერიოდში. სამხედრო კამპანია 1830 წელს დაიწყო და პიკს 1844-47 წლებში მიაღწია. ჯარისკაცებს აძლევდნენ აბსენტს მალარიის პროფილაქტიკისა და სასმელი წყლის დეზინფექციისათვის. სასმელი მკვიდრად შევიდა ფრანგულ სამხედრო ყოფაში მადაგასკარიდან ინდოჩინეთამდე. სამაგიეროდ, კოლონიებში გახშირდა პარანოიდალური შიზოფრენიის შემთხვევები. ახალი გამაბრუებელი საშუალება არაბებსაც მოეწონათ და მალე შესაბამისი იდუმალი ენაც განვითარდა: მაგალითად, ბედუინი მიუახლოვდებოდა ხოლმე ფრანგ ჯარისკაცს და ჩუმად დაიჩივლებდა, რომ აქლემს ჭიები სტანჯავენ.

კოლონიებიდან დაბრუნებულმა სამხედროებმა აბსენტის სმის ჩვეულება პარიზის ბულვარებზე გადმოიტანეს და სულ მალე მათ ბურჟუაზიამაც მიბაძა. ასე დაიწყო აბსენტის ისტორიის ოქროს ეპოქა — ხანმოკლე პერიოდი, სანამ სასმელი მძიმე პრობლემად იქცეოდა. 1848 წლის რევოლუციის შემდეგ, როცა პარიზმა სამომხმარებლო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი მიიღო, როცა უზომოდ აყვავდა ყველანაირი გასართობი, ოპერიდან დაწყებული არნახულად გამრავლებულ საროსკიპოებამდე, აბსენტის სმის რესმხოლოდ ერთი ჭიქა აბსენტი უნდა დალეულიყო. მავნებელი შედეგისაგან ადამიანებს ისიც იცავდა, რომ აბსენტის მისაღებად შესაფერი დრო საკმაოდ შეზღუდული იყო.

მაგრამ განგაშის პირველი ნიშნები უკვე გაისმა. **ალფონს დოდე** წერდა თავის მეგობარს, **რობერტ შერარდს**: "ალჟირის ომებამდე ჩვენ ძალიან ფხიზელი ერი ვიყავით". მაგრამ ამაო იყო საღი აზრის მცდელობა: თვით შერარდის ცნობით აბსენტის ზოგი მარკა სუფთა სპირტის 90 პროცენტს შეიცავდა, ანუ ბრენდიზე სამჯერ მაგარი იყო.

სულ მალე აბსენტით გატაცების შედეგებინგლისელი მწერლის, **პიტერ ჰიუს** აღწერით მონმარტრის უბანში "მწვანე საათი" მართლაც შიშის მომგვრელი სანახაობა იყო: ერთი მეორის მიყოლებით იღებოდა დუქნების კარები და იქიდან ნელ-ნელა მოიზლაზნებოდნენ გარინდული მზერის მქონე ავტომატებივით ან გაცოცხლებული მკვდრებივით მოსიარულე დაუდევრად ჩაცმული კაცები და ქალები.

ბოჰემა განსაკუთრებით დაუმეგობრდა აბსენტს — ამ ყველაზე დეკადენტურ და ინტელექტუალურ სასმელს. პარიზული ბოჰემა სოციალური წრე კი არა, უფრო კარიერის მონაკვეთი იყო. აქედან იწყებდნენ ჯერ უცნობი მწერლები, პოეტები, მხატვრები. ბოჰემიდან ორი გზა იყო: საფრანგეთის აკადემიისკენ ან სანაგიჟეთში. ზოგი ბოჰემის რიგებიდან ვერც გამოდიოდა და იქ კვდებოდა. ამგვარი სიკვდილი ერთ პარადოქსულ თვისებას ატარებდა: ისე ჩანდა, რომ გახრწნა მისი შედეგი კი არა, მიზეზი იყო და წინ უსწრებდა საკუთრივ სიკვდილს.

აბსენტი ნელ-ნელა იქცა ინტელექტუალთა პროფესიულ სასმელად. **გუსტავ ფლობერი** ამბობდა: დრამატურგად ყოფნა ხელოვნება კი არა, პრიფესიული ტრიუკია ... ჯერ რამდენიმე ჭიქა აბსენტი დალიეთ, მერე კი ნებისმიერ პიესაზე ილაპარაკეთ ასე: "კარგია, მაგრამ შესამოკლებელია", ან "თამაში აკლია, თამაში". მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეთხზათ არაფერი: როგორც კი თქვენ თვითონ დაწერთ პიესას, ეს თქვენი აღსასრული იქნება". როგორც ვხედავთ, საქართველოში შემოქმედებითი ინტელიგენცია მშვენივრად ახერხებს ამას აბსენტის გარეშე.

პარიზში კი ანდაზა გამოიგონეს: აბსენტი უნიჭოთა გენია და გენიოსთა სიკვდილია. ნელ-ნელა აბსენტის მიღების სხვადასხვა რიტუალიც გაჩნდა: დალევის წინ საგანგებო გრძელი კოვზით შაქარს უმატებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. ლიტერატურულ გაზეთებში მომრავლდა კარიკატურები: "საოცარია, უკვე ოთხი ჭიქა აბსენტი დავლიე და ერთი სტროფიც არ დამიწერია... გარსონ! კიდევ აბსენტი!". ყველაზე ტრაგიკული კარიკატურული სახე: სასოწარკვეთილი მხატვარი, რომელსაც მეშვიდე ჭიქაზე გაუთავდა ფული, მან კი იცის, რომ შთაგონება მხოლოდ მერვე ჭიქის შემდეგ მოდის.

მაგრამ 1880 წლის შემდეგ აბზინდის სასმელს სულ უფრო ხშირად უწოდებენ "შარანტონის ომნიბუსს" — თბილისურ ენაზე ეს შეიძლება ვთარგმნოთ როგორც "ასათიანის ქუჩის მარშრუტკა". ამავე დროს ჩნდება პირველი მინიშნებები იმის შესახებ, რომ აბსენტის მოყვარულისთვის ფსიქიკური დაავადების რისკი, სულ მცირე, 246-ჯერ მეტია, ვიდრე სხვა სასმელის მოყვარულთათვის. მხატვარ **ტულუზ-ლოტრეკს** ყოველთვის დაჰქონდა თან პატარა ჭიქა და ღრუ ჯოხი, რომელშიც ნახევარი ლიტრი აბსენტი ეტეოდა.

ბოლოს და ბოლოს, 1915 წელს საფრანგეთშიც აკრძალეს აბსენტი და ვერაგი სასმელი ევროპიდან გაქრა. თუ აბსენტის დაბადება საფრანგეთის დიდ რევოლუციასთან იყო დაკავშირებული, მისი აღორძინება უკავშირდება 1987 წელს, ანუ პრაღის ხავერდოვან რევოლუციას. როგორც ვხედავთ, აქაც დეკადენტური fin de siecle — საუკუნის ბოლო. სწორედ მაშინ გაჩნდა ჩეხეთში ახალი აბსენტის ქარხანა. ახლა უკვე ძნელია იმ ძველი აბსენტის შედარება ახალ ნიმუშებთან, თუმცა ჯერ-ჯეროობით ნათელია, რომ აბსენტიზმის პრობლემას ჩეხური სუროგატი არ ქმნის.



ედგარ დეგა - აბსენტის მოყვარულები.

იტალო კალვინო

# უხილავი ქალაქები

**ლელა გერიძის**
თარგმანი იტალიურიდან

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1, 2, 3

## IV თავი

ყუბლაი ხანს ტუჩები ქარვის ჩიბუხისთვის მოეჭირა, წვერი ამეთვისტოს აბჯრის საყელოზე დაეჭყლიტა, აბრეშუმის ჩუსტებში ნერვიულად მოეკრუნჩხა ფეხის ცერები და წამწამებდახრილი ისმენდა მარკო პოლოს მოხსენებებს. იყო საღამოები, როცა მელანქოლიური ბინდი აწვა მის გულს.

■ შენი ქალაქები არ არსებობენ. იქნებ არც არასოდეს უარსებიათ. უთუოდ აღარც აღარასოდეს იარსებებენ. რატომ ერთობი მანუგეშებელი ზღაპრებით? კარგად ვიცი, რომ ჩემი იმპერია ჭაობში ჩარჩენილი გვამივით ლპება, რომლის სენიც აჭირიანებს როგორც მის მკორტნელ ყვავებს, ასევე იმ ბამბუკებს, მისი ლორწოთი განოყიერებულები რომ იზრდებიან. ამაზე რატომ არ მელაპარაკები? რატომ ატყუებ თათრების იმპერატორს, უცხოელო?

პოლომ იცოდა, როგორ მორგებოდა ხელმწიფის ცუდ განწყობილებებს.

- დიახ, იმპერია ავადაა და უარესი ისაა, რომ იგი ცდილობს, თავის ჭრილობებს შეეჩვიოს. ჩემი ძიების მიზანი ეს გახლავთ: ჯერ კიდევ კრთიან ბედნიერების ნაკვალევები, რომელთა კვლევა-შესწავლითაც იმპერიის სიდუხჭირეს ვზომავ. თუ გინდა იცოდე, რამხელა სიბნელე გარტყია გარს, მზერა შორეულ მქრქალ შუქებზე უნდა გაამახვილო.

ხანდახან დიდებულ ხანს მოულოდნელად ევფორიის შეტევები ესტუმრებოდა ხოლმე. აიწეოდა ბალიშებზე, მის ფეხქვეშ გაზონებზე გადაფენილ ხალიჩებს გრძელი ნაბიჯებით ზომავდა, მიადგებოდა ტერასის მოაჯირს, რომ ჰალუცინაციებით ტანჯული თვალებით კედრის ხეებზე ჩამოკიდებული ნათურებით განათებული სამეფო სასახლის ბაღების გადაჭიმულ სივრცეს დაუფლებოდა.

n და მე მაინც ვიცი, - ამბობდა, - რომ ჩემი იმპერია კრისტალების მასალისგანაა ნაკეთები, იგი თავის მოლეკულებს სრულყოფილი ნახაზის მიხედვით უკავშირებს ერთმანეთს. ელემენტების ხეტიალში ყალიბდება ბრწყინვალე და უმყარესი ალმასი, ვეებერთელა მრავალწახნაგოვანი და გამჭვირვალე მთა. შენი მოგზაურობის შთაბეჭდილებები რატომაა სავსე გულის გამაცრუებელი მოჩვენებითობებით და რატომ არ უსწორებ თვალს ამ შეუჩერებელ პროცესს? რატომ აჯანჯლებ საქმეს არაარსებითი მელანქოლიებით? რატომ უმალავ იმპერატოს მისი ხვედრის სიდიადეს?

და მარკო: - სანამ შენს ხელის ერთ აქნევაზე, მეუფეო, ერთი და უკანასკნელი ქალაქი აგებს თავის წუნდაუდებელ გალავანს, მე სხვა შესაძლო ქალაქების ფერფლს ვაგროვებ, ქალაქებისა, რომლებიც ქრებიან, რათა ამ გალავანს დაუთმონ ადგილი, ისინი ველარასოდეს აშენდებიან თავიდან და ვერც ვერავინ გაიხსენებს მათ. მხოლოდ მაშინ შეძლებ კარატების ზუსტი რიცხვის გამოანგარიშებას, რისგანაც საბოლოო ალმასი უნდა ჩამოყალიბდეს, თუ შეიცნობ უსიხარულობის ნალექს, რომელსაც ვერცერთი ძვირფასი ქვა ვერ შეცვლის, მხოლოდ მაშინ არ იქნები თავიდანვე წაგებული შენი პროექტის აწონ-დაწონისას.



## ქალაქები და ნიშნები. 5.

შენზე უკეთ ვინ იცის, ბრძენო ყუბლაი, რომ ქალაქი იმ საუბარში არ უნდა აგერიოს, რომელიც მას აღწერს. თუმცა ამ ორს შორის მაინც არის კავშირი. თუ აღგიწერ ოლივიას, პროდუქტებითა და შემოსავლით მდიდარ ქალაქს, მის კეთილდღეობაზე მისანიშნებლად სხვა საშუალებები არა მაქვს, გარდა იმისა, რომ მის ფილიგრანულ სასახლეებზე გესაუბრო, ორთაღიანი ფანჯრების რაფებზე ფოჩებიანი ბალიშებით, იქ - შიდა ეზოს გისოსის მიღმა წყლის ჭავლებიანი ტრიალა რგოლი რწყავს მდელოს, სადაც თეთრ ფარშევანგს კუდი გადაუმარაოება. მაგრამ ამ საუბრიდან შენ მეყსეულად იგებ, როგორ გახვეულა ოლივია თავისი სახლების კედლებზე მიკრულ ჭვარტლისა და ჭუჭყის ღრუბელში; იგებ, რომ გადავსებულ ქუჩებში მომუშავე საბუქსირო მანქანები ფეხითმოსიარულეებს კედლებს აჭყლეტენ. მისი მცხოვრებლების შრომისმოყვარეობის შესახებ რომ გიამბო, გეტყვი ტყავისსუნიანი მეუნაგირეების ჯიხურებზე, ქალებზე, ქაქან-ქაქანით რომ ქსოვენ რაფიას ხალიჩებს, ჰაერში გამოკიდებულ არხებზე, რომელთა ჩანჩქერებიც წისქვილების ქვებს ამოძრავებენ: მაგრამ უკეთ რომ წარმოვადგენინო შენს ნათელ ცნობიერებას ეს სურათი, გეტყვი, რომ ეს ყველაფერი ბურღის კბილების საწინააღმდეგო მიმართულებით მბრუნავი ღერძის მოძრაობას ჰგავს, რომელიც განსაზღვრულ დროს ბრიგადების ცვლისას ათასობით ხელის მიერ ათიათასჯერ მეორდება. თუ უნდა აგიხსნა, როგორ მიისწრაფვის ოლივიას სული თავისუფალი ცხოვრებისკენ და უდახვეწილესი ცივილაზიციისკენ, იმ ქალბატონებზე მოგიყვები, რომლებიც ღამღამობით მწვანე ლაგუნის ნაპირებს შორის განათებული ნავებით ცურვისას მღერიან; მაგრამ ამას მხოლოდ იმიტომ გეუბნები, რომ გაგახსენო: იმ გარეუბნებში, რომლებსაც ყოველ საღამოს მოადგებიან კაცები და ქალები მთვარეულების რიგივით გამწკრივებული ნავებით, სიბნელეში ყოველთვის ვიღაცას წასკდება სიცილი და ხუმრობა და ქილიკი ატყდება ხოლმე.

ეს კი, ალბათ, არ იცი: ოლივიას შესახებ სხვას ვერაფერს მოგიყვები. მართლა რომ არსებულიყო ორთაღიანი ფანჯრების და ფარშევანგების, მეუნაგირეების და ხალიჩების მრთველების, ნავებისა და ლაგუნების ოლივია, ერთი საცოდავი მივარდნილი ადგილი იქნებოდა, და მის აღსაწერად ჭვარტლის, ბორბლების ღრჭიალის, გამეორებული ჟესტებისა და სარკაზმების მეტაფორებისთვის უნდა მიმემართა. ტყუილი ენაში კი არა, თვით საგნებშია.

## მსუბუქი ქალაქები. 4.

ქალაქი სოფრონია ორი ნახევარქალქისგან შედგება. ერთში ვეებერთელა საბავშვო მხიარული მთებია, კარუსელია სხივებივით ჯაჭვებით, ეშმაკის ბორბალია ტრიალა გალიებით, სიკვდილის ჭა დაყრავებული მოტოციკლისტებით, ცირკის გუმბათი შუაში ჩამოკიდებული სააკრობატო ტრაპეციების კუნწულათი. ქალაქის მეორე ნახევარი კი ქვისგან, მარმარილოსგან და ცემენტისგანაა ნაშენები, ბანკით, ქარხნებით, სასახლეებით, სასაკლაოთი, სკოლით და დანარჩენი ყველაფრით. ნახე-

ვარქალაქთაგან ერთი მუდმივია, მეორე - დროებითი და როცა დრო გასდის, მას იღებენ, შლიან და მიაქვთ სხვაგან, რომ მეორე ნახევარქალაქის ბნელ მიწებზე გადაიტანონ. ასე ყოველ წელს დგება დღე, როცა შავი მუშები მარმარილოს ფრონტონებს ხსნიან, უშვებენ ქვის გალავანს, ცემენტის პილონებს, შლიან სამინისტროს, ძეგლს, დოკებს, ნავთობის გამწმენდ საწარმოს, საავადმყოფოს, ამით ტვირთავენ საბუქსირო მანქანებს, რომ მოედნიდან მოედნამდე ყოველწლიურ კურსს გაუყვნენ. აქ კი რჩება ნახევარი სოფრონია ტირებით, კარუსელებით, მხიარული მთების დაყირავებული მანქანიდან ჩამოკიდებული ყვირილით და იწყებს თვლას, თუ რამდენი თვე და დღე უნდა იცადოს, სანამ ქარავანი უკან დაბრუნდება და მისი ცხოვრება ისევ გამთლიანდება.

## ქალაქები და აღებმიცემობა. 3.

მოგზაური იმ ტერიტორიაზე რომ შედის, რომლის დედაქალაქიც ეუტროპიაა, ერთი ქალაქის ნაცვლად რამდენიმეს ხედავს, ერთი სიდიდისას და ერთმანეთის მსგავსს, რომლებიც ფართო და ტალღოვან ზეგანზე გაშლილან. ეუტროპია არის არა ერთი, არამედ ყველა ეს ქალაქი ერთად; მხოლოდ ერთი მათგანია დასახლებული, სხვები კი - ცარიელი; და ეს მორიგეობით კეთდება. ახლავე გეტყვით, როგორ. იმ დღეს, როცა ეუტროპიას მცხოვრებნი დაღლილობისგან გათანგულები არიან და ვეღარ იტანენ ვეღარაფერს თავისას: პროფესიას, ნათესავებს, სახლს თუ ქუჩას, ვალებს, ხალხს, ვისაც უნდა მიესალმონ, ან ვინც მათ ესალმება, მაშინ მთელი ქალაქი გადაწყვეტს, გადავიდეს მეზობელ ქალაქში, რომელიც იქვეა, ცარიელია, ახალივითაა და მათ უცდის, აქ თითოეულს ახალი პროფესია ექნება, ახალი ცოლი ეყოლება, ახალ პეიზაჟს დაინახავს ფანჯრის გაღებისას, საღამოებს ახალ გასართობ ადგილებში გაატარებს, ახალი მეგობრებით თუ ჭორებით. ასე განახლდება ხოლმე მათი ცხოვრება ყოველი გადასვლისას მეზობელ ქალაქებში, რომლებიც ადგილმდებარეობის, დახრილობის, წყლის დინებების თუ ქარების გამო ერთმანეთისგან მაინც რაღაცით განსხვავდებიან. რამდენადაც მათ მოწესრიგებულ საზოგადოებაში სიმდიდრისა თუ ავტორიტეტის გამო დიდი განსხვავებები არაა, ფუნქციების შეცვლები თითქმის უდავიდარაბოდ ხდება; მრავალფეროვნება გარანტირებულია, რადგან შეკვეთა იმდენად ბევრია, რომ ერთი ცხოვრების სივრცეში იშვიათად თუ უწევს ვინმეს იმ პროფესიას დაუბრუნდეს, რომელიც უკვე ჰქონდა.

ასე იმეორებს ქალაქი თავის ერთფეროვან ცხოვრებას, ხან მაღლა ადის თავის ცარიელ საჭადრაკო დაფაზე და ხან დაბლა ეშვება. აქაურები ერთსა და იმავე სცენებს წარმოადგენენ, იცვლებიან მხოლოდ მსახიობები; იგივე ხუმრობებს ჰყვებიან სხვადასვანაირად კომბინირებული გამოთქმებით; შეცვლილ პირებს მოაღებენ იგივე მთქნარებებისთვის. ეუტროპია ერთადერთია იმპერიის მთელ ქალაქებს შორის, რომელიც რჩება და რჩება თავისი თავის მსგავსი. ეს მრავალმნიშვნელოვანი სასწაული კი მერკურმა ჩაიდინა, ცვალებადთა ღმერთმა, რომელსაც ეს ქალაქი შესწირეს.

## ქალაქები და თვალები. 2.

ქალაქ ძემრუდეს ფორმას იმის განწყობა-ხასიათი განსაზღვრავს, ვინც მას უყურებს. თუ სტვენა-სტვენით დადიხარ ამ ქალაქში სასტვენად მომართული ბაგესავით აწეული ცხვირით, ქალაქს ზემოდან ქვემოთ გაიცნობ: რაფებს, მოფრიალე ფარდებს, წყლის ჭავლებს. მკერდზე ნიკაპდაბჯენილი და ხელისგულებში ფრჩხილებჩარჭობილი თუ გაივლი ქალაქში, შენი მზერა ფესვს გაიდგამს შიშველ მიწაში, ღელეებში, კანალიზაციის თავსახურებში, თევზის ფხებში, მაკულატურაში. ვერ იტყვი, რომ ქალაქის ერთი სახე მეორეზე უფრო მართალია, თუმცა ქვემოდან ზემოთ ძემრუდეს შესახებ განსაკუთრებით იმისგან გესმის საუბარი, ვინც მას იხსენებს და ზემოდან ქვემოთ ძემრუდეშია ჩაფლული, ყოველდღე ერთი და იმავე გზებით დადის, და წინა დღის ცუდ განწყობას მეორე დილას გალავნის ძირში ინკრუსტირებულს აღმოაჩენს. ადრე თუ გვიან ყველასთვის დგება დღე, როცა საწვიმრების მილებს ჩავაყოლებთ მზერას და მოკირწყლულ ქუჩებს ვეღარ ვწყვეტთ თვალს. საწინააღმდეგო შემთხვევაც არაა გამორიცხული, მაგრამ უფრო იშვიათია: ამიტომ ვაგრძელებთ ძემრუდეს ქუჩებში ხეტიალს და უკვე სარდაფების, საძირკვლების, ჭების ქვეშ მივძვრებით თვალებით.

## ქალაქები და სახელი. 1.

ცოტას თქმა თუ შემიძლია აგლაურაზე იმის გარდა, რასაც მასზე თვით ამ ქალაქის მცხოვრებლები ჰყვებიან ათადან და ბაბადან: საარაკო ღირსებათა და არანაკლებ საარაკო ნაკლთა წყება, ღირსებებმა და ნაკლებმა კი დაკარგეს პრივილეგიებიც და სამარცხვინოობაც ღირსებათა და ნაკლთა სხვადასხვანაირად გადანაწილებულ ჰარმონიაში. ამ გაგებით არაფერია მართალი იქიდან, რაც აგლაურაზე ითქმება, თუმცა ამის საფუძველზე მაინც შეიძლება ქალაქის სერიოზული და კომპაქტური სურათის შექმნა, მაშინ, როცა უფრო ნაკლები გამძლეობა-სიმყარე აქვთ იქ ცხოვრებისას გამოტანილ გაბნეულ შეფასებებს. შედეგი ესაა: მონათხრობ ქალაქს ბევრი რამე აქვს იქიდან, რაც საარსებოდაა საჭირო, მაშინ როცა რეალურად არსებული ქალაქი ნაკლებადაა საარსებოდ გათვლილი.

მაშ, თუ მინდა, აღგიწერო აგლაურა და არ ვუღალატო იმას, რაც პირადად ვნახე და გამოვცადე, უნდა გითხრა, რომ გაცვეთილი ქალაქია, უსახო, ალალბედზე ნაშენები. მაგრამ ესეც არ იქნებოდა მართალი: გარკვეულ საათებში, ქუჩის გარკვეულ ნაწილებში, დაინახავ, რომ შენ წინ რაღაც ისეთის ეჭვი იხსნება, რაც სხვაში არ აგერევა, რაც იშვიათია, იქნებ დიდებულიც; ისურვებდი, გეთქვა, რა არის ეს, მაგრამ ყველაფერი, რაც აქამდე აგლაურაზე თქმულა, ენას გიტყვევებს და გაიძულებს, იცინო იმის მაგივრად, რომ ილაპარაკო.

ამიტომაც იქ მცხოვრებლებს ყოველთვის სჯერათ, რომ იმ აგლაურაში ცხოვრობენ, რომელიც მხოლოდ არსებობს სახელ აგლაურათი და ვერ ამჩნევენ იმ აგლაურას, რომელიც მართლა არსებობს. მეც კი მინდა, ეს ორი ქალაქი მეხსიერებაში განვაცალკევო, და მეტი არაფერი დამრჩენია, რომ ერთზე გელაპარაკო, რადგან მეორის ხსოვნა, რამდენადაც სიტყვები არ მეყო მის დასაფიქსირებლად, განიბნა.

■ ამიერიდან მე აღვწერ ქალაქებს, - თქვა ხანმა. - შენ კი მოგზაურობისას შეამოწმებ, არსებობენ თუ არა ისინი.

მაგრამ მარკო პოლოს მიერ მონახულებული ქალაქები ყოველთვის განსხვავდებოდნენ ხანის მიერ წარმოდგენილთაგან.

■ მე ჩემს წარმოდგენაში მაინც შევქმენი ქალაქის მოდელი, რომლიდანაც ყველა შესაძლო ქალაქის გამოყვანა შეიძლება, - თქვა ყუბლაიმ. - მასში თავმოყრილია ყველაფერი, რაც ნორმას შეესატყვისება. რამდენადაც არსებული ქალაქები სხვადასხვა ხარისხში გადაუხვევენ ნორმიდან, ჩემთვის საკმარისია, გამონაკლისები განვჭვრიტო ნორმამდე და აქედან მათი ყველაზე დასაშვები კომბინაციები გამოვიანგარიშო.

■ მეც ვიფიქრე ქალაქის ისეთ მოდელზე, რომლიდანაც ყველა დანარჩენი ქალაქის გამოყვანა შემეძლებოდა, - უპასუხა მარკომ. - ესაა მხოლოდ გამონაკლისებისგან, დაბრკოლებებისგან, წინააღმდეგობებისგან, არათანმიმდევრულობისგან, უაზრობისგან შექმნილი ქალაქი. თუ ასეთი ქალაქი ისაა, რაც ყველაზე წარმოუდგენლად შეიძლება ჩაითვალოს, არანორმალური ელემენტების რიცხვის შემცირებით იზრდება შესაძლებლობა, რომ ეს ქალაქი ნამდვილად არსებობს. მაშ, საკმარისია, მე ჩემს მოდელს გამონაკლისი გამოვაკლო, და რომელი თანმიმდევრობითაც უნდა წავიდე, იმ ქალაქთაგან ერთ-ერთთან აღმოვჩნდები, რომელიც, მართალია, გამონაკლისის სახით, მაგრამ მაინც არსებობს. თუმცა ჩემი ოპერაციის გადატყორცნას გარკვეული საზღვრის იქით ვერ შევძლებ: მაშინ ხომ ძალიან რეალურ ქალაქებს მივიღებდი საიმისოდ, რომ მათ მართლა ეარსებათ.




გაბრძელება
შემდეგ ნომერში

"კაპაროს" შეფი ანგად პაულო T1-ს ნარუდგენს მონაკოს პრინც ალბერს

# "კაპარო T1" - ფორმულა 1-ის ბოლიდი სუპერკარის ფასად

მერაბ ლორთქიფანიძე

ევროპის სათამაშო ცენტრში, მონაკოს "გრიმანდი ფორუმში" შედგა უჩვეულო ფორმისა და ტექნიკური მონაცემების მქონე ავტომობილის პრემიერა, ავტომობილისა, რომელიც თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოში ყველაზე ტემპერამენტიან მანქანად.

თავად განსაჯეთ, ორადგილიანი "კაპარო T1" 500 კილოსაც არ იწონის და აღჭურვილია 2.4-ლიტრიანი V8 ძრავით, რომლის სიმძლავრე 500 ცხენის ძალამდეა. შედეგად, მიიღწევა მასისა და სიმძლავრის ფენომენალური ბალანსი - ტონაზე 1000 ცხენის ძალა! ასეთი ბალანსით კი ვერცერთი სხვა სუპერკარი ვერ დაიკვეხნის.

ამ ბალანსის წყალობით, ავტომობილს ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფა სულ რაღაც 2.5 წამში შეუძლია. ორჯერ მეტი დრო სჭირდება ადგილიდან 160 კმ/სთ-მდე ასაჩქარებლად. ეგ კიდევ არაფერი - T1-ს ათ წამზე ნაკლები სჭირდება იმისათვის, რომ 160 კმ/სთ-მდე აჩქარდეს და შემდეგ სიჩქარე ნულამდე დააგდოს. ასეთი ტემპერამენტით კი მსოფლიოში ვერცერთი სხვა ავტომობილი ვერ დაიკვეხნის. მოკლედ, დინამიკური მაჩვენებლებით "კაპარო T1" მხოლოდ ფორმულა 1-ის ავტომობილებს ჩამორჩება.

T1 მოსახვევებსაც ფანტასტიკური სიჩქარით გადის. მას სუპერკარებისთვისაც კი არანორმალურად დიდი, 3g გადატვირთვის პირობებში შეუძლია მოსახვევის გავლა. ამ მონაცემით კი ის ლე მანის 24-საათიან რბოლებში მონაწილე სპორტული პროტოტიპების დონეზე დგას!

კოსმოსური და ფორმულა ერთის ტექნოლოგიების გამოყენების წყალობით, T1 ლეგენდარულ "კატერჰემზე" მსუბუქი გამოვიდა. იმავდროულად, წონისა და სიმძლავრის ბალანსით, ის ორჯერ უკეთესია თვით მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ ავტომობილ "ბუგატი ვეირონზეც" კი.

ეს საოცარი ავტომობილი საზოგადოებას წარუდგინეს კომპანია "კაპარო ვიჰაიქლ ტექნოლოჯიზის" მთავარმა აღმასრულებელმა ანგად პაულმა, კომპანიის დიზაინის დირექტორმა ბენ სკოტ-გიდსმა და საინჟინრო საქმეთა დირექტორმა გრემ ჰელსტიდმა. რა თქმა უნდა, წარდგენას ესწრებოდა მონაკოს პრინცი ალბერი.

"პრინც ალბერს აინტერესებდა, თუ რა სახის კომპოზიციური მასალები გამოვიყენეთ ავტომობილის მასის შესამცირებლად და როგორ მივაღწიეთ მასისა და სიმძლავრის ასეთ ფენომენალურ თანაფარდობას. მას ძალიან გაუკვირდა, როცა დაინახა, რომ ასეთ კომპაქტურ ავტომობილს ორი ადგილი აქვს", - განაცხადა სკოტ-გიდსმა. რა თქმა უნდა, პრინცი არ ყოფილა ერთადერთი ადამიანი, ვინც განცვიფრებული დარჩა ავტომობილის ნახვით და მისი ტექნიკური მონაცემების გაცნობით. ავტომობილის წარდგენას დაესწრო ფორმულა ერთის ცნობილი ბრიტანელი სპეციალისტი, დიდი პრიზების ლეგენდარული კომენტატორი მარი უოკერი.

ამ კაცმა თავად იცის, თუ რა დინამიკა აქვს ფორმულა ერთის რბოლებში მონაწილე ბოლიდებს - ერთხელ ის "მაკლარენ-მერსედესის" ორადგილიან ბოლიდში მჯდარა და თავად განუცდია ის გადატვირთვები, რომლებიც მოსახვევების დიდი სიჩქარით გავლისას მოქმედებს ბოლიდებზე და პილოტებზე. ეჭვი არ მეპარება, რომ T1-საც ასეთივე დინამიკა ექნებაო - თქვა უოკერმა და იმედი გამოთქვა, რომ ოდესმე ამ ბოლიდითაც ისიამოვნებს.

სხვათა შორის, ორადგილიან "მაკლარენს" აქვს ერთი სპეციალური ღილაკი, რომელსაც ხშირად "პანიკის ღილაკსაც" უწოდებენ. ის VIP-მგზავრისთვის (ამ ბოლიდით "გასეირნების საშუალება მხოლოდ მდიდართა ხვედრია) ხელმისაწვდომ ადგილზე მდებარეობს და მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება საჭირო, როცა მგზავრს აღარ სურს მომდევნო წრეზე "გასეირნება". უოკერი აღიარებს, რომ მას "პანიკის ღილაკის" გამოყენება მოუხდა - ვერაფერს იტყვი, მისი ასაკის კაცს (უოკერი 72 წელსაა გადაცილებული) ამგვარი რამ ეპატიება. T1-ის მგზავრებს არანაკლები გადატვირთვების გაძლება მოუწევთ, მაგრამ იმისათვის, რომ პილოტს აცნობონ, გვეყოფაო, მისთვის მხარზე ხელით კვრა მოუწევთ.

"კაპარო ჯგუფი" 1968 წელს დაარსა აზიური (ინდური) წარმოშობის ბრიტანელმა ბიზნესმენმა, ლორდმა სვრაჯ პაულმა, ვინც დიდი როლი ითამაშა ლონდონის მიერ 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების მოპოვებაში. ახლა კომპანიას მისი შვილი ხელმძღვანელობს, ვინც პროექტ T1-ის შესრულება დაავალა ორ გამოცდილ კონსტრუქტორს, ჰელსტიდსა და სკოტ-გიდსს. ესენი იმით არიან ცნობილნი, რომ დიდი როლი ითამაშეს ცნობილ სუპერკარ "მაკლარენ F1-ის" შექმნაში.

საერთოდ, "კაპარო ვიჰაიქლ ტექნოლოჯიზი" მაღალტექნოლოგიურ პროექტებზე მუშაობს. მისი ძირითადი პროფილი სხვადასხვა ავტოკომპანიების შეკვეთებით მაკომპლექტებელი ნაწილების შექმნა და წარმოებაა. უნდა ითქვას, რომ აქამდე "კაპაროს" არასოდეს შეუქმნია საკუთარი ავტომობილი. T1-ის შექმნისას კომპანიის მთავარი მიზანი იყო თავისი შესაძლებლობათა დემონსტრირება.

კომპანიის დირექტორმა მარკ ფინდლიმ განაცხადა, რომ T1-ის პირველი პროტოტიპი სულ რაღაც 7 კვირაში(!) დამზადდა. ეს სიჩქარე მან იმით ახსნა, რომ სხვაგვარად ვერ მოასწრებდნენ მონაკოს შოუზე ავტომობილის წარდგენას. ახლა კომპანია მეორე ავტომობილსაც დაამზადებს, რომელიც ტესტების სრულ კურსს გაივლის. ამისათვის "კაპაროს" უკვე დაწყებული აქვს ინჟინრებისა და ტექნიკოსების შტატის შევსება.

ფინდლის თქმით, "კაპარო T1-ის" წარმოება მერმის დაიწყება. ავტომობილის სავარაუდო ფასი კი 150 000 გირვანქა სტერლინგი იქნება. რამდენ T1-ს დაამზადებას "კაპარო", ეს შეკვეთების რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული. ისე კი, კომპანიის შესაძლებლობები წლიურად მხოლოდ 25 ცალი ავტომობილის წარმოების საშუალებას იძლევა.

"კაპაროს" კომერციულმა დირექტორმა შონ ბატჩერმა განაცხადა, რომ მონაკოში, პრეზენტაციის დროსვე, T1-ის შეძენის რამდენიმე მსურველმა უკვე გააკეთა წინასწარი შეკვეთა და იქვე შესაბამისი თანხაც გადაიხადა. ამასთან, კომპანიას ბევრი პოტენციური მყიდველისგან ავტომობილის შეძენის წერილობითი სურვილი აქვს გამოთქმული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მალე შეიძლება მოთხოვნამ მიწოდების შესაძლებლობას გადააჭარბოს...

# ბავარიელთა სამბორბლიანი სიახლე



ბე ემ ვე C.L.E.V.E.R. ტესტირებისას

კომპანია "ბეემვემ" გაავრცელა პირველი ინფორმაცია თავისი საქალაქო კონცეპტუალური ავტომობილის შესახებ, რომელსაც სახელად C.L.E.V.E.R. ეწოდა. ეს არის სამბორბლიანი, ორადგილიანი სატრანსპორტო საშუალება, რომლის შესაქმნელადაც, ბავარიული კომპანიის სპეციალისტები ბრიტანელ კოლეგებთან ერთად მუშაობდნენ. ავტომობილის სახელი ასე იშიფრება: კომპაქტ ლოუ ემიშნ ვიჰაიქლ ფორ ურბან ტრანსპორტ, ანუ კომპაქტური, მცირე გამონაბოლქვიანი (ეკოლოგიურად სუფთა) ავტომობილი საქალაქო გადაადგილებისთვის. ავტომობილი კომპაქტურია, რადგან ნებისმიერ სუბკომპაქტურ ავტომობილთან შედარებით, ის თითქმის ნახევარი მეტრით ვიწროა. ერთადერთი მგზავრი მძღოლის სავარძლის უკან თავსდება.

ავტომობილს ორი კარი აქვს, რომლებიც ზევით იხსნება, რითაც ის პარკირებისას ნაკლებ ადგილს საჭიროებს. იგი აღჭურვილია სულ რაღაც 230 კუბური სანტიმეტრი მუშა მოცულობის მქონე ძრავით, რომლის სიმძლავრე მხოლოდ 17 ცხენის ძალაა. ძრავი ბუნებრივი აირით იკვებება და მისი მეშვეობით, C.L.E.V.E.R.-ის მაქსიმალური სიჩქარე 75 კმ/სთ-ს აღწევს. ავტომობილი მეტად მოკრძალებული აპეტიტითაც გამოირჩევა - ბენზინზე რომ გადავიანგარიშოთ, ას კილომეტრზე ხარჯი ორ ლიტრზე ოდნავ მეტი იქნება. გასაგებია, რომ ძრავი გაცილებით ნაკლებად აბინძურებს გარემოს - ყოველი კილომეტრის გავლისას ჰაერში მხოლოდ 60 გრამ ნახშირორჟანგს გამოყოფს. C.L.E.V.E.R.-ის კიდევ ერთი თავისებურება ისაა, რომ ის აღჭურვილია ძარის დახრის კონტროლის უნიკალური ჰიდრავლიკური სისტემით, რომელსაც ელექტრონიკა მართავს. ეს სისტემა ავტომობილის დახრის კუთხეს მისი სიჩქარის შესაბამისად არეგულირებს. ამასთან, ძარა წინა ბორბალთან ერთად იხრება. რაც მეტია სიჩქარე, მით მეტია დახრის კუთხეც (როგორც მოტოციკლებში), რისი მეშვეობითაც ხერხდება მოსახვევის მაღალი სიჩქარით გავლისას ავტომობილის მდგრადობის შენარჩუნება.

ბავარიული ავტოგიგანტის ხელმძღვანელობა ჯერ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა მომავალი ელის C.L.E.V.E.R.-ს. ზოგიერთი სპეციალისტის ვარაუდით, თუ ამ კონცეპტუალური მოდელის წარმოება გადაწყდება, მაშინ მისი ღირებულება არ უნდა იყოს 10 000 დოლარზე მეტი.

# NASA მთვარეზე კრატერს ააფეთქებს

მერაბ ლორთქიფანიძე

NASA-ს მორიგი სამთვარეო პროგრამა, ჩვენი პლანეტის თანამგზავრის ორბიტაზე სამოძრაოდ განკუთვნილი ჩვეულებრივი კოსმოსური ხომალდის გაშვების ნაცვლად, თვისობრივად ახლებური მისიის მივლინებას ითვალისწინებს. ამ მისიის მიზანი მთვარის სამხრთ პოლუსზე ორი ბალასტის დაჯახება იქნება, რის შედეგად წარმოქმნილ კრატერშიც, კოსმოსის კვლევის ამერიკელი სპეციალისტები წყლის ყინულისა და წყალბადის აღმოჩენას იმედოვნებენ.

მთვარის მზვერავი თანამგზავრის (ლუნარ რეკონაისენს ორბიტერ - LRO) მთავარი ამოცანა მომავალი პილოტირებადი მისიებისთვის დაწვირლებითი რუქების შედგენა და ბაზის ასაშენებლად ადგილის არჩევაა. გარდა ამისა, მანვე უნდა შეისწავლოს მთვარეზე კოსმოსური ხომალდების საწვავით გასაწყობი სადგურის მშენებლობის პერსპექტივა და ამ საწვავის მოპოვების გზები.

“ამ მისიას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ჩვენ პირველად ვეცდებით გავიგოთ, თუ რეალურად რა რესურსების იმედი შეიძლება ვიქონიოთ მთვარეზე და რამდენად გამოყენებადია ეს რესურსები მომავალი მისიებისთვის. ერთი რამ ახლავე ცხადია - თუ გვინდა მთვარის დაწვრილებით გამოკვლევა, მაშინ იქ აუცილებლად უნდა ვიყოლიოთ ჩვენი მკვლევარები”, - ამბობს NASA-ს მისიების საკვლევი სისტემების დირექტორატის ერთერთი წევრი სკოტ ჰოროვიცი.

წინა მისიების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ მთვარის პოლარულ ნაწილებში წყალბადი სხვადასხვა სახით მოიპოვება კრატერების სიღრმეში. 1994 წელს პენტაგონის კოსმოსურმა ხომალდმა “კლემენტინმა” მთვარის ერთ-ერთ კრატერზე, რომელსაც “შეიკლტონი” ეწოდება, წყლის ყინულების კვალს მიაგნო. მოგვიანებით კი NASA-ს თანამგზავრმა “პროსპექტორმა” მთვარის ზედაპირზე წყალბადის არსებობის უტყუარი ნიშნები დააფიქსირა.

ახლა NASA იმედოვნებს, რომ LRO და შეჯახების მისიების მეშვეობით, შესაძლებელი გახდება მთვარეზე წყლის ყინულის დამადასტურებელი ნივთმტკიცებულებათა მოპოვება. NASA-ში ეჭვიც არ ეპარებათ იმაში, რომ მთვარეზე წყალი იმ მდგომრეობაშია, როგორის გამოყენებაც იქ მისიით მყოფი ასტრონავტებისთვის არ იქნება პრობლემა.

შეგახსენებთ, რომ NASA-ს გეგმით, ასტრონავტთა ოთხკაციანი მისია მთვარეზე გაემგზავრება არაუგვიანეს 2020 წლისა.

## მთვარესთან შეჯახება

LRO-მისიის ღირებულება 73 მილიონი დოლარია. მისი სტარტი 2008 წლის ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი. თანამგზავრის წონა დაახლოებით ორი ტონა იქნება და ის აღიჭურვება ულტრათანამედროვე ოპტიკური მოწყობილობითა და სპექტრომეტრებით, რათა დაწვრილებით შეისწავლოს “შეიკლტონის” კრატერი.

“ეს დაახლოებით უგზოობის ავტომობილის წონის ხომალდი იქნება, რომლის მეშვეობითაც ჩვენ მთვარის ზედაპირს დაწვრილებით შევისწავლით. შეჯახების შემდეგ ჩვენი აპარატი გრუნტიდან სინჯებს აიღებს და ვიმედოვნებთ, რომ მასში წყლის ყინულსაც აღმოვაჩენთ”, - ამბობს პროექტის მენეჯერი დანიელ ენდრიუსი.

მთვარის ორბიტაზე გასვლის შემდეგ, თანამგზავრი მთვარის ზედაპირზე გააგზავნის 880-კილოგრამიან ზონდს, რომელიც კრატერში ჩავარდება და მის ზედაპირს “ჭრილობას” მიაყენებს. ორბიტაზე დარჩენილი თანამგზავრი სწორედ ამ ჭრილობის შესწავლას ეცდება თავისი ოპტიკისა და სპექტრომეტრების მეშვეობით.

პარალელურად, შეჯახებას და მის შემდგომ წარმოქმნილ “ჭრილობას” ჩვენ პლანეტაზე განლაგებული უამრავი ობსერვატორიაც შეისწავლის. იმ დროისათვის მთვარის ორბიტაზე ასევე იმოძრავებს ინდური თანამგზავრი “ჩანდრაიაან-1”, რომელიც ასევე დააკვირდება კრატერს.

## შეჯახების გამოცდილება

კოსმოსურ სხეულებზე ზონდების შეჯახების შემდეგ მათი ზედაპირის გამოკვლევა NASA-სთვის სიახლე არაა. მაგალითად შარშან განხორციელდა შეჯახება კომეტა “ტემპლ 1-ზე”, რის შემდეგაც, NASA-ს კოსმოსურმა ხომალდმა “ფლაიბაიმ” დაწვრილებით შეისწავლა კომეტის დაზიანებული ზედაპირი.

1999 წელს ასევე NASA-ს მიერ განხორციელდა პროექტი, რომლის დროსაც თანამგზავრმა “ლუნარ პროსპექტორმა” მთვარეს შეაჯახა სპეციალური ზონდი, რის შემდეგაც დაზიანებული მისი ზედაპირი გამოიკვლია. თუმცა, მეცნიერებმა ის მისია წარუმატებლად მიიჩნიეს. მათი აზრით, მთვარის ზედაპირთან შეჯახების კუთხე არ იყო იმდენად დიდი, რომ მას რაიმე რეალური ზიანი მიეყენებინა ზედაპირისთვის.

“კომპიუტერული მოდელირება გვიჩვენებს, რომ შეჯახების შედეგად, მთვარის ზედაპირის ქვედა ფენებიდან დიდი რაოდენობით მასა ამოიტყორცნება, თუმცა მისი დიდი ნაწილი ისევ მთვარის ზედაპირზე მიმოიფანტება”, - ამბობს NASA-ს ერთ-ერთი წინა სამთვარეო მისიის ხელმძღვანელი ბატლერ ჰაინი.

ამჟამად მთვარის ორბიტაზე იმყოფება ევროპული კოსმოსური სააგენტოს თანამგზავრი “სმარტ-1”, რომელიც მოგვიანებით ასევე შეაჯახებს სპეციალურ ზონდს მთვარესთან და შემდეგ დაზიანებულ ზედაპირს გამოიკვლევს.

NASA-ში იმედოვნებენ, რომ მათი ზონდი მთვარის ზედაპირზე დაახლოებით 5 მეტრის სიღრმისა და 30 მეტრის დიამეტრის მქონე კრატერს წარმოქმნის და ქვედა ფენებიდან ზედაპირზე ამოიტანს დაახლოებით 1000 ტონა გრუნტს. წინასწარი ვარაუდით, შეჯახების შედეგად წარმოიქმნება მტვრის უზარმაზარი სვეტი, რომლის სიმაღლე 64 კილომეტრს მიაღწევს.

უნდა ითქვას, რომ მთვარესთან შესაჯახებელი ზონდის შექმნის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც NASA-მ გადაწყვიტა, მისიისთვის გამოეყენებინა ყველაზე მძლავრი მზიდი რაკეტები. ზონდის (LCROSS - ლუნარ კრატერ ობსერვეიშნ ენდ სენსინგ სატელაიტ) შექმნაზე გამოცხადებულ კონკურსში თავიდან 19 კომპანია ჩაერთო. მათ უნდა შეექმნათ მაქსიმუმ ერთი ტონის წონის მქონე აპარატი, რომლის ღირებულება არ ასცდებოდა 80 მილიონ დოლარს. აღსანიშნავია, რომ ზონდის მთვარესთან შეჯახების სიჩქარე დაახლოებით 2.5 კმ/წმ უნდა იყოს.

კონკურსი ჯერაც არ დასრულებულა. მასში უკვე შერჩეულია ოთხი საუკეთესო პროექტი, რომლებიც დაახლოებით ერთნაირ სამოქმედო პრინციპზეა აგებული. მათგან კი ყველაზე მთავარი ისაა, რომ ეს ოთხი პროექტი არ ითვალისწინებს მზიდი რაკეტის ზედა საფეხურების გამოყენებას.

ჰაინის თქმით, წინასწარ ძნელია იმის თქმა, თუ რას მიაგნებენ აფეთქებული კრატერის საფარველს ქვეშ. თუმცა, ის დარწმუნებულია იმაში, რომ ეს მისია NASA-ს ძლიერ დაეხმარება მთვარეზე პილოტირებადი მისიის გაგზავნის დაგეგმარებისას.

# სტენფორდში მეკასტაზის მიზეზს მიაგნეს

ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს მოლეკულა, რომელიც დიდ როლს ასრულებს კიბოს უჯრედების ორგანზმში გავრცელების პროცესში. თაგვებზე ჩატარებული ექსპერმენტების დროს, მათ შეძლეს ამ მოლეკულის ბლოკირება, რასაც შედეგად მოჰყვა კიბოს გავრცელების შეჩერება. ახლა კი მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ანალოგიური გზით ადამიანების მკურნალობასაც შეძლებენ.

კიბოს უჯრედების გავრცელება, ანუ მეტასტაზი დიდი პრობლემაა ავთვისებიანი სიმსივნის მკურნალობისას. სწორედ ისაა მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამ დაავადებას უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

კალიფორნიაში მდებარე სტენფორდის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის მკვლევარებმა, რომლებსაც პროფესორი ამატო ჯაჩა ხელმძღვანელობს, მიაგნეს მოლეკულას, რომელიც მეტასტაზის პროცესში შუალედურ როლს თამაშობს.

პოტენციურად, კიბოს სწრაფ გავრცელებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მთავარია ორგანზიმში ჟანგბადის შემცველობის ნაკლებობა. სტენფორდელმა მკვლევარებმა კი მიაგნეს მოლეკულას, რომელიც ჟანგბადზე მოშიებულ კიბოს უჯრედებს სხვა ორგანზმში გავრცელებაში ეხმარება. მათ ექსპერიმენტები ჩაატარეს მკერდის, ტვინისა და კისრის კიბოთი დაავადებულ ადამიანებზე და ყველა შემხვევაში, მეტასტაზს მათ მიერ აღმოჩენილი ცილა განაპირობებდა.

ამ მოლეკულას მათ LOX (ლისილ ოქსიდაზა) უწოდეს. მას გამოიმუშავებს კიბოს უჯრედი მას შემდეგ, რაც მას ჟანგბადი გამოელევა. სწორედ ამ დროს იწყება მეტასტაზის პროცესი. სტენფორდელებმა დაადგინეს, რომ რაც უფრო აკლდებათ მკერდის კიბოს უჯრედებს ჟანგბადი, მით უფრო მეტ LOX-ს გამოიმუშავებენ ისინი. კვლევის დროს ასევე დადგინდა ისიც, რომ პაციენტებს, რომელთა კიბოს უჯრედებიც უფრო დიდი რაოდენობით გამოიმუშავებენ LOX-ს, მეტასტაზის მეტი საშიშროება ემუქრებათ და შესაბამისად, მათ გადარჩენის ნაკლები შანსი აქვთ.

მკვლევარებმა ხელოვნურად შექმნილ გარემოში გამოზარდეს მკერდის კიბოს უჯრდები. ამ გარემოშიც, ის უჯრედები, რომლებიც LOX-ს გამოიმუშავებდნენ, სწრაფად გავრცელებას ახერხებდნენ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნურად ხდებოდა LOX-ის ბლოკირება, მაშინ მეტასტაზის პროცესიც ჩერდებოდა. უფრო მეტიც, ისინი სფერულ მასად გროვდებოდნენ და აღარ წარმოქმნიდნენ განშტოებებს. რაც მთავარია, ასეთი უჯრედები მობილურობის ყოველგვარ უნარს მოკლებული ხდებოდნენ.

ჯაჩა დარწმუნებულია, რომ LOX-ს უჯრედების გავრცელების გარდა, სხვა მისიაც აკისრია. მეცნიერის აზრით, ეს მოლეკულა ასევე წარმოქმნის ეგრეთ წოდებულ “ნებადართულ გარემოს”, რომელიც ხელს უწყობს კიბოს უჯრედების უკონტროლო გამრავლებას.

LOX-ის თერაპიული პოტენციალის შესასწავლად, მკვლევარებმა ხელოვნურად შექმნეს ადამიანის მკერდის კიბოს უჯრედები, რომლებიც ნაკლები რაოდენობით LOX-ს გამოიმუშავებენ. შემდეგ მათ ეს უჯრედები თაგვებს გადაუნერგეს.

დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ იმ თაგვებს, რომლებიც კიბოს ჩვეულებრივი უჯრედებით იყვნენ დაავადებულნი, დაავადება მალე გაუვრცელდათ ფილტვებსა და ღვიძლზე. სამაგიეროდ, მოდიფიცირებული უჯრედებით დაავადებულ თაგვებს ღვიძლი სუფთა ჰქონდათ, ფილტვებში კი მცირე რაოდენობით კიბოს უჯრედები აღმოაჩნდათ.

ექსპერიმენტის მომდევნო ეტაპზე, ჩვეულებრივი უჯრედებით ინფიცირებულ თაგვებს მიაწოდეს ქიმიური ინჰიბიტორი, რომლითაც მოხდა LOX-ის ბლოკირება. შედეგად, მთლიანად შეჩერდა მეტასტაზის პროცესი. ანალოგიური შედეგი იქნა მიღწეული მას შემდეგაც, რაც ანტისხეულების მეშვეობით მოხერხდა LOX-ის ფუნქციის ბლოკირება.

ყველაფერთან ერთად, ჯაჩა აცხადებს, რომ LOX-ს არავითარი როლი არ აკისრია კიბოს პირველადი უჯრედების განვითარებაში. მაგრამ “რამდენადაც მონაწილეობს მეტასტაზის პროცესის ადრეულ და გვიან სტადებში, ის შეიძლება “ცხელ სამიზნედ” ჩაითვალოს”, - ამბობს მეცნიერი.

სტენფორდელ მეცნიერთა ჯგუფი ახლა მუშაობს იმ ანტისხეულების შემუშავებაზე, რომელთა საშუალებითაც, შესაძლებელი გახდება LOX-ის ბლოკირება ადამიანის სხეულში.

## კლუბები/რესტორნები

**დღეს**

**Vincent Fries (DJ გერმანიიდან**; 2005 წლის კოკა-კოლას საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული), **დასაწყისი: 23:00.**
**ბარი იხსნება: 17:00**
**ყოველ დღე: 22:00** დიჯეი ფართი და დისკოთეკა. **მიმტანები:** - ქართველი და უცხოელი მოდელები. **მუდმივად** ეკრანზე **ფეშენ TV**; **ყოველ ხუთშაბათს: Ladies night** საფირმო კოქტეილი უფასოდ მხოლოდ ქალბატონებისთვის.

**17.05.06.** კლუბის ყველა მონიტორზე **ჩემპიონთა ლიგის ფინალი: არსენალი - ბარსელონა;** სტერეო ხმა და **სტადიონის ეფექტი;** ასევე - **განახლებული** მენიუ **და ლუდების ფართო არჩევანი;**

ამ კვირაში **კლუბი მასპინძლობს** მე-6 საერთაშორისო ახალგაზრდული **მოკლე ფილმების ფესტივალს - "სესილი"; ჩატარდება 2 მასტერკლასი: 18.05.06 -** იტალიელი რეჟისორი **გრეგორი პეტიტკუე; 20.05.06 - ЦТВ-ს** წარმომადგენელი, მთავარი კოორდინატორი **ვალერი ფედოროვიჩი; დასაწყისი: 19:00; 21.05.06 -** მხოლოდ ფესტივალის მონაწილეებისათვის: **ღია კარის დღე!**

**რუსთაველის გამზირი 18;**
**ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70);**
ავტოსადგომი უფასოა.

**იხსნება: 16:00**
**ცოცხალი მუსიკა: 24:00-დან დილამდე.**
**ყოველ შაბათს: 22:00** ლათინოფართი **მაესტრო მორისთან** ერთად.
**ბიზნესლანჩი: 12:00-დან 15:00-მდე.**
მუდმივი კლიენტებისათვის ფასდაკლება.
შესაძლებელია წინასწარი შეკვეთები კერძო წვეულებებისათვის.
დარბაზი გათვალისწინებულია 80 სტუმარზე.

**ახვლედიანის 13.**
**ტ.: 92 00 45**

**ბიზნესლანჩი: 11:00-დან 18:00-მდე** ორშაბათი-ხუთშაბათი.
**პარასკევი/შაბათი/კვირა: 22:00** ცოცხალი მუსიკა; ქართული ესტრადის ვარსკვლავები და მოწვეული სტუმრები; ლათინოფართი.
**დისკოთეკა: 24:00** დიჯეი დაჩი;

**მეტეხის 22**
**ტ.: 27 36 26**
**მობ.: 877 75 44 00**

**იხსნება: 12.00.**
**ბიზნეს ლანჩი: 12:00-დან 15:00-მდე.**
**პარასკევობით: დისკოთეკა 11:30. ყოველდღე (ორშაბათის გარდა): 21:00-დან 24:00-მდე** ცოცხალი მუსიკა, ბლუზი, ჯაზი, როკი, რიტმა-ბლუზი. **შეგიძლიათ მოუსმინოთ:** ჯგუფებს "ჰიპერ X", "გრინ მამა", აგრეთვე თამაზ ყურაშვილს, ჯარჯი მაღალაშვილს, ჩიკაგოელ ბლიუზმენს პოლ რიმფლს, ჯონ ვეგას, ტონი ომელის (ჯგუფ "თენსისის" ყოფილ წევრს); ქართული და ევროპული სამზარეულო.

**რუსთაველის 38**
**ტ.: 93 12 26**

**ნატოს კლუბი**
**NG**

**იხსნება: 14:00; ცოცხალი მუსიკა: 20:00; ორშაბათი/სამშაბათი** - თინეიჯერებისათვის; **ხუთშაბათი/შაბათი** - ქართული მელოდიები: უკრავს ბენდი, ვოკალისტი ყოველდღე იცვლება, **ფასი: 5 ლარი;**
**პარასკევს - კონცერტი, ფასი: 30 ლარი; კვირას - კარაოკე, ფასი: 10 ლარი.**
**19.05.06 - მღერის გიო ხუციშვილი;** კლუბის ტრადიციის მიხედვით, კონცერტის პირველ ნაწილს მომღერალი ინსტრუმენტთან შეასრულებს.

**ფალიაშვილის 33ა;**
**ტ.: 99 60 02**

## აკადემიური რჩევანი

*სომელიე გიორგი ყიფიანთან ერთად*

ღვინო **სამ კატეგორიად იყოფა:** თეთრი, ვარდისფერი და წითელი. ტრადიციულად, **თეთრი ღვინო ისმება:** ქათმის ხორცთან, თევზთან, ზღვის პროდუქტებთან და ხილთან ერთად. **კლუბებისა და ბარებისთვის** უფრო მისაღებია: **ვარდისფერი ღვინო,** რომელიც კარგად იტანს დაბალ ტემპერატურას და მასში ხშირად ყინულსაც აგდებენ ხოლმე. განსაკუთრებით **კარგია მისი სმა ზაფხულში,** სიცხეში, რადგან ორგანიზმის **ტემპერატურას** დაბლა წევს; ასევე, **- თეთრი** და **წითელი** ნახევრადმშრალი **ღვინოები,** რომლებიც ძალიან **უხდება დესერტსა და ტკბილ კერძებს.** ოღონდ **გახსოვდეთ:** ნამცხვრისა და კერძის **სიტკბო არ უნდა აჭარბებდეს ღვინისას,** რომ მისი არომატი და გემო არ დაიკარგოს. **წითელი ღვინო ისმება:** ყველანაირ შემწვარ ხორცთან, ძირითადად, მწვადთან და ჩაშუშულ კერძებთან ერთად. მაგრამ არის გამონაკლისიც, კერძოდ,- ჩაქაფული. ის თეთრი ღვინით მზადდება და შესაბამისად მასთან თეთრი ღვინო უნდა დაილიოს.

რაც შეეხება **ფრანგულ ღვინოს,** ის ქართულ ღვინოზე **უფრო არომატულია და მსუბუქი,** მაგრამ აღნიშნული რეკომენდაციები, ბუნებრივია, ფრანგულ ღვინოებზეც ვრცელდება. ასევე, **აუცილებელია ვიცოდეთ,** რა სახისაა **ღვინის აქსესუარები და** როგორია მათი **გამოყენების წესები:**

1. სომელიეს **დანა** (ბოთლის გასახსნელი);

**2. თავსახური,** რომელიც უკეთდება გახსნილ ბოთლს, რომ არ დაიკარგოს არომატი და ღვინო უფრო დიდხანს შეგვენახოს. თუ ჩვეულებრივ, უსაცობოდ, ნაკლული ღვინო მხოლოდ 5 დღე ძლებს, - სპეციალური თავსახურით შესაძლებელია, ღვინო **2 კვირის მანძილზეც** კარგად შეგვენახოს;

**3. ე. წ. ჰალსტუხი,** ბოთლზე ჩამოსაცმელი, რომელიც, ძირითადად, წითელი ღვინისთვის გამოიყენება, რომ არ დაგესხათ და სუფრა არ დასვაროს;

**4. დეკანტერი,** სპეციალური დოქი, რომლის საშუალებითაც ხდება: **ღვინის აერაცია** (ჰაერთან შეხებით არომატების გახსნა) და უშუალოდ დეკანტირება, - ანუ **ღვინის ნალექისგან განცალკევება.** ახალგაზრდა ღვინოებისათვის უფრო საჭიროა აერაცია, რითიც მათ სიძველე ემატებათ. **ამისთვის საჭიროა:** ახალგაზრდა ღვინო დეკანტერში ჩავასხათ მაღლიდან ისე, რომ დოქში ჩასვლამდე ღვინოს ჰაერთან შეხების საშუალება ჰქონდეს. ხოლო დაძველებული ღვინო კი პირიქით, - ახლოს მივიტანოთ დოქის ტუჩთან და ისე გადავასხათ კარგი განათების ფონზე. სასურველია, ეს გავაკეთოთ ანთებული სანთლის წინ, რაც საშუალებას მოგვცემს, დროულად დავინახოთ წამოსული ნალექი და იგი დოქში არ ჩავუშვათ. კარგი განათების გარეშე ეს განსაკუთრებით გაძნელდება წითელი ღვინის შემთხვევაში, რადგან, მათ, როგორც წესი, უფრო მუქ ბოთლებში ასხამენ.

**ღვინის სმის კულტურა:** ღვინო ისხმება **შედარებით მაღალფეხიან ჭიქებში,** რომელსაც უნდა ჰქონდეს **მომრგვალებული ქვედა ნაწილი,** რომელიც **ზევით შედარებით ვიწროვდება;** ასეთი ჭიქები, ბუნებრივია, გამოიყენება **ღვინის დასაგემოვნებლად** და არა საქეიფოდ. მათი საშუალებით უკეთ შეიგრძნობა ღვინის არომატიცა და გემოც. **ამასთან,** წითელი ღვინის ჭიქა თეთრი ღვინისაზე **უფრო დიდი** უნდა იყოს. **თეთრი ღვინო** ისხმევა ჭიქის მოცულობის **1/3-ზე,** ხოლო წითელი კი - **1/4-ზე,** მაგრამ რადგან წითელი ღვინის ჭიქა უფრო დიდია, ღვინის რაოდენობა თითქმის თანაბარი გამოდის. **ღვინო უნდა დალიოთ ნელა,** პატარა ყლუპებით. ამ შემთხვევაში ალკოჰოლის ზემოქმედება უფრო ძლიერია, რადგან იგი კარგად ასწრებს ორგანიზმში გახსნას და პირდაპირ სისხლში გადადის. სამაგიეროდ, პრაქტიკულად **გამორიცხულია** ე.წ. **"პახმელია",** რადგან ორგანიზმში ალკოჰოლის დოზა მცირეა. მართალია, ჭიქებში ჩამოსხმული ღვინო უფრო ძვირია და მისი ფასი საშუალოდ ბოთლის ღირებულების 1/2-დან 1/3-მდე მერყეობს (რადგან, გახსნილი ღვინის უდიდესი ნაწილი ისმება). მაგრამ **მე მაინც გირჩევთ:** მოითხოვეთ **ღვინო** ყველგან - **კაფეებში, კლუბებსა თუ ბარებში,** დალიეთ, დააგემოვნეთ და **უკეთ შეიგრძენით მისი ჭეშმარიტად განუმეორებელი არომატი და გემო!**

**მუშაობს: პარასკევი/შაბათი;**
**იხსნება: 20:00;**
**DJ ფართი: 24:00;** ერთ დღეს **ქართველი,** მეორე დღეს - **უცხოელი DJ; ფასი:** ბიჭი **25 ლარი,** გოგონა **15 ლარი; 21 წლამდე** ახალგაზრდების **შესვლა** სასტიკად აკრძალულია**; მკაცრი "ფეისკონტროლი"; მენიუ:** ქლაბ სენდვიჩი, ხაჭაპური, სალათები, ჩირი, თხილი, ხილის ასორტი; კლუბი **1000-მდე** სტუმარს იტევს. აქვს **300 დასაჯდომი** ადგილი და **10 VIP მაგიდა. შესაძლებელია** მაგიდების წინასწარ დაჯავშნა; ფუნქციონირებს **2 ბარი; გამოირჩევა** თანამედროვე ევროპული დიზაინით და ტექნიკურად უნაკლოდ აღჭურვილი. აქვს საქართველოში ერთადერთი **ლაზერული განათება;**
**19.05.06 - THE BREAKFASTAZ 20.05.06 - Babba და Bero, დასაწყისი: 22:00.**

**მტკვრის მარცხენა სანაპირო / ბარათაშვილის ხიდი /; ტ.: 92 30 16;**
საკუთარი ავტოსადგომი.

## მაღაზიები

**ღვინოები**

**SOMELIER**
***ბუტიკი და ბარი***

ქართული და ფრანგული ღვინოების ფართო არჩევანი; **ფასი: 9 ლარიდან 200 ლარამდე.**
მაღაზიაში შესაძლებელია ღვინის დეგუსტაცია. მოგემსახურებათ **პროფესიონალი სომელიე,** რომელიც გაგაცნობთ ღვინის ისტორიას. **აქვე იყიდება:** კონიაკი, არაყი, ვისკი და აქსესუარები ღვინისათვის. ბუტიკის წინ ფუნქციონირებს საზაფხულო კაფე, სადაც შეგიძლიათ დააგემოვნოთ ნაყიდი სასმელები. **ღიაა: 12:00-დან 21:00-მდე.**

**ბამბის რიგი 7.**
**ტ.: (99 532) 78 80 24**

**სუვენირები და საჩუქრები**

**ქართული ტიხრული მინანქრისა და ოქრომჭედლობის სახელოსნო.**
ფოკის დედათა მონასტრის ტიხრული მინანქრის გალერეა. შემოგთავაზებთ ბიზანტიურ-ქართული ტრადიციული დიზაინით შესრულებულ მინანქარსა და ოქროს, ასევე ხეში ნაკვეთ საეკლესიო ნივთებსა და თანამედროვე საიუველირო ნაკეთობებს. აქვე შესაძლებელია შეკვეთა ნებისმიერ საეკლესიო და საიუველირო ნაწარმზე.



**ღიაა : 11:00-დან 19:00-მდე**
**კვირას: 12:00-დან 19:00-მდე**
**ბამბის რიგი 7**
**ტ.: (995 32) 97 60 51; (995 32) 19 97 20**

**ტანსაცმელი**

**ჯინსების მაღაზიათა ქსელი გთავაზობთ:** ლევისის, ლის, ვრანგლერის, რაიფლის შარვლებს - 127 ლარიდან; მაისურებს - 39 ლარიდან; პერანგებს - 78 ლარიდან; ქვედაბოლოებს - 127 ლარიდან; ქამრებს - 63 ლარად; ქუდებს - 54 ლარად; საფულეებს - 29 ლარიდან; ბრელოკებს - 15 ლარად; ჩანთებს - 39 ლარიდან; ფეხსაცმელებს - 99-დან 197 ლარამდე; თეთრეულს - 29 ლარად.
**ღიაა: 11:00-დან 19:00-მდე.**

**ჭავჭავაძის 16; რუსთაველის 44; გამსახურდიას 31; სავაჭრო ცენტრი GTC; სავაჭრო ცენტრი "მეგალაინი".**
**ტ.: 99 92 66; 25 05 48**

**AVTANDIL**

**ბუტიკი**

თანამედროვე მოდის ყველა ტენდენცია. **სპეციალური შეთავაზება გოგონებისათვის:** კაბები გამოსაშვები საღამოსათვის. თამამი თარგები და კლასიკურ-სპორტული სტილის სინთეზი. შესაძლებელია ქსოვილისა და მოდელის შერჩევა-შეკვეთა.
**ღიაა: 12:00-დან 19:00-მდე**
**თარხნიშვილის 2**
**ტ.: 995 32 91 33 29**

**პარფიუმერია / კოსმეტიკა**

**გთავაზობთ:** მხოლოდ **L'OREAL, GARNIER და MAYBELLINE** -ის კოსმეტიკას, სხეულის, სახის კანისა და თმის მოვლის საშუალებებს. **სიახლე: L'OREAL-**ის ტონალური კრემი **infallible. 4** ტონი და **არნახული** ეფექტი. **ასეთი შედეგი თქვენ ჯერ არ გინახავთ.** იგი საუკეთესოდ ფარავს კანის დეფექტებსა და დაღლილობას და თქვენ უზადოდ გამოიყურებით **16 საათის განმავლობაში. ფასი: 29.40 ლარი. 40%-იანი ფასდაკლება** კიდევ ერთი თვე; **შესაძლებელია** საღამოს მაკიაჟის გაკეთება- **ფასი: 40 ლარი.**

**ღიაა 11:00-დან 20:00-მდე; კვირას: 11:00-დან 16:00.**
**რუსთაველის 46;**
**ტ.: 99 02 62.**

მაღაზიათა ქსელი გთავაზობთ: **Dior, Guerlain, Givenchy, Kenzo, Boss Hugo Boss, Laura Biagiotti, Giorgio Beverly Hills, Lacoste, Yohji Yamamoto, Jean Patou, Valentino, Max Factor, Lancome, Biotherm, Cacharel, Armani, Ralph Lauren, Guy Laroche, Paloma Picasso, Lanvin, GF Ferre, Roberto Cavalli and Versace Profumi, Coty, Adidas, Pierre Cardin, Celine Dion, Isabella Rossellini and Rimmel-**ის და **ახლა** უკვე **Collistar-**ისა და **Leocrema-**ს პარფიუმერულ ნაწარმსა და კოსმეტიკურ საშუალებებს. **აგრეთვე,** მის სადისტრიბუციო ქსელში იყიდება: **Chanel, Jean-Paul Gaultier, Escada, Carolina Herrera, Dolce & Gabbana, Gucci, Fendi.**
**ღიაა: 10:00-დან 21:00-მდე;**

**თბილისში:** მარჯანიშვილის 19, რუსთაველის 46, ჭავჭავაძის 42, გამსახურდიას 27, წერეთლის 117, ვაჟა-ფშაველას 35, მელიქიშვილის 18; **მალე** ლესელიძის 51/1; **ბათუმში:** გრიბოედოვის 8, გამსახურდიას 23.
**ტ.: + 995 32 25 10 40; ფაქსი: + 995 32 25 34 36.**

## გალერეა / მუზეუმი

**"თინათინი"** - თბილისის სამხატვრო აკადემიასთან არსებული **"გობელენის გალერეა-მუზეუმი."** გალერეაში წარმოდგენილია თინათინ კლდიაშვილის **ქართული თექის ნაკეთობები:** სურათები, პანოები, დიზაინერული ობიექტები (მეტალისა და თექის სინთეზი), ტანსაცმელი, ფეხსაცმელი. **სიახლე:** თექაში შესრულებული **რელიგიური ხასიათის პანოები.** გალერეაში წარმოდგენილი ნიმუშები არ იყიდება. **შესაძლებელია** თქვენს მიერ შერჩეული ნამუშევრების **შეკვეთა** და **შეძენა** უშუალოდ **ავტორისაგან. ახალი ტენდენცია: თექა - როგორც ნატურალური ბეწვისა** ("ნორკა", "კარაკულჩა", სიასამური, ლეოპარდი ) **და ტყავის** (ნიანგი) **ალტერნატივა!** ამ თემაზე შესრულებული **პალტოები, მანტოები და სხვა ნივთები** ვიზუალურად და სითბური მაჩვენებლებით **ბეწვეულისა და ტყავის იდენტურია. ამასთან,** ქსოვილი ეკოლოგიურად სუფთაა, ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა და გაცილებით უფრო იაფია!

**ღიაა: 12:00-დან 22:00-მდე;**
**შარდენის 19;**
**ტ.: 92 01 67.**

**ჩვენი არჩეONE-ის იმპრესარიო**
**მაია კაპანაძე**
**899 95 57 67**